

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XLIV

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მასალები

თელავი
2024 წლის 29-30 ნოემბერი

თბილისი
2024

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2024 წლის
29-30 ნოემბერს** იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტში

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **მანანა ზუკია
ლელა გიგლემიანი
გიორგი გოგოლაშვილი
ნანა მაჭავარიანი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

29 ნოემბერი

კონფერენციის გახსნა

მერაბ ჩუხუა – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მისალმებები

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

შალვა ჭკადუა – თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მაკა ბერიძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

I სხდომა

13:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ე ი: ნანა მაჭავარიანი, მერაბ ჩუხუა

ნარგიზ ახვლედიანი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, ლელა ჩოთა-ლიშვილი – დიდი დედის კულტი და „ნანა“ ძირის ეტიმოლოგია

ლია ბაკურაძე – ხარისხის ფორმები ინგილოურში

მაია ბარამიძე, მამია ფაღავა – მომავალი დროის გამოხატვა სამხრულ კილოებში

მარინა ბერიძე – როგნედა ღამბაშიძე – ინგილოური დიალექტის მკვლევარი (დაბრუნება 75 წლის შემდეგ)

მერაბ ბერიძე, მაკა ბერიძე – ტოპონიმიაში შემონახული ისტორიული დიალექტური ფორმა

მანანა ბუკია – აფხაზეთის გეოგრაფიული სახელები. ეტიმოლოგიური დაკვირვებანი

ნუნუ გელდიაშვილი – დიალექტური ფორმების სტილისტიკური ფუნქციისათვის დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში

გიორგი გოგოლაშვილი – დიალექტიზმების საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

II სხდომა

16:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: გიორგი გოგოლაშვილი, მამია ფაღავა

ნატალია ზუმბაძე – ქართული ტრადიციული მუსიკა აუდიო გამოცემაში „ერთიანი საქართველო“

მაკა თეთრაძე – დაკვირვებანი სოფელ სამთაწყაროს ინგილოურზე

ლევან კელაურაძე – რეგულარული სემანტიკური გადაწევისათვის ქართველურ ენებში. 1

მაია კიკვაძე, რუსუდან სალინაძე – ჰამიდიელ მუჰაჯირთა ლექსიკიდან

მარიამ კობერიძე – ბერ-ძირიანი გვარსახელები 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“

ლევან კოკლამაზაშვილი – დისიმილაციური გამჟღერების ერთი შემთხვევისთვის ქიზიყურში

ქეთევან მარგიანი – დალის ხეობის ეკლესიონიმები

გიორგი მულიანი, ეკა დადიანი – ფერეიდნული დიალექტის ლექსიკიდან (ბრძნული გამონათქვამები)

30 ნომბერი

I სხდომა

11:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: მანანა ბუკია, მერაბ ბერიძე

ნიკოლოზ ოთინაშვილი – დიალექტოლოგიური მასალები სოფელი ტყვიავიდან

მედეა საღლიანი – სვანურ ღვთაებათა პანთეონის ზოგი არქაული ტერმინის წარმომავლობისათვის. III. აბრახ/აბრწხ/აბერჰამ

ჭაბუკი ქირია – ერთი რიგის მეგრულ ტოპონიმთა მართლწერის საკითხი

ნატო შავრეშიანი – ლენტეხური დიალექტის ტექსტები განმარტებებითურთ

შორენა შავრეშიანი – სვანური ზღაპრების თარგმანისათვის

ნია შატაკიშვილი – დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან

ეთერ შენგელა – მეგრული მენჯარიშე || მენჯარიშ-ი სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

II სხდომა

14:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: ნუნუ გელდიაშვილი, ეკა დადიანი

მანანა ჩაჩანიძე – ეთნოკულტურული თემატიკის რამდენიმე საკითხი თანამედროვე აზერბაიჯანული პროზის ქართულ ენოვანი ანთოლოგიიდან

მერაბ ჩუხუა – ტოპონიმიკური ძიებანი

ნინო ციხიშვილი – მრავალგზისობის გამოხატვის საშუალებები შირაქში მიგრირებულ ხევსურთა მეტყველებაში

სოფიკო ჭაავა – აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა სოფელ სარფში (1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

ნინელი ჭობონელიძე – ზოგიერთი სახეობის ჭურჭლის ნასესხები სახელის ისტორია

ლუიზა ხაჭაპურიძე, დავით შავიანიძე – ქართველთა ყოფით-კულტურული მახასიათებლების აღმნიშვნელი ლექსემები-სათვის (სვანური და აჭარული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ნანა ხოქოლავა-მაჭავარიანი – რამდენიმე მოსაზრება გაუმჭვირვალე სემანტიკის მქონე დენდრონიმებთან დაკავშირებით ქართულში (საჯი)

17:00 სესიის შეჯამება და დახურვა

ნარგიზ ახვლედიანი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი

დიდი დედის კულტი და „ნანა“ ძირის ეტიმოლოგია

როგორც ცნობილია, მთელ მედიტერანულ სამყაროში უპირატესობა ქალურ საწყისს ენიჭებოდა; ფართოდ იყო გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, „**ღმერთების დედის**“, „**დიდი დედის**“ თაყვანისცემის კულტი. ასეთები იყვნენ, მაგალითად: **ისიდა/იზიდა** – ეგვიპტეში, **ინანა** – შუამდინარეთში, **კიბელე** – მცირე აზიაში...

შუმერულ სამყაროში დედა-ღვთაების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. ეს არის, როგორც წესი, ქალი ბავშვით ხელში, რომელიც სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: **დამგალუნა, ნინხურსაგი, ნინმახი, ნინტუ**... შუმერული ქალღმერთებია აგრეთვე **ვაუ** და **გატუმდუგი**, რომელთა ეპითეტებია: „დედა“, „ყველა ქალაქის დედა“... დედა-ღვთაების აქადური ვარიანტია **ზელეტილი, მამი** (მშობიარეთა შემწე), **არურუ** (ადამიანთა შემქმნელი დედა)...

მინოსურ-მიკენურ რელიგიურ წარმოდგენებში „**დიდი დედა**“ არის არა მარტო ყველა ღმერთის და ადამიანის დედა, არამედ ცხოველებისა და – ზოგადად, ყველანაირი ცოცხალი არსებისა.

დედა-ქალბატონი **ბერძნებთან** ინდივიდუალიზირებული და დანაწევრებულია – წარმოდგენილია, როგორც **ჰერა, არტემისი/ არტემიდა, აფროდიტე, დემეტრე, ათენა**...თუმცა, მიუხედავად ამისა, „**დიდი დედის**“ კულტი ბერძნული მითოლოგიის გენეალოგიურ სქემაში არ ჯდება, იგი წინაბერძნული წარმოშობისა უნდა იყოს, რასაც არქეოლოგიური მონაპოვარიც ადასტურებს: **მინოსურ** საკულტო სცენებში ხშირად არის წარმოდგენილი ტახტზე მჯდომი „ქალღმერთი“, როგორც პატივისცემის ობიექტი. ქალღმერთის გამოხატვის ფორმები არ არის ერთგვაროვანი: აღმოჩენილია გამოსახულებები თუ კერპები, რომლებიც თავის სამკაულად ატარებენ ყაყაჩოს ან ორმაგ ცულს, როგორც რქების სიმბოლოს; ბეჭდებზე შემორჩენილია ქალის გამოსახულება შუბით ან ხმლით ხელში; საყურადღებოა მიკენში ნაპოვნი „ფარის ღვთაება“, რომელიც გამოსახულია, როგორც დიდი ფარი, რომლის უკან ამოზრდილია ფეხები, ხელები და თავი.

დიდი დედის კულტი არც ძველი **ქართული** სამყაროსთვის არის უცხო. ისტორიულ-კულტურული მონაცემების საფუძველზე მიიჩნევა, რომ აქ (და ზოგადად, **კავკასიაში**) უსათუოდ არსებობდა **ქალღვთაება ნანას კულტი**, რომელსაც პირდაპირი მიმართება სწორედ სხვა კულტურებში დადასტურებულ დიდი დედის კულტის ღვთაებასთან აქვს.

ქართული **ნანას კულტი** ჯერ კიდევ ენეოლოთის ხანაში ივარაუდება. სწორედ ამ პერიოდში წარმოდგენილ კავკასიურ ადრესამიწათმოქმედო კულტურას უკავშირდება ქალის მცირე ზომის ქანდაკებები, რომლებიც ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების იკონოგრაფიადაა მიჩნეული. საკულტო და მითოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, **ნანა** გაზაფხულზე აღორძინებული ბუნების, სიცოცხლის, შვილიერების, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღვთაებაა და ის სიყვარულის მფარველადაც ითვლება.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კუნძულ **სამოსზე** აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი რიგი (ცხენზე მჯდომი ბავშვიანი ქალ-ღვთაების ქანდაკება, ზანზალაკები, აბზინდები და სხვა...), რომელთა **კავკასიურობის** თეორია ფაქტობრივად დადასტურებულად ითვლებოდა, ახლა უკვე, უფრო კონკრეტულად, **კოლხურ** გარემოს დაუკავშირეს (თ. მიქელაძე).

როგორც **გ. ბარდაველიძე** აღნიშნავს, მნიშვნელოვანი ცნობები **ნანას** შესახებ მოცემულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, მისი კულტი კი ვლინდება ჩვენში „ბატონების“ სახელით ცნობილი ინფექციური ავადმყოფობებით (წითელა, ყვავილი...) დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ამ ცნობილი ქართული სიმღერების რეფრენს: „**იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო**“ მეცნიერი ქალღვთაება **ნანას კულტს** უკავშირებს. ბატონების „გასტუმრების“ რიტუალში დიდი დედა ნანას ასტრალური ბუნება, მისი მზესთან კავშირი ავადმყოფის გარშემო წრიული მოძრაობით დასტურდება (იგივე ვითარება გვაქვს ფერხულის ცეკვისასაც).

როგორც ჩანს, „**იავნანამ**“ დაკარგა თავისი პირვანდელი ხასიათი და დანიშნულება, დღეს ის ხომ ძილისპირულია; თუმცა, მანამდე, რაღაც პერიოდში, მას ბატონების დაავადებების დროს უმღეროდნენ ბავშვებს. სავარაუდოდ, უკვე ამ პერიოდიდან ფიგურირებს სიმღერაში „**ია**“ (ყვავილის მნიშვნელობით) და „**ვარდი**“ – ხსენებუ-

ლი დავადებებისთვის დამახასიათებელ მუწუკებთან ასოციაციური კავშირით და ბატონების გულის მოსაგებად, ამ გამონაყარის ყვავილებთან შედარებით.

მეტეც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს სიმღერა ადრე ასე შეზღუდული გამოყენებისა არ იყო და მას უფრო ფართო, ოდისა და ზოგადი საგალობლის სახე უნდა ჰქონოდა... აქედან გამომდინარე, თავდაპირველად აქ „ია“ ძირი, სავარაუდოდ, არც აღნიშნავდა ყვავილს... „ვარდო“ ფორმა ტექსტში, შესაძლოა, „ია“ (*აია) ძირის ყვავილის სახელად გადააზრიანების შემდგომ და მასთან, უკვე როგორც მცენარის სახელწოდებასთან ასოციაციით, მოგვიანებით გაჩნდა...

ამ შემთხვევაში შესაძლებელია „იავ-ნანა“-ს „იავ“ კომპონენტის „აია“ ძირთან (კოლხეთის პარალელურად რომ გამოიყენება ძველ წყაროებში) დაკავშირებაც, თუმცა, ამ რიგის ვარაუდს შემდგომი ღრმა ინტერდისციპლინარული კვლევა-ძიებით გამყარება სჭირდება.

ამრიგად, „იავნანა“ – ეს ძველი ქართული ხალხური ლექს-სიმღერა, წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელი – „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად, სწორედ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთან (როგორც შინაარსობრივად, ასევე – ფორმოზრივადაც) არის დაკავშირებული.

რაც შეეხება ნანა (ნწ) ფუმის ეტიმოლოგიას, სავარაუდოა მისი კავშირი მთელი მსოფლიოს სრულიად სხვადასხვა ენობრივი ოჯახების წარმომადგენელთა მეტყველებაში დადასტურებულ, ფართოდ გავრცელებულ, უმეტესად დედის (მშობელი) აღმნიშვნელ ნწ (ნანა/ ნენა / ნინა / ანე....) ძირთან.

ნწ ძირი ამ მნიშვნელობით გვხვდება იდენტური გაფორმების მქონე ფუძეების შემადგენლობაში მთელი კავკასიის მასშტაბით.

ქართველურ ენებში – „ნანა“, „ნენა“ – დედის აღმნიშვნელ ცნებებად აღიქმება : ს. ქართ. ნენ-ა „დედა // ბებია, ქართ. (გურ.) ნენა-ი „დედა, აჭარ. ნენა-ი//ნენ ე-ი „ბებია, დედა“; ზან.(მეგრ.) ნანა, ნანა-ია „დედა, ლაზ. ნანა „დედა“, ნან-დიდ-ი „დიდედა“, სვან. ნან-აგ//ლან -აგ „დედულეთი“, ს. სინდ. „ნან-ა „დედა/ ბებია“, ადიღ. ნანა, ყაბ. ნანა „ბებია; მოხუცი ქალი“, უბიხ. ნან (ა) „დედა“, აფხაზ.ნან

„დედა“ (მიმართვ. ფორმა) (მ. ჩუხუა, 2018:317). ლაზურ ლექსიკონში ვხვდებით ასეთ ლექსიკურ ერთეულსაც „აიი“, რომელიც განმარტებულია, როგორც „სხვა“ – ბაბა-მუში არ ჩქუა დიჩილუ-დორენ, აიი ნანა-ქომუიონუ დორენ – „მამამისი ისევ დაქორწინებულა, სხვა დედა მოუყვანია / დიუმეზილი, 2009:176/ (მ.ბუკია, 2018;19). ნაა-სქანი დედაშენი-ნაა-სქანიქ გილახთას! „დედაშენი ჩამოვიდეს! (ასათიანი, 1974:160), შდრ.: ნანაოგე – დედინაცვალი (ნარაკიძე 2002:140) შდრ.: ნანობა-დედობა /ფოიერშტაინი, 2000:96/ (მ. ბუკია, 2018: 309). ქართველურ ენებში (ს.-ქართვ. ნინუ-ელ- „ბავშვი, ბაია, ქალიშვილი“, ქართ. ნინველ-ი „ბავშვი“ (საბა). ზან. (მეგრ.) ნინუ-, ნინუ-ა „გვარ-სახელი მეგრულში“, სვან. ნანოლ/ნანულ, ნანულ (ლშხ.) „ქალიშვილი“, ქართული ნინველი დასტურდება უძველეს სამწერლობო ძეგლებში (ფენრიხი, სარჯველაძე. 2000:359). ს.სინდ. ნენაუ – „ბავშვი, ბაია“; ადილ. ნანუ- „ბავშვი, ბაია“; უბიხ. ნანაუ „ბავშვი, ბაია“ (მ. ჩუხუა, 2018:319).

ნუნ ძირი დედის აღმნიშვნელ სახელად გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც.

აღნიშნული ფუძის მნიშვნელობა ვარირებს („დედა“, „ბავშვი“, „ბებია“, „დიდედა“, „დედულეთი“...) მაგრამ საერთო, დამაკავშირებელი, ძირეული შინაარსი უცვლელია – ეს არის **ქალური საწყისი**.

ეს უნდა იყოს მისი თავდაპირველი, ამოსავალი მნიშვნელობა!

მეორე მხრივ, **ნანა** საზოგადო სახელიდან საკუთარ სახელად ტრანსფორმაციის გზით მივიღეთ ქალის ასევე ფართოდ გავრცელებული სახელები ქართულში – **ნანა, ნენე, ნინო, ნონა, ნუნუ...**

ეტიმოლოგიური ტრანსფორმაციის სურათი ასეთი იქნება:

ნუნ

ქალი >

> **დედა** (ვინც შობა)>

> **ყველა სულიერი თუ უსულო არსების დედა/დიდი დედა/ქალ-ღვთაება** >

> **ქალის საკუთარი სახელი**

გამოყენებული ლიტერატურა

ბარდაველიძე 1957 – ვ. ბარდაველიძე, ქართველ ტომთა უძველესი რელიგიური წარმოდგენები და ტრადიციული გრაფიკული ხელოვნება (რუსულ ენაზე), თბილისი.

ბუკია 2018 – ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

მიქელაძე 1974 – თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ.ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფეინრიხი 2007 – H.Fähnrich, Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Brill. Leiden. Boston.

ფურნიე 1972 – E.J.Furnée, Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, The Hague: Mouton.

ფურნიე 1979 – E.J.Furnée, Vorgriechisch-Kartvelisches. Studien zum ostmediterranen Substrat nebst einem Versuch zu einer neuen pelasgischen Theorie, Leuven: Peeters.

ფურნიე 1986 – E.J.Furnée, Paläokartvelisch-Pelasgische Einflüsse in den indogermanischen Sprache, Nachgewiesen Anhand der spätindogermanisch-griechischen Reflexe urkartvelischer Sibilanten und Affrikaten, Leiden: The Hakuchi Press.

ჩუხუა 2018 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე

ხარისხის ფორმები ინგილოურში¹

ქართული ენასა და მის დიალექტებში სახელის ხარისხის ფორმები გამოიხატება როგორც ლექსიკური, ისე მორფოლოგიური საშუალებებით. რაც შეეხება ინგილოურ დიალექტს, აქ ხარისხი გამოხატულია ძირითადად აღწერითი საშუალებით. აქაც, ისევე როგორც ქართულ ენასა და მის დიალექტებში, ხარისხის ფორმები განისაზღვრება დადებითთან მიმართებით მეტობით ან ნაკლებობით. მართალია, გვხვდება გარკვეული ფორმები, როგორებიცაა **უფროსი, უხუცესი, უმაღლესი, ულამაზესი, მოყითლო, მოგზელო**, მაგრამ, ზოგადად, წარმოების მორფოლოგიური სისტემა არ შეინიშნება.

უფროსი:

უფროს შუღ ეყო. – ჰოვ, უფროს შუღი.

ლანგარზე ვაწყობდით, მივაქონდით უფროსიბე. იმ სახში მინც უფროსი, იმას წინ ჰუდებდით.

ვერ დავადასტურეთ მის საპირისპიროდ სიტყვა უმცროსი. მის ნაცვლად იყენებენ პატრას.

უმთავრესად გასუბსტანტივებულია და მხოლოდ არსებითი სახელის ფუნქცია აქვს: *ვიღაცა იყო იგექ, უფროს, ვინც წერავდა ამ გვარებს დაა, თვითონ როგორც მოუნდომებია, ისე გადაუგვარებია ეს გვარები.*

– *ბაჰლოლ ბეგო, უფროსო!*

უხუცესი: *არაბეგ ბერიკაშვილ ეყო სოფელშ ერთ-ერთ ცნობილ უხუცეს კაც, რომელიც დაახლოებით ოთხმოცდაათ წელშ იყო მიღწეულ რუმ დაღუპა.*

უმაღლესი (გასუბსტანტივებულია): *ერთარ ყმაწულევ დავზარდ. ოთხ გოგო ეყო, ერთ ბიჭი. გოგო არიან. დავამთავრევენ როგორმე უმაღლეს დაამთავრეს ოთხმა გოგომ, ბიჭმაც დაამთავრა უმაღლეს.*

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

ულამაზეს: *ყაჩაღები შემოსევის დროს თურმე ამათ ყოლიათ ზალ, რომელიც ლამაზ, ულამაზეს ქალ ყოფილ.*

ამ შემთხვევაში ნამდვილად უფროობითი ხარისხის ფორმაა, თუმცა მხოლოდ ერთი მაგალითი დაიძებნა ქდვ-ში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ფორმა სალიტერატურო ქართულის გზით უნდა იყოს შესული და არ არის ბუნებრივი ინგილოური დიალექტისათვის.

რაც შეეხება **ოდნაობითი** ხარისხის ფორმებს, მხოლოდ ორი მაგალითი დავადასტურეთ: **მოყითლო, მოგზელო:**

ად მე ჰათარაც ვეყავ, ოგმაგ მოყითლო, აჰი წიწილეები, ჩემ წიწილებ აძქ, აძქ კრავდა ად ჩემ წიწილებ.

მოგზელო პატა ხორბალი უფრო კად იყო, გირგლიზგან მოგზელო ხორბალი კად ეყო.

შესადარებელი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია -გან თანდებულით:

გირგლიზგან მოგზელო ხორბალი კად ეყო. ჩონ უფრო დიახ ზულუმით გაზდილვართ.

ჰიგე ემიზგან ფართო. ხუთმეტ სანტიმეტრ იქნებოდა დაახლოებით.

ბითოვ ე სკამიზგან დუდრუჟან ჩაფრევეზე ბითოვ გაჰვმლიდით.

ჩონ ჰენგილაურ აგე ლაპარიკოვთ, ქართულიზგან ლამაზა.

გრიგოლ იმნაიშვილს დადასტურებული აქვს ამ ტიპის ხარისხის ფორმები და აღნიშნავს, რომ შესადარებელი სახელი შეიძლება შეეგვხვდეს ნათესაობით ბრუნვაში მდგარი **-გან** თანდებულის გარეშე:

დერიას იქითდან ერ ქალ არის ზედ და თორეი ლამაზ /ზღვას იქით მხარეს ერთი ქალია მზისა და მთვარის ულამაზესი.

მკვლევარი ხარისხის წარმოების ამ ტიპის ფორმების (როცა შესადარებელი სახელი -გან თანდებულიან ან თანდებულო ნათესაობითშია) ინგილოურში დამკვიდრებას უკავშირებს აზერბაიჯანულის გავლენას [იმნაიშვილი 1966:127].

მსგავსი ტიპის წარმოება დასტურდება ფერეიდნულ დიალექტშიც, აქ შედარებით ხარისხს აწარმოებს **-ყე ნაწილაკიანი** ფორმები. **-ყე ნაწილაკი** ამ შემთხვევაში ფერეიდნულში -გან თანდებულის

ფუნქციითაა წარმოდგენილი და მონაწილეობს ხარისხის წარმოებაში: **სუსყე დიდი** (ყველასგან დიდი), **ემესყე დიდი** (ამისგან დიდი), **სუსყე ნამა** (ყველასგან კარგი) **ჩემყე დიდი** (ჩემგან დიდი), [ბერიძე, ბაკურაძე 2020:412].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იყო, რომ ფერეიდნულში ხარისხის გამოხატვის ეს კონსტრუქცია სპარსული ენის გავლენით იყო გაჩენილი. შედარებითი ხარისხი სპარსულში იწარმოება az წინდებულის მეშვეობით, რომელიც ქართულში

-გან თანდებულის მნიშვნელობისაა [რამიშვილი 2018:50].

გამოდის, რომ ფერეიდნულის შემთხვევაში სპარსული ენის გავლენას უკავშირებენ მკვლევრები, ინგილოურის შემთხვევაში კი – აზერბაიჯანულისას.

არადა, საშუალი ქართულისთვის ბუნებრივი იყო **-გან თანდებულიანი** ფორმების გამოყენება ხარისხის ფორმის წარმოებისას: **„ტანისაგან“, „სიკრელისაგან“, „ღვთისაგან“, „კაცისაგან“, „ქარისაგან“** [გოჩიტაშვილი 1999:11].

-გან თანდებულიანი კონსტრუქცია გამოიყენება ასევე სხვა „შედარებითი“ სემანტიკის გადმოსაცემადაც: „ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი...“ **-გან თანდებული** „გარდა“, „მეტი“ მნიშვნელობითაა გამოყენებული „კიდე“ ნაწილაკთან ერთად: **შენგან კიდე** (შენს გარდა, შენს მეტი) [ბერიძე, ბაკურაძე 2020: 413].

თუ გავითვალისწინებთ საშუალი ქართულისთვის დამახასიათებელ წარმოების ამ მოდელს, მაშინ, ინგილოურში, ისევე, როგორც ფერეიდნულ დიალექტში, **-გან თანდებულიანი** კონსტრუქციის გამოყენება შედარებითი ხარისხის წარმოებისთვის (ფერეიდნულში **-ყე ნაწილაკიანი** ფორმა **-გან თანდებულის** ფუნქციით) ბუნებრივია, ქართული ენისთვის დამახასიათებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ხოლო სპარსული და აზერბაიჯანული ენების გავლენა შესაძლებელია დამატებითი ფაქტორი იყო ამ კონსტრუქციის შენარჩუნებისთვის ორივე დიალექტში.

უფროობითი ხარისხის აღწერით წარმოებაში მონაწილეობას იღებს ზმნიზედა **უფრო: იმით უფრო ბევრ თეთრს მადგებ; იგრევ ჩაცმად აქონდა ჩოხად, ჩოხად უფროკაის; მოგ ზელო პატა ხორბალი უფრო კად იყო; ცახი გექონა, უფრო კად არი ცახი.**

მას ხშირად ენაცვლება **დაიდა**, იგი ნასესხები ფორმაა აზერბაიჯანულიდან და ნიშნავს კიდევ უფრო, დიდად, ძალიან, უფრო მეტად.

ყმაწულს აჩუმრევდნენ, ის დაიდა მაგრა ტიროდა. / ბავშვს აწყნარებდნენ, ის უფრო მეტად ტიროდა; ემ წამალ დალევაში და-იდა მაგრა ავად ჯდევს. / ამ წამლის დალევისას კიდევ უფრო მეტად ავად ხდება.

ძალიან: ჩემთვის **ძალიან კამ ვარ**, ჩემზე კამ ვარ მეთქი, შენზე არვარგ ვარ.

ცოტა არი, ძალიან ცოტა. – იმაშინ ბევრი ეყო.

დიალ/დიახ:

დიალ (კაკურ თქმაში):

დენგილავმა დიალ ყოჩალოვად ქნეს, თავიანთავ შადნახეს.

არსენად დიალ დიდ ვაშკაც, გულუდ კაც ყოფილ.

აი ანუშა ალაპარიკითი. დიალ მაგარ ქალ ეყო.

დიახ (ალიაზადურ თქმაში):

იქ დიახ კარგა მუშოვდა.

ფულ არ გოზღევენენყე. დიახ ცოტა ი ფულ იზღეოდნენ.

დია – ძალიან, გადაჭარბებით, ზომიანზე მეტად :

ჰალა დენგილავ ხალხმა დია დიდი ვაჟკაცოვად ქნეს, თავიან თავ გადაარჩინეს.

დია ლამაზ ქალ აქ.

გრიგოლ იმნაიშვილი ხარისხის საწარმოებელ ზმნიზედად მიიჩნევს ფორმას **მართლაგან**– ძლიერ ჭარბად, დანამდვილებით: ნახეს, მოლად ქალიმართლაგან ნაჩალია (ალიაზათი) [იმნაიშვილი 1966:127].

ხშირია ნასესხები **ლაფ** სიტყვის გამოყენების შემთხვევები.

ლაფ / ლაფხეთ, აზერბაიჯანული – ძალიან

ლაფკამ გიქნი. / ძალიან კამ გიქნია; ორმოც ლაფ ღრუშ ყოფილ. / ორმოც ძალიან ღრმა ყოფილა; ემი დაჭერად ლაფ ეფეაძს. / ამის დაჭერა ძალიან ძნელია; ჰოვო ხარა? – ლაფ კამ ვარ.

ინგილოური ხარისხის საწარმოებლად იყენებს **ფუშეგაორკეცებულ ზედსართავებს:**

წრილ-წრილ ოთაღები ეყო ორდენა, მიწრო სეივანი ქონდა

ღამი ერ დროზე ერ გრიალ-გრიალ, შხუილ-შხუილ ერ რამ ზედი მოდის.

მელან გადაქონდენ სხო ჭურჭელში, **პატრა-პატრა** ჭურჭლევი.
როგნედა ღამბაშიძეს შენიშნული აქვს ფუძეგაორკეცების საინ-
ტერესო ფორმები, რომლებსაც ნაწილობრივ ფუძეგაორკეცებას უწო-
დებს და მათ არსებობას თურქულ-აზერბაიჯანულის გავლენად მი-
იჩნევს: **ცამ-ცარიალ, ღიმ-ღიამს, ტიმ-ტიპლაყ, მამ-მარტომ, წიმ-წი-
თელ...** სულ მთლად ცარიელი, სულ მთლად ღია, სულ მთლად
ტიტველი...[ღამბაშიძე 1949: 139].

ემაგრა დარჩომილ მელად ცამ-ცარიალ.

ყოფილ ერ ბებერ მამ-მარტომ .

ჩემ სახლი კარე ღიმ-ღიამს.

განხილული ფორმების პარალელურად როგნედა ღამბაშიძე
უფრო რთულ ფორმებსაც გამოჰყოფს: **ტიმ-ი-ტიპლაყ, ჩიმ-ი-ჩიპლაყ;**
ჟიმ-ი-ჟირინგულ: ერ ქალ მიდიოდა, ტანსმუზ ჟიმ-ი ჟირინგულ
აქონდა [ღამბაშიძე 1949: 139].

თანაბრობითი ხარისხი

ისევე როგორც ქართული ენის სხვა დიალექტებში, აქაც გამო-
იყოფა თანაბრობითი ხარისხი ზედსართავებში.

თანაბრობითი ხარისხის წარმოებაში მონაწილეობენ აბსტრაქ-
ტული სახელები და ზედსართავი სახელები ჩვენებით ნაცვალსახე-
ლებთან კომბინაციაში: **ამსისქე, ამსიმაღლე, ამსიგზემ, ექსისხე, ექ-
სიმაღლე, ექსიფართო... ამხელა, იმხელა...**

*ეხლა ერ ეგე იქნა, კაცი დათქრ მეეტანაო. ზეითი იმხელა
ასორმოცდაათკილოიან დათი ძლივს გადავაგორე იგიტყენო...*

*ჰოვ, აი ამხელა თავთავებ ეყო. აი, ამსიზგეი კეპტებოდა, აიმაგ
ზივ-ზივით ეკიდებოდა. ჰოვ.*

*თავ ვიბანდი. უგემგე, თუთანაც ამსისქე ად ერ თმა. ჰიგემგე
თმებ მაქონდა. ეხლა აღარა ჰეჩრამ.*

*ამმაგ ბრული, ამსიმაღლე ბრული, პატრამ, თურმე ღორები
ნატარ, მუნდრუ ღორი ნატარ ჟიღირ ყოფილ.*

ექსიქსე შიმა კეპთებოდა მოდრეკული, ეგრე დაჰკრავდი, ექს-
ით ოოვქ მიდიოდა. მიდიოდი მაქონდი, აგრე მა?

*აქში შენ ექსიმაღლე დრნუაში დამბულხარ, ეს ემეში დამბულ.
ყარაზ ეს სუქანი, შენ ჰკდრვიხარ.*

ექსი ფართო ფიცრებით გაქეთებული ეყო, ექწოქწორ ე კრამე-
ტივი, ექწოწორა. ასევეა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით ექსწო-

რად, ექწო, ექსწორ, ექსწორამ, ჰექწორამ, ჰექწორ, იგივე მნიშვნელობა აქვს ფორმებს აქწორ, ამსწორ, ესწოსწორ ესწოსწორ, ამსწორ ამქწორ, ამწო, ამწორამ, ამწოწორ, ამჰწორ, ემსწორ, ემქწორ, ემქწორამ, ემჰწორ, ჰემქწორამ, ჰემწო, ჰემწორამ, ჰემწორ – ამოდენა, ამხელა.

ამსწორ დღე აგრ-იგრ იპრაწუნა. / ამხელა დღე აქეთ-იქით იხეტიალა.

შენ ემქწორ წყალში გაურევა? / შენ ამხელა წყალში შეხვალ?

ექწო თუნგ შავიდრეცი ზედ ზიმედ არაა? / ამხელა თუნგი აგიკიდებია ზედ, მძიმე არ არის?

ერ ემწორა ნაფოტ ვარდევის ბებრი ოზებში. / ერთი ამხელა ნაფოტი ვარდება ბებრის ეზოში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ბაკურაძე 2020 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, მერიდიანი, თბილისი.

გოჩიტაშვილი 1999 – ქ. გოჩიტაშვილი, თანდებული საშუალ ქართულში (ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი.

ზურაბიშვილი 1957 – თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბილისი.

იმნაიშვილი 1966 – გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, მეცნიერება, თბილისი.

მაჭავარიანი 1959 – გ. მაჭავარიანი, შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები 71, თბილისი.

რამიშვილი 2018 – რ. რამიშვილი, ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ გამომცემლობის სტამბა, თბილისი.

როსტიაშვილი 1972 – ნ. როსტიაშვილი, სიტყვაწარმოება ინგილოურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N1, თბილისი.

ლამბაშიძე 1949 – რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილო, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მ ა ი ა ბ ა რ ა მ ი ძ ე , მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

მომავალი დროის გამოხატვა სამხრულ კილოებში

ახლა, როდესაც გვაქვს აჭარული, შავშური, კლარჯული, ტაოური დიალექტების შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევები და სავსე ექსპედიციების გზით შეკრებილი დიალექტოლოგიური მასალები, შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამხრული დიალექტების ზოგიერთ თავისებურებაზე, გამოვკვეთოთ ზოგიერთი მახასიათებელი, რომელიც საერთო სამხრული მეტყველებისათვის. ასეთი კვლევები სარწმუნოს გახდის ჩვენს ვარაუდს, რომ სამხრული დიალექტები არის სამხრული მეტყველების დიფერენციაციის შედეგი, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი აქვთ საერთო ლექსიკაში... (მ. ფალავა 2004, 3).

ქვემოთ ვისაუბრებთ მომავალი დროის გამოხატვის თავისებურებებზე სამხრულ კილოებში.

* * *

I. ტაოურ დიალექტში, ისევე როგორც შავშურსა და კლარჯულში, მომავალი დროის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყოს (=მყოფადის მწკრივი) პარალელურად გამოიყენება კავშირებითის მწკრივები (იხ. ტაო 2020, 735. შდრ. შავშეთი 2011, 253; კლარჯეთი 2016, 553; მაჭახელი 2017, 232).

ზმნისწინიანი აწმყო (=მყოფადი):

ბებერი გაპარცავს დათვსა, მერე **გაჩეჩავს**, შექნის ნართსა, **დართავს** კედს (ბ); დიდვან კასრებით **წამოვდებთ** ვოტკას (ელ.); ის ხალხი **მოიკრიფებიან**, **გამუალთ** აქა, **დავჰკლავთ**, **დავჰჭრით**, ვადულებთ, იმა **შევჰჭამთ**. აქო **დააგებენ** ქილიმებ, ილოცვენ... (ელ.).

ბოლო წინადადებაში მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყოს მწკრივის ზმნაც **ვადუღებ** (ავადუღებთ=მოვხარშავთ).

როგორც ვიცით, კავშირებითის მწკრივებით მომავალი დროის გადმოცემა დამახასიათებელი იყო ძველი ქართული სამწერლობო ენისათვის.

მომავალი დროის გადმოსაცემად გამოიყენება მეორე კავშირებითის ფორმები:

ყიშლები **გითხრა**: პაკლისაჲ, კანაფურა, დარუნალი... (ობლ.); აქუნურები **გითხრა** [ადგილის სახელები] (ობლ.); ადგილის სახელები **გითხრათ**: ბელი გუბე, კაკლიან ლელი... (სარ.); მე **დუშაბო, მუვდეს, ილაპარკოს**, შენ დასწერე (ბ.); ...შენ **გაკპარცო**, კედი **დავართა, მოგიქსოვო** წინდები (ბ.); ...დათვსა ეტყვის: **ჩევედე**, კედი **გამოვტანო**, შენც აქიდან დამცვი (ბ.); თოვლი **მოადეს**, მოვლენ და ზღაფხულ მიდიან დელიაში (ჭილ.); აქ ივერხულო'და, ჩვენ **ვისეიროთ** (ქუაბ.); თქვენ მკითხეთ და **გითხრა** (ბ.); ...რუ თავდება, ასე...მაყალი ალაგი არი... **შეხვიდე**, კად იქნება (ქუაბ.); **გაგათხოთ** თქუენ აქა (ფიშნ.); სამაარი **მეგტანო**, ჩაი **ვსვათ** (წითლ.); აქ არი, აქ არი და **მოადეს** (წითლ.); ახლა შენ **გაგაგნებით** და ამათ უთხარ შენ (ქონ.); აჰა მე **გითხრა**: ქონობანი გაყოფილია (ბ.)...

ერთსა და იმავე წინადადებაში მომავალი დრო გადმოცემულია მეორე კავშირებითითა და ზმნისწინიანი აწმყოთი:

იმა უთქვია ქი: მე ისეთი ყალე **გავაკეთო, ვაშენო**, აქ ვერავინ ვერ **შუმოვა**, ვერ მოვლენ ისინი (ბასლ.); კაცს ეტყვის: მე იქ გევალო, სისხლი თუ **დეინახო**, წადი, არ მელოდო, ვერ **დეინახავ**, მელოდე (ბ.); ...ასე ქი უხრაით'ნა მუჟურიო, ...მას უკან **ამეიდებ** ქევეგირით, ...მას უკან **ამეიდო**, ერბო'ნა გახრაკო (ქონ.); გოლში ქვა ჩააგდო, ხოშკაკალი **გათოვდებაო** (ელ.); სობას ზედამ **დადგამ**, გაცხელდეს, საწურავის შიგან'და მოწურო, მარილიც'ნა **გუჟურიო, გაახმო**'ნა, შიჭამო (ბალბ.); მალი, ძროხები სახში ყავან შეყრილი, კარში ნახოს, **შემჭამს** (ფიშნ.); ...ჩუენ **გავთავნეთ, მოვკვდებით**, გურჯიჯა აღარ იქნება (ბალბ.); ...ჩირდილში **გავა** და რა **დეინახოს**: სხვა დათვებთ აქვან დუგუნი (ბ.)...

მყოფადის კავშირებითი და ზმნისწინიანი აწმყო:

თემელ **ამეიდებდეს**, ქვას **ჩააწყობდეს**, თამამ. მერე სახლი **გააკეთებს** (ქუაბ.)...

II. მომავალი დრო კლარჯულში ჩვეულებრივ გადმოიცემა ზმნისწინიანი აწმყოთი:

მემრე ძალი **გაადნოფ**, იმა **დაასხავ**, მემრე სუფრას **დადეფ**, ღერღილ **დააყრი** (ზაგ.); დემეწვება საჭმელი და რძალმა **წემეკინ-დღება** (ზალ.)...

მომავალი დრო გადმოიცემა კავშირებითის ფორმებითაც:

ჩაი **გასვა**, ყაჰვე, ნესკაფე (იბრ.); პატინა ჟავე, ისინი **მოგიტანო** და ჭამე (იბრ.); ვაშლი არი, სხალი არი, **მოგიტანო** (თხილ.); ათი-თხუთმეტი წლის უკან გურჯი არ **დარჩეს** (ჯ.); მე **გითხრა** და დაწერე (გურბ.); მერე პური **მოგიტანო**, გაყირმიზებული (ერენ.); ამან არ **გაცივდეს**, ჩაი **ჩევისხა** (ისკ.); ვუთხარ, ერთი ბაღანა **გამოგიზავნო** (დევ.); თვეში რამდენი მუა? მე **გითხრა** შენ... (მურდ.); ჩემი ქალი **გახდეს**, ქალს არ ვასამებ (ისკ.); მე ახლა ნუფუსის **გითხრა** შენ (ჰამ.); ახლა რაცხა **გითხრა** (ნურ.); ჰელე ყველაჲ თუ **გეცხსენო** (ხებ.); ხელი **წაგავლო**, არ **წაცურდე** (ლუთ.); **ვიცოდე**, გეტყოდი (თხილ.)...

შდრ.:

რომ **ვიცოდე**, გეტყვი (ჰამ.); ახლა მე ერთი რამ **მეგოყვე** (ხება); ერთი რაცხა ჰეჩეი **გაგაგნებო** (ჰამ.)...

ვიქმ ზმნას მყოფადში იშვიათად ენაცვლება **ზამ** ფუძე:

მე ვერ **ვიქავ** (ნურ.); მეც ვერ **ვიქავ** (მარადიდი); ზათი ვერ **ვიქავთ** (მარ.); ჩვენ არ **ვიქავთ**, ემიაშვილი მიცემა არ **ვიქმთ** (ირმ.); მოზვერმა არ **იქნავს** (ჰამიდიე); გლახა მოზვერმა რამ არ **იქნავსო** (ჰამ.)...

პაწამა რაცხა დედნახა შენიდან, იმა **იზამს**; დიდიდან რაცხა დედნახავს, პაწამა იმას **იზავს** (მაამ.); ფულიზა რას **იზმენ** (დევ.)...

III. შავშურში მყოფადის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყოს პარალელურად გამოყენებულია კავშირებითის ფორმები (უმეტესად მეორე კავშირებითი). ამ მხრივ ძველი ქართულის ნორმაჲ დაცული.

I კავშირებითი: რადგითხრა, **ვიცოდე**, **ვიტყოდე** (სვირ.).

II კავშირებითი:

თუ ქემალამარ მედწონა, მე **ავართვა** (ზაზგ.); ერთი ჩავალ, ძროხა **ავაძრო**, ახორშია (ხევწ.); **ჩევიდეთ**, ჭადი **ჩევისხათ**, **გაჭამოთ** (უ.); შიერარიყოთ, საჭმელი **მოქცეთ**, ჭამდე (უსტ.); შინა **მივდეთ**, პური **მოგართვათ** (მან.); მეც **მოგეკრა** (=შეგიერთდებით) და **წევედით**

(უ.); სკამები **მოგცეთ**, ემეები დათალეთ და **ჭამეთ** (უსტ.); რაცხა **გი-თხრა**, შაირები (დ.)...

მყოფადის მნიშვნელობა აქვს **ი-პრეფიქსიანი ვნებითის II კავ-შირებითის ფორმას**:

დიობან წიყვანეთ, ზათი ვერ **იცოცხლებენ**, დეიხოცნენო (=დაიხოცებიანო) (ივ.).

ზაზგასმული ზმნის მყოფადის მნიშვნელობა „იცოცხლებენ“ ზმნითაც ჩანს. ასეთივეა:

ფარნუხში არ'ნა გახვიდე? სად **შეიყარნეთ** (=შეხვდებით) (უ.). მკითხე და **გითხრა** (ზაზგ.); სობაჲ ავანთე და აქა დულდეს და ჩაი **გი-გიკეთო** (ზაზგ.); მე **წევდე**, ყანა მოვრონიო (ზ.).

ერთსა და იმავე წინადადებაში მყოფადი გადმოცემულია კავ-შირებითითა და ზმნისწინიანი აწმყოთი:

რომელ ცხაკარზე **მიხვიდე**, იქ **დაგაყენებენ** (ჩაქ.); **გითხრა**, ჰამათ ქვენვერ **გიეგნებთ** (კოკ.); საჭმელი **გემშევიან**, **მოგართვამთ**, ჰამეთ, ჩაი **გასვათ** (სვირ.)...

დიალოგში:

– **გაწვიმდეს**'ნა.

– **დაგაყენებ!**

– მგონიარ **დამაყენო** (ხევწ.).

ვალ ზმნის აწმყოს ზმნისწინიან ფორმას აქვს აწმყოს მნიშვნელობა:

ჯვარის ხევი ეს არი, ეჰე, გზა **შემოვა** (=შემოდის) (ჩაქ.); ნაფეტ-ვარი სადაა, იცი? აგერ გზა რომ **მოვა** (=მოდის) (დ.).

ასეთი ფორმები ზოგჯერ უდროო, ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით არის გამოყენებული:

ახლა დოხტრები არიან, იქ არევიან არ **წავა** (ჩაქ.); ზამთარში ზოგი **წაველენ** (ჩაქ.); ზათენ აღარვიან აღარ **წაველენ** (ჩაქ.); ზამთარში ბევრი თოვლი **მოვა** აქ (ჩაქ.); ხუთი ქილომეტრი **მივა** (ზაზგ.); ძალი საქმეზე **დავა** (=დადის) (ზაზგ.)...

აწმყოს მნიშვნელობა აქვს I თურმეობითს:

ყველაფერს ჩვენ **ვიქდით** (=ვშვრებოდით), ამა ახლა ველარ **გვიქნია** (ვშვრებით) (ჩაქ.); დავბერდით, ველარ **გვიქნია** (ზაზგ.); ზოგ-სა ვსეირობთ, ზოგი ვერ **გიგვიგნია** (უ.); ახლა უძალლო ვერ **დავ-მდგარვარ** (=ვძლებ) (ჩაქ.)...

მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყო:

დღეს ვარ, ხვალ არ **ვარ** (ხევწ.); **მღერობენ**, ამდევებუ არ **მომაგონდება** (შავშ.). შდრ. ახლა აღარ **მაგონდებ** აქი (უსტ.).

ბაღნებმა გურჯიჯა **იგნებენ**, ვერ **ილაპარაკებენ** (უ.).

მოყვანილი საილუსტრაციო მასალა ნათელი დასტურია იმისა, რომ მომავალი დრო სამხრულ დიალექტებში ერთნაირად იწარმოება, – ზმნისწინიანი აწმყოსა და კავშირებითის ფორმებით. ამ თვალსაზრისით აღნიშნული დიალექტები ანალოგს პოულობენ ძველ ქართულთან.

IV. აღნიშნავთ, რომ სამხრულ კილოებში, მომავალი დროის ზმნიზედური წარმოებაც გვხვდება, კერძოდ, თანდებულის ფუნქციით გამოყენებული **უკან** ზმნიზედით: „დაერთვის იგი დროის სემანტიკის მქონე არსებითი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და „შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება” (შ. აფრიდონიძე 2002, 34).

კლარჯული:

შვადლი **უკან** არ ისაქმავს (ქლას. შდრ. შუადლის შემდეგ); ათი-თორმეტი წლის **უკან** გურჯი არ დარჩეს (ჯ.). ამ ფრაზის მიხედვით მოქმელის აზრია: ათი-თორმეტი წლის შემდეგ ქართული ენა აღარ იქნება.

ამ მნიშვნელობით „უკან” დაერთვის მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

იმის **უკან** ღერღილი მოვაყრით, იმის **უკან** ერბო მოვასხამთ, იმის **უკან** დავრეგვავთ ლაფერით (სირ.); დაარგავ, იმის **უკან** ყველამფერი იქნება (შირ.); იმის **უკან** ხუთი-ექსი თვე გეარს (ბ.); იმის **უკან** ბიჭის სახში მივლენ (ბ.); იმის **უკან** ცეცხლი’და დააყარო (ბ.); ვუკითხავდით, იმის **უკან** გაწვიმდებოდა (სირ.).

მომავლის მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგ ფრაზაში:

აწმის **უკან** აღარ წეფკინდლებიან (კირნ.). აწ – ახლა, აწმის უკან = ამის (ახლას) შემდეგ.

შემდგომი ვითარება, მომავალში შესრულებული მოქმედება იგულისხმება შემდეგ წინადადებებშიც, თუმცა ზმნა-შემასმენელი წარსული დროის ფორმას:

ორი დღის **უკან** ერცხვა (=კიდევ, ისევ) მოვდა (სირ.); იმის **უკან** ბერები მეფყრებოდენ; ხარბი რომ გამოსულა, იმის **უკან** ჩამოვდა.

უკან იშვიათად ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმას ერთვის:

ჭამეთ და მას **უკან** წედთ (მამ.); რომ წევდოდენ დედამთილის სახში, მას **უკან** ვიტირებდი (ქლას.).

მესამე პირის ნაცვალსახელის მიცემითის ფორმასთან „უკან“ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ქმნის კომპოზიციტს **მასკან** (=შემდეგ), რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ სამხრულ მეტყველებაში.

მასკან ნიშანლი (=დანიშნულები) ვიყავით (მურკ.); შეხედე და **მასკან** თქვი, დაბერდაო (კირნ.).

უკან, იმის უკან, მას უკან იგივეა მნიშვნელობით, რაც შემდეგ, **მერე/მემრე**, რომლებიც ენაცვლება კიდეც მათ:

მერე ისტამბოლ წევდა (ქლას.); მემრე კარქა მეიხარშვის (სირ.); იმის მერე ვცოცხლობთ აქაურობაში (დევ.); ლოცვის მერე დავფლავთ (ა.); იმის მემრე ქორწილის დროზე შეთანხმდებოდენ (ბ.); სამი დღის მემრე გავაკეთავთ საჭმელ (ისკ.); ჩაფლავენ ორ დღეს მემრე (ერენ.); იმის მერე ვიკითხავთ მასინს (ა.) (იხ. ცინცამე, 2015: 56).

უკან ზმნისართული თანდებული **შემდეგის** მნიშვნელობით გვხვდება სხვა სამხრულ კილოებშიც:

შავშური:

ვახშამ **უკან** მოიდა (წყალს.); ჯოჯლევ **უკან** დაბრუნდით შინა (შოლტ.)...

მაჩხატეთში **უკან** თანდებულის მნიშვნელობა ასე აგვიხსნეს: „ორი წლის წინ... ჩვენ წინ ვამბობთ, **უკან** – ჰერალდა მოიდეს, იგია უკან“ (იხ. მ. ფალავა 2011, 250).

აჭარული:

ცოტა ხნის **უკან** დეიძრა შავი ღრუბლები; სამ დღეს **უკან** რომ მეიწვევდე, უმფო მეტი ხალხი დიესწრება (შ. ნიჟარაძე 1975,127).

უკან აღნიშნული ფუნქციით იხმარება აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაშიც:

ჩემ **უკან** დაბადული არიან (შ. ფუტკარაძე 1995, 40).

ტაოური:

ქალის უკან მოიდოდა (=ქალის შემდეგ მოდილდა) (შდრ. შ. ფუტკარაძე 1995, 32).

ჩანს, მომავალი დროის ზმნიზედური წარმოება ყველა სამხრული დიალექტისათვის არის დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

კლარჯეთი 2016 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბილისი.

მაჭახელი 2017 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, მ. ბარამიძე, ზ. შაშიკაძე, ნ. მგელაძე, რ. ბარამიძე, ქართველ მუჭაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში, წიგნი პირველი, მაჭახლელი მუჭაჯირები, ბათუმი.

ნიჟარაძე 1975 – შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

ტაო 2020 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, ტაო, თბილისი.

ფაღვა 2004 – მ. ფაღვა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

ფაღვა 2011 – მ. ფაღვა, თანდებული შავშურში: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III, თბილისი.

ფაღვა, ცინცაძე, ბარამიძე 2022 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი, თბილისი.

ფაღვა, ცინცაძე, ბარამიძე 2023 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ქართული ენის კლარჯული დიალექტი, თბილისი.

ფაღვა, ცინცაძე, ბარამიძე 2024 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, ქართული ენის ტაოური დიალექტი, თბილისი.

ფუტკარაძე 1995 – შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით. სადისერტაციო მაცნე, თბილისი.

შავშეთი 2011 – მ. ფალავა, თ. შიომვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე, შავშეთი, თბილისი.

ცინცაძე 2015 – მ. ცინცაძე, „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში: ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

შემოკლებანი

ა. – ავანა; **ბაგ.** – ბაგინი; **ბაზგ.** ბაზგირეთი; **ბალ.** – ბალაბანსირთი; **ბალხ.** – ალხიბარი; **ბასლ.** – ბასლეკარი; **გურბ.** – გურბინი; **დ.** – დავლათი; **დეგ.** – დევსქელი; **ელ.** – ლიას-კევი; **ერენ.** – ერენქოჲ; **ზ.** – ზიოსი; **თხილ.** – თხილაზორი; **იბრ.** – იბრიქი; **ირშ.** – ირშა-დიე; **ისკ.** – ისკეზი; **კირნ.** – კირნათი; **კოკ.** – კოკბერეთი; **ლუთ.** – ლუთბიე; **მა-ამ.** – მამურთი; **მან.** – მანა-ტბა; **მარ.** – მარადიდი; **მურკ.** – მურკვეთი; **მურდ.** – მურდული; **ნურ.** – ნურუსმანიე; **ობლ.** – ობლეკარი; **სარ.** – სარიგდოლი; **სვირ.** – სვირევანი; **სირ.** – სირეთიე; **უ.** – უბე; **უსტ.** – უსტამისი; **ფიშნ.** – ფიშნარკევი; **შირ.** – შირინსულიე; **ქლას.** – ქლასკური; **ქონ.** – ქონობანი; **ქუაზ.** – ქუაზაგი//ქვაზაგი//ქობაჲ//ქობაჲკარი; **ჩაქ.** – ჩაქველთა; **ცუც.** – ცუცეკარი; **წითლ.** – წითლეკარი; **წყალს.** – წყალსიმერი; **ჭილ.** – ჭილათი; **ხ.** ხევეკი; **ხეზ.** – ხეზა; **ხევწ.** – ხევწვრილი//ხევწრული; **ჯ.** – ჯივანი; **ჰამ.** – ჰამიდიე.

მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

როგნედა ღამბაშიძე – ინგილოური დიალექტის მკვლევარი (დაბრუნება 75 წლის შემდეგ)¹

ქართული ენის ინგილოური დიალექტის მეცნიერული კვლევის დასაწყისი მოსე ჯანაშვილის სახელს, და, შესაბამისად, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 ს. დასაწყისს უკავშირდება.

მე-20 საუკუნის 40-50-იან წლებში ინგილოურის სამეცნიერო შესწავლა პრიორიტეტული მიმართულება ხდება. სწორედ ამ პერიოდში იგზავნება საინგილოში რამდენიმე სამუშაო მივლინებით ორი ახალგაზრდა მკვლევარი, გრიგოლ იმნაიშვილი და როგნედა ღამბაშიძე. საკმაოდ მძიმე პირობებში გაწეული დიდი შრომის შედეგად იქმნება ინგილოური დიალექტის დოკუმენტირების პირველი მეცნიერული ნიმუშები – ინგილოური ტექსტები, სალექსიკონო მასალა და მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

1947 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გრიგოლ იმნაიშვილმა დაიცვა დისერტაცია სათაურით: „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“. დისერტაციაში განხილული საკითხები იბეჭდებოდა სხვადასხვა პუბლიკაციების სახით, ხოლო 1966 წელს გამოიცა წიგნად იმავე სათაურით. გარდა ვრცელი ლინგვისტური გამოკვლევისა, ნაშრომი მოიცავს ინგილოურის ორივე კილოკავის – კაკურისა და ალიაბადურის ტექსტებს. ქართული დიალექტოლოგიის საკითხებზე მომუშავე მკვლევართათვის სწორედ ეს წიგნი მიიჩნეოდა მთავარ წყაროდ ინგილოური მასალის საილუსტრაციოდ თუ გასაცნობად.

როგნედა ღამბაშიძის ღვაწლს ინგილოურის დოკუმენტირებისა და შესწავლის საქმეში მისი რამდენიმე პუბლიკაციითა და „ინგილოური ლექსიკონით“ იცნობდა მკითხველი.

ამ პუბლიკაციათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი „ინგილოური ტექსტები“, რომელიც გამოქვეყნდა 1947 წელს ეს ტექ-

¹კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HE-21-873].

სტები დღესაც უმნიშვნელოვანესია დიალექტის თავისებურებათა შესასწავლად და შეტანილია ქდკ-ის ტექსტურ კოლექციაში.

ასევე მნიშვნელოვანია მისი რამდენიმე სტატია, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომის ძირითად დებულებებს წარმოადგენენ, მხოლოდ ძალიან არასრულად და ფრაგმენტულად. ნაშრომის ბევრი დებულება არ მოხვედრილა სამეცნიერო განხილვის სფეროში. ეს სტატიები თავისი ინფორმაციულობისა და სიღრმის გამო დღესაც არ კარგავს აქტუალობას და ციტირების ძალიან დიდი მაჩვენებელი უჩანს, განსაკუთრებით დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ლექსიკონი ცალკე განხილვისა და აღწერის საგანია. ის მოგვიანებით, 1988 წ. გამოიცა და ქართული დიალექტურ ლექსიკოგრაფიის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. თუ იმ პირობებს გავითვალისწინებთ, რომელშიც ახალგაზრდა მკვლევარს უწევდა მუშაობა, დაუჯერებელია ჯერ ამ სისრულის სალექსიკონო მასალის მოკრება, შემდგომ კი მისი ურთულესი ლექსიკოგრაფიული კონცეფციით დამუშავება და ასეთი განძის შექმნა.

თუმცა, ჩვენი მოხსენების მიზანს არ შეადგენს როგნედა ღამბაშიძის ლექსიკოგრაფიული ღვაწლის შეფასება. უფრო მნიშვნელოვანია ის სამუშაო, რაც მან ინგილოური დიალექტის წმინდა ლინგვისტური კვლევის სახით გასწია.

თუ თვალს გადავავალებთ ქართულ საენათმეცნიერო, განსაკუთრებით, დიალექტოლოგიურ ლიტერატურას, როგნედა ღამბაშიძის სტატიები და მოხსენებთა თეზისები აქტიურად არის დამოწმებული. ბუნებრივია, ჩვენთვისაც ეს ნაშრომები იყო მთავარი წყარო მკვლევრის ლინგვისტური ნააზრევის გასაშუქებლად, როდესაც ჩვენს პროექტს ვქმნიდით ინგილოური დიალექტური კუნძულის შესახებ.

პროექტზე მუშაობის დროს, ჩვენდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ როგნედა ღამბაშიძის ადრეული ფუნდამენტური ნაშრომი, მისი საკანდიდატო დისერტაცია „ინგილოური კილო – გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი“, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარმა 27 წლის ასაკში, 1949 წლის აპრილში დაიცვა, არ ასახულა შემდგომი დროის თითქმის არცერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო დიალექტოლოგიურ გამოკვლევაში: ის არ არის მომდევნო წლებში გამოცე-

მულ ყველაზე ცნობილ მონოგრაფიებში: არ. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილის „კახური დიალექტი“ (1956), შ. მიმიგურის „ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ“ (1956), ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურასა და ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგია“ (1961), თ. უთურგაძის „თუშური კილო“ (1960), ა. ჭინჭარაულის „ხევსურულის თავისებურებანი“ (1960), გ. ცოცანიძის „ფშაური დიალექტი“ (1978), ი. ქავთარაძის „ქართული ენის მოხეური დიალექტი“ (1985), ვ. ჯანგიძის „ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში“ (1978), ვასილ აბაშვილის „ქართული ენის ინგილოური დიალექტი“ (2009) და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ წიგნებს აქვთ დართული საკმაოდ მდიდარი ბიბლიოგრაფია, ეს ნაშრომი არ ასახულა ისეთ ვრცელ და მასშტაბურ კვლევებში, როგორცაა ბ. ჯორბენაძის „ქართული დიალექტოლოგია I და II“ (1989; 1998) და გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით გამოცემულ ნაშრომში „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II–დიალექტები“ (2016).

უცნაურია, რომ დისერტაციის სათაური არ არის ინსტიტუტის გვერდზე გამოქვეყნებულ მის ბიოგრაფიაშიც – მხოლოდ ნაშრომის დაცვის თარიღია მითითებული. ასევე არ არის საკანდიდატო დისერტაციის სათაური მითითებული „ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ და „ვიკიპედიაში“ (2024 წლის 15 აგვისტოს მონაცემით).

ქართულ დიალექტოლოგიური ლიტერატურის ასე თუ ისე ცნობილი და სახელმძღვანელოდ გამოყენებული ჩამონათვალიდან ამ ნაშრომის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ერთგან ვიპოვეთ – არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, რომ „ინგილოური დიალექტის შესახებ დაიწერა ორი საკანდიდატო-სადისერტაციო ნაშრომი: გრ. იმნაიშვილისა – ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები, თბილისი, 1947) და რ. ღამბაშიძისა – Ингилойское наречие грузинского языка (Автореферат канд. диссерт., Тбилиси, 1949)“. როგორც ვხედავთ, ავტორი მხოლოდ ავტორეფერატებს მიუთითებს მამინდელი დამოწმების წესის მიხედვით, როგორც ჩანს, როგნედა ღამბაშიძის ნაშრომის ავტორეფერატი ქართულ ენაზე არ შესრულებულა, რადგან ის არც საარქივო მასალაში იძებნება.

როგნედა ღამბაშიძე თავად უვლის გვერდს საკუთარი ნაშრომის დასახელებას და როცა დიალექტის კვლევის მოკლე ისტორიას წარადგენს „ქართული ენის ინგილოური ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში, ერთი სიტყვით არ ახსენებს საკუთარ დისერტაციას, რომელსაც უკვე ჰქონდა დართული საკმაოდ დიდი სალექსიკონო მასალა. ნაშრომს არ მიუთითებს არც აკაკი შანიძე 1978 წ. დაწერილ წინასიტყვაობაში, რომელიც უძღვის ლექსიკონს.

ერთადერთი ინტერნეტრესურსი, რომელიც როგნედა ღამბაშიძის ამ ნაშრომს ასახელებს, არის „ბიბლიოვიკი“.

„ბიბლიოვიკის“ ინფორმაცია მთლიანად არის გადმოტანილი ენციკლოპედიიდან „ქართული ენა“. საენციკლოპედიო სტატია ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლის, როგნედა ღამბაშიძის კოლეგისა და მეგობრის ინგა ჯიბუტის მიერაა დაწერილი. სტატიის დასაწყისში აქაც აღნიშნულია, რომ 1949 წ. როგნედა ღამბაშიძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (სათაურის მითითების გარეშე), ხოლო სტატიის ბოლოს ავტორი წერს:

„სრულიად განსაკუთრებულია ღამბაშიძის ღვაწლი ქართული დიალექტოლოგიაში. მან რამდენიმე ნაშრომი უძღვნა ინგილოურის თავისებურებათა ანალიზს. მისი წიგნი „ქართული ენის ინგილოური კილო. გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი“ (1949) მნიშვნელოვანი ნაშრომია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ასახულია ენობრივი მოვლენები, რომლებიც დამოუკიდებლად იჩენს თავს სხვა ქართული დიალექტებშიც“ (დამოწმებულია 15.07.2024 -ის მონაცემი].

ის, რომ როგნედა ღამბაშიძის სადისერტაციო ნაშრომი მოხსენიებულია წიგნად ავტორთან დაახლოებული კოლეგის მიერ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მკვლევრის ეს ნაშრომი ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემის პერიოდისთვის უკვე საგულდაგულოდ იყო „გაუცხოებული“ სამეცნიერო სივრცისთვის. ამ დასახელების წიგნი არ არსებობდა და არ იდო არცერთი მეცნიერ-ლინგვისტის სამუშაო მაგიდაზე, სამაგიეროდ, სადისერტაციო ნაშრომი 1949 წლის აპრილიდან დევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თაროზე ისე, რომ ის იქიდან არავის გადმოუღია. ყოველ შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომში ასახული კვლევის შედეგები,

გარდა იმ მასალისა, რომელიც გამოქვეყნებულ ოთხიოდ პუბლიკაციაშიც იყო აღწერილი, სამეცნიერო მიმოქცევაში არ მოხვედრილა.

ნაშრომის აღწერა და სამეცნიერო ღირებულება

ნაშრომი მოიცავს მანქანაზე ნაბეჭდ 350 გვერდს (პირველი 7 გვერდი – წინასიტყვაობა და სარჩევი – დანომრილი არაა). კვლევითი ნაწილი 246-ე გვერდზე მთავრდება, 247-ე გვერდიდან კი იწყება ლექსიკონი.

ნაშრომის წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ ეხება ინგილოური დიალექტის კვლევის წინასიტორიას – მოსე ჯანაშვილის, აკ. შანიძისა და სხვათა ნაშრომებს და განსაკუთრებულად მოიხსენიებს გრიგოლ იმნაიშვილის ნაშრომს. ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ეს ნაშრომი მოიცავს მთლიანი დიალექტის მიმოხილვას.

საკუთარი ნაშრომის მნიშვნელობას მკვლევარი ასე აფასებს: „ეს შრომა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად მზადდებოდა, არსებითად ადასტურებს იმ ვითარებას, რომელიც გ. იმნაიშვილის დისერტაციაშია წარმოდგენილი, მაგრამ, ამავე დროს, იძლევა მთელ რიგ მოვლენათა თავისებურ ინტერპრეტაციას (როგორცაა, მაგალითად: ბგერითი შედგენილობის ზოგიერთი მხარე, **გ** ბგერასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურება, პირის ნიშნების საკითხი და მრავალი სხვა), და ზოგიერთი ახალი მოვლენის ჩვენებით (როგორცაა მაგალითად: სამაგიერო სიგრძე, პირველი ხოლმეობითის თავისებური წარმოება, ხარისხის გადმოცემა ინგილოურში და ა. შ.) წარმოადგენს ერთგვარ შევსებას გ. იმნაიშვილის შრომისას, რომლის ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ზოგიერთ მოვლენათა გათვალისწინება“.

როგნედა ღამბაშიძის ეს თავმდაბლური შეფასება სრულად ვერ ასახავს მისი ნაშრომის ორიგინალურობას, ინფორმაციულობას, მეცნიერულ გაბედულებას, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის მასშტაბურობასა და თავისუფლებას.

თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში ერთი დიალექტის შესახებ შექმნილი ეს ორი ნაშრომი მართლაც საოცრად ავსებს ერთმანეთს. რომ არა უამრავი სიახლე, ენობრივი ფაქტების ხედვისა და ანალიზის სხვა რაკურსი, მასალის სიმდიდრე, ალბათ მკვლევარს არც ეყოფოდა სითამამე, სადისერტაციოდ ეს თემა აერჩია. როგორც

ჩანს, ის ამ გაბედული ნაბიჯისთვის მისმა ხელმძღვანელმა – აკაკი შანიძემაც წააქეზა.

პირველი, რაც სადისერტაციო ნაშრომს უდიდეს მეცნიერულ სანდოობას ანიჭებს, არის ემპირიული მასალის სიმდიდრე. ავტორი აღნიშნავს, რომ ხელთ ჰქონდა რვეულის 1042 გვერდის მოცულობის ტექსტები, რომლებიც მან საინგილოში რამდენიმე მივლინების დროს მოიპოვა¹. ამათგან კაკური ტექსტების ნაწილი მან გამოაქვეყნა ბეჭდური სახით ჯერ კიდევ დისერტაციის დაცვამდე, ხოლო ალიაბადური ტექსტები ცალკე არ გამოუქვეყნებია. მისი ალიაბადური მასალა არ არის შეტანილი არც ქართული დიალექტოლოგიის 1961 წელს გამოცემულ ქრესტომათიაში – როგნედა ღამბაშიძის სახელით ქრესტომათიის კოლექციას შემორჩა მხოლოდ კაკში ჩაწერილი რამდენიმე ტექსტი. დისერტაციის წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ აპირებს ალიაბადური მასალის გამოქვეყნებას. სამწუხაროდ, ეს დაპირება მან რატომღაც აღარ თუ ვედარ შეასრულა. რადგან ის ლექსიკონზე 1988 წლამდე მუშაობდა, სავარაუდოა, რომ ეს მასალა, რომელსაც საილუსტრაციოდ იყენებდა, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ინახებოდა. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მასალა დაიკარგა. ამიტომაც განსაკუთრებით ძვირფასია. დისერტაციაში წარმოდგენილია უზღვავე საილუსტრაციო ინფორმაცია, რომელიც გარდა იმისა, რომ ამტკიცებს ამა თუ იმ ლინგვისტურ თვალსაზრისს, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალაცაა სხვა საკითხების საკვლევად. ნაშრომს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც 1543 სიტყვაა შესული. მათ შორის აზერბაიჯანული სიტყვები, რომელთაც ქართული შესატყვისები აღარ გააჩნიათ.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია დიალექტის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები. ნაშრომი ძირითადად აღწერთი ხასიათისაა, თუ ეპიზოდურ მინიშნებებს არ ჩავთვლით, ის არ მოიცავს სისტემურ შედარებას ქართული ენის სხვა ქვესისტემებთან, თუმცა ინგილოური დიალექტის აღწერა არის

¹ ჩვენს ხელთ არსებულ საარქივო მასალებს როგნედა ღამბაშიძის საინგილოში მივლინების დეტალებისა და სადისერტაციო შრომასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ პროექტით გათვალისწინებულ მონოგრაფიაში, ამიტომ ამ მოხსენებაში მხოლოდ მცირე ინფორმაციის მიწოდებით შემოვიფარგლებით.

დეტალური და უხვად ილუსტრირებული. ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ღირსება ნაშრომისა არის ის, რომ მკაფიოდ წარმოადგენს ინგილოურის შიდადიფერენციაციას. ამ დროისათვის ინგილოურში უკვე იყო გამოყოფილი ორი კილოკავი: კაკური და ალიაზადური. მკვლევარი იზიარებს ამ დიფერენციაციას და თითოეული საკითხის აღწერისას აუცილებლად აზუსტებს კილოკაურ მონაცემს – აღნიშნავს, რომ: ესა თუ ის მოვლენა დამახასიათებელია ორივე დიალექტისთვის; მოვლენა მხოლოდ ერთ-ერთი კილოკავისთვისაა დამახასიათებელი და მეორეში საერთოდ არ გვხვდება; მოვლენა მკაფიოდაა გამოხატული ერთ კილოკავში, მეორეში კი – რამდენადმე სუსტად. ზოგჯერ ამგვარი შეფასება არ დასტურდება ემპირიული მასალის მონაცემებით, თვით დესერტანტის ტექსტების მაგალითზეც კი, თუმცა მაინც მნიშვნელოვან ბიძგს იძლევა მეცნიერული კვლევის წარსამართად და მასალისა და დასკვნის გადამოწმებისა და დაზუსტების ამოცანას აჩენს.

სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქართული დიალექტების მონოგრაფიული შესწავლის „პირველ ტალღას“ ეკუთვნის და, ამავე დროს, მას წინ უძღვის ამავე თემაზე სულ რაღაც ორი წლის წინ შექმნილი მონოგრაფიული ნაშრომი, ყურადღებას იპყრობს თავისი ინდივიდუალურობით. ის, მართალია, მიჰყვება ამ ტიპის ნაშრომებისთვის შემუშავებულ მეთოდოლოგიურ სქემას, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად ავითარებს „შიდა სიუჟეტს“ და საკუთარი შეხედულებისამებრ ახდენს ამა თუ იმ საკითხის დეტალიზაციას. მაგალითად, წინამორბედთან შედარებით საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის ავტორი უძალაუტის მოვლენაზე, დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებებზე, ზმნისწინებზე, პირის ნიშნებზე, სახელური და ზმნური ფორმაწარმოების საკითხებზე, სიტყვაწარმოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ არაერთი თავისებურება დიალექტისა დღემდე მხოლოდ და მხოლოდ როგონდა დამბაშიძის ამ ნაშრომშია განხილული და 75 წელია ამ აღწერათა ინტერპრეტაცია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ მომხდარა.

ნაშრომის „გამოჩენა“ მისი შექმნიდან 75 წლის თავზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თსუ ბიბლიოთეკამ შეავსო თავისი ელექტრონული კოლექცია. ჩვენ დაბეჯითებით ვეძებდით ენციკლოპედიაში წიგნად მოხსენიებულ ნაშრომს და მას ვერც ბიბლიოთეკებში და ვერც მეცნიერთა სამაგიდო წიგნებში ვერ მივა-

გენით. მისი არსებობის შესახებ არც უფროს კოლეგებს სმენოდათ არაფერი.

როგორც აღვნიშნეთ, უდიდესია ამ ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება. ის, პირველ რიგში, ავსებს და აზუსტებს ინგილოური დიალექტის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ასახულ ლინგვისტურ ინფორმაციას და ეს შევსება და დაზუსტება არ არის უმნიშვნელო – ბევრი მოვლენა მხოლოდ ამ ნაშრომშია ნახსენები და აღწერილი. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომი შეიცავს უნიკალურ ტექსტურ ფრაგმენტებს ილუსტრაციების სახით და მნიშვნელოვან ლექსიკურ მონაცემებს, რაც მას აქცევს შეუცვლელ რესურსად მეორეული სამეცნიერო კვლევისათვის. ყოველივე ამის გამო გადავწყვიტეთ დისერტაციის გამოცემა – მზადდება ტექსტი განახლებული (თანამედროვე) სამეცნიერო აპარატით (დისერტაციას არ ახლავს ბიბლიოგრაფიის სია და საძიებლები, წყაროებზე მითითებები სქოლიოებითაა და სხვ.). ასევე მზადდება როგნედა ღამბაშიძის ამ ნაშრომისა და მისივე „ინგილოური“ ლექსიკონის ილუსტრაციების „კორპუსი“ ქდვ-ის ტექსტურ კოლექციაზე დასამატებლად. ვფიქრობთ, ეს ოდნავ მაინც ამოავსებს იმ დეფიციტს, რაც ქალბატონი როგნედას გამოუქვეყნებელი და დაკარგული ტექსტებისა და მისი ნაშრომის 75 წლის განმავლობაში „თაროზე დების“ გამო გაჩნდა ქართულ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სივრცეში.

მოხსენებაში განხილული იქნება საარქივო მასალები – როგნედა ღამბაშიძის დისერტაციის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი, ოპონენტების – ვარლამ თოფურიასა და სერგი ჟღენტის რეცენზიები, გამოხმაურებები, აგრეთვე მასალები უშიშროების ორგანოთა მიერ მისი დევნისა და თვალთვალის შესახებ საინგილოში მივიღინებების დროს. მნიშვნელოვანია დისერტაციის დაცვისას დისერტანტის პასუხები ოპონენტების შეკითხვებზე. პირადად ჩემთვის დიდი ჯილდო იყო, რომ ჩემი ფრთხილი მოსაზრება უმლაუტის ორმხრივი ბუნების შესახებ (პალატალიზაცია / დელაბიალიზაცია), რომელიც ჯერ სადიპლომო (1982) და შემდგომ სადისერტაციო (1994) ნაშრომში გამოვთქვი, როგნედა ღამბაშიძეს კარგა ხნის წინ „გაუზიარებია“ და დაუცავს კიდევ ოპონენტების კრიტიკისაგან.

ვფიქრობ, როგნედა ღამბაშიძის ეს ნაშრომი ისეთსავე დიდ პროფესიულ სიხარულს შეჰმატებს ქართულ სამეცნიერო სივრცეს, როგორც მან მიანიჭა ჩვენი პროექტის სამუშაო ჯგუფს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე 1994 – მ. ბერიძე, სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

გოგოლაშვილი და სხვ. – გ. გოგოლაშვილი, ნინო შარაშენიძე, გიორგი ცოცანიძე, ნინო ჭუმბურიძე – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები, თბილისი.

მარტიროსოვი 1972 – ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი.

ქართული ენა 2008 – ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი.

ღამბაშიძე 1949 – რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო – გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ღამბაშიძე 1947 – რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო, ტექსტები. – თსუ შრ., ტ. XXXB-XXXB1, თბილისი.

ღამბაშიძე 1953 – რ. ღამბაშიძე, სამაგიერო სიგრძე ინგილოურში. – სამამ, ტ. XIV, №2, თბილისი. გვ. 121-127.

ღამბაშიძე 1957 – რ. ღამბაშიძე, მყოფადის წრის მწკრივთა წარმოება ინგილოურში. – თსუ შრ., ტ. 67, თბილისი, გვ. 249-267.

ღამბაშიძე 1958 – რ. ღამბაშიძე, მიმღობათა წარმოების ზოგი თავისებურება ინგილოურში. ენათმეცნიერების ინსტ. XV სამეცნიერო სესია თეზისები, თბილისი, გვ. 12-13.

ღამბაშიძე 1960 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილო. – საკოორდინაციო თათბირი ქართველურ ენათა დიალექტოლოგიის საკითხების შესახებ, თეზისები, თბილისი.

ღამბაშიძე 1982 – რ. ღამბაშიძე, ზმნისწინთა მრავალვარიანტულობისათვის ინგილოურში. – IV რესპ. სესია, თეზისები, თბილისი, გვ. 18-19.

ღამბაშიძე 1988 – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოურ ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

მერაბ ბერიძე, მაკა ბერიძე

ტოპონიმიაში შემონახული ისტორიული დიალექტური ფორმა

გვინდა განვიხილოთ საქართველოს სამხრეთით მდებარე მესხური დიალექტის ისტორიული დიალექტური ფორმა და ტოპონიმია. მესხური დიალექტი განფენილი იყო დღევანდელ საქართველოში მდებარე ორი კუთხის – **სამცხისა და ჯავახეთის** და თანამედროვე აღმოსავლეთ თურქეთის ტერიტორიაზე. ქართული ენის ეს დიალექტი გამორჩეულია სხვაენოვანი მინარევებით, კერძოდ, მასში გვხვდება სპარსული, ბერძნული, თურქული ლექსიკა, რომელიც ქმნის თანამედროვე დიალექტის სახეს. ისტორიულ დიალექტად ჩვენ მივიჩნევთ უძველესი დროიდან დღევანდლამდე დიაქრონიული ანალიზის შედეგად შესწავლილ ენობრივ მოვლენებს, რომელთაც დღეისათვის აქვს განსხვავებული ფონეტიკური ან მორფოლოგიური ფორმები.

ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევა ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ისტორიული დიალექტის შესწავლა მხოლოდ მზა ტექსტებით არ შემოიფარგლება და არც არის ამისი საშუალება ყოველთვის. ამიტომ დიალექტების შესწავლა ფართო გაგებით ეხება ვარიაციას გეოგრაფიულ და სოციალურ სივრცეში. რამდენადაც ჟღერადობა, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ, ისევე როგორც მათი სტრუქტურა, შეზღუდულია თავად მონაცემების ხარისხით, რაოდენობით, ისევე, როგორც ჩვენი ცოდნა მათი ექსტრალინგვისტური კონტექსტის შესახებ (ალკორნი და სხვ. 2019).

ისტორიული მესხური დიალექტის ამსახველი წერილობითი ძეგლები ნაკლებად გვაქვს შემორჩენილი და ის ხშირად განიხილება ეპიგრაფიკის დონეზე, რადგან ლიტერატურული სამეცნიერო კრები, რომლებიც მესხეთში ისტორიულად არსებობდა, იყენებდნენ საერთო სალიტერატურო ენის ნორმებს. ამასთან ერთად მნიშვნელობა აქვს ისტორიული ტოპონიმის მონაცემებს. შედარებით განსხვავებულია ისტორიული ტოპონიმის შესწავლა, რადგან ტოპონიმია სა-

ხელდების დროს აფიქსირებს ენობრივ ან დიალექტურ ფორმას იმ პერიოდში, როდესაც დასტურდება იგი წერილობით ძეგლებში.

ტოპონიმია, რომელიც აფიქსირებს ენის ისტორიის გარკვეულ ეტაპს, რეალურად არის უფრო დიდი ასაკის, რადგან ჩვენამდე მოაღწია არა ტოპონიმის ნომინაციის ფაქტმა, როდესაც დაერქვა ადგილს სახელი, არამედ იმ დოკუმენტმა, რომელშიც არის დაფიქსირებული ეს ტოპონიმი. მესხეთის ისტორიული ტოპონიმიის და დიალექტოლოგიის შესწავლის დროს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება ოსმალურ დოკუმენტს, რომელიც შექმნილია 1595 წელს საგადასახდო საქმის მოსაგვარებლად.

ოსმალეთის ხელისუფლება აღწერს მესხეთის ვრცელ ტერიტორიას. მას უწოდებს გურჯისტანის ვილაიეთს და მიზნად ისახავს თითოეული სოფლის, მასში მცხოვრები ოჯახის უფროსების დაფიქსირებას, რომ ამ გზით აკრეფილიყო გადასახადები მაქსიმალური სიზუსტით. ეს სისტემა მოიცავს გადასახადებს ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, მუხუდოზე, ოსპზე, სელის თესლზე, ცალკე თივაზე და იონჯაზე ცალკე, აგრეთვე ფუტკარზე, ღორზე, გადასახადები სამოვრებზე, ბოსტანზე. მნიშვნელოვანი იყო გადასახადი ქორწილზე (ჯიქია 1941). ამ დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენ გვაქვს პირველხარისხოვანი წყარო, რომელიც მოიცავს ეკონომიკური ხასიათის მასალას, ამასთან ერთად გვამღევეს საფუძველს, რომ ვიკვლიოთ ისტორიული ტოპონიმია და ამ ტოპონიმთა საშუალებით ისტორიული დიალექტი, ისტორიული ანთროპონიმია და დემოგრაფია. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია ისტორიული ტოპონიმი, რომელშიც შემონახულია დღევანდლამდე მოღწეული დიალექტური ფორმა, ოღონდ ეს ფორმა დღეისათვის გვხვდება მხოლოდ სხვა დიალექტებში, განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტებითაც. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტოპონიმური მონაცემების საფუძველზე ვისაუბროთ დიალექტური ლექსიკის საზღვრებზე, რომელიც შედარებით ვრცელი ყოფილა ისტორიულად. საუბარი გვაქვს ტოპონიმ **ჭაჭარაქზე**, რომელიც მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, მინაძის თემში.

გეოგრაფიული პუნქტის ეს სახელი პირველად იხსენიება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ისტორიული ტოპონიმია საინტერესო მაგალითებს გვამღევეს ერთი და იმავე სახელის-

თვის მსაზღვრელის დართვის შედეგად აღნიშვნისა. მე-16 საუკუნეში არსებობდა **სამი ჭაჭარაქი**, თვითონ **ჭაჭარაქი**, სადაც ციხე იყო, **ზემო ჭაჭარაქი** და **ქვემო ჭაჭარაქი**. როდესაც ზემო ან ქვემო მსაზღვრელი გამოიყენებოდა ამა თუ იმ საზღვრულთან, იგულისხმებოდა, რომ ესა თუ ის პუნქტი გეოგრაფიულად ზემოთ ან ქვემოთ მდებარეობდა. დღეს გვაქვს მხოლოდ ერთი ჭაჭარაქი, განსხვავებით მე-16 საუკუნისაგან და ისიც შემოგვინახა ისტორიულმა ფაქტმა, რომ აქ 1830 წელს ჩაასახლეს ოსმალეთიდან, კერძოდ, არზრუმიდან გადმოსული მიგრანტი სომეხი მოსახლეობა (ბალასანიანი 2016). დღეისათვის საკმაოდ რთულია სამივე ჭაჭარაქის ლოკალიზება. თანამედროვე ინფორმატორთა დახმარებით შეიძლება ითქვას, რომ **ზემო ჭაჭარაქი** იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი **ორფოლოს** გადასახვევთან და **მინაძის ხიდთან**, სოფელ მინაძის აღმოსავლეთით აღმართული მთის თავზე. მას სოფელ მინაძის მოსახლეობა უწოდებს **ოხერას**. ოხერა არის ტოპონიმური ტერმინი, რომელიც გაუკაცრიელებულ სოფელს, ნამოსახლარს აღნიშნავს. ნაციხარს დღეს **ოხერის ციხეს** ეძახიან. კლდეს, რომელზეც ციხე იყო, მდინარეზე ჩასასვლელი კიბის საფეხურები ეტყობა. ინფორმატორთა თქმით, თვით ციხეზე უნდა ყოფილიყო მტკვარზე ჩამოსასვლელი გვირაბი. ამ ციხეს დასავლეთით ჩაუდის **სამხედრო ღელე**. ეს ტოპონიმი ახალი შექმნილია, უფრო ზუსტად შექმნილია კომუნისტურ ეპოქაში და იმდროინდელ სამხედრო მანევრებთან არის დაკავშირებული. ღელე მდინარე მტკვარს ერთვის მარჯვენა ნაპირიდან. **ს. ჯიქია**, რომელმაც პირველმა შეისწავლა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაფიქსირებული სამივე ჭაჭარაქი, მიუთითებს, რომ ზემო ჭაჭარაქი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა, დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე, რომლის შესახებაც ჩვენ ვსაუბრობთ. აქვე უნდა ითქვას, რომ **ჭაჭარაქის ციხე** აღინიშნება აღწერის დროს იმიტომ, რომ მის გარშემო არის **რაბათი**. რაბათი არაბული ენიდან შემოსული სიტყვაა მესხურ დიალექტში, მისი ისტორია უკავშირდება არაბობის მოსვლას საქართველოში მე-7საუკუნიდან. ფეოდალურ ეპოქაში, როდესაც ციხე-სიმაგრეები ქმნიდნენ ფეოდალური სისტემის საყრდენს და სამეფო ძლიერებას, მხოლოდ სამხედრო მიზნებითა და ჯარით არ შემოიფარგლებოდა ამ ტიპის ნაგებობანი. ციხის გარშემო იქმნებოდა დასახლება, რომელიც ქართულ

ტოპონიმიაში არსებული ტერმინებით გამოიხატებოდა. ეს იყო **ციხისძირი** და **ციხისუბანი**. შემდეგში ორივე მათგანი ტოპონიმად იქცა და სოფელთა სახელებად გვხვდება დღეს. არაბობის მრავალწლიან ბატონობას მოჰყვა ქართული ტერმინების შეცვლა არაბული რაბათით. რადგან საქართველოში ბევრი დიდი და პატარა ციხე-სიმაგრე გვექონდა, შესაბამისად, ბევრი რაბათი უნდა ყოფილიყო. თუ იყო ციხე, არსებობდა მის გარშემო დასახლება და, შესაბამისად, არაბობის დროს ერქვა მას **რაბათი**. არაბობის დასრულებას მოჰყვა ამ სიტყვის გაქრობაც ქართულ ენაში, რადგან მას მოსახლეობის, ესე იგი, სოციალური შინაარსის გარეშე არსებობა აღარ შეეძლო, მაგრამ შემოგვინახა ისტორიულმა ტოპონიმამ და მესხურმა დიალექტმა. მე-16 საუკუნეში ყველა ციხეს ჰქონდა თავისი რაბათი, კერძოდ: სოფელ ახალციხის ციხის რაბათი, სოფელ უდისციხის რაბათი, სოფელ აწყურისციხის რაბათი, სოფელ ალთუნყალისციხის რაბათი, სოფელ ოცხისციხის რაბათი, სოფელ ასპინძისციხის რაბათი, **სოფელ ჭაჭარაქისციხის რაბათი**, სოფელ ხერთვისისციხის რაბათი, სოფელ თმოგვისციხის რაბათი, სოფელ ჩილდირისციხის რაბათი, სოფელ მერესციხის რაბათი, სოფელ ჯაყის რაბათი, პეტრესციხის რაბათი (ბერიძე 2008, 274-275).

დღეისათვის, რადგან რაბათმა დაკარგა თავისი შინაარსი, დიდი ხანია, მხოლოდ ორი ტოპონიმის სახით შემოგვრჩა: **ახალციხის რაბათი** და **უდის რაბათი**. ჭაჭარაქისციხის რაბათი ასევე დაიკარგა და თვით ციხეს შეეცვალა სახელი, მას **ოხერისციხე** ეწოდა. ციხესთან ახლოსვე **ჭაჭარაქის რაბათთან** მდებარეობს და რომელშიც ათკომლიანი მოსახლეობაა, არის **ზემო ჭაჭარაქი**. ზემო ჭაჭარაქის კვალი იძებნება ოხერისციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამგვარად, ზემო ჭაჭარაქი და ჭაჭარაქისციხის რაბათი ერთმანეთისგან 200-300 მეტრით იყო დაშორებული მხოლოდ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ციხე და მის გარშემო ეს ორი დასახლება იყო ზემოჭაჭარაქი. ხოლო ქვემოჭაჭარაქი იმ ადგილზეა, სადაც დღეს არის და იგი შემოგვრჩა მსაზღვრელის გარეშე, რადგან მე-19 საუკუნის დასაწყისში ნასოფლარ **ზემოჭაჭარაქსა** და **ქვემოჭაჭარაქს** შორის **ზემო-ქვემო** ტიპის დაპირისპირება აღარ არსებობდა. შემთხვევითი არ არის, რომ ზემო ჭაჭარაქი უკვე მოიხსენიება, როგორც **ოხერა** და **ოხერისციხე**.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტოპონიმური ტერმინით აღინიშნება მდინარე ურაველას მარცხენა ნაპირზე ოხერის ციხიდან დაახლოებით ერთ კილომეტრში არსებულ კლდის ქიმზე მდებარე **ოხერი-სეკლესია**. ხოლო ამავე არეალში მდებარე სოფლის სახელი **ნაოხრე-ხი** კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, თუ რა მძიმე ისტორიული გზა განვლო თითოეულმა დასახლებულმა პუნქტმა და, შესაბამისად, მათმა სახელმა საქართველოს სამხრეთ რეგიონში.

ოხერა ნაწარმოები საკუთარი სახელია. მასში -ა-ს აქვს მატოპონიმებელი ფუნქცია ისევე, როგორც ნა-ოხრ-ებ-ში **ნა-ებ** კონფიქსი უკვე აოხრებულს მიანიშნებს. **ოხერას** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მრავალი განმარტება აქვს, ყველა მათგანი უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესოა მეორე განმარტება: „მიტოვებული, აოხრებული, გაპარტახებული, გავერანებული“ (ქეგლი1960, 94).

ჭაჭარაქის ციხის რაზათი, რომელთან ახლოსაც მდებარეობდა **ზემოჭაჭარაქი**, სწორედ ასეთ ადგილად იქცა და მიიღო კიდევ შესაბამისი ახალი სახელი.

დღევანდლამდე მოვიდა ჭაჭარაქის, როგორც სოფლის სახელის, დაწერილობის მრავალი ვარიანტი, რაც განპირობებულია იმ ეთნოისტორიული გარემოთი, რომელშიც მუდმივად მოიაზრება ამ სოფლის სახელი და მისი ისტორია, კერძოდ, სახელის დამაარსებელი ეთნოსი არის ქართველი. ქართველების მიერ სახელდებული ადგილი მოექცა მულტიეთნიკურ გარემოში. რაც განსაზღვრული იყო სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური სიტუაციებით. თუნდაც ის ფაქტი, რომ ტოპონიმის ყველაზე ძველი წერილობითი დადასტურება ეკუთვნის მე-16 საუკუნეს და ეს არის ოსმალური დოკუმენტი, ადასტურებს ჩვენს აზრს. რამდენიმე წლის წინ გამოვიდა „სამცხე-ჯავახეთი, ცნობარი“, რომლის მიხედვითაც ჭაჭარაქის სახელი წარმოდგენილია შემდეგი ვარიანტებით: **ჭაჭარაქი, ჭეჭერე-ქი, ჩაჩარაკი, ჩეჩერექი** (ნიკოლაიშვილი და სხვ. 2016, 275). როგორც ჩანს, გამოცემის ავტორები ითვალისწინებენ მის ისტორიულ მრავალსახელიანობას, ან ადგილზე არ არიან გაცნობილი რეალურ სიტუაციას, რასაც ადასტურებს ახალციხისგან ჭაჭარაქის დაშორების მანძილად 5 კილომეტრის მიჩნევა. ტრაფარეტები, რომლებიც გვიჩვენებენ ახალციხის დასაწყისს და ჭაჭარაქის დასასრულს, ერთმანე-

თისგან 100-ოდე მეტრით არის დაცილებული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ავტორთა მიერ წარმოდგენილი **ჭეჭერეჯი, ჩაჩარაჯი, ჩეჩერეჯი** თანამედროვე სიტუაციას არ ასახავს. ავტორთა იგივე ინფორმაცია მეორდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა (<https://www.nplg.gov.ge>) და ვიკიპედიის (<https://ka.wikipedia.org>) ვებგვერდებზეც. წარმოდგენთ ჭაჭარაქის ყველა იმ ვარიანტს, რომელიც დადასტურებულია ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების მიხედვით.

ჯაჯარაქ, джаджараги, чачараки, чечереки, ჭეჭერეჯი, ჭეჭერაქი, ჭეჭარაქი – ყველა ამ ფორმის სათავე არის ქართული ფორმა – **ჭაჭარაქი**, რომელიც არაქართულ გარემოში, კერძოდ, ოსმალურ და რუსულ გარემოში არის მიღებული და გვხვდება მე-19 საუკუნეში, როდესაც რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს გეოგრაფიული აღწერა-ფიქსაცია ხდებოდა ოსმალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ქართული ენის ფონეტიკური შესაძლებლობანი, ბგერათა არსენალი განსხვავდება როგორც თურქული, ისე რუსული ენების ფონეტიკისაგან, რაც ხდება ძირითადი მიზეზი შესაბამისი ფონეტიკური სხვაობისა. მიუხედავად იმისა, რომ ჭაჭარაქის პირველი ხსენების დროს სხვა სახელთა წარმოდგენისას დიაკრიტულ ნიშნებს იყენებს, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ობიექტი ამ ნიშნების გარეშე, დოკუმენტის გამომცემელი აკადემიკოსი ს. ჯიქია არგუმენტირებულად გვიჩვენებს, რომ თითოეული მათგანი მომდინარეობს **ჭაჭარაქიდან** (ჯიქია 1958, 210).

მე-16 საუკუნის შემდეგ ჭაჭარაქი გვხვდება მე-18 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და ონომასტიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ბუნებრივია, რომ აქ ავტორი სახელს აფიქსირებს რეალური ენობრივი კუთვნილების შესაბამისად. მოვიყვანთ ამონარიდს შრომიდან: „ხერთვისს არს ჯიდი მტკუარსა ზედა. ამ ჯიდს ზეით მოერთვის მტკუარს ჭაჭარაქის ჯევი“ (ბატონიშვილი ვახუშტი 1973, 667). ციტატაში დადასტურებულია ჭაჭარაქის ხევი იმაზე მიუთითებს, რომ იგი არის ჰიდრონიმის, ხევის სახელი და, როგორც წესი, ხეების, დღეების, მდინარეების და ა. შ. სახელები იმ დასახლებული პუნქტების მიხედვით დაერქმეოდა ხოლმე, საიდანაც იღებდნენ ეს ხეები სათავეს, ან ამ ხევის მთელ მონაკვეთზე ყველაზე მნიშვნელოვანი გეოგ-

რაფიული პუნქტის წარმოჩენა იყო საჭირო. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დადასტურებული ჭაჭარაქი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დღეს ამ სოფლის სახელად დაფიქსირებული ყველა ვარიანტი სწორედ **ჭაჭარაქიდან** მოდის. ამგვარად, როდესაც ჩვენ გვინდა სოფლის სახელის რეალური კუთვილების განსაზღვრა, უნდა ვიკვლიოთ სწორედ ის ფორმა, რომელიც უდევს ვარიანტებს საფუძვლად.

ჭაჭარაქი მესხურ დიალექტში დღეს აღარ გვხვდება, იგი **ჭაჭარაქება** ფორმით შემოგვრჩა იმერულ დიალექტში (დლონტი 1984, 718). მისი ვარიანტებია ქართლური დიალექტის **ჭაჭანახება**, **ჭაჭარახება** და იმერული დიალექტის **ჭაჭანაქება**. ჭაჭარაქი და მისი ვარიანტები არის შემდეგი სემანტიკის: **ძლიერ მხურვალე მზე, კაშკაშა, ზაფხულის მზე, პაპანაქება სიცხის დროს**. პაპანაქებას აქვს ვარიანტები: **პაპანება და პაპანი: „ხვარაშავი, უზომო სიცხე, პაპანაქი, პაპანაქება“** (გვარამაძე 1907, 213). ასევე ვარიანტად ზემოიმერულ დიალექტში **პაპარაქა, პაპაქა და პაპაქი** სიცხის სინონიმებად (დლონტი, 1984, 435). თვით სიცხე კი არის „ცხელი ტაროსი, პაპანაქება მზისა, ხორშაკი (გვარამაძე 1907, 235).

ამგვარად, **ჭაჭარაქი** დაერქვა მესხეთში მზიან, ძლიერსიცხიან, პაპანაქ ადგილს. ამ სიტყვის გამოყენების არეალი ბევრად უფრო ფართო იყო, იგი ვრცელდებოდა არა მხოლოდ სამხრეთის, დასავლეთ საქართველოსა და ქართლის დიალექტებში. გაუსამლისი სიცხის ფორმები, რომლებიც მოხმობილია ქართული ენის დიალექტებიდან, ერთმანეთის პარალელურ, სინონიმურ ფორმებად შეიძლება ჩითვალოს, რომელთაც ერთი სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ, მათ შორის უძველესია მე-16-მე-18 საუკუნეებში დადასტურებული ჭაჭარაქი.

ისტორიულ ტოპონიმიასთან ერთად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისტორიული ანთროპონიმია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 22 კომლი, რომლებიც არიან სამივე ჭაჭარაქის გადასახადის გადამხდელები, ქართველებია, რომელთა წინაპრებმაც უწოდეს ადგილს სახელი – ჭაჭარაქი. დაფიქსირებულია მხოლოდ, ადამიანთა სახელები რასაც თავისი ახსნა აქვს. „ჭაჭარაქებში ძირითადად ნათესავები ცხოვრობენ, როგორც წესი, განაყოფები გადიან ოჯახებიდან და ქმნიან ახალ ოჯახებს. ოცდაორივე კომლი მამის სახელობითან

ძმის სახელით არის მოხსენიებული. ოსმალო მოხელე სიას ადგენს გადასახადებისათვის. მისთვის მთავარი არ არის გვარსახელის დაფიქსირება, უფრო სწორად, ეს არ არის მიზანი. მთავარია, დაფიქსირდეს გადამხდელი. მოხდეს მისი „დანომრვა“, მარკირება, დაფიქსირება და ეს ხდება სხვადასხვა ხერხით. ხანდახან მხოლოდ სახელით, მამის სახელობით, ძმის სახელით, ხშირად პაპის სახელით და სხვა. ასე რომ, შეგვიძლია, განვიხილოთ 22 ოჯახის ანთროპონიმია. ზოგიერთს კითხვის ნიშანიც აქვს დასმული, მაგრამ, რადგან გამომცემელმა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ შესაძლო ვარიანტები - წარმოადგინა და ამოუკითხავად არ მიიჩნია, ჩვენ მას ვდებულობთ, როგორც ყველაზე მისაღებ ფორმას“ (ბერიძე, 2008).

ადამიანთა საკუთარი სახელების წარმოება მე-16 საუკუნეში არაფრით განსხვავდება თანამედროვე პერიოდისგან. ზოგი მათგანი ემთხვევა კანონიკურ სახელებს – **ფილიპე, ზაქარია, კვირიკე, საბა...** კნინობითობის სუფიქსებით ნაწარმოები ან სახელის შემოკლებული ვარიანტებია: გოგი, გოგინა, გოგიჩა, ქუმსია, საბია, პოპია, მამისა, კაკლა, პაპუნა, მამუკა, ყაშუა. ზმნური ფორმაა საკუთარ სახელად – **მახარა**. თუ საბიას -ია ნაწარმოებელს ჩამოვაცილებთ, დაგვრჩება ქრისტიანული კანონიკური სახელი საბა, ისე, როგორც წმინდა კვირიკეს სახელის მქონე ადამიანს -ა სუფიქსი აქცევს კნინობით ფორმად: კვირიკა.

ისტორიული ანთროპონიმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მე-16 საუკუნის ადამიანთა საკუთარმა სახელებმა მოგვცა შემდეგი დროის გვარები. საკუთარ სახელებს დაერთო ქართულ გვართა ცნობილი მაწარმოებლები **-ძე, -შვილი, -ია, -ავა:**

გოგი – გოგიძე, გოგაძე, გოგია, გოგავა;

გოგინა – გოგინაშვილი, გოგინავა, გოგინაშვილი, გოგნაძე;

გოგიჩა – გოგიჩაშვილი, გოგიჩაიშვილი, გოგიჩავა, გოგიჩია;

პაპუნა – პაპუნაშვილი, პაპუნეიშვილი, პაპუნავა. ანთროპონიმთა წარმოებისას ამოსავალია უახლოესი ნათესაური ტერმინი **პაპა**, საიდანაც მიღებული გვაქვს მისი მრავალფეროვანი ვარიანტები: პაპი, პაპია, პაპუა, პაპალა, პაპალეა, პაპანა, პაპულა, პაპინა, პაპიტა, პაპურა, პაპუკა, პაპუჩა, პაპინა, პაპუჩელა. ამათგან მიღებულია გვარები – პაპუნაშვილი, პაპუნძე, პაპიაშვილი, პაპუაშვილი, პაპოშვი-

ლი, პაპალაშვილი, პაპელაშვილი, პაპინაშვილი, პაპინაშვილი, პაპუკაშვილი, პაპელაშვილი (ჭუმბურიძე 2003, 193).

ვერიკა – ვერიკაშვილი,

მამუკა – მამუკაშვილი, მამუკელაშვილი, მამუკაძე, მამუკიძე;

ქუმსია – ქუმსიაშვილი;

საბია – საბაძე, საბიაშვილი, საბანიძე, საბაშვილი;

პოპია – პოპიაშვილი;

ფილიპე – ფილიპაშვილი, ფილიპია (ზ. ჭუმბურიძე, გვ. 206);

მამისა – მამისაშვილი, მამისეიშვილი;

კაკალა – კაკალაშვილი;

ზაქარია – ზაქარიაძე, ზაქარაძე, ზაქარაშვილი, ზარაქიძე, ზაქარაია, ზაქარეიშვილი;

მახარა – მახარაძე, მახარაშვილი.

მე-16 საუკუნეში საკუთარ სახელთა წარმოება არ არის შეზღუდული მხოლოდ სასულიერო კანონიკური სახელებით. გამოირჩევა სახელდების დემოკრატიულობითა და ხალხურობით. მე-16 საუკუნეში თუნდაც ამ ერთი სოფლის მაგალითის მიხედვით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არეალის შემოზღუდულობის მიუხედავად (ჩვენ განვიხილავთ სოფლის ერთი სახელის, სამი სოფლის 22 ანთროპონიმს) ფართოა ქართულ ანთროპონიმთა საზღვრები. თითოეული პიროვნული სახელი შემდეგ საუკუნეებში გვარებს უდებს სათავეს არა მხოლოდ მესხეთში, იქ, სადაც **ჭაჭარაქები** მდებარეობს, არამედ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ.

ქართულ გვართა წარმოებაში უპირველესი ადგილი პიროვნულ სახელებს უკავია და ეს კარგად ჩანს იმ ანთროპონიმთა მაგალითებზე, რომელიც განვიხილეთ. მართალია, სამი სოფელი პატარა სოფლებია და მე-19 საუკუნემდე მათ ვეღარც კი მოაღწიეს თავიანთი მოსახლეობით, მოვიდა მხოლოდ სახელი, ეს სახელიც იმიტომ შემოგვრჩა, რომ მაშინდელ ტოპონიმებს გააქტიურებული ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ფუნქცია, მიწები ნაწილდებოდა ოსმალეთიდან შემოსახლებულ მიგრანტებზე და ტერიტორიების განსაზღვრისათვის, ლოკალიზაციისათვის გააქტიურებული იყო ტოპონიმის სამისამართო ფუნქცია. აქვე დგება საკითხი ისტორიული დემოგრაფიისა. ოსმალეთსა და რუსეთს შორის გაჩაღებული საომარი ურთიერთობების ფონზე ქართული მოსახლეობა დაიცალა. მოსახლეობა მე-

სხეთიდან გადადის აღმოსავლეთ, ან დასავლეთ საქართველოში, ამიტომ მათ თან მიაქვთ ის ანთროპონიმია, რომელიც მისაღები იყო მაშინდელი მთელი საქართველოსათვის. ტოპონიმთა ეტიმოლოგია განსხვავდება საზოგადო სახელთა ეტიმოლოგიისაგან.

გამოყენებულილიტერატურა

ალკორნი და სხვ 2019 –Rhona Alcorn, Joanna Kopaczyk, Bettelou Los and Benjamin Molineaux (eds.). 2019. Historical Dialectology in the Digital Age. Edinburgh: Edinburgh University Press

ბალასანიანი 2016 – მ. ბალასანიანი, სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმია სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმების ხუთტომეულის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

ბატონიშვილი ვახუშტი 1973 – ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გამომცემლობა: „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ბერიძე 2008 – მ. ბერიძე, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის. თბილისი.

გვარამაძე 1907 – ივანე გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №52.

ნიკოლაიშვილი და სხვ. 2016 – დალი ნიკოლაიშვილი, დავით სართანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე, ლამზირა ლალიძე, ვაჟა ტრაპაიძე, თინათინ ნანობაშვილი, სამცხე-ჯავახეთი, ცნობარი, თბილისი.

ქეგელი 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

დლონტი 1984 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1984.

ჭუმბურიძე 2003 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი.

ჯიქია 1941 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფთარი, წიგნი II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჯიქია 1958- ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ინტერნეტრესურსი:

<https://www.nplg.gov.ge>

<https://ka.wikipedia.org>

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელები ეტიმოლოგიური დაკვირვებანი

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელები ისტორიული თვალსაზრისით დოკუმენტურად ყველაზე კარგადაა შემონახული. შავი-ზღვისპირეთი ყოველთვის იყო ჯერ რომის, შემდგომ ბიზანტიის, ოსმალეთის, რუსეთის იმპერიების სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია, აქ იყო განლაგებული მათი ფაქტორიები, გამაგრებული ობიექტები. შესაბამისად ისტორიულმა წყაროებმა და დოკუმენტებმა შემოინახეს არაერთი ცნობა და ტოპონიმი ამ რეგიონისა.

აფხაზეთის ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ კვლევას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. მნიშვნელოვანი დაკვირვებები და დასკვნები აქვთ გაკეთებული ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, პ. ინგოროყვას, ქ. ლომთათიძეს, გ. როგავას, პ. ცხადაიას, თ. გვანცელაძეს, ბ. ხორავას.

მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ტოპონიმთა დიდი ნაწილი არ არის გამოკვლეული, ან საჭიროებს დამატებით ანალიზს. ეს კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა აფხაზეთში დღემდე მიმდინარე ტოპონიმიკური პოლიტიკის გამო.

ზოგადად, აფხაზეთის ზემოთის ტოპონიმთა ცვლის დინამიკა ზედმიწევნით ასახავს აფხაზი ერის ისტორიას. 1864-74 წლების მო-

ვლენების შემდეგ აფხაზური სოფლები მასიურად დაცარიელდა. დიდწილად დაიკარგა გეოგრაფიული სახელები. ნაწილის აღდგენა ხერხდება მუჰაჯირთა სიების მიხედვით, ნაწილი კი სამუდამოდ გაქრა. ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლილი ტერიტორია რუსებმა, ესტონელებმა, ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა, ბერძნებმა დაიკავეს, სოფლებს სახელები შეუცვალეს (ძირითადად საიმპერატორო კარის წევრთა, სახელმწიფო მოღვაწეთა სახელები, ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა – თურქული ტოპონიმები...). ასე გაჩნდა აფხაზეთის შავიზღვისპირეთში ანდრეევკა, პეტროვსკოე, ერმოლოვკა, პავლოვსკოე, მიხაილოვო..... ოსმალეთიდან გადმოსახლებულმა სომხებმა თურქული სახელები დაარქვეს თავიანთ სამოსახლოს – ბეშკარდაშ („ხუთი ძმა“), კავაქლუქი („ალვის ჭალა“), კესტანელუკ („წაბლიანი“), ჩევიზლუკ („კაკლიანი“).

ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ პოლიტიკური ვითარება ზედმიწევნით აისახა გეოგრაფიულ სახელებზე – გაჩნდა იდეოლოგიით მოტივირებული ტოპონიმები – ოქტიაბრსკოე-სოვეტსკოე, კულტურასტოკ / ზარია ვოსტოკა, ორჯონიკიძე, შრომა, განახლება...

1940-იანი წლების ბოლოს ტოპონიმთა ცვლის კიდევ ერთი პოლიტიკა გატარდა აფხაზეთში – დაიწყო ტოპონიმთა ხელოვნური გაქართულება, გაჩნდა ხეივანი (ერქვა აფხაზური ამზარა „ფიჭვნარი), მთისუბანი (აპიანდა), კაკლიანი (არასხუ „კაკლიანი გორა“), აგარაკი, ცივწყარო (ბაღრიფსთა), მუხნარი, თავისუფლება, წალკოტი, მთისკალთა, ცოდნისკარი, ჩანჩქერი, ტბეთი, ბაღნარი, მზისეული, შუამთა... აქვე შევნიშნავთ რომ ძირითადად გაქართულდა რუსული, სომხური, თურქული ტოპონიმები – ქართულით შეცვლილი 109 ტოპონიმიდან 102 სწორედ რუსულ-თურქულ-სომხურია (მიქიაშვილი, 2000).

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ადგილის სახელის ცვლის დინამიკას:

აგუა > ალექსეევკა > ბაგრატისციხე > ალექსეევკა > ჩაბკუარა („ჩაბის წყარო, მდინარე“)

აკაფა > კონსტანტინოვკა > ოდიში > აკაფა

აპიანდა (აბიანდა) > ბეშკარდაშ („ხუთი ძმა“) > მთისუბანი > აბიანდა აჰაბლა

ასაბული („საბულიო“) > კულტურასტოკ > კულტუბანი > ზა-
რია ვოსტოკა > ასაბული
დოპუაქით > ესტონკა > ბაღნაშენი > ესტონკა > დოპუაქით
კოდორი > კაციგილართა > ვლადიმროვკა > კოდორი > ვლა-
დიმროვკა > კაციქით
ჩაბლარხა > ლინდაუ > ეკატერინსკოე / კონსტანტინოვსკოე >
ჩაბლარხა

ცანდრიფში > პილენკოვო > განთიადი > ცანდრიფში
წყუბუნი > ზემო დრანდა > წყუბუნ-არხიერისკოე > შაუმიან-
ნოვკა > ნარინჯოვანი > შაუმიანოვკა > წყიბინ

ძალიან მალე, 1953 წლიდან დაიწყო უკუპროცესი – ქართული
ტოპონიმები შეიცვალა აფხაზური და ძირითადად რუსული ტოპო-
ნიმებით, თუმცა 40-იანი წლებში ადგილის სახელთა შეცვლის პო-
ლიტიკა დღემდე აფხაზთა ერთ-ერთ უმთავრეს ბრალდებად რჩება.

1940-50 წლებში მიმდინარე ტოპონიმიკური ცვლილებები სა-
მურზაყანოს გეოგრაფიულ სახელებს არ შეეხებია. ეს მოხდა მოგვიან-
ებით – 1993 წლის შემდეგ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების
განკარგულებით ეტაპობრივად შეიცვალა აფხაზეთის სამხრეთის გე-
ოგრაფიული სახელები. მათი ნაწილი ითარგმნა, ნაწილი ფონეტი-
კურად ადაპტირდა, მაგრამ გაჩნდა ადაპტირებული ფორმების არას-
წორი ეტიმოლოგიუზების ცდები, რადგან აფხაზი ენათმეცნიერები
ცდილობდნენ ისტორიული, გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე
ქართველური ტოპონიმები აფხაზურად წარმოეჩინათ.

წარმოვადგენთ რამდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგიური
კვლევის ცდას.

ათარბა-იხუსთა – სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში,
ათარის თემი).

მდებარეობს მდ. თოუმისის მარჯვენა ნაპირზე. 1930 წელს
აფხაზური ათარას ს/საბჭოში შედიოდა ათარა-იხუსტას სახელით.
სოფლის ამჟამინდელი სახელია ათარბა იხუსთა / თარბა იხუსთა
(ქსე, ტ. 7, 1984: 354; ცხადაია, ხორავა 2016: 112)

ვფიქრობთ, ტოპონიმი „თარბას სახბორეს (დამხმარე ნაგებო-
ბას) ნიშნავს – თარბა გვარსახელია, -ი- – მესამე პირის (კუთვნილე-
ბის) პრეფიქსი მამაკაცთა კლასისა, (ა)ჰუსთა კი „სახბორეა“. კონკრე-

ტულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ფართო გაგებით, ზოგადად, დამხმარე მეურნეობის მნიშვნელობით გამოიყენება.

ნაღბოუ – სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, ტამიშის თემი).

მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე. 1930 წელს შედიოდა ტამიშის თემში, მანამდე არ ფიქსირდება (ქსე, ტ. 7, 1984: 203; ცხადაია, ხორავა 2016: 127).

სახელწოდება ქართულია ნა – ოუ- სუფიქს-პრეფიქსის მიხედვით. ინტერესს იწვევს ტოპონიმის ძირი -ღბ-. იქნებ აფხაზური (ა)ღბა „გემი“ ფორმაა. ლოგიკურად დასაშვებია, რადგან სოფელი ზღვის ნაპირზე მდებარეობს (ზღვის დონიდან 5 მ). თუ ასეა, ჰიბრიდული წარმოების ოიკონიმია ქართველური აფიქსით და აფხაზური ძირით და ეტიმოლოგიურად „ნაგემებს“; ანუ „ნანავსადგომარს“ ნიშნავს. შდრ. საფილკო – ნავმისადგომი დიდგაგიდაზე (გინძე ეწერი). ინფ.: „აქამდე მოცურდებოდა ხოფელი ლაზების ფილკა ნავები და იტვირთებოდა მუხის კუნძულებით“ (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 165). წარმოებისთვის შდრ. ნაბუღაზუ – მცირე ყურე და სამოვარი ზღვის პირას, გინძე ეწერში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 102). სრუტის აღმნიშვნელ თურქულ სიტყვას დაერთო წინა ვითარების აღმნიშვნელი მეგრული ტოპოფორმანტი ნა-უ.

ნახურზოუ – სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, ათარის თემი).

მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე. 1930 წელს აფხაზური ათარას ს/საბჭოში შედიოდა (ქსე, ტ. 7, 1984: 354, ცხადაია, ხორავა 2016: 112).

ნა-ოუ აფიქსი ადასტურებს, რომ სახელწოდება ქართულია. ვვარაუდობთ, რომ ფორმა უკავშირდება სამურზაყანოში არსებულ მიკროტოპონიმს ოხურზენი / ოხურეიშ რზენი, „ოხურეის ვაკე“ ვაკე-სახნავები ოხურეიწყარის ნაპირებზე, ოხურეიში, აჩიგვარის თემში (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 138). ნახურზოუ ოხურზენიდან ნაწარმოები წინავითარების აღმნიშვნელი ფორმაა.

დერიკვარაძი – მცინვარული წარმოშობის ტბა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში.

მდებარეობს კოდორის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე (ენციკლოპედია „საქართველო“, 2012: 384)

ვფიქრობთ, ლიმნონიმი რამდენიმე ენის ლექსიკას და ფორმანტს შეიცავს: დერი (დერე თურქ. „ხეობა“, კვარა – აფხაზური „დელე“, (ა)ძ, (ა)ძე „წყალი“, -იმ- კი ნათესაობითი ბრუნვის მეგრული ნიშანი, რომელიც ხშირად გამოიყენება გეოგრაფიულ სახელებში. შესაბამისად, სიტყვა ეტიმოლოგიურად ნიშნავს „დელისწყლისხევისა“.

ანარია // ანარა – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, გუდავას თემი.

მდებარეობს მდ. ოქუმის მარცხენა ნაპირზე. აქ გაედინება მდ. ანარია, ანარიაწყარი. სახელწოდება შემდეგ ოიკონიმად და ჰიდრონიმად იქცა. 1953 წელს შედიოდა გუდავის ს/საბჭოში, მანამდე არ ფიქსირდება. სოფლის ამჟამინდელი სახელია ანარა. (ენციკლოპედია „საქართველო“, 1997: 144; ქსე, ტ. 1, 1975: 428; ცხადაია, ხორავა, 2016: 140).

ამოსავალია მეგრული ზმნა ნარუა, რაც რაიმეს რწყევას (ვთქვათ, ტბის ზედაპირისას), რყევას, ლივლივს აღნიშნავს. ონარეი შეიძლება იყოს ლაქაშმოდებული ჭაობი, რომელიც ნაპირზე ფეხის დადგმისას ირწყევა. სამეგრელოში ანარია, ონარია (ო-ნარ-ე-ა > ონარია > ანარია) რამდენიმეგან ჰქვია ჭაობს ან ნატბევ-ნაჭაობარ ადგილს. ანარიაც ნაჭაობარია (ცხადაია, ჯოჯუა, 2003, 229). შემდგომ ტოპონიმმა ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა ონარეი > ონარია > ანარია > ანარა. ფერდობის აღმნიშვნელი აფხაზური ანარა (ჯანაშია 1954: 201) ამ შემთხვევაში მხოლოდ ომონიმია, ანარია გაშლილ ადგილზეა და ფერდობი არ არის.

ეწერი // ლბაარხა – სოფელი გალში, ნაბაკევის თემი.

მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე. ეწერი დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. ერთხანს ერქვა კუნთხუ ეწერი (ქართ. „კუთხე ეწერი“). 1949 წელს შედიოდა ნაბაკევის ს/საბჭოში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა დაარქვეს ლბაარხა. (ენციკლოპედია

„საქართველო“, 2014: 126; ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 243; ცხადაია, ხორვა, 2016: 147).

ლბა აფხაზურად [ქალის] ციხეს ნიშნავს – ლ- ქალის კლასის კუთვნილების პრეფიქსია (წარმოებისთვის შდრ. საშნა ლკვარა – ელიაკვარის მდგენელი (რეკა). ეტიმ. „საშნას ღელე“; **ჭუტ ლაშთა** – სახნავი აშგვრაში (ფოქვეში). ეტიმ. ჭუტის ეზო“; **ხემზაზ ლადგილ** – სახნავი ლამკაცის მარც. მხარეს (აყვარაში, ფოქვეშის თემი). ეტიმ. „ხემზაზის ადგილი“; **ჯახუტ ლხართა** – სახნავი საშნაშ ღალის მარჯ. მხარეს (რეკა). ეტიმ. „ჯახუტის სამოსახლო, სამკვიდრო“. საშნა, ჭუტი, ხემზაზ, ჯახური ქალის სახელებია). აბაა – ციხე. ტოპონიმის მეორე ნაწილი – არხა კი „ველია“ აფხაზურადვე. ტოპონიმის სრული მნიშვნელობა „ქალის ციხის ველია“. წესით ქალის სახელიც უნდა იყოს მითითებული. საინტერესოა, რას /ვის გულისხმობდნენ სახელმდებლები. ტოპონიმი ახალშექმნილია.

ჩხორთოლი // ჩხვართალ – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი.

მდებარეობს წარჩეწყარის ზემო წელზე, სამურზაყანოს მთის ძირას. არქანჯელო ლამბერტისა და ე.წ. ლათინურენოვან „კოლხეთის, ანუ სამეგრელოს რუკაზე“ (1654 წ.) დაფიქსირებულია თავდაპირველი ფორმა Scortoli – ჩხორთოლი. დატანილია აგრეთვე ხატოვის 1826 წლის და 1861 წლის სამეგრელოს რუკებზე. ჩხორთოლი 1886 წელს შედიოდა ოქუმის თემში. 1930 წლისათვის კი უკვე ჩხორთოლის სას. საბჭო იყო შექმნილი და მასში შედიოდა სოფლები: ეშქითი, ზემო ჩხორთოლი, ქვემო ჩხორთოლი. 30-იანი წლების დასაწყისში ჩხორთოლის ს/საბჭო სოფლებით: ზემო ჩხორთოლი, არადუქვა და ქვემო ჩხორთოლი გალის რაიონიდან გამოყვეს და ოჩამჩირის რაიონს შეუერთეს. 1939 წელს ჩხორთოლის ს/საბჭო ოჩამჩირის რაიონიდან გალის რაიონს გადაეცა. 1952 წელს სოფლები არადუქვა, ზემო ჩხორთოლი და ქვემო ჩხორთოლი გააერთიანეს და ჩხორთოლი უწოდეს. ამჟამად ჩხორთოლი ერთი დიდი სოფელია სამი დიდი უბნით: ეკიანი ჩხორთოლი „ზემო ჩხორთოლი“, გური ჩხორთოლი „შუა ჩხორთოლი“, თუდოლენი ჩხორთოლი „ქვემო ჩხორთოლი“. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ჩხორთოლს აფხაზებმა დაარქვეს ჩხუართალ (ქსე, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 178; ცხადაია, ჯოჯუა,

2003: 306-307; ცხადაია, ხორავა, 2016, 158-159; გვანცელაძე, 2011: 240).

ჩხორთოლი აღნიშნავს უხეწყლიან, მრავალ წყარონაკადული-ან მდინარეს, ან ადგილს, სადაც წყალს ერთდროულად რამდენიმე გამოსასვლელი, რამდენიმე თვალი აქვს. ქართველ ტომებში საკრალური მნიშვნელობის რიცხვია და აღნიშნავს სიმრავლეს, სიმორეს, მიუწვდომლობას. თვალი, თოლი მეტაფორულად აღნიშნავს წყაროსაც. მაშასადამე, ჩხოროთოლი, ისევე როგორც ცხრაწყარო და ჩხოროწყუ, ჩვეულებრივ, დაერქმეოდა მრავალწყაროიან ადგილს, ან ისეთ ადგილს, სადაც მიწიდან მთელი მდინარე ერთბაშად ამოდის (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 306-307). არსებობს სხვა, ხალხური ეტიმოლოგიაც – ჩხორთოლი, უფრო სწორად ჩხოროთოლი, მეგრულად ნიშნავს ცხრათვალს, ასეთი სახელი სოფელს იმიტომ ეწოდა, რომ აქ სვეტისებრ ბორცვზე აღმართულია ცხრათვალა ციხე-სიმაგრე (ზუხბაია, 2000: 103).

მიუხედავად იმისა, რომ ტოპონიმს სრულიად გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს, ვ. კვარჭია გვთავაზობს განსხვავებულ თვალსაზრისს – ჩხორთოლისთვის ამოსავალია აფხაზური *ჯიხუარჯალ „ჯიქების ქედი“, სადაც ჯიხუ არის ჩხორთოლის შუასაუკუნეების ციხის სახელი, რ- მესამე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილების აფიქსი, ჯალ კი „ქედს“ ნიშნავს (კვარჭია, 2006: 276-277). აფხაზი მეცნიერის მიერ მოხსენიებული ჯიხუ სხვა არაფერია, თუ არა ციხის აღმნიშვნელი მეგრული ჯიხა.

ღუმურიში // ღუმრიშ – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი.

მდებარეობს მდ. რეჩხის ნაპირზე. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1925 წელს არსებობდა ღუმურიშის ს/საბჭო. 1930 წელს ღუმურიში ერთი სოფელია, ხოლო 1949 წელს უკვე გაცოფილია ორ ნაწილად – ზემო ღუმურიში და ქვემო ღუმურიში. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ღუმურიშს აფხაზებმა დაარქვეს ღუმრიშ (ქსე, ტ. 10, თბ., 1986: 601; ცხადაია, ხორავა, 2016: 157)

ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე სხვადასხვა აზრის გამოთქმული:

თ. მიბჩუანი ღუმურიშის ეტიმოლოგიას სვანურენოვან გარემოს უკავშირებს და თვლის, რომ ტოპონიმს საფუძვლად უდევს ნა-

ძვის სვანური სახელი ღუმირ / ღუმურ. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით მისი სემანტიკა "ნაძვნარს" უტოლდება (მიბჩუანი, 1987: 254). თ. მიბჩუანის აზრს იზიარებენ ვ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა (ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 246).

მ. ჩუხუა პრობლემურად თვლის თ. მიბჩუანისეულ ეტიმოლოგიას – ღომი ~ ნაძვის დაკავშირებას სემანტიკური თვალსაზრისით. ის მიიჩნევს, რომ ღუ/ომირ სვანურში საზოგადოდ წიწვიან მცენარესაც აღნიშნავს, ამიტომ წიწვი (მარცვალი) ~ ღომი (მარცვალი) ბუნებრივია (ჩუხუა, 2003: 268) და თვლის, რომ ღუმურში უკავშირდება მეგრულ ღუმუ „ღომი“ ფორმას და „ყანობს“ ნიშნავს. იმავე აზრს იზიარებს და განავრცობს ვ. ზუხბაია, ის მიიჩნევს, რომ კომპოზიტური ტოპონიმია – ღუმუ მეგრულად ღომი და ურიში სამეგრელოში გავრცელებული ხორბლის კულტურაა“ (ზუხბაია, 2000: 102).

შ. ინალი-ივა ღუმურიშს (აფხაზ. ღუმრიშ) -შ დაბოლოების მქონე ტოპონიმთა რიგში აერთიანებდა (ტამიში > აფხაზ. ტამშ, ფოქვეში > აფხაზ. ფაქუაშ, გულრიფში...) და მიიჩნევდა, რომ -შ დაბოლოება -ფშ ელემენტის ვარიანტი იყო. ის იმოწმებს ხანდაზმული ინფორმატორის გადმოცემას, რომ ღუმურიშს უწინ აფხაზები გუმრიფშს ეძახდნენ (ინალივა, 1976: 379). ეთნოლოგი მ. თხაიწუხოვი კი „ღუმურიშის“ წარმომავლობას აბაზურ-აფხაზურ გვარს – გუმბას-გუიმბას-გუმბოვს უკავშირებს (თხაიწუხოვი, 2006: 157-158). ეს მოსაზრება სამეცნიერო საფუძველს მოკლებულია.

ფიცარღალი // აბიცარკვარა – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, ქვემო ბარდების თემი.

მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, ფიცარღალისა და მარაჭის ნაპირებზე. ესაზღვრება ოკვინორე (განახლების თემი), გინძე ეწერი, გაგიდა, ბოკვეთი, საბჭოთა ჩაი. 1930 წელს გამოცემული საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში შედის სოფ. ბოკვეთი, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს „ფიცარი ღალი“, რაც მეგრულში “ფიცრის ღელეს” ნიშნავს და თავდაპირველად მდინარეს ერქვა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ ფიცარღალს აფხაზებმა აბიცარკვარა დაარქვეს (ქსე, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 338; ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 229; ცხადაია, ხორავა, 2016: 157).

ისტორიული ტოპონიმი თარგმნილია აფხაზურად, ამასთან ითარგმნა კომპოზიტური ტოპონიმის მეორე ნაწილი – დალი > (ა)კუარა, მეორე მხოლოდ ფონეტიკურად შეიცვალა. ფიცარ > ბიცარ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით აბაცვ იკვარა „ზღმარტლის ღელე“ და სეგმენტირებულია ასე – აბაცვ იკვარა (კეკელია, 2022: 363). ეს მოსაზრება გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს – სიტყვის ფუძეში აფხაზურისთვის ბუნებრივი ა ხმოვანი არ / ვერ შეიცვლებოდა ი ხმოვნით, რომელიც ადვილად ემორჩილება ადაპტაციას და გ-დ იცვლება ხოლმე. ასევე ასახსნელია ინლაუტის -არ- ელემენტის არსებობა, რაც ასევე რთულია, თუ შეუძლებელი არა.

ოკვინორე // აციღტვარა – სოფლები გალის მუნიციპალიტეტში, განახლებისა და ოტობაიის თემებში.

განახლების ოკვინორე მდებარეობს ოკვინორეწყაროს ორსავე ნაპირას. 1930 წელს ეს სოფელი „ოქვინორე“ ფორმით შედიოდა გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოში (ერთი ნაწილი) და ოტობაიის სას. საბჭოში (მეორე ნაწილი) შემდგომში გაგიდა-ნაჭკადოუს სას. საბჭოს გამოეყო ოკვინორის სას. საბჭო, რომელსაც 1952 წელს უკვე განახლების სას. საბჭო ერქვა. ოტობაიის ოკვინორე მდ. ოკვინორეწყაროს მარცხენა მხარეს (განახლების თემში შემავალი ოკვინორეს გაგრძელებაზე). სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტებია: ოკნორე, ოკენორე. როგორც ჩანს, იგი თავდაპირველად ტყის სახელი იყო. სოფელში გადის ოკვინორეწყარი / ოკვინორეღალ – გაგიდაწყაროს მარც. მდგენელი (ქსე, ტ. 7, თბ., 1984; 514; ცხადაია, ხორავა, 2016: 139,148)

ისტორიული ოკვინორეს თანამედროვე აფხაზური სახელი კომპოზიტური წარმოებისაა – ა-ცღღ „კვერნა“, ტარა – ჯდომა < ტართა „დასაჯდომი ადგილი“ (ჯანაშია, 1954: 362)

ნაბაკევი // ბათაიგუარა – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი.

მდებარეობს სამურზაყანოს დაბლობზე, ენგურის მარც. მხარეს. თემში ნაბაკევის გარდა შედის და კიდევაც ესაზღვრება ეწერი და ზენი. სავარაუდოა, რომ არქანჯელო ლამბერტის სამეგრელოს რუკაზე (1654 წ.) დაფიქსირებული Naabbachia სწორედ ნაბაკევი უნ-

და იყოს. დატანილია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. ადგ. ვარიანტებია ნაბაკი(ი) და ნობაკი. ი. ყიფშიძეს მეგრულ ლექსიკონში წარმოდგენილი აქვს ნაბაკები / ნაბაკევი ფორმებით (ყიფშიძე, 1914: 199). 1886 წელს არსებობდა ნაბაკევის თემი, რომელშიც შედიოდა სოფლები: ნაბაკევი, თაგელონი და ოტობაია. 1930 წელს ნაბაკევის ს/საბჭოში ორი სოფელი შედიოდა – ნაბაკევი და გაბარი. თემის ცენტრი იყო გაბარი, რომელსაც 1952 წელს ნაბაკევი ეწოდა. 1992-1993 წწ. ომის შემდეგ აფხაზებმა ნაბაკევის ბათაიგუარა დაარქვეს.

ნაბაკევის აფხაზური სახელწოდება ეტიმოლოგიურად ბათას (პირსახელია) ეზოს ნიშნავს.

კოხორა – სოფელი გალის მუნიციპალიტეტში, პირველი გალის თემი)

მდებარეობს ერისწყალ-ოქუმწყარის გამყოფი ვაკე-მადლობის დასაწყისში, ქორომონის ორსავე მხარეს. გადმოცემით, კოხორა თავდაპირველად ერქვა ტყეს, რომელიც სოფ. ლეკუმხარაში შედიოდა. ყოველ შემთხვევაში, 1930 წელს იგი ჯერ კიდევ არ იყო სოფელი. 1949 წელს შედის პირველი გალის თემში (ქსე, ტ. 6, თბ., 1983: 9; ცხადაია, ჯოჯუა, 2003: 254; ცხადაია, ხორავა, 2016: 150)

კოხორას ეტიმოლოგია დადგენილი არ არის. ანგარიშგასაწევია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ წარმოდგენილი განმარტება – კოხორა – ქვა-ღორღიანი ადგილი, გოხნარი; შეძლებული დასახლება; კარგი სამოსახლო ადგილი (ქობალია, 2010: 374). ლექსიკოგრაფი იქვე უთითებს კომპოზიტს კორუა-ხორუა, რომლის ერთ ერთი მნიშვნელობა არის კარგი სახლ-კარი (იქვე, გვ. 373). ხალხური ეტიმოლოგიაც („კოჩიშ ოხორალი“ (ე. ი. კაცის სამოსახლო) კარგი ადგილი ყოფილა და ამიტომ დაურქმევიათ) ამ განმარტებას უჭერს მხარს.

გამოყენებული ლიტერატურა

ენციკლოპედია „საქართველო“ 1997 – ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 1, თბილისი.

ენციკლოპედია „საქართველო“ 2012 – ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 2, თბილისი.

ენციკლოპედია „საქართველო“ 2014 – ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 3, თბილისი.

გვანცელაძე 2011 – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი.

ზუხბაია 2000 – ვ. ზუხბაია, ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბილისი.

თხაიჭუხოვი 2006 – Тхайцухов М., Абазины. Страницы древней и средневековой истории. Черкесск-Карачаевск.

ინალ-იფა 1976 – Инал-ипа Ш., Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухуми.

კეკელია 2022 – ი. კეკელია, აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბილისი.

კვარკია 2006 – Кварчия В. Е. Историческая и современная топонимия Абхазии (Историко-этимологическое исследование), Сухуми.

მიზჩუანი 1989 – თ. მიზჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი.

მიქიაშვილი 2000 – ო. მიქიაშვილი, აფხაზეთის ტოპონიმის ისტორიიდან, 1943-1952 წ.წ. 1953-1967 წ.წ., ქართველური მემკვიდრეობა IV.

ქობალაი 2010 – ალ. ქობალაი, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია 11 ტომად, თბილისი.

ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.

ჩუხუა 2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაია, ჯოჯუა 2003 – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

ცხადაია, ხორავა 2016 – პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი.

ჯანაშია, 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

გელდიაშვილი ნუნუ

დიალექტური ფორმების სტილისტიკური ფუნქციისათვის დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში

მწერალს ინდივიდუალური სტილის შესაქმნელად და საკუთარი ხელწერის წარმოსაჩენად უამრავი შესაძლებლობა გააჩნია, რაზეც, შეიძლება, არც ფიქრობს წინასწარ, თუმცა ტექსტში, საჭიროებისამებრ, ბუნებრივად მოიხმარს მათ. შემდგომში კი, მკითხველი თუ მკვლევარი სწორედ მათი გავლენის ქვეშ ექცევა, აკვირდება, აანალიზებს და აფასებს...

ასეთ დასაკვირვებელ ბუნებრივ ენობრივ შესაძლებლობათა შორის დიალექტური ფორმები, ზოგადად, განსაკუთრებული დატვირთვის მქონედ მიიჩნევა, რადგან მათი კვლევა რამდენიმე ასპექტითაა საინტერესო: ერთი, რომ მათი მეშვეობით გარკვეულწილად ინახება და ცოცხლდება ძველი და ამა თუ იმ დიალექტის შესასწავლად მეტად ნიშანდობლივ საანალიზო მასალას წარმოადგენს; ისინი ზოგჯერ ახალ მნიშვნელობას იძენენ (ახალი სიტყვა იწარმოება), რითაც, თავისთავად, მდიდრდება ენა და მეორე – მათი ფუნქციური დატვირთვა საკმაოდ მრავალფეროვანი შეიძლება იყოს. უმთავრესია დაკვირვება იმაზე, მწერალი დიალექტურ ფორმებს, სასაუბრო მეტყველების ნიმუშებს (ელემენტებს), რა მიზნით იყენებს და მათი საშუალებით რამდენად სრულყოფს, რამდენად შთამბეჭდავად ასხამს ხორცს საკუთარ იდეას...

ჩვენი ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა. საანალიზოდ შევარჩიეთ მივიწყებული და შედარებით ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საკმაოდ მდიდარი მხატვრული ენით გამორჩეული მწერლის დავით ჩხეიძე-თურდოსპირელის შემოქმედება. იგი წარმოშობით კახეთიდანაა, სოფელ ვარდისუბნიდან, ამიტომ მის მხატვრულ დისკურსში, ჩვენი აზრით, არ შეიძლებოდა, არ გამოკვეთილიყო დიალექტური ფორმების ფუნქციურობის საკითხი. რა თქმა უნდა, მთელ შემოქმედებას ვერ მოიცავს ჩვენი ანალიზი. წარმოვადგენთ ამ მიმართებით გამოვლენილ რამდენიმე მახასიათებელს.

უპირველესი, რაც თვალისმომჭრელად მოჩანს დავით თურ-დოსპირელის შემოქმედებაში, დიალექტური ფორმების მოხმარებით ბუნების მკვეთრად გახმოვანებული და ეფექტური სურათის შექმნაა, რაც ძირითადად მიიღწევა ხმაბაძვეითი და სიარულისა თუ მეტყველების სემანტიკურ ველში შემავალი ლექსიკით. ისინი მკვეთრად აძლიერებენ სმენით ეფექტებს და იმიტაციით/წარმოსახვით საკმაოდ ემოციურად აღიქმება ავტორის სათქმელი: „ადამიანი მოდის, ადამიანი!.. **მოცანცალებდა გულდაქანებული კურდღელი**“; „-მოგვაგონდება დავიწყებული სიმღერები, – წამოიძახეს წყაროებმა და **ბექობებზე გადაჩქაფუნდნენ**“...; „**ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს**“...; „წინეთ კი საამო **ჩქაფა-ჩქუფი** გამქონდა“; „სადღაც **ფაჩიფუჩი** გაისმა“; „მერცხლებიც მოფრთანავარდობენ **ჟრიკურიკით**“; „აი, პეპიას ზვარსაც ერთი ადგილიდან **შესცქნავიან** გულწასული კურდღლები ბაჭიებით“...; „ტყეს სიხარულისაგან სახე აუფეთქდა, ფოთლები ჯადოსნურად **აუშარიშურდა**“ ...

დიალექტურ ფორმებს, ლექსიკურ ნაირგვაროვნებასთან ერთად, მწერლის შემოქმედებაში ხშირად პერსონაჟის სულიერი განწყობილების წარმოჩენის, საცხოვრებლის (სოფელი/ქალაქი), განათლების მინიშნების, ექსპრესიისა და დინამიკის შექმნის, მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ფუნქციური დატვირთვა ახლავს: „სვანი **გაჩქურდა**. იგი არწივის თვალებით მოელამუნა ქარიშხლებისა და მტრის ფინთიხის სამიზნო ნაგებობებს“; „ადარც ყალიონს **აპლაკუნებდა**“; „უნაგირებზე **მიძგნაფულმა მხედრებმა** დაზარნიშული ფარები მოიმარჯვეს და ლილეს მომახილით, ცხენების თქაფა-თქუფით გადაიარეს“...; „**ტყრუშული** ლობითაც გაუმაგრებიათ“; „-**კარგაძალი** მეომარი წასულა სამშობლოს დასაცავად, – წარმოვსთქვი მე და ბექობს სასოებით შევაცქერდი“...; „დიდხანს რჩებოდნენ **გალურსულნი**“; „ისედაც ფრთაჩამოშვებული მოწაფენი **გაცბნენ, გაილურსნენ**, მასწავლებელი კი განაგრძობდა მათ გაკიცხვა-გაკილვას“; „აქ ვანოს სინდისმა დაუწყო გულში **ჩაჩუნი**“; „ისინი მოგვიტხრობდნენ, თუ ქართველმა მეომრებმა რა საარაკოდ **დასდვეს** თავი მამულისათვის“; – **ე საქონელი თქვენია?**; „ამ სიშორეზე რად წამოსულხართ **მაგოდენა ხალხი?**; „**ე ზამთარმა ხომ ილაჯი** გაგვიწყვიტა. **ი ყინვაში** მთლად დედიშობილა ვიმყოფებოდი“; „-**აბაი**, ვილაცას როგორ ჩემსავით **დაუხატანა?**“; „აჩვენე ჩვენებს, ვითომც შენ **დასწერე... ჩემო-**

დენა როცა გახდები, მაშინ თვით დასწერ ჩემზე უკეთესებს... ბიჭი-კომ იწყინა, აიტკიცა, სხვას რომ **გაებედნა** ბიჭიკოსათვის ამნაირი რამ, უეჭველად კარგა შეანელებდა“...

თურდოსპირელის შემოქმედებაში ხაზგასმულად გამოირჩევა გასულიერებული ბუნება. უსულო საგნების გაპიროვნებით, სადაც უხვადაა დიალექტური ნიმუშები, მწერალი ძალზე შთამბეჭდავად და ემოციურად ქმნის კილოურ კოლორიტს; უსულო საგნები ჩვეულებრივი პერსონაჟები არიან, საუბრობენ, ტირიან, დიალოგი აქვთ ერთმანეთთან, ადამიანებევით არიან – ზოგჯერ სასოწარკვეთილნი ან აღელვებულნი... მათ მეტყველებაში, რა თქმა უნდა, ავტორისეული ხელწერაა სწორედაც კახური სურნელით გაჟღენთილი: „– ვაიმე, ვაიმე... საცაა ამოვშრები! – ყრუ ტკივილით ამოიკვნესა წყარომ, – რაც ადამიანმა გაჩანაგება უწყო ტყეებს, – გვალვას თავი ვერ დავახწიე. ლამის მთლად ამოვშრე“; „– ვიშ, ვიშ, რა ბედნიერი დღე გავვითენდა. –ახლა მაინც თავისუფლად დავიზრდებით. – ძლივს მოგვიჩებიან ცულისგან დაჩნეული იარები“; „– გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯდულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, – დაიკვნესა თრიმლმა და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აექცივნა“; „– რა გინდა, ადამიანო, რამ გაგაავზინაან? რას დაემებ ჩემს შვილებს? მე მომჭერდა გაათავე... – ავაპმე, ქერქი გამომიხრეს მწერებმა, – მოთქვამდა მეორე ხე“...

საინტერესოა მსაზღვრელებად, ეპითეტის ფუნქციით გამოყენებულ ფორმები: „– რა ვქნა, რას ჩამოგვეკვიდა ეს **სატიალე ქარი**“; ნახევრად **გამლხვალი ყინული**“; „ზამთრისაგან **გამრცვნილ ბუნებას**“; „– რა საშინელია **გაფხავებული ცულის** შემოქნევა, ძლივს წამოიკვნავლა შიშისგან ელდანაჭამმა მურყანმა“; **სახეაყინედილებული ბავშვები**; მოუყარა **აფურტკულ აზრებს** თავი...

ეფექტური და ემოციურია ზმნა-შემასმენლები: **შებუნზლულან, ჰქროლავს; – სად დაპკრიფეთ?; აუშარიშურდა; დაათავა; წამოყუნდა; გამოელამუნა...**

დიალექტური ფორმების კვალი გასდევს დავით თურდოსპირელის პოეზიასაც, რომელიც, მისივე თქმით, „ნორჩ თაობას“ უძღვნა. მწერალი, არღვევს რა სალიტერატურო ენისათვის მახასიათებელ ფიქსირებულ ნორმას და გვთავაზობს არანორმირებულ სიტყვას ან რაიმე ენობრივ მასალას, მათ ნათლად სტილისტიკური ელ-

ფერი ეძლევა, რაც, უდავოდ, რიტმისა და რითმის შექმნა-შენარჩუნებასა თუ სალექსო ექსპრესიის მიღწევას განაპირობებს:

„– ვიშ, ქა... ვიშ, ქა... დამთბარა!
ამბობს ის ალტაცებით,
თან დილის მზის სხივებსა
სვამს სათუთი თასებით“ /ენძელა/

„ავზნიან ზამთარს დამბლა დაეცა,
ველარცა ჰსუსხავს, ველარცა ჰბერავს.
მის სიმაბუნეს დასცინის ზეცა
და იმის ნისლებს სხივებით ჰსერავს“ /ვაშა გაზაფხულს/

„ჩიტუნიებს თავები
ფრთებში შეუფუთნიათ,
ზვრებში თოვლის საბანზე
ბაჭიებს უბუქნიათ. /ნუ, ნუ მოჰკლავ, მამილო!/

„გარიჟრაჟი პაწა ბავშვებს
მოეფინა ციმციმითა,
ჩაჰკოცნა და ჩასჩურჩულა
საიდუმლო ტკბილი ხმითა:
– პუტკუჩელა მალხაზებო,
გაიღვიძეთ, ხარობს დილა,

ჩქარა, ჩქარა პაწაწებო,
გაიღვიძეთ, კმარა ძილი,
რა ხანია, თქვენ მოგელით
მდელი, ტურფად გადაშლილი“ /მიპატიჟება მდელიზე/

„შენ, დილის მზეო, ლამაზო,
ლალისფერ-სხივებიანო,
პატარა გლეხი მოგმართავ,-
ამო, არ დაიგვიანო.“ /კალოსპირული/

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში დიალექტური ნიმუშები საკმაოდ გემოვნებითაა მიმობნეული; ისინი ძალზე ორგანულადაა ტექსტში ჩაქსოვილი

და ზოგჯერ შეუმჩნეველიც კი რჩება მათი დიალექტურობა, თუმცა-ცხადია, მხატვრული ფუნქციურობა, რასაც შესაშურად ახერხებს მწერალი და გვავესებს რა ემოციით და ცოცხალი, მძაფრი შთაბეჭდილებებით, შესანიშნავად ასხამს ხორცს საკუთარ იდეას და ქმნის ინდივიდუალური ხელწერას.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2022 – გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, #8. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი.

ზვიადაძე 2023 – თ. ზვიადაძე, მწერლის ენობრივ-შემოქმედებითი სამყარო. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

საანალიზო წყაროები

თურდოსპირელი 1961– დ. თურდოსპირელი, არაზინდო, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი.

თურდოსპირელი 1947 – დ. თურდოსპირელი, საბავშვო მოთხრობები, საბლიტგამი, თბილისი.

თურდოსპირელი 1933 – დ. თურდოსპირელი, ეპიზოდები ახალგაზრდათა ცხოვრებიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1933.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

დიალექტიზმების საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

ქართულ მწერლობაში ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველია, ვინც დიალექტიზმებს მხატვრულ-სტილისტური ფუნქციით გამოიყენებს; მწერალს აქვს თავისი პრინციპები ამ მოვლენისადმი დამოკიდებულებისა; ამ მხრივ იგი განცალკევებითა დგას ქართულ მწერლობაში...

დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით, ილიას ნაწარმოებები სამ ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა) „ოთარაანთ ქერივი“, „სარჩობელაზედ“, „გლახის ნაამბობი“...

ბ) „აკაცია-ადამიანი?!“, „გლახთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“, „მაჭანკალი“...

გ) „მგზავრის წერილები“.

თუ რამდენად სერიოზულად მიიჩნევს ილია ჭავჭავაძე ხალხური მეტყველების ფაქტებს; როგორია მისი მიდგომა ზეპირმეტყველებაში გავრცელებული პარალელური ვარიანტების მიმართ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით მრავალგზისობის (ხოლმეობითის) გამომხატველი ფორმების ანალიზის საფუძველზე.

გავიხსენოთ, მრავალგზისობის გამოხატვის რა საშუალებები არსებობს ილიასდროინდელ კახურში; ანუ როგორი არჩევანი აქვს მწერალს და, შესაბამისად, რას ანიჭებს უპირატესობას.

ეს ფაქტი ამ შემთხვევაში პრინციპულად გვეჩვენება.

XIX საუკუნის კახურში მრავალგზისობა რამდენიმე საშუალებით გამოიხატება:

კახური დიალექტის აღწერისას შენიშნავდნენ, რომ „ხოლმეობითის არქაული -**ო** სუფიქსიანი წარმოება მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ქიზიყურში“ (ჯორბენაძე 1989, 329). იქვე აღნიშნავდნენ, რომ „ქიზიყურშივე გვხვდება ხოლმეობითის -**ყე/(-კე)** ფორმანტიანი წარმოება დაერთვის ხოლმეობითისავე ფორმებს... ხოლმეობითის გამოსახა-

ტავად **-ყე/(-კე)** გამოიყენება გარეკახურშიც, მაგრამ აქ იგი დაერთვის იმ პარადიგმებს, რომლებთანაც აღწერთი წარმოებისას „**ხოლმე**“ იხმარება“. ასეთივე დასკვნა კეთდებოდა მონოგრაფიაში „ქართული ენის კახური დიალექტი“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956); კახური მეტყველება საინტერესოდ არის ასახული „კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტებში“ (იხ.: გოგოლაშვილი, ყანდაშვილის 2020).

ეს „დოკუმენტები“ ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ილიასდროინდელი კახურის მასალაა (ტექსტები ჩაწერილია XIX საუკუნის 40-იან წლებში)...

ამ მასალის მიხედვით გაირკვა: მთელ კახეთში ხალხურ მეტყველებაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე მეტად გავრცელებულია მრავალგზისობის გამოხატვის ძველი ქართულისებური ორგანული წამოება. რამდენიმე მაგალითი შიგნიკახური მეტყველებისა:

ჯარი რომ **დავარდის**, კაცი **შააბიან** და მრავალი **ჰსცემდიან**. ურემი **გატყდის**, კაცს **სცემდიან**; ჯარი ურმიდან **გამოუშვიან**, ურემზე **დააბიან** და ბალახი არ **აძოვიან**. პირუტყვზე ეს ურჯულოება **იჯმარიან**... საქონელი მრავალჯერ დაგვივარდებოდა გზაზე შიმშილით და სიცივისაგან და **ვიქირავით** სხვა და, ვისაც ის დავარდნილი ჯარი **მივაბართი**, თუ არ **მოკვდის**, **მივცით** შესანახავი და, თუ **მოკვდის**, რაღას **გამოვრჩებოდით**?... და სხვა...

პარალელურად გვხვდება ახალი ქართულისებური გამოხატვა მრავალგზისობისა უწყვეტლის მწკრივის ფორმით; ისევ „დოკუმენტები“:

მოვიდიან იასაულნი, სმიდენ და **სჰამდენ** და **გცემდენ**... ხარი დაწვის და კაცს **გვაბამდა**, ექვს შაურათ პურს **ვციდულობდით** და ის ორ შაურს **გვამლევდა**... და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ XVII საუკუნიდან შემოდის „ხოლმე“ ნაწილაკიანი წარმოება. „აჯანყების დოკუმენტებში“ გვხვდება „ხოლმე“ ნაწილაკიანი ფორმებიც:

ჩვენი საჩივარი უნდა **შესრულებულიყო ხოლმე** ექვს თვესა... კმაყოფილების მოცემის მაგიერ **დაგვიჭერდა ხოლმე** და ჩაგვყრიდა ყარაულში... რაც თავიანთი გათიბული თივები **აქეთ ხოლმე**... და სხვა...

„აჯანყების დოკუმენტებში“ არ დასტურდება **-ყე/(-კე)** ნაწილაკიანი წარმოება, თუმცა მწერალ **მელანთას** (1853-1921 წ.წ. შიგნიკახეთი, მელანთი) შემოქმედებაში ხშირად იხმარება პერსონაჟთა მეტყველებაში:

აგრე **იტყოდა-ყე** ის საცოდავი; ყველაზე წინ **გაგარდებოდი-ყე** ციბრუტივითა; რასაც გარგებენ, დიდხანს **გაგყვება-ყე** ისა; კიდევაც **გვეხუმრება-ყე** ჩვენ...

კახურ დიალექტურ ტექსტებში დადასტურებულია „**ხოლმე**“ ნაწილაკის „**ხომე**“ ვარიანტიც (ხ. ყანდაშვილი):

მამაჩემი **იტყოდა ხომე...** ილტოს გაღმიდან **გამოდის ხომე...** შიგ **შავიდის ხომე** მგელი ჯოგში...

ასე რომ, XIX საუკუნის კახურში მრავალგზისობის გამოხატვის რამდენიმე საშუალება არსებობს:

1. ხოლმეობითის მწკრივები (ძველი ქართულისებური წარმოება);
2. **-ყე (/ -კე)** ნაწილაკიანი წარმოება,
3. **ხოლმე** ნაწილაკიანი წარმოება,
4. **ხომე**, ვარიანტი „ხოლმე“ ნაწილაკისა,
5. უწყვეტლის მწკრივი,
6. ლექსიკური საშუალებები (ყოველთვის, ყოველდღე, მუდამ, მრავალგზის...)...

მე-3, მე-5 და მე-6 ვარიანტები მრავალგზისობის გამოხატვის „ზოგადი“ (სალიტერატურო) ვარიანტებია XIX – XX საუკუნეებისა; 1-ელი, მე-2 და მე-4 კი – დიალექტური ვარიანტები. როცა ვსაუბრობთ დიალექტიზმების მხატვრული დანიშნულებით გამოყენებაზე, სწორედ ეს ვარიანტები გვაქვს მხედველობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ილიასდროინდელ კახურში ფართოდაა გავრცელებული ხოლმეობითის მწკრივები, პროზაიკოსი ამ ფორმებს არ იყენებს მხატვრულ ნაწარმოებში; თუმცა რ. ერისთავთან საკმაოდ ხშირადაა ხმარებული, მაგრამ არა როგორც მიზნობრივი დიალექტიზმი, არამედ სალიტერატურო ენაში დასაშვები ვარიანტი (როგორც ჩანს, უფრო არქაიზმად გაიაზრება – იყენებს, ჩვეულებრივ, ისტორიულ პოემაში, თუმცა არა მხოლოდ...).

ილიასთან არ გვხვდება არც **-ყე/(-კე)** ნაწილაკიანი ხოლმეობითი... თუმცა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე მწერლების მეღანასა და დ. მაჩხანელის ნაწერებში გვხვდება.

როგორცა ვნახავთ, ილია დიალექტიზმებს გამოიყენებს, მაგრამ ამათგან – არც ერთს... ამ დროს გლახა ჭრიაშვილის მეტყველებაში ხოლმეობითის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენებს „ხოლმე“ ნაწილაკის ფონეტიკურ ვარიანტს **„ხვალმე“**.

კიდონ ბატონი **წამცდება ხვალმე**.

ყველაფერს მალე **დავიჯერებთ ხვალმე**....

რა ფორმაა „ხვალმე“? „სცენებში“ მიზნობრივად გამოყენებული სხვა დიალექტიზმებისაგან განსხვავებით (**მენა, მხედამთ, კიდონ, ზმანე, მამცე და სხვა**), **ხვალმე** არ ჩანს ბუნებრივი ფორმა; **ოკა-ზიონალური ფორმაა**. დიალექტოლოგიურ ტექსტებში თუ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფორმა ვერსად დავადასტურეთ... მაგრამ იგი აშკარად ქმნის გარკვეული დიალექტური მეტყველების ეფექტს...

რა გამოდის? ილია მრავალგზისობის გამოსახატავად მხოლოდ სალიტერატურო ფორმებს მოიშველიებს და უცნაურად მოსაუბრე ჭრიაშვილს **ხოლმეს** (ამ „წიგნური ხოლმეობითის“) ფონეტიკურ ვარიანტს (**ხვალმე**) თუ ათქმევინებს... ცხადია, მიზანმიმართულად: ჭრიაშვილი ცდილობს, „განათლებული“ კაცის ეფექტი მოახდინოს; ითამაშოს „განათლებულობა“; გავიხსენოთ მისი ფრაზები: **„განა ზაკონის კანონი ჩვენ კი არ ვიცით... ლამაზად კი დავიწყე... ჩვენს სოფელში სიტყვაპასუხიანს კაცს მემახიან...“** და „ხოლმეთი“ ცდილობს ლაპარაკს... – ილუზია განათლებულის საუბრისა!..

თუ ეს ასეა და კანონზომიერი **ხოლმე** ნაწილაკის გვერდით მწერალი ქმნის **ხვალმე** ვარიანტს, უაღრესად საინტერესო შემთხვევაა... უწიგნური კაცის სურვილი – მოაჩვენოს თავი „სიტყვა-პასუხის“ კაცად, ამგვარ ეფექტს ამ ერთი **ოკაზიონალური** ფორმითა ქმნის! ეს არ არის ფორმის „გამოგონება“; სხვა დიალექტური ფორმების ანალოგიით კეთდება „ილუზიური“ ფორმა... „ხვალმეს“ შექმნის საფუძვლის ძებნა ძნელი არ იქნება: ილიასთვის „კარგად ნაცნობ“ მოხეურში დადასტურებული ფორმების ანალოგია გამოდის: გივარგი (< გიორგი), ვანისე (< ონისე), ვართითი (< ორთითი), მინდვარი (< მინდორი) (ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი,

1985, 18). ამ ფორმათა მიმსგავსებით ქმნის დიალექტური მეტყველების ილუზიას...

ხოლმეობითის ვარიანტებს რომ დავუბრუნდეთ, პროზაიკოსისათვის პირველი და მეორე მიუღებელია სტილური ფუნქციითაც; როგორც ჩანს, ერთს არქაიზმად აღიქვამს და ამიტომ „გაუნათლებელ პერსონაჟს“ არ შესთავაზებს; -ყე ნაწილაკი კი მკვეთრი დიალექტიზმია და კონინეს პრინციპი „აიძულებს“, უარი თქვას მასზე...

მე აგრე დავინახე; ასეა ვითომ?..

* * *

ილია ჭავჭავაძის არაპოეტური ნაწერები დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით პირობითად სამად დავყავით. პირველ ჯგუფში „ოთარანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“ და „გლახის ნამბობი“ წარმოვადგინეთ. ეს მოთხრობები ენობრივი თვალსაზრისით (დიალექტიზმების გამოყენებას ვგულისხმობ) ერთნაირია; ავტორისა და პერსონაჟების მეტყველება ამ მხრივ არ განსხვავდება; გასაგებია: ნაწარმოების იდეურ-თემატური მიზანდასახულება „არ საჭიროებს“ დიალექტიზმებს.

სულ სხვა ვითარებაა „კაცია-ადამიანში“. მწერალი თავიდანვე ქმნის შთაბეჭდილებას ლუარსაბის „გონებრივი ავლა-დიდების“ შესახებ; წარმოდგენას მისი „განათლებულობის“ თაობაზე:

ერთი მხრივ, სიტყვიერი კომენტარები – „სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა... ეგ ეხლანდელი ჭირიაო, (...) თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალეზაო... რაც ეს რაღაც ემმაკური სკოლები შემოიღეს... მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ?... წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა...“

მეორე მხრივ, – ეპიზოდები ლუარსაბის „განათლებულობისა“ და „განსწავლულობის“ მაუწყებელი (ბუზების თვლისა, სამყაროს შესახებ მსჯელობისა, მკითხველთან საუბრისა და ა. შ...).

ასე რომ, მწერალი მუდმივად მინიშნებას ლუარსაბის „გონებრივ ავლა-დიდებაზე“ სიტყვიერი კომენტარებით, „სახალისო“ ეპიზოდებითა და...

მესამე მხრივ, დიალექტიზმებით. ამიტომაცაა, რომ გზადაგზა ლუარსაბს (ზოგჯერ დარეჯანსაც) დიალექტიზმებს წარმოათქმევინებს:

„შენ არ **მამიკვდე**, ის კარგი მამა არ წამიწყდეს... მაშ, **ქა!** ფულს ისე ვინ ანდობს!.. **მითამ** რაში დავიწუნებ?.. რა, ბრძნად ხომ არ **დავსომ?**.. მე არას **მამცემს**... შენ ნუ **მამიკვდები**... ახლა მაგითი გინდა **მამატყუო**, განა... თავი არ **მამიკვდება**... შენც არ **მამიკვდე!**... ეხლა ჯანი აღარ **მამდევს**... **შობე**, დავითის გამოჯავრებით **შობე!** – **ვშობამ**, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს...“ და სხვა.

საინტერესოა: ეს დიალექტური ფორმები არ გვხვდება არც იმ პასაჟებში, როცა კომენტარები კეთდება სწავლა-განათლებაზე და თითქმის არც „ინტელექტუალური“ საუბრების ეპიზოდებში; ცხადია, სამივე ეს „ხერხი“: სიტყვიერი კომენტარები (1), „ინტელექტუალური საუბრები“ (2) და დიალექტური ფორმები (3) ავსებს ერთმანეთს და განაწილებულია მთელ ნაწარმოებში – მუდმივად რომ იყოლიოს მკითხველი ამ შთაბეჭდილებაში...

თუნდაც ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, მწერალს ენის გრძნობა რომ უაღრესად აქვს განვითარებული; ენის ცოდნა... ამაზე მსჯელობაც კი უხერხული მეჩვენება, მაგრამ ენის ნიუანსების წვდომის ერთ ფაქტს მაინც მივაქცევ ყურადღებას:

„დედაენა“ რომ გამოვიდა, დიმიტრი ყიფიანმა (რომელიც ქართული ენის უბადლო მცოდნედ შეირაცხებოდა მე-19 საუკუნეში) იაკობ გოგებაშვილს ასეთი შენიშვნა მისცა: „დედაენაში“ „გეთაყვა“ და „გენაცვა“ არის არეულიო: „**გენაცვას** ქალი იტყვის და არა ვაჟი. ვაჟი იტყვის **გეთაყვაო**“. ეს რომ წავიკითხე, ამის შემდეგ მივაქციე ყურადღება „კაცია-ადამიანში“ ამგვარ ფაქტებს:

„– ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ **გენაცვალოს** ჩემი თავი, – მიუგო **კნეინამ**.

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, **გეთაყვანე!** დედაკაცობაც ეგ არის!“ – ილია ჭავჭავაძის ენის ანალიზისას ასეთ ფაქტებს ყურადღება არ მიჰქცევია... არადა საინტერესოა: ხალხურ მეტყველებაში დადასტურებული ქალისა და მამაკაცის მეტყველებას შორის არსებული განსხვავების ფაქტები თუ რა სიზუსტით დაუცავს ილიას მოთხრობაში... (სხვათა შორის, ამის თაობაზე მივუთითებდით დავით კლდიაშვილის ენაზე დაკვირვებისას. იქ სხვა ფაქტებზეა საუბარი)...

ილია ჭავჭავაძის მიერ დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით, „კაცია-ადამიანის“ მსგავსი ვითარებაა „სცენებშიც“; ამ

მხრივ იქ ძირითადად აქცენტირებულია გლაზა ჭრიაშვილი. ამიტომ ზემოთ ესეც მეორე ჯგუფში წარმოვადგინე...

მესამე რიგში „მგზავრის წერილები“ მოვათავსე. პირველი შემთხვევაა ჩვენს მწერლობაში, როცა მწერლისა და პერსონაჟის დიალოგში მწერალი სალიტერატურო ენაზე საუბრობს, პერსონაჟი – „წმინდა დიალექტზე“. ამჯერად ნუ განვსჯით, რა დიალექტია ეს (ამის შესახებ ქვევით...). ახლა კითხვასა ვსვამთ: – რას ნიშნავს ეს? „კაცია-ადამიანივით“ რომ ყოფილიყო? – იქ სხვა სათქმელი ჰქონდა მწერალს; სხვაგვარია მისი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ: ეთანხმება, თანაუგრძნობს, პატივსა სცემს და სამაგალითოა მისთვის. გავიხსენოთ – „მიგიხვდი, ჩემო მოხვევ“... ესაა ილიას ფიქრი: **დიალექტის ერთგულება კუთხის, ქვეყნის ერთგულება, წინაპრებისა და ისტორიის პატივისცემა და თაყვანება...** კიდევ რა თქვა ამ გმირის შემოყვანით, რაზე მიგვანიშნა?

გავიხსენოთ მოთხრობა: მწერლის მამულს გული გასცივებია, ერთობა დაკარგულა; იჩაგრება მისი ქვეყანა... ვისგან?

ნაწარმოებში სამი ეპიზოდი:

პირველი – ფრანგისა. მთავარი სათქმელი ამ შემთხვევაში: ევროპასთან შედარებით რუსეთი საოცრად ჩამორჩენილია; რუსეთის ცივილიზაციის დონე, მისი „მიღწევები“ სასაცილოდ არ ჰყოფნის ევროპელს... აი, ეს ქვეყანა ჩაგრავს მწერლის მამულს...

მეორე – რუსი ოფიცრის ეპიზოდი... ლარსში ვდგავართ, როტა მაბარიაო, ამბობს რუსი. ანუ: ოფიცერია (სამხედრო განათლება აქვს), ასეულის უფროსია... ის განაგებს ადგილობრივების ბედს... როგორია მისი აზროვნების ლოგიკა, შეგნების დონე, განათლება, მორალი? ილია ჭავჭავაძე საოცრად „დაუნდობელია“ ამ პერსონაჟის მიმართ გაიხსენეთ პასაჟები...

რა გამოვიდა? ევროპასთან შედარებით სასაცილო მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა და მისი ამორალური, დაბალი ზნეობის უაღრესად ალოგიკური აზროვნებისა და შეგნების, გაუნათლებელი ჩიონოვნიკები ჩაგრავენ ლელთ ღუნიას ქვეყანასა და მის ხალხს.

აი, აქ დასჭირდა მწერალს ლელთ ღუნია, როგორც ღირსეული წარმომადგენელი თავისუფლებისმოყვარე, მართალი, მშრომელი,

შეგნებული ხალხისა... ამ ეპიზოდში ენობრივად საგანგებო მდგომარეობაა; პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს. ესაა, ცხადია, მიზნობრივი გამოყენება დიალექტიზმებისა: მწერალი მიგვანიშნებს, რომ ეს ის კაცია, რომელიც ხევს არ გასცილება, წიგნი არ უნახავს, არავითარი განათლება არ მიუღია... მაგრამ ფაქტია, თავისი შეგნების დონით, ლოგიკური აზროვნებით, ცხოვრებისეული სიბრძნით ათი თავით მაღლა დგას „განათლებულ“ რუსის ოფიცერზე... ილიას აზრით, ესაა ეროვნული უბედურება, რომ ეს მოხვეე იმ რუსისგან იჩაგრება... ამ ეფექტის მისაღწევად დასჭირდა პროზაიკოსს დიალექტიზმების გამოყენებაც.

სამი განსხვავებული შემთხვევა („ოთარანთ ქვრივი“... „კაცია-ადამიანი?!“... „მგზავრის წერილები“). სად იჩენდა მწერალი „ზომიერებასა“ და სად – არა? ცხადია, ყველგან ზომიერია, გააჩნია მიზანდასახულობას...

ვთქვი ზემოთ – ილია ჭავჭავაძე ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი პირველია, ვინც დიალექტიზმებს გამოიყენებს მხატვრულ-სტილისტური ფუნქციით-მეთქი... შთამბეჭდავი „დასაწყისია“...

გაგრძელება – ვფიქრობ, ასევე ღირსეული...

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, ყანდაშვილი 2020 – გ. გოგოლაშვილი, ხ. ყანდაშვილი, კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მნიშვნელობა კახური დიალექტის ისტორიისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIV, თბილისი.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 – ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

ქავთარაძე 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

ნ ა ტ ა ლ ი ა ზ უ მ ბ ა ძ ე

ქართული ტრადიციული მუსიკა აუდიო გამოცემაში „ერთიანი საქართველო“

წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოგიდგინოთ აუდიოგამოცემა „ერთიანი საქართველო“, რომელიც მოამზადეს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებამ და გრიგოლ ჩხიკვაძის სახელობის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორიამ 2023 წელს. გამოცემის იდეა კონსერვატორიის იმდროინდელ რექტორს, მუსიკოლოგ ნანა შარიქაძეს ეკუთვნის, შემდგენელ-რედაქტორი ჩემთან ერთად არის ეთნომუსიკოლოგი ქეთევან მათიაშვილი, ბუკლეტის შესავალი წერილის ავტორი კი მე ვარ.

„ერთიანი საქართველოს“ გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული ტრადიციული მუსიკის – ხალხური მუსიკისა და საეკლესიო გალობის – მრავალრიცხოვან აუდიოგამოცემათა შორის: იგი გვაცნობს ტრადიციულ მუსიკას დღევანდელი საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული კუთხიდან, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩანაწერები, სხვებთან ერთად, მსმენელს ერთიანი საქართველოს თითოეული კუთხის მუსიკალურ ტრადიციებს აზიარებს. ამ მხრივ გამოცემას ანალოგი არ ეძებნება.

კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებისა და ლაბორატორიის ბოლო წლების აუდიოგამოცემების მსგავსად (მხედველობაში მაქვს: სამდისკიანი ალბომი „აღმოაჩინე საქართველო ტრადიციული მუსიკით“, 2018; ორდისკიანი ალბომი „ქართული ტრადიციული მუსიკის საექსპედიციო ფონოჩანაწერები. გრიგოლ ჩხიკვაძე“, 2021 და ორდისკიანი წიგნაკი „ქართული ტრადიციული მუსიკის საექსპედიციო ფონოჩანაწერები. ოთარ ჩიჯავაძე. აფხაზეთი-1970. ოჩამჩირისა და გალის რაიონები“, 2023), წინამდებარე გამოცემაც მხოლოდ საექსპედიციო მასალით არის შედგენილი. ჩამწერები არიან ქართული ტრადიციული მუსიკის მოამაგეები: გრიგოლ ჩხიკვაძე (1900-1986), ვლადიმერ ახოზაძე (1918-1971), ოთარ

ჩიჯავაძე (1919-1998), მინდია ჟორდანი (1929-1979), კახი როსებაშვილი (1930-1988), ედიშერ გარაყანიძე (1957-1998) და თინათინ ჟვანია (1962-2006). საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს ჩატარებულ ექსპედიციებში (გურია: 1949, 1960, 1964, 1965; ხევსურეთი: 1960; სვანეთი: 1959, 1960; ქართლი: 1964, 1978, 1980; ხევი: 1960; იმერეთი: 1967; აფხაზეთი: 1956, 1970; სამეგრელო: 1959, 1960, 1967; რაჭა: 1958, 1962; ლეჩხუმი: 1967; ერწო-თიანეთი: 1959; კახეთი: 1952, 1957, 1962, 1964, 1967; მესხეთი: 2005; გუდამაყარი: 1958; აჭარა: 1958, 1959; მთიულეთი: 1961; ლაზეთი: 1973; თუშეთი: 1965; თბილისი: 1962) ჩაწერილი სიმღერა-დასაკრავები თუ საგალობლები კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიის ლაბორატორიის არქივშია დაცული. საექსპედიციო არ არის მხოლოდ იმერული „ნადური“, თუმცა ისიც ავთენტური შესრულების ნიმუშია, რადგან ბორჯომის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის („ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები“, 1986) კონცერტზე სცენაზე პირველად გამოსულმა დუცხუნელმა გლეხებმა (ვანის რ-ნიდან) ისევე თქვეს, როგორც ყანაში ამბობდნენ. საკონცერტო ჩანაწერი დისკში ამ ნადურის იმდროინდელი საექსპედიციო ანალოგის არარსებობის გამო შევიტანეთ. ჩანაწერთა უმეტესობა XX საუკუნის 40-80-იან წლებს ეკუთვნის, მხოლოდ ერთი, მესხური „ოქრომჭედელი“ XXI საუკუნისა (2005).

გამოცემაში ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა კუთხის (მთისა თუ ბარის), სტილის (სოფლური და ქალაქური ხალხური მუსიკის თუ საეკლესიო გალობის), ჟანრისა და ხასიათის, სასიმღერო თუ საკრავიერი დასაკრავით თანხლებული, მრავალხმიანი თუ ერთხმიანი ნიმუშები. ანოტაციებში მოცემულია ერთგვაროვანი ინფორმაცია: ნიმუშის სახელწოდება, რაობა, სადაურობა, შემსრულებელი, ჩამწერი, ჩაწერის ადგილიდაწელი.

ჩანაწერთა მეტი ნაწილი თვითმყოფადი სოფლური ფოლკლორის ნიმუშია, რადგან სწორედ ის არის ქართული ხალხური მუსიკის ქვაკუთხედი. წარმოდგენილი ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულური, გუდამაყრული, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, სვანური, ლეჩხუმური, იმერული, მეგრული, გურული, აჭარული, ლაზური, ასევე, აფხაზური სიმღერები და საკრავიერი ჰანგები საქართველოში ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში ახ-

ლდა გლეხური ყოფის სხვადასხვა მხარეს – შრომას, ლხინს, ქორწილს, რელიგიურ დღესასწაულს, ავადმყოფობას, ღვთის ვედრებას, გლოვასა და ბავშვის დაძინებას.

სოფლური ნიმუშების უმრავლესობა მამაკაცთა სიმღერაა, რაც ბუნებრივია – ისინი შეადგენს ქართველი ხალხის სასიმღერო რეპერტუარის უდიდეს და, ამავე დროს, განსაკუთრებით მრავალფეროვან და განვითარებულ ნაწილს. ზოგი კუთხისთვის ტრადიციულ ლოკალურ ჟანრებთან ერთად (ხევსურული „ლექსობა“ ფანდურის თანხლებით, ფშაური გალექსება, სვანური წმ. გიორგის საგალობელი) აქ გვხვდება ბევრად უფრო ფართოდ გავრცელებული ჟანრებიც: საფერხულო, საცეკვაო, შრომის, მაყრული, სუფრული, საშობაო და საადდგომო. საფერხულო ჟანრს ძირითადად სარიტუალო ფერხულები („ლაჟღავშ“, „გერგეტულა“, „ოქრომჭედლო“, „ჯგორის წინასა“) გვაცნობს, შრომისას – თოხნური სიმღერები. თოხნის კოლექტიური პროცესის თანმხლები ნადური სიმღერის რამდენიმე ნიმუშით გვინდოდა მსმენელს გარკვეული შთაბეჭდილება შექმნოდა არა მხოლოდ ამ დასავლურქართული ჟანრის სხვადასხვა კუთხის ნიმუშებზე (ლეჩხუმური „ბიჭებო, ვთოხოთ სიმინდი“, აჭარული/ქობულეთური „ბერიკაცი, ჩაჩნაბერი“, იმერული „დათვმა ლხინი გადიხადა“ და გურული „ჩოჩხათურა“), არამედ ქართველთა ყოფაში შრომაში ურთიერთდახმარების ტრადიციის მნიშვნელობასა და თავად სასიმღერო ჟანრის განვითარებაზე შედარებით მარტივიდან ურთულესამდე.

მამაკაცთა განვითარებული სიმღერების გვერდით გამოცემაში წარმოდგენილია ბევრად უფრო კონსერვატიული ქალთა სიმღერებიც. სახადის სამკურნალო „ბატონების ნანინა“, ბავშვის დასაძინებელი „ნანე“, მიცვალებულის დაკრძალვის დღეს სათქმელი „ზრუნი“ და ღვთის სადიდებელ-სავედრებელი „იავნანა“ ქართულ რეპერტუარს განსხვავებული, მხოლოდ ქალთა სიმღერებისთვის დამახასიათებელი ფერებით ამდიდრებს.

ცალკე აღვნიშნავ ნიმუშებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 1956, 1970 და 1978 წლებშია ჩაწერილი. ორი მათგანი – საქორწილო სახუმარო „უარი-დადა“ (ოჩამჩირის რ-ნი, სოფ. ღვადა, 1970) და მწყემსური ჰანგი აჭარპანზე „ფარის ძოვება“ (სოხუმი, 1956) – ქართულთან

მჭიდრო ურთიერთკავშირის მქონე აფხაზურ ხალხურ მუსიკას წარმოგვიდგენს. გალის რ-ნის სოფ. თაგილონში ჩაწერილი „ვოლსა. ჰარირა“ (1970) მეგრული საცეკვაო სიმღერის ტიპური ნიმუშია, ხოლო ცხინვალში ჩაწერილი საადღგომო „ჭონა“ და მკის „ჰერიო“ (1978) – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ამავე სახელწოდების სიმღერების ტიპური ქართლური ვერსიები.

ხალხურ მუსიკაზე რამდენადმე სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად გამოცემაში ქალაქური ფოლკლორის სიმღერებიც შევიტანეთ – მუსიკა ხომ ქალაქური ყოფის განუყრელი ნაწილიც იყო. თვითმყოფადი სოფლური ნიმუშების გვერდით აღმოსავლური და დასავლური შტოების ქალაქური სიმღერები აზიური და ევროპული კულტურების გავლენას ასახავს. აღმოსავლურ შტოს გვაცნობს კასპის რ-ნის სოფ. ერთაწმინდის მკვიდრის მიერ საუცხოოდ ნამღერი „ერთი არის“, ხოლო დასავლურს – შესანიშნავი მომღერლების, დები იშხნელების შესრულება. ამ შტოს ერთი ნიმუში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პოპულარული და უცხოელთათვის საქართველოსთან ასოცირებული, ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის(1874-1948) „სულიკოა“.

შემთხვევითი არ არის, რომ ნიმუშების უმრავლესობა გამოცემაში სიმღერას წარმოადგენს – ქართულ ხალხურ მუსიკაში წამყვანი სასიმღერო საწყისია, ხოლო საკრავიერ მუსიკას მასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ შერჩეული ჩანაწერებიც საკმარისია ქართველთა ყოფაში საკრავის ადგილის, ინსტრუმენტული აზროვნების, გემოვნებისა და ოსტატობის შესაფასებლად. სახეზეა სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ტრადიციული საკრავები და რეპერტუარი: ფანდური ხევსურულ და გუდამაყრულ სიმღერებში, ჩანგი – სვანურში, გიტარა – ქალაქურში; აჭარპანი აფხაზურ მუსიკაში, გარმონი – თუშურში, გუდასტვირი – ქართლურში, ლარჭემი – მეგრულში, ჩონგური – აჭარულში, ჭიანური – რაჭულში.

ხალხურ მუსიკას გვერდს უმშვენებს თვითმყოფადი საეკლესიო გალობაც, როგორც განუყრელი ნაწილი საეკლესიო ღვთისმსახურებისა, საბჭოთა პერიოდის გამოკლებით. საგალობელთა საექსპედიციო ფონოჩანაწერები ნაკლებად მოგვეპოვება, ამიტომ მათი რიცხვიგამოცემაში ბევრად ჩამორჩება ხალხური მუსიკის ნიმუშები-

სას. ნატივ და დახვეწილ, მაღალი გემოვნებით გამორჩეულ ქართულ სამგალობლო ტრადიციას წარმოგვიდგენს ყოფილი მგალობლების მეხსიერებას შემორჩენილი ორი ნიმუში – 1949 წელს ჩაწერილი „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ“ და 1967 წელს ჩაწერილი „შენ ხარ ვენახი“, რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სკოლების (შემოქმედის სკოლა და კარბელაანთ კილო) თავისებურებებს ასახავს. საეკლესიო საგალობლებთან ერთად გამოცემაში შევიტანეთ საერო, სალხინო საგალობელიც – „სადღეგრძელო“, რომელიც საეკლესიოსგან ძირითადად ვერბალური ტექსტით განსხვავდება.

შიძობეა ითქვას, რომ აუდიოგამოცემა მაქსიმალურად სრულად ასახავს ქართული ტრადიციული მუსიკის ბუნებას მისი უმთავრესი მახასიათებლების ფართო სპექტრით: ხალხური მუსიკით და საეკლესიო გალობით, დიალექტებით და სამგალობლო სკოლებით, სოფლური და ქალაქური ტრადიციებით, სასიმღერო და საკრავიერი მუსიკით, მამაკაცთა და ქალთა რეპერტუარებით, ჟანრებით, მრავალხმიანი და ერთხმიანი მღერით, შესრულების ფორმებით და მანერით.

სხვადასხვა კუთხის სიმღერა-დასაკრავებს/სამგალობლო სკოლის ნიმუშებს აერთიანებს საერთოქართული ძირი და წარმომავლობა, ზოგადქართული მუსიკალური კანონზომიერებები, რომლებიც ორგანულად ერწყმის კონკრეტული კუთხის/სამგალობლო სკოლის ლოკალურ კანონზომიერებებს.

ქართული ტრადიციული მუსიკის შეუდარებელი თვითმყოფადობა – დიალექტების/სამგალობლო სკოლების სიჭარბე, მრავალხმიანი აზროვნება, მრავალხმიანობის ტიპების სიმრავლე და მათი განვითარების უმაღლესი დონე, ჰარმონიის საოცარი სიმდიდრე, შესრულების ფორმების მრავალფეროვნება, აზრის განვითარების ლოგიკურობა და სიმწყობრე – ეს ყოველივე, როგორც ქართველი ხალხის უზადო მუსიკალური გემოვნების გამოხატულება, ვლინდება სიმღერაშიც, საკრავიერ ჰანგშიც და საეკლესიო გალობაშიც.

აუდიოგამოცემა „ერთიანი საქართველო“ ქართული ტრადიციული მუსიკის გაცნობის, შესწავლა-შესრულებისა და კვლევის იშვიათი სანდო წყაროა. ამგვარი შემეცნებითი, პრაქტიკულ-სამეცნიერო და სამეცნიერო დანიშნულება მას მიმზიდველს ხდის ქარ-

თული ხალხური მუსიკით და საეკლესიო გალობით დაინტერესებული მოყვარულებისა და პროფესიონალებისთვის, ქართველებისა და უცხოელებისთვის. გამოცემაში თავმოყრილი საექსპედიციო ჩანაწერები შეუცვლელი საშუალებაა სხვადასხვა დარგის ქართველოლოგიური კვლევებისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ერთიანი საქართველო 2023 – აუდიოგამოცემა. ნ. ზუმბაძე, ქ. მათიაშვილი (შემდგენელ-რედაქტორები). თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

დაკვირვებანი სოფელ სამთაწყაროს ინგილოურზე¹

შესავალი

ქართული ენის ინგილოური დიალექტზე, ძირითადად, აზერბაიჯანის სამ მუნიციპალიტეტში – კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მეტყველებენ. გამოყოფენ ორ კილოკავს – კაკურსა და ალიბათურს (იმნაიშვილი 1966, ღამბაშიძე 1949, ჯორბენაძე 1989). ერთადერთი სოფელი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ინგილოური დიალექტი არის გავრცელებული, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელი სამთაწყაროა.

ინგილოების პირველი და ძირითადი ნაკადი 1930-იანი წლების დასაწყისში გადმოსახლებულა საქართველოს ტერიტორიაზე კახის რაონის სოფელ ყორაღნიდან. „ყორაღნისანაყარი“ – ესაა თავდაპირველი სახელწოდება, თუმცა შემდეგ სოფელს ეწოდა სამთაწყა-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი HE- 21 – 873).

რო. ინგილოებმა იმჟამად დაუსახლებელ ტერიტორიაზე დააფუძნეს სოფელი. ზეპირი გადმოცემით, სულ 10-იოდე კომლი დასახლდა. 1945 წლისთვის, როგორც გრ. იმნაიშვილი ითვლის, 47კომლი, დაახ. 230 ადამიანი სახლობს (იმნაიშვილი 1966:12).

მიგრაციის მთავარ მიზეზად რელიგიურ შეუწყნარებლობას ა-სახელებენ. ჯერკიდევ მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში არის ცნობები, რომ სოფელ ყორანის მოსახლეობა ქრისტიანებად და მუსლიმებად იყო გაყოფილი. ეს ცნობა მოცემული აქვს გრ. იმნაიშვილს თავის მონოგრაფიაში (იმნაიშვილი 1966:12). ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის შუღლმა ყორანის მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახადა, გადმოსულიყო საქართველოში. სამთაწყარო საქართველოს საზღვართან ბოლო სოფელია. სოფელი ყორანის საზღვრიდან მოშორებით, აზერბაიჯანში, დაახ. 60 კილომეტრში მდებარეობს.

სამთაწყაროს მეზობელი სოფლები უფრო ადრე, მე-20 საუკუნის დასაწყისში გაშენებულა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთიდან გადმოსახლებული ოჯახების წყალობით (ძირითადად, მთიულები, ფშავლები, ხევსურები, გუდამაყრელები). შესაბამისად, ზემო და ქვემო ქედის, არხილოსკალოს მცხოვრები მთიელები იყვნენ ინგილოთა მეზობლები, საბჭოთა პერიოდში სამთაწყარო და არხილოსკალოს 1980 წლამდე ერთი სასოფლო საბჭო და კოლექტივი ჰქონდათ.

როგორც საბჭოთა პრესა წერს, 1980 წელს ამ სოფელში სულ 80 კომლი ცხოვრობდა, თუმცა ეკომიგრანტი აქარლების ჩასახლებამ სოფელი მალე გაიზარდა: 1986 წლის მონაცემებით, სოფელში 310 ოჯახია, ცალკე სასოფლო საბჭო იქმნება (წყარო: საქართველოს ქალი 1986).

ინგილოების მეორე, მცირე ნაკადი 80-იან წლებშიც გადმოსახლდა სამთაწყაროში, ძირითადად, კახის რაიონიდან: ქოთოქლოდან, ალიბეგლოდან და კახიდან. წამოვიდნენ ოჯახებით. გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯანში მიწების უქონლობა იყო, დიდ ოჯახებში ახალშექმნილ ოჯახებს ცალკე გასვლა სჭირდებოდათ და სამთაწყაროს ხელსაყრელი და მისაღები ვარიანტი იყო ახალი ცხოვრების დასაწყებად. სხვა სოფლებიდან გვიან გადმოსული ინგილოები აქარლებთან შერეულად, მეზობლად ცხოვრობენ. სამთაწყაროელი ინგილოები ბოლო წლებამდე მხოლოდ ინგილოებზე ქორწინდებოდნენ, ძირითადად, აზერბაიჯანის კახის რაიონის სოფლებიდან – ქოთოქ-

ლოდან, კახიდან, ალიბეგლოს ინგილოებთან ამყარებდნენ ნათესაურ კავშირს. ბოლო წლებში კი ქორწინდებიან სამთაწყაროელ აჭარლებზეც და არამართო.

მე-20 საუკუნეში დაწყებულმა მიგრაციულმა პროცესებმა განსაკუთრებულად საინტერესო გახადა ჩვენი დაკვირვების ობიექტის – სამთაწყაროელების მეტყველება დიალექტური თვალსაზრისით. მეტყველების თავისებურებას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს: ა) სხვადასხვა კუთხის ქართველების – ინგილოების, ხევსურების, ფშავლების, აჭარლების ერთ არეალში ცხოვრება; ბ) განათლება და, შესაბამისად, სალიტერატურო ქართულის ინტენსიური გამოყენება; გ) არ უნდა დაგვავიწყდეს, ზოგადად, ტელევიზია, ინტერნეტი, რაც, დღესდღეობით, უმთავრესი წყაროა ენობრივი ცვლილებებისათვის.

საკვლევი მასალა და მეთოდოლოგია

სოფელი ყორაღანი დღეს სრულად გააზერბაიჯანელებულია. 2021 წლის მონაცემებით, 1284 კაცი ცხოვრობს, ეროვნება – აზერბაიჯანელი, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია სამთაწყაროელების მეტყველების შედარება ყორაღნის ინგილოურთან. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება თუნდაც ადრეული დოკუმენტური მასალა.

სამთაწყაროს მეტყველებას პირველად აკვირდება გრ. იმნაიშვილი; ის სოფელს 1945 წელს სტუმრობდა და 3 მცირე ჩანაწერი გამოქვეყნებულიცაა როგორც ბეჭდურად, ისე კორპუსულად (corpora.co).

როგორც გრ. იმნაიშვილი აღნიშნავს, ყორაღნის მეტყველება ახლოს მდგარა ალიბეგლოს ინგილოურთან, შესაბამისად, საგულისხმოა, რომ სამთაწყაროელების მეტყველებაც უნდა ხასიათდებოდეს „ალიბეგლოურ თქმასთან სიახლოვით (იმნაიშვილი 1966:12). თუმცა იქვე შენიშნავს, რომ „სამთაწყაროელებს უკვე მალე დასტყობიათ ქართულის, კერძოდ, ქედელთა მეტყველების გავლენა მათთან მჭიდრო და ყოველდღიური ურთიერთობის გამო“ (იმნაიშვილი, 1966:12).

რ. ღამბაშიძე კაკური კილოკავის შესახებ კახში, ალიბეგლოსა და ალათემურში მისი სამეცნიერო მივლინების დროს ჩაწერილი დიალექტური მასალის მიხედვით მსჯელობს. არც ყორაღნის და არც

სამთაწყაროს მოსახლეობის მეტყველება სპეციალურად არ შეუსწავლია.

პირველი დოკუმენტური, ვიდეომასალა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის **ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების** მიერ 2007 წელს ჩაიწერა, ექსპედიცია მ. ბერიძის ხელმძღვანელობითა და მ. ბარიხაშვილისა და რ. პაპიაშვილის მონაწილეობით შედგა. თუმცა მასალა გამოუქვეყნებელია. 2023 წელს მე და მ. ბარიხაშვილი ვესტუმრეთ ს. სამთაწყაროს და ჩავიწერეთ რამდენიმე ინტერვიუ (აუდიომასალა). ვიზიტის მიზანი კონკრეტულად დიალექტური მასალის ჩაწერა არ ყოფილა, თუმცა ინტერვიუებმა სოფლის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებებზე დაკვირვების საშუალება მომცა.

ბეჭდური, ვიდეო- და აუდიომასალის ანალიზით, მეტყველების ნიმუშების ინგილოური დიალექტის კაკური კილოკავის სხვადასხვა თქმის შედარებით ქვემოთ მოცემულია ცდა სამთაწყაროელი მეტყველების თავისებურებების აღწერისა.

პირველ რიგში აღვნიშნავ იმ ძირითად მოვლენებს, რომლებიც აღწერილია სამეცნიერო ლიტერატურაში ინგილოურის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის დახასიათებისას. ჩვენი მასალის მიხედვით ვადასტურებ ან ვაზუსტებ თავისებურებებს და ბოლოს ვცდილობ წარმოვადგინო მეტყველების ერთგვარი შეფასება დიალექტური და სოციოლინგვისტური (მიგრაციული) კონტექსტების გათვალისწინებით. აქვე აღვნიშნავ, რომ, რა თქმა უნდა, საჭიროა უფრო სიღრმისეული კვლევა და მეტყველების დოკუმენტირება თანამედროვე სტანდარტებით გამოვლენილი თავისებურებების ვერიფიკაციისთვის.

ძირითადი დაკვირვებანი

ფონეტიკა

სამთაწყაროელთა ინგილოურში შენარჩუნებულია ქართული ენის ბგერითი ინვენტარი, დიალექტისთვის დამახასიათებელი ყრუ ფშვინვიერი ფარინგალითურთ (ჳ); თუ 1945 წელს ჩაწერილ ტექსტებში უმლაუტიზებული ხმოვნები (რ, უ) სისტემურად არის წარმოდგენილი, 2007 წლის მასალაში ჩანს, რომ იგივე ხმოვნები ნაკლებად გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ პირველი თაობის მიგრან-

ტების შთამომავლებში უმლაუტიზებული ხმოვნები აშკარად გაქრობის გზაზეა, ხოლო იმ სამთაწყაროელთა მეტყველებაში, რომელნიც გამოთხოვილან ან სხვა მიზნით გადმოსახლებულან შედარებით გვიან სამთაწყაროში და ინტენსიური კონტაქტი აქვთ საინგილოში დარჩენილ ნათესავებთან, უმლაუტიზაცია მყარად შენარჩუნებულია.

გრ. იმნაიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში ჩნდება კ-ს ქ-თი ჩანაცვლების ერთეული შემთხვევა: *გააქეთით*. გვიან ჩაწერილ მასალაში მკვეთრისა და ფშვნივიერი ხშულების ამგვარი აღრევა არ ფიქსირდება.

დეზაფრიკატიზაცია, რასაც სპეციალისტები ხშირად მიუთითებენ, ვლინდება. თუმცა ამავდროულად მათ მეტყველებაში ბუნებრივად იხმარება აფრიკატებიც, განსაკუთრებით, – იმ რესპოდენტების მეტყველებაში, რომელთაც განათლება მიუღიათ და სხვადასხვა დაწესებულებაში უმუშავიათ: *ბრინჯ უნდა, გაჟავრდა, ზნაა ვდაგვდით, დაჭკრავდა, უკე გამარჯებულ იყო, მასწავლებელ გაუჯავრდა*.

სამთაწყაროელთა მეტყველების შესახებ გრ. იმნაიშვილი აღნიშნავს, ალიბეგლოურს თუ სტ-, შკ- კომპლექსებით დაწყებულ სიტყვებში დაერთვის წინ ე- ან უ- (ესტაქან, უშკოლაა) აზერბაიჯანულის გავლენით, სამთაწყაროელ ინგილოურში ეს მოვლენა არ ჩანსო (იმნაიშვილი 1966:12). 2007 წლის მასალაშიც და ჩვენი დაკვირვებითაც სიტყვის თავში თანხმოვანთკომპლექსები ჩვეულებრივია. ამასთან, რუსული ბარბარიზმები ნაკლებადლა იხმარება, მოხუცებულთა მეტყველებაშიც კი.

მორფოლოგია

უპირველესად იმ მოვლენებს აღვნიშნავთ, რომლებიც სამთაწყაროელთა მეტყველებას ისევე ახასიათებს, როგორც კაკურის სხვა თქმებს და ქართულის სხვა დიალექტებთან კონტაქტს თუ სალიტერატურო ენას დიდად გავლენა არ მოუხდენია შემდეგ მორფოლოგიურ თავისებურებებზე:

1. მორფოლოგიაში სამთაწყაროელთა მეტყველებაში ბრუნვის ნიშანთა დართვა-დაურთველობა კაკურისთვის დამახასიათებელ კანონზომიერებას მისდევს (ვრცლად იხ რ. ღამბაშიძე, გრ. იმნაიშვილი); აღსანიშნავია ა-ხმოვანზე დამთავრებულ სახელთა უკვეცელობა (ქუათი, ხმათი).

2. სამთაწყაროელთა მეტყველებაშიც ისევე, როგორც სრულად ინგილოურში, ძირითადად, უთანდებულოდ აღინიშნება გამოსვლითის შინაარსი, მხოლოდ მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით: სახლით, წითელწყაროდთ მოვლენ, ჩონ ხელით რა არ გამოსულა;

3. კაკურში გვაქვს ვნებითი გვარის დინამიკურ ზმნებთან მესამე პირში ი- სუფიქსი და შემდეგ -ს ნიშანი: *იქნებ-ი-ს*; ეს მოვლენა სამთაწყაროელების მეტყველებაში ისევე შენარჩუნებულია, თუმცა, რასაკვირველია, -ა-სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება: *ებნების, რჩების*.

4. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, წყვეტილში, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი კაკურ კილოკავში ყოველთვის **ა** არის, იქაც კი, სადაც **ო** არის მოსალოდნელი:

მამათილმა დედამთილითავ გააგდა.

სამთაწყაროელთა მეტყველებაც ამ მხრივ გამონაკლისი არაა.

5. მომავლის წარმოება – დაფიქსირებულია, როგორც პრევერბიანი, კავშირებითით ნაწარმოები, ასევე მიმღეობითა და მეშველი ზმნით შედგენილი მომავალი დროის ფორმები; თუმცა თუ პროცენტულად შევადარებთ მომავლის წარმოების ტიპებს, რასაკვირველია, ძირითადად, ორგანული წარმოების ფორმები გვხვდება, ხოლო მიმღეობური წარმოების კონსტრუქცია იმ შემთხვევაშია გამოყენებული, ჩვენი დაკვირვებით, როდესაც რაღაც მოქმედება დაგეგმილია, მორალური ან სხვა ტიპის დაკისრებული ვალდებულება აქვს ადამიანს, რომ ეს გააკეთოს: *გიორგობას მაასლელ* (გიორგობას მოვა, რადგან სულ იკრიბებიან ხოლმე გიორგობას).

7. თურმეობითის წარმოების თავისებურება შენიშნული აქვს რ. ღამბაშიძეს (ღამბაშიძე 1949:196). გარდა, სამთაწყაროელ მასალაშიც ჩანს თურმეობითის წარმოება აწმყო დროის ზმნურ ფორმაზე დამხმარე ზმნის “ყოფილ” ფორმის დამატებით:

გუთან ჯნავს ყოფილ (იმნაიშვილი), *ქალს სხო გადად უნდა ყოფილ* (იმნაიშვილი), *ცხოვრობენ ყოფილ* (2007), *ვერ იციან ყოფილ* (2007).

საინტერესოა, რომ ყველა შემთხვევაში ამგვარ თურმეობითში გამოხატულია უსრული ასპექტი;

სრული ასპექტისთვის კი ორგანული წარმოება გვაქვს:

მევდან გასულ გარე, მოუყონი (იმნაიშვილი)

რ. ღამბაშიძე ასევე აფიქსირებს პირველ თურმეობითის ფორმაზე “ყოფილ” დამხმარე ზმნის დამატებით თურმეობითის წარმოე-

ბის შემთხვევებს კაკურში. სამთაწყაროელთა მეტყველებაში მსგავსი ფორმები ვერ დავადასტურეთ.

სინტაქსი

სინტაქსის შემთხვევაში უფრო იმ მოვლენებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც სამთაწყაროელ მეტყველებაში თავისებური შეიძლება იყოს და დამატებითი კვლევის საგანი გახდეს:

1. გრ. იმნაიშვილი შენიშნავს, რომ კაკურში არს//არის მეშველი ზმნის ფუძისეული ნაწილის დაკარგვის შედეგად ბოლოხმოვნიან სიტყვებთან -ს გვხვდება: ზროხად არის > ზროხადს; იმავე მოვლენას აღწერს რ. ღამბაშიძეც. ეს მოვლენა სამთაწყაროელ ინგილოურში არ შეგვინიშნავს.

2. შერჩენილია „ქონა“ ზმნის გამოყენება ადამიანის და არაადამიანის კუთვნილების გამოსახატავად. „ჰყავს“ მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც რესპოდენტი სალიტერატურო ქართულით საუბარს ცდილობს: *სამ შვილ მაქ; წყალ არ გოქ.*

სამთაწყაროელში, ისევე როგორც კაკურის სხვა თქმებშიც, კონსტრუქცია ემთხვევა სალიტერატურო ქართულს (სუბიექტი მიცემითში, ობიექტი სახელობითში).

3. როცა საუბარია სხვა შინაარსზე, წადება/წაყვანაზე. მაშინ სულიერი და უსულო დამატების შესაბამისად გამოიყენება ზმნა: *ცხორ მიჰყონდათ ეკლესიაზე.*

5. ბე სუფიქსით ნაწარმოები დამატება მხოლოდ მე-3 სერიის ფორმებთან გვხვდება, იქ სადაც ქართულის სხვა ვარიანტებში -თვის თანდებულია. სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მიცემით ბრუნვის ნიშანი ექნება დამატებას: *ქაციბე მიუცი; თავიბე უთქომ.*

ბე ყველა შემთხვევაში გამოყენებულია -თვის თანდებულის ფუნქციით, განსხვავებით კაკურის სხვა თქმებისგან.

6. გრ. იმნაიშვილი სამთაწყაროელის თავისებურებად ხაზგასმით აღნიშნავს „იცის“ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში გამოყენებას. თუმცა მოყვანილი მაგალითი ტექსტში სხვა კონსტრუქციითაა მოცემული (ერთგვარი ცდომილებაა მაგალითისა და გამოქვეყნებულ ტექსტებს შორის):

მირზა ღდეღ ჰაქიმობას იცოდა

აქ ქვემდებარე სახელობითშია, დამატება – მიცემითში. ბოლო დროის დოკუმენტურ მასალაში „იცის“ ზმნა სალიტერატურო ქართულის მსგავს კონსტრუქციას ქმნის.

ლექსიკა

ლექსიკის თვალსაზრისით, სამთაწყაროულ ინგილოურში ნაკლებადაა აზერბაიჯანული ლექსიკა, რასაც თვითონაც აღნიშნავენ. რამდენიმესაათიან ვიდეომასალაში თითოთოროლა ფორმა თუ დაფიქსირდა, ისიც, ძირითადად, ფორმაუცვლელი სახელები (ბჭოთქმ, ამა). სახელები და, განსაკუთრებით კი, ზმნების ფუძეები ქართულია. როდესაც ვთხოვეთ ადგილობრივებს, დაესახელებინათ რაიმე განმასხვავებელი, მათ მიმართვის ფორმა “ოქრო” დაასახელეს, რომელსაც სამთაწყაროში სულ პირველად დასახლებული ინგილოები იყენებენ, შედარებით გვიან მოსული ადგილობრივებისთვის ამ მიმართვის ფორმის გამოყენება უცხოა.

საინტერესო ჩანს ლექსიკის შერჩევა საუბრისას და მერე „შესწორება“: მაგალითად, რესპოდენტი საუბარში იყენებს სიტყვას „ყმაწულ“, თანამოსაუბრე უსწორებს, „ჩონებურად თქვი, – გადაა“, რესპოდენტიც ერთვება მეორე სიტყვაზე. თუმცა ჩანს, რომ მისთვის „ყმაწულ“ უფრო ბუნებრივია, ვიდრე – ნასესხები „გადაა“.

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ უნდა აღნიშნოს, რომ ზემომოყვანილი დაკვირვებანი არის პირველადი ცდა ერთი კონკრეტული თქმის დახასიათებისა. ენობრივი კონტაქტის შედეგების კვლევა დამატებითი, სპეციალური კითხვარების საშუალებით წარმოგვიდგენია.

გამოყენებული ლიტერატურა

იმნაიშვილი 1966 – გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი.

ლამბაშიძე 1942 – რ. ლამბაშიძე, გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

რეგულარული სემანტიკური გადაწვევისათვის ქართველურ ენებში. 1

რეგულარულია (განმეორებადია, პარალელურია...) სემანტიკური გადაწვევა¹, თუ მსოფლიოს ენებში მისი, სულ მცირე, ორი ერთმანეთთან კავშირის არმქონე შემთხვევა მაინც დასტურდება. ასეთი გადაწვევია, მაგალითად, „თავი“ → „ხელმძღვანელი, მეთაური“ და „კვერცხი/კვერცხები“ → „testiculus/testiculi“, ვინაიდან არა ერთ ენაში „თავისა“ და „კვერცხის/კვერცხების“ აღმნიშვნელი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები, შესაბამისად, „ხელმძღვანელის, მეთაურის“ (ქართ. თავი, სვან. თხჷიმ, სომხ. գլուխ, ინგლ. head...) და „testiculus/testiculi“-ის (ესპ. huevo(s), სომხ. ձու, არაბ. بيضة bayḍa, უდმურტ. пуз, ჩრდილოჩინ. dān, ტაილანდ. khây...) მნიშვნელობებსაც გამოხატავენ².

¹ ინგლ. recurring, recurrent, reproducible, similar, parallesemantic shifts, semantic parallels, parallel sense//semantic developments, რუს. регулярно, регулярно воспроизводимые, повторяющиеся, одинаковые, сходные, параллельные семантические сдвиги (переходы). რუსი აღმოსავლეთმცოდნე ს. ს. მაიზელი ამგვარ გადაწვევებს იზოსემან-ტიკურ მწკრივებს (изосемантические ряды) უწოდებდა (მაიზელი 1983; იხ. ასევე: სტარინინი 1955, 1974, ისაევი 2006); რეგულარული სემანტიკური გადახრების შესახებ იხ.: ზალიზნიაკი 2001, 2006, 2013; ზალიზნიაკი 2008, 2018, ზალიზნიაკი და სხვ. 2012, კოპჩევსკაია-ტამი 2016 და ა. შ. მსოფლიოს ენებში პარალელურ სემანტიკურ ცვლი-ლებათა თავმოყრის მიზნით მასშტაბურ პროექტთა განხორციელების საჭიროებაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან მიუთითებდნენ (იხ., მაგ., შრიოპფერი 1952, ულმანი 1963: 253; ულმანი 1964: 227; ულმანი 1967: 240, ტრუბაჩიოვი 1964/2004: 316 და სხვ.).

² არაერთი მაგალითი აღებულია „სემანტიკურ გადაწვევათა კატალოგიდან“ (<https://datsemshift.ru/>), რომელიც 1998 წლიდან მუშავდება რუსი ენათმეცნიერის ზალიზნიაკის ხელმძღვანელობით (იხ. შნშვნ.1-ში მითითებული მისი ნაშრომები). ასევე უხვად ვსარგებლობდით მაქს პლანკის კაცობრიობის ინსტიტუტის სწავლულ-თა მესვეურობით 3100-ზე მეტი ენის მონაცემთა საფუძველზე შექმნილი „ლექსიკური მრავალმნიშვნელობიანობის მონაცემთა ბაზითაც“ (<https://clics.clld.org/>).

რეგულარული სემანტიკური გადაწვევები არა მხოლოდ ა) ცალკეულ ლექსიკურ (ან გრამატიკულ) ერთეულთა სინქრონიული მრავალმნიშვნელობიანობით შეიძლება ხორციელდებოდეს – როგორც ეს ზემოთ დამოწმებულ მაგალითებშია! – არამედ ასევე ბ) ცალკეულ ენობრივ ერთეულთა დიაქრონიული ევოლუციით¹, გ) მონათესავე ენებში გამოვლენილი კოგნატებითა და დ) ერთი ენის ამოსავალ და წარმოებულ ფორმათა წყვილებითაც, რომელთაგან ერთნი თავდაპირველ მნიშვნელობას გადმოსცემენ, ხოლო მეორენი – მეორეულს, მაგ.: ბ) ლათ. caput „თავი“ → ფრანგ. chef „ხელმძღვანელი“; გ) (ტიბეტურ-ბირმულ ენათა ჯგუფის) კანაურულ და ტანგუტურ ენათაერთი ძირიდან მომდინარე სიტყვები – შესაბამისად, li:ʈ და le, წარმოდგენენ სემანტიკური გადასვლის „კვერცხი“ → „testiculus“ – რეალიზაციას (მატისოფი 2008: 202-203), ისევე როგორც დ) ტაილანდურის khây „კვერცხი“ და მისგან ნაწარმოები ფორმა khây-hám „testiculi“ (სადაც hám სეგმენტი სიტყვის ანატომიური მნიშვნელობით გამოყენებაზე მიუთითებს) (Морев Л. Н. Тайско-русский словарь, М., 1964: 132).

ასეთი გადაწვევები მკვლევართ საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, ერთ მრავალმნიშვნელობიან სიტყვაში გააერთიანონ აქამდე ომონიმებად მიჩნეული ფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმანეთს დაუკავშირონ მონათესავე ენებში პოვნირი ფონოლოგიურად ურთიერთშესატყვისი, მაგრამ განსხვავებული სემანტიკის ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულები. 2013-2022 წლებში გამოქვეყნებულ სტატიათა ციკლში „დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“ ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ამ ხერხს ქართველურ ენებში მოძიებულ,საერთო ძირამდე დაყვანად, მაგრამ მნიშვნელობით დაცილებულ ფორმათა დასაკავშირებლად.

¹ „სინქრონიული პოლისემია და დიაქრონიული სემანტიკური ცვლილება ერთი და იმავე მოვლენის ორი ასპექტია: სემანტიკური ცვლილება – ერთი მნიშვნელობის გადასვლა მეორეში – ჩვეულებრივ მოიცავს პოლისემიის გარდამავალ ეტაპსაც, რომელზეც ფორმას ორივე მნიშვნელობა აქვს“ (ზალიზნიაკი და სხვ. 2012: 634 და იქვე მითითებული ლიტერატურა; იხ. ასევეკოჩევსკაია-ტამი 2016: 1,5 და იქვე მითითებული ლიტერატურა).

სტატიათა ამ ახალ წყებაში ხელახლა მივუბრუნდებით ჩვენ მიერ წინა წლებში გამოვლენილ რეგულარულ სემანტიკურ გადაწვევებს და ასევე წარმოვადგენთ ამ ტიპის გადახრათა ახალ მაგალითებსაც, რომლებზე დაყრდნობითაც ვეცდებით, ერთი მხრივ, მრავალმნიშვნელობიან სიტყვათა ფარგლებში მოვაქციოთ კონკრეტული ომონიმები ცალკეულ ქართველურ ენებში, ხოლო, მეორე მხრივ, დავასაბუთოთ ამა თუ იმ შეპირისპირებულ ქართველურ ფორმათა საერთო წარმომავლობა.

„ჩიტი“ → **„penis“** ბერძნ. πους „ჩიტი; penis“ ესპ. (საუბრ., ჩილე, გვატემალა, მექსიკა, ვენესუელა) pajarito „ჩიტი; penis“ კატალ. pardal „ბელურა; penis“ (<https://dlc.iec.cat/>) იტალ. uccello „ჩიტი; penis“ ებრ. חוּבּוּל būbul „ბულბული; penis“ ჩინ. 鸡 „ქათამი; penis“, (ტაივანი, მაღალიზია, სინგაპური) xiǎo niǎo „penis, სიტყვასიტყვით – პატარა ჩიტი“ მალაიური (და ინდონეზიური) burung „ჩიტი; (საუბრ., ბავშვ., ქალ.) penis“ ტეტუნური (აღმ. ტიმორი; ავსტრონეზიურ ენათა ოჯახი) manu „ჩიტი, ფრინველი; penis“ ... + ქართ. სირი-ი „ჩიტი; penis“

ლ. ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონში“ ლექსემა სირი შემდეგნაირად არის განმარტებული: „ფალოსი (ძველ ქართულში ჩიტს, ფრინველს ნიშნავს)“ (ბრეგაძე 2013: 120). ანუ, ივარაუდება, რომ ეს ტფილისური ქუჩური სიტყვა იგივე ლექსიკური ერთეულია, რაც „ჩიტის“ გამომხატველი ძველქართული სირი („ჩიტი“).

წარმოდგენილი სხვადასხვაენობრივი პარალელები¹, ვფიქრობთ, მყარ საფუძველს ქმნიან ამ ვარაუდის გასაზიარებლად.

დარგის ავსტრალიელი სპეციალისტების ალანისა და ბარიჯის აზრით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულ ამ სემანტიკურ გადაწვევას – „ჩიტი“ > „penis“ – საფუძვლად „ჩიტის მოხაზულობასთან penis-cum-testiculis-ის პროფილში მსგავსება“ უნდა ედოს (ალანი, ბარიჯი 1991: 106, ალანი 2012: 20, ალანი 2016: 10). ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში სხვა მო-

¹ „ჩიტის“ აღმნიშვნელი სიტყვები „პენისის“ აღსანიშნად გამოიყენება ასევე ანკაშურ (პერუ) და იმბავურულ (ეკვადორი) კუჩურშიც (ურბანი 2012: 431), სადაც ამგვარი გადატანა შესაძლოა ესპანურის გავლენით განხორციელებულიყო ისევე, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, გვატემალაში გავრცელებულ მაიურ ენებში – კაკიკელურსა და კიჩეურში (კემპბელი 2020: 125, 430-431).

საზრებებიცაა გამოთქმული, მაგრამ თითოეული მათგანისაქ გარჩევის აუცილებლობა, ვფიქრობთ, არ არსებობს...

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის მიწურულიდან – როგორც ჩანს, სიტყვა სირის გავლენით – ტფილისურ ჟარგონში მსგავსი უწმაწურისემანტიკა განივითარა ლექსემა ჩიტმაც¹. თუმცა ამ სიტყვის ამ მნიშვნელობით გამოყენების ერთი უდავო მაგალითი ჩვენ უკვე XX საუკუნის პირველი მეოთხედის ფშავიდან მოგვეპოვება. მას კანატიელი მოლექსის ჭრელა უძილაურის მიერ ჩარგლელი ფილიპე რაზიკაშვილისათვის გამოთქმულ კაფიაში ვხვდებით:

ის როგორ იყო, ფილიპე,
ჩიტა რო შაჰყავ მილშია?
ათ თუმან დაგათვლინეს,
მაგრა გეჭირა მჯიღშია!
რა გაგიჭირდა ისეთი,
რო ჰყოფდი ქვა და კირშია?!
ათ თუმნად ყველა მოგცემდა,
ენახე გასაჭირშია.

როგორც კაფიისათვის წამდვარებული ცნობიდან ვიგებთ, „ფილიპეს წყლის მილში შეეყო ასო, აბა, თუ შეეტევო. და სოფლის სასმელი წყალი წაეხილწა. პრისტავს გაეგო და ფილიპე დაეჯარიმებინა“ (კოტეტიშვილი 2019: 45). კაფიაში „ასოს“ შესატყვისად სიტყვა ჩიტის კნინობითი ფორმა ჩიტაა ნახმარი. ამჟამად, რომ აღნიშნული სემანტიკური ცვლილება აქ არა ლექსემა სირის გავლენით, არამედ თავისთავად, დამოუკიდებლად განხორციელდა.

„ბიჭო“ – „penis“ იავეური ენა (მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახი) kakuk „მიმართვა ბიჭისადმი; პატარა ბიჭის ასო“ ქართ. (გურ. – მარრი 1930/1934: 184) კუტა „В значении ‘фалла’ и ‘мальчика’... по-грузински употребляется в гурийском говоре слово kuta, причем со значением ‘мальчика’ его используют фамилярно-ласкательно стар-

¹ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში „პატარა ბიჭის ასოს“ მნიშვნელობით თავი იჩინაწოდებითი ბრუნვის ნიშანდართულმა ჩიტო ფორმამაც, რომელიც საქართველოს უნივერსიტეტის სინონიმების ონლაინ ლექსიკონშიცაა შეტანილი – <https://dlab.uq.edu.ge/synonym/detail/15657/%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D>.

шие в обращении и к своему и к незнакомому подростку“, (იმერ. – გა-ჩეჩილაძე) კუტ-ა „აგდებით მიმართვისას ჩართულ სიტყვად ხმარობენ (რა გინდა, კუტა, რისთვის მოდი? ვისი ხარ, კუტა?); პატარა ბიჭის ასო, – ჭუჭუა“- ზან. (მეგრ.) კუტ-ა „ბიჭუნა“, კუტ-ულ-ა „ანთროპონიმი“, (ლაზ.) კუტ-ულ-ა „ბიჭუნა, ბიჭიკო“ ქართ. (ქიზიყ.) ღლაავ-ი „გადატ. 1. პატარა ბავშვი, დიდ ადამიანზედაც იტყვიან, როცა მისი დამცირება უნდათ; 2. ყმაწვილი კაცის სასქესო ორგანო“

დამოწმებული იავური და ქართულ-ზანური მაგალითები საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთს დავუკავშიროთ შემდეგი ქართველური ფორმები: ქართ. (აჭარ. – შ. ნიჭარაძე) ტატულ-ა-ვ! „ბავშვისადმი საალერსო მიმართვა“ და სვან. (ჩლრ. – ლიპარტელიანი) ტატულ „ზემო სვანურად მამაკაცის სასქესო ორგანოს ჰქვია“¹. არქეტიპი *ტატულა-, რომელსაც, სავარაუდოდ, „ბიჭის, ბავშვისა“ და „penis pueri-ს“ მნიშვნელობა უნდა შეეთავსებინა, თითქოს *ტატ- ძირისა და კნინობითობის *-ულ- და *-ა- სართებისაგან ჩანს შემდგარი. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ეს ჩვენთვის ცნობილი უკვე მეორე შემთხვევა იქნება, როცა სვანურში სქ *-ულ-ა რთული სუფიქსის ნაშთის გამოყოფა ხერხდება. ამავე მორფემის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ასევე დომდულ, დომტულ (< *დომდ-ულ-ა-, შდრ. ნათ. დომდულ-შ) „მთვარე“ ლექსემაში დაცული -ულ ელემენტიც (თოფურია 1979: 23; კლიმოვი 1998: 74)². აღნიშნული სქ სუფიქსის რეფლექსები ზანურშიცაა შემორჩენილი: (ლაზ.) გუდ-ულ-ა (გუდ-ა), ხონც-ულ-ა „ელვა-ქუხილი“ (ხონც-ა „გრგვინვა“) და სხვ. (იხ. ჩვენი: დამატებანი... II, 2014: 29).. მაგრამ *ტატულა-ს ასეთ სემანტიკას ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ქართველურ ენებში ტატ- ძირს არსად მითითებული მნიშვნელობები არ ეძებნება. *ტატ- არქეტიპისათვის ამ სემანტიკის მიწერა იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი მას (უმთავ-

¹ ამ სვანური ფორმისათვის, ისევე როგორც ქიზიყ. ღლაავისათვის, ამოსავალი „ბიჭის, ბავშვის“ სემანტიკა უნდა იყოს. სხვადასხვა ენებში „ბიჭისა“ და „ბავშვის“ ერთი სიტყვით გამოხატვის მაგალითები იხ. შემდეგ მისამართზე: <https://datsemshift.ru/shift7220>.

² ტიპოლოგიური პარალელისათვის იხ., მაგ., ლიეტ. *mėnulis* „მთვარე, თვე“, რომელიც წარმოშობით იმავე მნიშვნელობის მქონე *mėnuo*-ს კნინობითი ფორმაა.

რესად ბავშვთა ენაზე) „ხელისა“ და „ტოტის, ჯოხის“ გამომხატველ-შემდეგ ქართულ-ზანურ ფორმათა განაყრად მივიჩნევდით¹: ქართ. (ინგლ.) ტატად „ხელი ბავშვთა ენაზე; დიდი, მსხვილი ჯოხი; (როს-ტიანშვილი) ჯოხი“, ქართ. ტოტ-ი „თათი, ტორი; შტო“, (თუშ.) ტოტოდ „ხელი ბავშვის ენაზე“, (ხევს.) ტოტუა „ხელი (ბავშვის ენაზე)“ – ზან. (მეგრ.) ტოტო ხე „ტორი; დიდი, ტლანქი ხელი (ადამიანისა)“, (ლაზ.) ტოტო „ხელი ბავშვის ენაზე; (თანდილავა) ბავშვის ხელი“ და სხვ. საქმე ისაა, რომ– როგორც ამას ქართ. მორი („მოჭრილი მსხვილი ხე, ტოტებგაცლილი და უხეშად გათლილი; (საბა) მამაკაცის ასო სარცხენელი“) სიტყვის მაგალითიც მოწმობს! –ზოგიერთ ენაში „ძე-ლის, ჯოხის, ტოტის, ღეროს“ აღმნიშვნელმა სიტყვამ შეიძლება „კაცის სასქესო ორგანოს“ მნიშვნელობაც შეიძინოს, იხ., მაგ.: სომხ. վարդ „ჯოხი; penis“ (მარტიროსიანი 2024), ფრანგ. verge „ღერო, კვერთხი, ჯოხი; penis“ და სხვ. ამდენად, თუ დავუშვებთ, რომ *ტატ-ძირი თავდაპირველად სწორედ „ხელს“ აღნიშნავდა², მას მალევე შეიძლება შეეძინა „ჯოხის“ გაგებაც, საიდანაც ერთი ნაბიჯიღია საძიებელ მნიშვნელობამდე.

„ცხვირი“ – „penis“ ინგლ. pecker „(საუბ.) ნისკარტი, ცხვირი; (უპირატ. ამერ. ვულგ.) penis“ [ეს სიტყვა „პენისის გავრცელებული ევგემიზმია“ (ალანი, ბარიჯი 1991: 106, ალანი 2012: 20, ალანი 2016: 10)]; ბოშური ენისჯამბაზური და გურბეტული თქმები (დასავლეთ ბალკანეთი) – nakh „ცხვირი; penis“ (Boretzky, Iglá, Wörterbuch Romani-Deutsch-English, 1994: 192);

¹ არაერთ ენაში „ხელის, მკლავისა“ და „ტოტის“ მნიშვნელობანი პოლისემიუ-რი სიტყვებით გამოიხატება. მაგალითები იხ. შემდეგ გვერდებზე: <https://datsemshift.ru/shift1206>, <https://clics.clld.org/edges/1277-3223>, <https://clics.clld.org/edges/1673-3223>.

² ამ თვალსაზრისით ეგებ ინტერესსმოკლებული არ იყოს ის, რომ ჩვენ (და ჩვენგან დამოუკიდებლად ასევე გერმანულ ენათმეცნიერ იან-ჰენრიკ ჰოლსტის) მიერ ქართველურ ენათა მონათესავედ მიჩნეულ ბურუშულ ენაში -tátas და -tóto სიტყვებს, რომლებიც ქართველურ *ტატ- და *ტოტ- ძირებისთვის შეიძლება შეგვედარებინა, შესაბამისად, „ხელის-გულისა“ და „თათის, ბავშვის ხელის; (იასინ. – ტიფუ) ტერფის წინა ნაწილის“ მნიშვნელობები უდასტურდება.

მამაკაცის სხეულის ამ ორ წინ წამოშვერილ ნაწილს შორის კავშირი სხვადასხვა ენასა და კულტურაშია გამოვლენილი. ასე მაგალითად, პაპუა-ახალგვინეურ სიმბარულ ენაში (ანგანურ ენათა ოჯახი) „ცხვირი“ აღინიშნება chembootu სიტყვით, რომელიც ზოგიერთ კონტექსტში შეიძლება მამაკაცის ასოს აღსანიშნადაც იქნას გამოყენებული (ამგვარი გადახრა აქ იმასაც უნდა შეეპირობებინა, რომ ეს სიტყვა მამაკაცის ასოს თავსაც მიემართება) (ჰერდტი 1981: 61-62). ამერიკელი ანთროპოლოგი გ. ჰერდტი, რომელიც სიმბარების ინციაციურ რიტუალებს იკვლევდა, თავის სხვა ნაშრომში დასძენდა, რომ „ცხვირისა და პენისის ამგვარი ასოციაციები არა მხოლოდ ცნობიერად იქმნება ყოველდღიურ დისკურსში, არამედ არაცნობიერადაც აღმოცენდება ინდივიდუალურ სიზმრებსა და კულტურულ პროდუქტებში, ისეთებში, როგორებიცაა რიტუალური სიმბოლიკა და ფოლკლორი“ (ჰერდტი 1982: 200 (შნშვნ. 1)).

ანალოგიურ ასოციაციას ვადასტურებთ მეჭინაკუთა (ცენტრალური ბრაზილია) მოსავლის აღების ერთ-ერთ, მკვეთრად გამოხატული სექსუალური შინაარსის მქონე რიტუალშიც, რომელშიც „ჭიანჭველაჭამია“ (= მამაკაცთა გუნდი, მათ მიერ ზეადმართული, ფალიკური ცხვირით დაბოლოებული გრძელი ძელით) სათითაოდ ჩამოივლის სოფლის სახლებს და მათი კარების ვაგინურ ღიობებში რამდენჯერმე ჰყოფს „ცხვირს“... (გრეგორი 1985: 122-123). მონაწილეთა განმარტებით, „ჭიანჭველაჭამიას ცხვირი პენისია, სახლის კარის სიო – ვაგინა“ (იქვე: 71), და, ამდენად, „ჭიანჭველაჭამია სახლებთან სექსუალურ კავშირს ამყარებს“ (იქვე: 123).

ცხვირის აღმნიშვნელი სიტყვით მოიხსენიება პენისი დასავლეთ და ცენტრალურ მექსიკაში მცხოვრებ უიჩოლთა „ჯვართენაშიც“, რომელზეც ისინი ჰალუცინოგენური ნივთიერების შემცველი კაქტუსის, პეიოტის, მოსაგროვებლად განხორციელებული ყოველწლიური რიტუალური მოგზაურობის დროს საუბრობენ ხოლმე (მედინა სილვა 1983: 118, მაიერჰოფი 1983: 226-227).

ცხვირი (Nase) პენისის ერთ-ერთ მეტაფორადაა გამოყენებული სალაპარაკო გერმანულშიც („ხალხი დიდ, უფორმო ცხვირებს კიტრებს უწოდებს და პენისს ადარებს“ – Handwörterbuch des deutschen Aberglaubens: Band 6, 1934-35: 970; იხ. ასევე ბორნემანი 1971, სადაც Nase პენისს არაერთ მყარ შესიტყვებაში ენაცვლება).

Nose („ცხვირი“) დასტურდება შექსპირის პიესებში წარმოდგენილ ფალიკურ სიმბოლოთა რიგშიც (ვილიამსი 2006: 218-219). და, საერთოდაც, ევროპიდან, სადაც, რუსი კულტუროლოგისა და ლიტერატურათმცოდნის მიხაილ ბახტინის თქმით, „როგორც შუასაუკუნოებრივ, ისე ანტიკურ გროტესკში ცხვირი ჩვეულებრივ ფალოსს აღნიშნავდა“ (ბახტინი 1990: 100, 350-351), კიდევ არაერთი ასეთი მაგალითის დამოწმება შეიძლება...

ამ მეტაფორული გადატანის სხვადასხვაენობრივ რეალიზაციათა რიგში შემოდის ერთი (იზოლირებული?) ქართული პარალელიც: ალექსანდრე ორბელიანის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი შეცთომილება ანუ ჩემი ცოდვანი“ მამაკაცის სასქესო ორგანო ევფემისტურად მოხსენიებულია როგორც „ცხვირი“, ხოლო მამაკაცთა მასტურბაცია – როგორც „ცხვირის ცოდვილობა“: „ის წყეული როგორღაც ცხვირის ცოდვილობას მოჰყუა... ეს ის არის, რომ რომელიც ქალი ლამაზი გინახამს, ის გონებით უნდა წარმოიდგინო, შენი ცხვირი აცოდვილო და მეტისმეტათ გაამებაო“ (ორბელიანი 2023, IV: 378); „...მივყავი ხელი ჩემს ცხვირს, ბოლოს ასეთმა სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა თავიდან ფეხებამდინ, რომ მეტის გვემულობის სიამოვნით ტახტიდგან პოლზედ გადმოვვარდი“ (იქვე: 379) და სხვ.

„ბზარი“ → „**vulva**“ სვან. (ჩლრ. – ლიპ.) შხარაჲ „დიდი ფართო ნაპობი კლდეში; ვულგარულად ქალის დიდ სასქესო ორგანოსაც ჰქვია“; სომხ. չաթլախ (ნასესხებია თურქულიდან – çatlak; 1. (დიალექტური) ბზარი, ნაპრალი, ღრეჩო; 2. (დიალექტური; ვულგ.) საშო, ვაგინა“; არაბ. farj فَرْج “ღრეჩო, ნაპრალი, ბზარი; (ანატ.) vulva”; გერმ. Spalte „ბზარი, ნაპრალი; (სლენგი) vulva“; მონღოლური ცუხ „ნახვრეტი, ღრეჩო...; სასქესო ორგანო (ჰმ ცუხ „ქალის სასქესო ორგანო“, ჰრ ცუხ „კაცის სასქესო ორგანო“); + (ჯავახ. – ზედგინიძე) ივი „ბზარი (ამ ქოთან ივი გასჩენია, წყალი ჟვანამს; გასაპობ ქვას ერთი ივი თუ ააღებინე, მერე ადვილათ გააპობ)“ – (საბა) ივი „მამაკაცთა და დედაკაცთა ორთავე სასირცხოთა ასოთა ზოგად ივი ეწოდების“

სასქესო ორგანოთა გვარეობითი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ივი მხოლოდ საბასა და დ. ჩუბინაშვილთან გვხვდება. საბასთან, სამწუხაროდ, წყარო მითითებული არ არის. ჩუბინაშვილი კი საბას გარდა ზ. გაბაშვილის „კატის ომსაც“ უთითებს. მაგრამ არც ამ

თხზულების მისეულ გამოცემაში (ქართული ქრისტომატია, II, სანკტ-პეტერბურგი, 1863, 22-27) და არც ალ. ბარამიდის მიერ იმავე ხელნაწერის (დანარჩენ ორ ხელნაწერთან შეჯერების) საფუძველზე გამოქვეყნებულ ტექსტში (ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტომი მეორე, XVI-XVIII საუკ., ტფილისი, 1928: 232-237) ეს სიტყვა არ იძებნება! ალ. ბარამიდის მიხედვით, ჩუბინაშვილისეულ „გამოცემაში ტექსტი ძალზე გადამუშავებულია, გადაკეთებულია ცალკე სიტყვები და ფრაზებიც კი (ზოგი რამ ცენზურული მოსაზრებითაც)...“. უხამსი სიტყვები მასაც სამწერტილით აქვს გამოტოვებული, მაგრამ კონტექსტი თითქოს არც ერთ შემთხვევაში სასქესო ორგანოს აღმნიშვნელ სიტყვას არ გვაგვარაუდებინებს.

ამრიგად, ტექსტებში ეს სიტყვა არ ჩანს. ამ შინაარსით ის უცნობია დიალექტებისთვისაც. ივი, ოლონდ „ზხარის“ მნიშვნელობით, დასტურდება გ. ზედგინიძის „ჯავახურის ლექსიკონში“, და, ჩვენი აზრით, ამ ორი ივის სახით არა ომონიმებთან, არამედ ერთი და იმავე სიტყვის რეფლექსებთან უნდა გვკონდეს საქმე. ამგვარი დაშვებისკენ გვიბიძგებს თუნდაც აქ დამოწმებულიმონღოლური *cyv* სიტყვის მაგალითი, რომელსაც „ნახვრეტის, ღრეჩოს...“ მნიშვნელობის პარალელურად „სასქესო ორგანოთა“ სემანტიკის გამოხატვაც შეუძლია.

გამომდინარე იქიდან, რომ გაცილებით უფრო გავრცელებულია გადაწევა „ზხარი“ → „vulva“¹, არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო შემთხვევებშიც სემანტიკური განვითარების პროცესი ამგვარად წარმართულიყო: „ზხარი“ → „vulva“ → „vulva; penis“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობათა პოლისემიური შეთავსებისათვის იხ., მაგ.: (ფშ. – შანიძე) ნაწყლ-ი „cunnus; penis“, კაკუური (მაკუურ ენათა ოჯახი) *keʔli⁴ dāʔ⁴* და ჰმონგური (ჰმონგურ-მიენურ ენათა ოჯახი) *chaw mos*. სოკოტრული (სამხრეთ არაბულ ენათა ჯგუფი) *haym*, ბლაგარული (ტიმორულ-ალორულ-პანტარულ ენათა ოჯახი) *toporu*

¹ თუმცა არსებობს საპირისპირო მიმართულებით გადახრის მაგალითებიც: ბულგ. *пизда* „vulva; კლდის ნაპრალიდან გამომდინარე წყარო“, სადაც მეორე მნიშვნელობა მეორეულია (Български етимологичен речник, ტ. V, 1999: 230) და ხორვატ. *pizdina* „(ვინი.) წყაროს სახელი“ (Skok, *Etimologijski rječnik hrvatskoga ili srpskoga jezika*, ტ. 2, 1972: 668).

და ბუსოური (ავსტრონეზიულ ენათა ოჯახი) buŋka ლექსემები penis-ისა და vagina-ს მნიშვნელობებს ითავსებენ.

მეტაფორული გადატანის შედეგად „ბზარის“ აღმნიშვნელი სიტყვით „vulva“-ზე მითითების შესაძლებლობისათვის იხ. ასევე ქართ. (ქიზიყ.) ფურჩი-ი „ქარისაგან ნარყევი ხის ბზარი (ნაპობი); აგრეთვე რკინას, თუ გამოკვერვაში ნაკეცი შეჰყვა, იტყვიან ხოლმე: ფურჩი აქვსო... გადატ. ადამიანზედაც ამბობენ: „ბიჭი კარგია, მაგრამ ერთ ალაგაი ფურჩი აქო“.

დაისმის საკითხი ივი-ს მიმართებისა თურქულიდან (yuva>)¹ ნასესხებ ივა („ბუდე“) ლექსემასთან, რომელიც შ. ფუტკარადის მიერ მურღულის ხეობაში ჩაწერილ ერთ ტექსტშია დაფიქსირებული: „ხეზე ივა გააკეთებენ გველები“ (ჩვენებურების ქართული 1993: 307). ვინაიდან „ბუდის“ გამომხატველმა სიტყვამ შეიძლება „ქალის სასქესო ორგანოს“ მნიშვნელობაც განივითაროს (ამის, სულ მცირე, ორი მაგალითი მოგვეპოვება: სქ. *ბუდ->ქართ. ბუდე, სვან.ბუდე „vulva; უკანალი“² და სირ. არაბ. عشاء „ბუდე; vulva“)³, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ საბასთან დადასტურებული ივი სწორედ სამხრულქართული ივასაგან მომდინარეობს (მნიშვნელობის ცვლითა და პარადიგმაზე ნათესაობითისა და მოქმედებითის ივ- ალომორფის გავრცელებით), მაგრამ მაშინ აუხსნელი დაგვრჩებოდა მისი მიმართება ფონემურად იდენტურ ჯავახურ ივთან. იმის გათვალისწინებით, რომ თურქულიyuvalაკუთრივ „ფრინველის ბინის“ გარდა ასევე „ღრმულს,სოროს, ბუნაგსა და [გველის] ხვრელსაც“⁴ აღნიშნავს, ხო-

¹ რედჰაუსი თავის თურქულ-ინგლისურ ლექსიკონში (J. W. Redhouse, A Tur-kish and English Lexicon, 1890) yuwa-სთან ერთად ასევე yiwa ფორმასაც იძლევა.

² სვან. ბუდე-ისათვის „უკანალის“ მნიშვნელობა, აღ. ონიანის პირად შეტყობი-ნებაზე მითითებით (ბუდე "Hintern" laut A. Oniani (mdl.), მოცემულია „სვანური პოეზიის“ ელექტრონულ ვერსიაში (<https://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/svan/svapo/svapot.htm>).

³ ინგლისურ სლენგში „ქალის სასქესო ორგანოს აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი, რომელიც გარეგნულ მსგავსებას ეფუძნება, ჩიტის ბუდეა (bird's nest). ხოლო პენისი ჩიტია, რომელიც ამ ბუდეში ითავსდება“(ალანი, ბარიჯი 1991: 107, ალანი 2012: 20, ალანი 2016: 10).

⁴ აკი მურღულურ მაგალითშიც სწორედ გველების ივაზეა საუბარი!

ლო ამ მნიშვნელობებიდან „ნაპრალისა და ბზარის“ სემანტიკის განვითარება არც ისე ძნელი დასაშვებია, განხილულ ფორმათა ფილიაცია შეიძლებოდა ამგვარად წარმოგვედგინა: [თურქ. *yuva, viva* >] სამხრ. ქართ. (კლარჯული) ივა „ბუდე; სორო, ხვრელი“ > სამხრ. ქართ. (ჯავახ.) ივ-ი „ბზარი“ > ივ-ი „[ქალის] სასქესო ორგანო“ > (საბა) ივ-ი. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ივ-ს საერთოდაც არაფერი აკავშირებდეს თურქულიდან მომდინარე ივასთან. მაგრამ მისი შეზღუდული გავრცელებულობა და უჩვეულო იერი მაინც ამ სიტყვის უცხოურ წარმომავლობას გვაგვარაუდებინებს. ამ უცხოური წყაროს როლისათვის კი ივაზე კარგი კანდიდატი, ვფიქრობთ, ამჟამად არ გაგვაჩნია.

„ჭრილობა“ → „vulva“

ინგლისური ენის სლენგში ქალის სასქესო ორგანო „ჭრილობის“ აღმნიშვნელი *gash* და *wound* (სიტყვათშეხამებაში *axe wound* „ცულით მიყენებული ჭრილობა“) სიტყვებითაც გამოიხატება:

„Vulva ასევე ცნობილია როგორც ღრეჩო, ჭრილი, ბზარი..., ნარღვევი, განაჭერი, (მარადიული) ჭრილობა (კავშირი მენსტრუალურ სისხლთან“ (ალანი 2012: 25); ამასთან, საინტერესოა, რომ „როცა ქალის გენიტალიებს განვიხილავთ როგორც ჭრილობებს, ისეთი სცენარი გვაქვს, რომელშიც ქალის გენიტალიები ჭრილობებია, ხოლო კაცისა – ჭრილობათა მიმყენებელი“ (ბრაუნნი, კიცინგერი 2010: 153)¹.

ცხადია, უბრალო დამთხვევად ვერ მივიჩნევთ იმას, რომ ანალოგიური „სცენარი“ ივარაუდება პალეოლითური გამოქვაბულის მხატვრობაში გავრცელებული ზოგიერთი სიუჟეტისთვისაც. ასე მაგალითად, ფრანგი არქეოლოგის, პალეონტოლოგისა და პალეოან-

¹ ამის გათვალისწინება კიდევ უფრო გასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ენაშიზოგადად საომარი იარაღის ან კონკრეტულად ამა თუ იმ წვეტიანი, წვერ-წამახული იარაღისგამომხატველი სიტყვები გადატანით „კაცის სასქესო ორგანოსაც“ აღნიშნავენ: იხ., მაგ. ძვ. ინგლ. *wæpn* „იარაღი; პენისი“, უელს. *llost* „ისარი; penis“, ირლ. *gae* „შუბი; penis“ (ბაქი 1949/1988 : 258-259; იხ. ასევე ქრისტიანსენი 2018), თურქ. *yarak*, განსაზღვრ. ბრალდებითი *yarağı* „(არქაული) იარაღი; (ვულგ.) penis“ და სხვ. ამგვარ მეტაფორულ გადააზრებას ზოგჯერ იარაღით განხორციელებული ქმედების აღმნიშვნელი ზმნური ფორმებიც ექვემდებარება: მაგ., ქართ. (ყარგ.) შესცემს, შესცა (შდრ. ძვ. ქართ. შუბი შესცა) და სხვ.

თროპოლოგის ანდრე ლერუა-გურანის მიხედვით, პალეოლითურ ნახატებზე წარმოდგენილი „ისრისა“ და „ნაჭრილობევთა“ ვარიანტების განხილვისას გვიჩნდება აზრი, რომ ეს გრაფიკული გამოსახულებები შესაძლოა გაიგივებულ იქნას კაცისა და ქალის ნიშანთა ვარიანტებთან. სხვა სიტყვებით, ძალიან სავარაუდოა, რომ პალეოლითელი ადამიანები ცდილობდნენ გამოეთქვათ დაახლოებით ისეთი რამ, რომ „შუბი ისევე შეესატყვისება penis-ს, როგორც ჭრილობა – vulva-ს“ (ლერუა-გურანი 1967: 173).

„vulva“ „ჭრილობადაა“ მეტაფორიზებული რაბლეს „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ II წიგნის XV¹ და IV წიგნის XLVII² თავებში გადმოცემულ ამბებშიც, რომელთა საფუძველშიც, ბახტინის შე-

¹ „...ლომისა შემხედვარე დედაბერსა ელდა ევა, ეგრევე გულადმა გადავარდა და ფეხნი ისერივად აპლაკა, კაბა-პერანგი მხრებამდისინ წამოეხადა. სიბრაღულითა აღძრული ლომი უმაღლ თავს დაადგა, ხო არა დაუშავდა რაო, და საკდემელ ადგილსა რა თვალი ჰკიდა, აღრივდა: „ვაი, შე საბრალო დედაკაციო! აგრერივად ვინ დაგკოდაო?“ მერმე მელასა გასმახა, შორიახლო მორბენალსა, თავისთან უხმო: „მელაკუდა ნათლიმამ! მოდი ერთი, მომხედეო!“ და მელა მივიდა თუ არა, ლომმა შეჰბუზუნა: „ნათლიმამავ და ძმობილო! დედაკაცი ეს დია საკრთოლ-საშიშრად დაჭრილია ლაჯთა შუა და ამა მიზეზითა ცნობა მიჰხდიაო. შეხე, რამოდენა ჭრილობა უჩანს, ნაცი ჭიპსა შეერთებია... ეტყობა, ფილთაქვა ჩაუცხია ვილაცა ოხერსა; ვგონებ, ახალი მოწყლულია... ზედა ბუზნი რომ არ დასახდნენ, მაგ შენი... კუდითა შიგნი-შიგაც ჩაუქნიე და გარედანაც მოუქნიეო... მე წავალ, ამასობაში ხავსსა მოვავროვებ, იქნებ ნაჭრევი ვითმე ამოვუვსოო... ესეგვარ ჭრილობასა რასაცა მეტსა უქნევ, ისა სჯობს“... მობრუნდა ლომი და იმოდენა ხავსი მოიტანა, თვრამეტ ლოგოროდ შეკრა და დედაბერსა ჯოხითა დაუწყო ტენა... „რა უბედურებაა! რამსიღრმე ნაჭრევი, შიგა ორი ურმისა უმეტესი ხავსი ჩავაო“ (რაბლე 2013, I: 232-233).

² „ვაი! – დაუკვნესია დედაბერსა, – ვითარ იმა ავაზაკმა და ეშმაკთა მკაწ-ვრელმა მითხრა, დღესა თურმე შენ უნდა გეკაწროს, აგრე შეთანხმებულხართ, და ბრჭყალ-კლანჭისა მოსასინჯად ლაჯთა შუა ნეკი გამკრა, სულ მთლად გამხასრაო... ამისა თქმისა თანავე დედაბერი თურმე ნიკაპამდის გატიტვლდა, გადედიშობილდა... და ეშმაკისთვის იგ-სარცხვინელი დაუნახვებია. ეშმაკსა დედაბრისა ნაჭრე-ნაპობისთვის მთელს სიგრძე-სიგანეზედ რა თვალი შეუვლია, შეუბღავლია:... კიდევ კარგი ჯერეთ არ მოვუხელთებვიარ! მართლა გაქცევაზეა საქმეო!“ (რაბლე 2013, II: 153-154).

ვასებით, ძველთაძველი ფოლკლორული ანალოგია ქალის სასქესო ორგანოსა და ღია ჭრილობას შორის” (ზახტინი 1986: 225).

ეგვე ანალოგია თავს იჩენს, მაგ., მე-14 საუკუნის ტამილი (ინდოეთი) პოეტის პატინათარის პოეზიასა („ღონი [სანსკრ. vagina, vulva; ქალური საწყისი ინდუიზმში] – ჭრილობა“) (თირუჩანდრანი 1997: 58)¹ თუ შავფეხა ინდიელთა (ალბერტა, კანადა; მონტანა, აშშ) მითოლოგიაში („...მოხუცმა დაინახა მიწაზე გაწოლილი ორი [თავ-მომკვდარუნებული] ქალი, გაჩერდა და თქვა, „საწყალი ქალები! ლამაზები არიან. ძალიან ცუდია, რომ მკვდრები არიან... რაღაცას უნდა მოეკლა ისინი. ნეტა რას?“ მან რამდენჯერმე გადაატრიალ-გადმოატრიალა ისინი, მაგრამ ჭრილობა ვერ უნახა. შემდეგ ტანსაცმლის გახდა და გულდასმით თვალიერება დაუწყო. ბოლოს მან დაინახა vulva... „აი, ჭრილობები. ისინი ხანჯლის ჩაცემით მოუკლავთ“ (Mythology of the Blackfoot Indians 1995: 35).

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ განსახილველ მეტაფორათა მწკრივი საკუთრივ ქართულ ენობრივ სამყაროშიც ვლინდება, კერძოდ – ერთ-ერთ ხევსურულ კაფიაში, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შედგენილ „ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშებშია“ გამოქვეყნებული:

აისიმც ჩემ მტერს მაუვა,
კოჭლ ბაბალეს რო მასვლია:
ფეხთ შუა ნაცულარი სჭირს,
გარშემო ბალან ასხია.
აქიმობს ბერლოჯანაი,
წყლულს უფრო განზე გასწია.
ნაჭრევის გასინჯვაშია
ხმალიკას² წამათხია (კოტეტიშვილი 2019: 38).

¹ ციტირებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: Morris, Myla B., From Wounded to Woman: The Demasculinization of Hemingway's Wounded Male Characters (2004). USF Tampa Graduate Theses and Dissertations.

² penis-ის მნიშვნელობით ნახმარი ეს სიტყვა – უნდა იყოს ვმალიკა! – ხევსურულში ექიმის ხის იარაღს ეწოდება, რომელიც ჭრილობის გასასხნელად და გასასუფ-თავებლად გამოიყენება (ალ. ჭინჭარული, ხევსურული ლექსიკონი). მსგავსი მეტა-ფორული გადატანისათვის იხ. ზევით, შნშნ. 11.

როგორც ვხედავთ, ქალის სასქესო ორგანოს მეტაფორებად აქ გამოყენებული „ფეხთ შუა ნაცულარი“, „წყლული“ და „ნაჭრევი“ აშკარა პარალელებს ჰპოვებს ზემოთ მოყვანილ არაქართულ მასალასთან. ეს ყოველივე კი, ვფიქრობთ, იმის საკმარის საფუძველს იძლევა, რომ ქართული სიტყვა ნაწყლი „vulva; anus“ წარმოშობით წყლავს („ჭრის, კოდავს“) ზმნის ნამყო დროის საობიექტო მიმღეობადმივიჩნით, ხოლო მის თავდაპირველ მნიშვნელობად, შესაბამისად – „წყლული, ჭრილობა“.

ამგვარ ვარაუდს თითქოს არც მორფოლოგიური ანალიზი ეწინააღმდეგება: ნა-წყლ-ი ისევე შეეფარდება წყლ-ავ- და წყლ-ულ- მორფემებს, როგორც, მაგალითად, ნა-სთ-ი – სთ-ავ-სა და სთ-ულ-ს, ნა-ბძარ-ი – ბძარ-ავ-სა და (და-)ბძარ-ულ-ს და სხვ.

გასარკვევია ნაწყლ- ფუძის მიმართება იმავე – ანუ, „ქალის სასქესო ორგანოსა“ და „უკანალის“ – მნიშვნელობებთან დაკავშირებულ ნაც- და ნაჩ- ფორმებთან. სავარაუდოდ, ნაც- < ნაწყლ- მიცემითი ბრუნვის [ნაწყლ-ს] ალომორფში წყლ- ბგერათმიმდევრობის გამარტივებით (>წყს > წს), ბრუნვისნიშნისეულ ს ბგერის გავლენით წს ც-ში გადასვლისა და მიღებული ნაც- ალომორფის შემდგომი გავრცელებით მთელ პარადიგმაზე. რაც შეეხება ნაჩ-ს, ის აშკარად ნაც-ში ფორმისგანაა მიღებული [„ნაჩი [= ნაცში] ნიფხავი გეკურის შენცა და იმ შენს ბატონსაცა“ (ავთ. თუმანიშვილი, ოთხი ლაპარაკი (XIX ს.-ის პირველი მეოთხედი; წიგნში: ქართული დრამატურგია, I: 160), (თუშ.) ნაჩი ჩხირ არ ეტევ „ძალიან მოუცლელადაა (სიტყვა სიტყვით: უკანალში ჩხირი არ ეტევა)“ – შდრ. (თუშ.) ნაც-ი „უკანალი“] და შემდეგ ასევე ანალოგიით გავრცელებული დანარჩენ ბრუნვებზეც.

ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ნაწყლი სიტყვის მითითებული ორი მნიშვნელობიდან უფრო ძველი „უკანალია“ და არა – „vulva“? აკი სწორედ „უკანალის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული ეს სიტყვა, მაგ., „უთრუთიან-სამიანის“ (სავარაუდოდ XVI საუკუნეში ნათარგმნ) პროზაულ ვერსიაში: „აგრე საამ ფალავანი მთვრალი პილოივითა მოედნისა შუაგულობასა ქუე იდგა. და მერმე მიუხდეს სამნივე ფალავანი. სამთავე ერთხელას რკენა სთხოვა. აგრე აქედადმან ამათ მიმართეს. ფიცხლა ორნი, წინათ რომე მოვიდეს, ერთი ერთსა ჳელსა შეეჭედა და ერთი – ერთსა, ერთი უკანიდადმან ფერჳსა მოეკიდა და აღმა სწევდა, და ვერა დაუძრა ფერხი. მერმე, ჳელთა რომე

ეჭედებოდეს, მოიქნივა ერთითა კელითა და მეორე ზედ დაატანა, და უკანით ეჭედებოდა, **დაჰკრა ნაწყლი** და თავი ქუეშე მოიმწყვდი-ვა და ვედარა დაადრო“ (მაჰნამე III, 49 – აქა საამ ფალავნისა და ია-მანთ ხელმწიფისა ნახუა: გვ. 242). ასეა განმარტებული ნაწყლი საბას-თანაც – „უკანა კარი“. საბას მიხედვითვე ნაც-ი „ნაწყლია“, ხოლო ნაჩ-ი – „ქუეშე ნაცი“. ნაცი დანამდვილებით „უკანალის“ გაგებითაა ნახმარი დავით გურამიშვილთან: „ლიფსსა და არგესტს შაექნათ ჩხუბი, არგესტ საჯდომთა ლიფსს შასცა შუბი, დაიჭრა რა ლიფსი, იხმო მან ფვინქსი, მიუთხრა მასა: არგესტს შავები, **ნაცზე დავიჭერ...**“ და სხვ. ასევე ესმის ეს სიტყვები დ. ჩუბინაშვილსაც: ნაც-ი „უკანა სა-ჯდომი“, ნაწყლ-ი „უკანა ტანი“. დიალექტური ლექსიკონებიდან ნა-წყლის მნიშვნელობად „უკანტანია“ მოცემული ნ. სუჯაშვილისა და ი. ფიცხელაურის მიერ შედგენილ „მოხვეურ ლექსიკონში“.

ასეთი დაშვების შემთხვევაში შეუძლებელი ხომ არ გახდებო-და ნაწყლის თავდაპირველ მნიშვნელობად „ჭრილობის“ მიჩნევა? სხვა სიტყვებით, რამდენად რეალურია იმის წარმოდგენა, რომ ამ მნიშვნელობიდან „უკანალის“ გაგება განვითარებულიყო? ვფიქ-რობთ, იმის გათვალისწინებით, რომ „ჭრილობა“ „განაჭერის“ გარდა „ხერელსაც“ შეიძლება გულისხმობდეს, ამგვარი გადახრა სულაც არ უნდა იყოს წარმოუდგენელი. მაგრამ პირველ რიგში მაინც გასათვა-ლისწინებელია ის, რომ ნაწყლისა და მისი პარონიმების მნიშვნელო-ბად „ქალის სასქესო ორგანო“ არაერთ დიალექტში დასტურდება – (ხევს. – შანიძე) ნა-წყლ-ი, ნა-წყლ-ნ-ი „cunnus“, (ფშ. – შანიძე) ნა-წყ-ლ-ი „cunnus; penis“, (ფშ. – ხორნაული) ნა-წყლ-ი, ნა-წყლ-ნ-ი, ნაჩ-ი „უმთავრესად ქალის სასქესო ორგანო; უკანალი“, (გარეკახ.) ნა-წყ-ლ-ი „ქალის სასქესო ორგანო“, (ჯავახ. – ბერიძე) ნა-წყლ-ი „ქალის სა-სქესო ორგანო“¹, ნაჩ-ი „ქალის სასქესო ორგანო; უკანალი“, და რუს-

¹ გრ. ბერიძის აზრით, ნაწყლი „ნაწარმოები უნდა იყოს „წყლიდან“ (ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1981: 99). ამ ვარაუდის გაზიარების შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ აღნიშნულ სიტყვას, როგორც წინა ვითარების სახელს, თავდაპირველად იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაც ბგერითადად აგებულიებით მის მსგავს ნაწყლე-ვ და ნაწყლურ- ფორმებს:(ქეგლ) „ადგილი, სადაც წინათ წყალი იყო“. მაგრამ აქედან „ქალის სასქესო ორგანოს“ შინაარსისგამოყვანა ძალზე რთულ ამოცანად გვეჩვენება, მაშინ როცა ჩვენ მიერ შემოთავაზებული დაშვება

თველისეული „ბოზი ნაციც“ უფრო vulva-cunnius-ს უნდა აღნიშნავდეს, ვიდრე – anus-ს¹. ამდენად, ჩვენ მაინც ისე გვგონია, რომ ნაწყლის (ნაცის, ნაჩის) ამჟამინდელ მნიშვნელობათაგან პირველი უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე – მეორე.

ამ მნიშვნელობათა დაკავშირებისა ან ერთი სიტყვით გამოხატვისათვის, იხ., ერთის მხრივ, რუს. пизда, ლიტუვ. pyzdà, ლატვ. pīzda (სამივე „vulva“) და, მეორე მხრივ, ძვ. პრუს. peisda „უკანალი“ (მელორი, ადამსი 1997: 507), ასევე ინგლ. fanny (ბრიტანეთი, ირლანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა – ვულგ.) „ქალის სასქესო ორგანო“, (კანადა, აშშ – საუბრ.) „უკანალი“; ბურ. (ჰ.) - qhásiŋ „anus“, (ი.) - xásiŋ „vulva“; (ჰ.) gik, (ნაგ.) giŋ „anus; vulva“; არაბ. დიალექტები 'ist, fīz „anus; vagina/vulva“ (Wortatlas der arabischen Dialekte, I: 64) და სხვ.

„ქალიშვილი“ → „მეძავი“

ინგლ. girl, wench „ქალიშვილი, მოახლე... მეძავი“

ფრანგ. fille „ქალიშვილი; (ჟარგ.) მეძავი“

გერმ. Dirne „(არქ.) ქალიშვილი, მოახლე; მეძავი“ და სხვ. + ქართ. ბოზ-ი – ზან. (ლაზ.) ბოზ-ო „გოგო, ქალიშვილი“

მხოლოდ ერთ და თანაცპარალელური მაგალითებით შემაგრებულ სემანტიკურ გადახრას გულისხმობს. რაც შეეხება ჩვენ მიერ ნაწყლ- ფუძეში გამონაწევრებულ წყლ- ძირსა და წყალ-ს შორის ფონემურ მსგავსებას, ეს ქართულში სქ წინა (სისინა) და შუა (სისინ-შიშინა ან პალატალიზებული შიშინა) სიბილანტურ წყებათა დამთხვევის შედეგია და ამდენად - მეორეული: ქართ. წყალ-, ისევე როგორც ზან. (მეგრ.) წყუ „წყარო“, სქ წყალ-ძირიდან მომდინარეობს (მაჭავარიანი 1965: 91, ფენრიხი სარჯველაძე 2000: 657, ფენრიხი 2007: 641); შდრ. სქ-ვე დუბლეტური *წყარ- > ქართ. წყარ-ო; ზან. (მეგრ.) წყორ-უ-ა „განე-ლება, გაზავება; ერთმანეთში შერევა“, (ლაზ.) ოკო-წკორ-უ „შენელება (ცხელისა და ცივის არევა)“ (ფენრიხი სარჯველაძე 2000: 657-658, ფენრიხი 2007: 641), ხოლო ქართ. წყლ- ძირისათვის ამოსავალია სქ *წყალ- (ან *ჰყალ-) > ქართ. წყლ-ვ-ა, მოვ-წყალ, წყლ-ულ-ი, ზან. (მეგრ.) ჰყოლ-უ-ა „დაკოდვა, დაჭრა“ (შმიდტი 1962: 157, კლიმოვი 1998: 317, ფენრიხი სარჯველაძე 2000: 676, ფენრიხი 2007: 660-661).

¹ „ქალის სარცხვინლად“ არის განმარტებული ნაც-ნაწყლი ფრანსუა რაბლეს „გარ-განტუა და პანტაგრუელის“ ქართული თარგმანის განმარტებითი სიტყვის კონა-შიც (ტ. II: 431; სიტყვისკონა შეადგინეს თენგიზ სანიკიძემ და გურამ გოგიაშვილმა).

3. აჭარდანის „სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ სომხ. բով „ბოვი“ ქართველურიდან („კავკასიიდან“ = Կովկասից) შეთვისებულად არის მიჩნეული იმის საფუძველზე, რომ შედარებული სომხური და ქართულ-ზანური სიტყვებიდან პირვანდელი მნიშვნელობა „ქალიშვილი“ სწორედ ქართველურში, სახელდობრ, ლაზურშია დაცული. იმის მაგალითად, რომ „ქალიშვილის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ მოგვიანებით შეიძლება „მეძავის“ მნიშვნელობაც შეიძინოს, სომეხი სწავლული ფრანგ. fille-სა და გერმ. Dirne-ს ასახელებს (აჭარიანი 1971: 459). თუმცა ამგვარი გადაწევის ერთი შემთხვევა სომხურშივე გვხვდება – աղիւ յ „ქალიშვილი“, աղիւ ի „ქალიშვილი, მეძავი“ (აჭარიანი 1971: 129; მარტიროსიანი 2010: 35). დამატებითი პარალელებისათვის, იხ.: <https://datsemshift.ru/shift6815>¹.

ბ. გიგინეიშვილის აზრით, ქართ. ბოვი-ი „ქართველური წარმომავლობისა არაა“ და „თურქული წარმომავლობისა ჩანს“, „შესაძლოა ნასესხები იყოს ქართულში უშუალოდ თურქულიდან, შესაძლოა სომხურის მეშვეობით“. წყაროდ ქართულ-სომხური სიტყვებისათვის მკვლევარი განიხილავდა თურქ. boz-ძირს ფორმებში: boz-gun „გარყენილი, გაფუჭებული“ და boz-mak „გარყენა, გაფუჭება“ (გიგინეიშვილი 2016: 56).

თურქოლოგი შალვა გაბესკირია თვლიდა, რომ „გაუმართლებელია ბოვის თურქიზმად კვალიფიცირება“. მისი აზრით, „ქართ. მეზვი / ნეზვი : ლაზ. ბოზო-მთა „ქალიშვილი“, ანუ ლაზურმა ფორმამ სომხურში ქართულში დადასტურებული მნიშვნელობით

¹ ახალგაზრდა დანიელი ენათმეცნიერი რასმუს ნილსენი სომხურში წინაის-ტორიული ნასესხობებისადმი მიძღვნილ სადისერტაციო ნაშრომში „ყველაზე სავარა-უდოდ“ მიიჩნევს იმას, რომ „სომხურმა ეს სიტყვა ქართულიდან ისესხა, სადაც შესაძლოა სემანტიკური გადაწევა განხორციელებულიყო“, თუმცა თეორიულად იმა-საც უშვებს, რომ „ქართული სიტყვის დამცრობითი მნიშვნელობის განვითარებაზე გავლენა თავად სომხურსაც მოეხდინა უკვე სიტყვის სესხების შემდეგ“ (ნილსენი 2023: 56). „საბოლოო ჯამში კი“, ნილსენის ვარაუდით, „(ქართულ-) ზანური ფორმები, ალბათ, დასავლურ კავკასიურიდანაა ნასესხები, შდრ. ადილ., ყაზარდ. ბზგ, უბ. ბზა, აფს. ა-ფს „მდედრი“ (იქვე), რაც, ჩვენი აზრით, ისეთივე ძნელი გასაზიარებელია, როგორც მის დისერტაციაში გამოთქმული არაერთი სხვა მოსაზრებაც, რის თაობაზეც – სხვა დროს.

სიტყვა ბოზ- მოგვცა, რომელიც ამ უკანასკნელიდან დაბრუნდა ქართულში“ (გაბესკირია 2018: 20).

ჩვენ არ ვიზიარებთ ივ. ჯავახიშვილისაგან მომდინარე თვალსაზრისს ქართ. ნეზვი (< *მეზვი? იხ. შანიძე 1967) და ლაზ. ბოზო სიტყვათა კავშირის შესახებ (ჯავახიშვილი 1937/1992: 193), ვინაიდან ვთვლით, რომ ლაზურ ფორმაში „უჰასაკოთა აღმნიშვნელ ფორმანტ“ ბო-ს გამოყოფას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მაგრამ არც ლექსემა ბოზის მაინცდამაინც თურქიზმად მიჩნევას ვემხრობით. ქართ. ბოზ-ი და ლაზ. ბოზ-ო ერთმანეთის შესატყვისებია და საერთო *ბოზ- არქეტიპიდან უნდა მომდინარეობდნენ, რომელსაც “გოგოს, ქალიშვილის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, არსებული პარალელების გათვალისწინებით, ამ მოსაზრებას, როგორც ყველაზე ეკონომიურსა და შემოწმებადს, ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

გამოყენებული ლიტერატურა

ალანი 2012 – Allan K., X-phemism and creativity // Lexis– Journal in English Lexicology, 7.

ალანი 2016 – Allan K., Pragmatics in language change and lexical creativity // SpringerPlus 5.

ალანი, ბარიჯი 1991– Allan K., Burridge K., Euphemism and Dysphemism: Language Used as Shield and Weapon, New York: Oxford University Press.

აკარიანი 1971– ჰრ. Աճառյան, Հայերեն Արմատოსկան Բառարան, I, Երևան.

ბაქი 1949/1988 – Buck C. D., A Dictionary of Selected Synonyms in the Principal Indo-European Languages, Chicago & London: The University of Chicago Press.

ბახტინი 1986 – Бахтин М. М., Формы времени и хронотопа в романе. Очерки по исторической поэтике // Бахтин М. М. Литературно-критические статьи, 121-290, М.

ბახტინი 1990 – Бахтин М. М., Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса, М.

ბორნემანი 1971– Borneman E. 1971, Sex im Volksmund. Die sexuelle Umgangssprache des deutschen Volkes. Wörterbuch und Thesaurus, Rowohlt Verlag GmbH, Reinbek bei Hamburg.

ბრაუნი, კიცინგერი 2001 – Braun V., Kitzinger C., “Snatch,” “Hole,” or “Honey-pot”? Semantic categories and the problem of nonspecificity in female genital slang, *The Journal of Sex Research*, 38:2, 2001, 146-158.

ბრეგაძე 2013 – ქართული ჟარგონის ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

გაბესკირია 2018 – შ. გაბესკირია, შოთა რუსთაველის მშობლიური კილოს საკითხისათვის „ვეფხისტყაოსნის“ დიალექტიზმების მიხედვით // XXXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

გრეგორი 1985 – Gregor Th., *Anxious Pleasures. The Sexual Lives of an Amazonian People*, The University of Chicago Press, Chicago and London.

ვილიამსი 2006 – Williams G. 2006, *Shakespeare's Sexual Language. A Glossary*, London/New York: Continuum.

ზალიზნიაკი 2001 – Зализняк А. А., Семантическая деривация в синхронии и диахронии: проект «Каталога семантических переходов» // *Вопросы языкознания*, 2, 2001, 13-25.

ზალიზნიაკი 2006 – Зализняк А. А., Многозначность в языке и способы ее представления, *Языки славянских культур*, М.

ზალიზნიაკი 2008 – Zalizniak, A. A., A catalogue of semantic shifts: Towards a typology of semantic derivation // Martine Vanhove (ed.), *From polysemy to semantic change. Towards a typology of lexical semantic associations*, 217–232, Amsterdam & Philadelphia: John Benjamins.

ზალიზნიაკი 2013 – Зализняк А. А., Семантический переход как объект типологии // *Вопросы языкознания*, 2013, 2, 32-51.

ზალიზნიაკი 2018 – Zalizniak A.A., *The Catalogue of Semantic Shifts: 20 Years Later* // *Russian Journal of Linguistics*, Vol. 22, N 4, 770-787.

ზალიზნიაკი და სხვ. 2012 – Zalizniak A. A, Bulakh M., Ganenkov D., Grunto I., Maisak T., Russo M., The catalogue of semantic shifts as a database for lexical semantic typology // *Linguistics* 50, 3, 2012, 633-669.

თირუჩანდრანი 1997 – Thiruchandran, S., The Seductive Feminine Evil and the Creative Femininity // *Ideology, Caste, Class and Gender*, 1997, 56-64.

თოფურია 1926 / 1979 – ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. 1. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა // ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი.

ისაევი 2006 – Исаев, Ю.Н. Регулярная многозначность и «изосемантические ряды» слов // *Вестник Чувашского университета*, 2006, 4, 414-422.

კემპბელი 2020 – Campbell L., *Historical Linguistics: An Introduction* (4th ed.), Edinburgh: Edinburgh University Pres.

კლიმოვი 1998 – Klimov G. A., *Etymological Dictionary of the Kartvelian Languages*, Berlin and New York: Mouton De Gruyter.

კობჩევსკაია-ტამი 2016 – Koptjevskaja-Tamm M., 1. The lexical typology of semantic shifts: An introduction // Juvonen P. and Koptjevskaja-Tamm P. (eds.), *The Lexical Typology of Semantic Shifts*, Berlin/Boston: De Gruyter Mouton, 2016, pp. 1-20.

კოტეტიშვილი 2019 – ვ. კოტეტიშვილი (შემდგენელი), მოუკრეფავნი. ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები, დიოგენე, თბილისი.

ლერუა-გურანი 1967 – Leroi-Gourhan A., *Treasures of Prehistoric Art*, New York: Harry N Abrams.

მაიერჰოფი 1983 – Myerhoff B. G., Return to Wirikuta: Ritual Reversal and Symbolic Continuity in the Huichol Peyote Hunt // *Symposium of the Whole. A Range of Discourse Toward an Ethno-poetics*, 225-231.

მაიზელი 1983 – Майзель С. С., Пути развития корневого фонда семитских языков, М.

მარო 1930/1934 – Марр Н. Я. Право собственности по сигнализации языка в связи с происхождением местоимений // *Марр Н. Я. Избранные работы*, т. III, 1934, 180-198., М.-Л.

მარტიროსიანი 2010 – Martirosyan H. K., Etymological dictionary of the Armenian inherited lexicon, Leiden and Boston: Brill.

მარტიროსიანი 2024 – Martirosyan H. K., Armenian body part names: external genitalia //Kocharov P., Kölligan D.(eds), Studies in Armenian Grammar and Lexicon: Proceedings of the Workshop on Armenian Linguistics, Würzburg, 4-5 April 2022, 161-225, Dettelbach: Verlag J.H. Röhl, 2024.

მატისოფი 2008 – Matisoff J. A., The Tibeto-Burman Reproductive System: Toward an Etymological Thesaurus, Berkeley, Los Angeles, and London: University of California Press.

მაჭავარიანი 1965 – მაჭავარიანი გ., საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

მედინა სილვა 1983 – Medina Silva R., How the Names are Changed on the Peyote Journey // Symposium of the Whole. A Range of Discourse Toward an Ethnopoetics, 116-118.

მელორი, ადამსი 1997 – Mallory J. P., Adams D. Q., Encyclopedia of Indo-European Culture, Fitzroy Dearborn Publishers, London – Chicago.

ნილსენი 2023 – Nielsen R. T., Prehistoric loanwords in Armenian: Hurro-Urartian, Kartvelian, and the unclassified substrate, 2023. ჩამოტვირთულია მისამართიდან: <https://scholarlypublications.universiteit-leiden.nl/handle/1887/3656151>

ორბელიანი 2023, IV – ალ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, თბილისი.

სტარინინი 1955 – Старинин В.П., К вопросу о семантическом аспекте сравнительно-исторического метода (изосемантические ряды С.С.Майзееля) // Советское востоковедение, 4, 1955, 99-111.

სტარინინი 1974 – Старинин В.П., Изосемантические ряды // Проблемы семантики, М.

ტრუბაჩიოვი 1964/2004 – Трубачёв О. Н. 'Молчать' и 'таять'. О необходимости семасиологического словаря нового типа // Трубачёв О. Н., Труды по этимологии, I, 311-318, М.

ულმანი 1963 – Ullmann S., The Principles of Semantics, Oxford: Basil Blackwell, Glasgow: Jackson, Son & Co.

ულმანი 1963/1966 – Ullmann S., Ullmann S., Semantic Universals // Greenberg J. H. (ed.), Universals of Language (2nd ed.), 217-262, MIT Press, Cambridge, Massachusetts, and London, England.

ულმანი 1964 – Ullmann S., Semantics: An Introduction to the Science of Meaning, Oxford: Basil Blackwell.

ურბანი 2012 – Urban, Matthias, Analyzability and semantic associations in referring expressions: a study in comparative lexicology, 2012. ჩამოტვირთულია მისამართიდან: <https://scholarlypublications.universiteitleiden.nl/handle/1887/19940>

ფენრიხი 2007 – Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden/Boston: Brill.

ფენრიხი სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი.

ქრისტანსენი 2018 – Christiansen B., Scytel: A New Old English Word for ‘Penis’ // Anglia 2018, 136(4), 581–610.

შანიძე 1967 – მზ. შანიძე, ნეზვის ეტიმოლოგიისათვის // ორიონი– აკაკი შანიძეს, 306-310, თბილისი.

შიმდტი 1962 – Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden: Steiner.

შრიოპფერი 1952 – Schröpfer J. Wozu ein vergleichendes Wörterbuch des Sinnwandels? (Ein Wörterbuch semasiologischer Parallelen) // Proceedings of the Seventh International Congress of Linguists, 366-371, London 1952. *[სამწუხაროდ, ამ ავტორის ეს და ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილი სხვა ნაშრომებიც ჩვენთვის ხელმიუწვდომელი დარჩა].*

ჯავახიშვილი 1937/1992 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა // თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. X, თბილისი.

ჰერდტი 1981 – Herdt G. H., Guardians of the Flutes. Idioms of Masculinity, McGraw-Hill Book Company, New York.

ჰერდტი 1982 – Herdt G. H., Sambia Nosebleeding Rites and Male Proximity to Women // Ethos, Vol. 10, No. 3 (Autumn, 1982), 189-231.

მაია კიკვაძე, რუსუდან სალინაძე

ჰამიდიელ მუჰაჯირთა ლექსიკიდან

ჰამიდიეს მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშების ანალიზი და სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობა კვლავ რჩება ჩვენი ინტერესის საგნად. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულზე 2019 წელს ჩაწერილი მასალებიდან.

ჰამიდიე თურქეთ-საქართველოს საზღვართან ყველაზე ახლოს, რიზეს რეგიონის ფაზარის, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული სოფელია, რომელიც ისტორიულად მხოლოდ ქართული ყოფილა. ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ იქ, ასე ახლოს აჭარასთან, კარგად უნდა ყოფილიყო შენარჩუნებული ქართული ენა, თუმცა რეალური სინამდვილე დღეს სხვაგვარია: მოსახლეობა შერეული – თურქები, ჭანები და რამდენიმე ოჯახი ძირძველ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებისა. ისინიც ძირითადად გაბნეული არიან თურქეთის სხვადასხვა რეგიონში. ზაფხულის დადგომისთანავე ჰამიდიეს მოსახლეობა ივსება ჩამომსვლელებით, რომელთაგან მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლებმა იციან ქართული ენა. მათი თხრობა სწორხაზოვანი, გაბმული მეტყველება არაა. როგორც მთელს თურქეთის ქართველობაში, ისინიც ეპიზოდურად ჰყვებიან ამბებს, ფრაგმენტულად ცდილობენ წინაპართა ენის გახსენებას. თითზე ჩამოსათვლელად არიან ხანდაზმული მუჰაჯირები, რომლებსაც არასოდეს მიუტოვებიათ სოფელი, შემოუნახავთ ტიპური ქობულეთური მეტყველება, ლექსიკა, ფრაზები და, ბუნებრივია, მათი სალაპარაკო ქართულიც აშკარად განსხვავებულია სხვათაგან.

ერთი სოფლის, ფაქტობრივად, „დიალექტური კუნძულის“, ფარგლებში შერეული მეტყველების შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა. თანამედროვე ჰამიდიეს სამეტყველო ენა ძირითადად თურქულია; სოფელში ცხოვრობენ ჭანებიც და მათი საოჯახო ენა ჭანურია; ყველაზე ნაკლებად ისმის ქართული, ისიც, როგორც აღვნიშნეთ, ზაფხულში, როცა იქ თავს იყრიან მუჰაჯირთა შთამომავლები და ასე ცოცხლდება წინაპართა ენა. კიდევ უფრო მტკივნეულია ისეთი შემთხვევები, როცა ოჯახის უფროსი მუჰაჯირთა შთამომავალია,

მეუღლე – ქობულეთელი, მაგრამ მაინც თურქულად ლაპარაკობენ, იმიტომ რომ შვილმა არ იცის ქართული. „რაც სკოლაში შევიდა, ქართული დეივიწყაო“, – ასე გვიხსნის ბატონი ახმედ მემარნე რეალურ სიტუაციას.

ჰამიდიელები აჭარიდან, ბათუმიდან მოსულებს **მეზობლებად** მოიხსენიებენ: „რაფერ ხართ? **მეზობელი** კაი უნდა იყოს. ამდენ ხანსა ხართ?“ (ახმედ მემარნე).

ახმედ მემარნის თქმით, „თურქეთში, სადაც ჰამიდიე აწერია, ყველგან ქართველები არიან, მერე გაყიდეს და წევდენ. ადრე სულთან ახმედ ჰამიდის სახელზე იყო. სტამბოლში ჰამიდიეს ქუჩა არის“... „ფაცა დიდი აჭარაა, რიზეში თავუქროდლები არიან, ახლა სტამბოლში არიან ქათამაძეები (თურქ. Tavuk=ქათამი), გვარი **ქათამაძე** თურქულად **tavukçoglu** დაიწერეს“.

ახმედ მემარნე ჰყვება ჰამიდიეში მცხოვრები ჭანების შესახებ: „ჭანეთის სოფლებში არიან სეიდოღლები, მარა **ქართულად არ იციან**“; „აი ქალი მჟავანაძის გელინია, მარა **ქართულად არ იცის**, ჭანია, წინაპარი გურჯულად იწოდება, მარა თავად ჭანობენ. ნამდული ქართველები, ორიგინალი ქართველები აქ, ჰამიდიეში, არიან, საქართველოში არ არიან. ნამდული ქართველები თურქეთში არიან“. ჰამიდიელთა მეტყველებაში **„არ იცის“/„არ იციან“** გამოიყენება **„არ ლაპარაკობს“/„არ ლაპარაკობენ“** გამოთქმების ნაცვლად, მაგრამ სიტყვა „ქართულად“ იმავე ფორმითაა შენარჩუნებული, როგორც სინტაგმაში „ქართულად არ ლაპარაკობენ“.

ჰამიდიეში, როგორც ყველგან, თურქეთის სხვადასხვა მხარეში, ქართული ენა დავიწყების გზაზეა: „თხილის საქმეზე, სიმინდის საქმეზე **ენა იქნებოდა**. სიმინდს მოხარჩავენ – **ენა იქნებოდა**, ზღაპარი **ამზავი იქნებოდა**, ითამაშე (=ცეკვა) კაი იცოდენ“, – ასე აფასებს ქართულის ცოდნას ერთ-ერთი ქობულეთელიმუჰაჯირი.

მუჰაჯირთა შთამომავლები კარგი მასპინძლები არიან, გაშირჩევან სტუმართმოყვარეობით, გაშლიან სუფრას, ყველაფერს დაალაგებენ, რაც სახლში აქვთ. ქობულეთური და თურქული კერძები მათი ყოველდღიურობაა. „ჭამე და...“ – მიპატიჟების ფორმაა.

ჰამიდიელთა მეტყველება მრავალფეროვანია: აქ შეხვდებით-ქართულ, თურქულ და შერეულ ლექსიკურ ერთეულებს.

ქობულეთელ მუჰაჯირებს შემონახული აქვთ ქართული გვარები, რაც კარგადაა ასახული მათ ლექსიკაში: ისინი ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელს იხსნიებენ იმავე გვარის შემოკლებული -ა ხმოვანფუძიანი სახელებით: **კაკალა, ფუტკარა, ჯინჭარა**: „კაკალა (კაკალაძეები) გაჭანებული არიან. კაკალაძეებად, ფუტკარაძეებად არ იწერებიან, ამბობენ **კაკალა, ფუტკარა, ჯინჭარა**. ახლა მარტო კაცები არიან, ქალები მოკტა“ (ჯემალ მემარნე).

ჰამიდიელთა მეტყველებისთვის უცხო არ არის ქრისტიანულ რელიგიაში გავრცელებული ტერმინი **ნათლია**: „**ნათლია**, ეკლესიის საქმე ხომ?“ (ა. მ.).

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში გვხვდება ქართული ენის დასავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები:

ჰამიდიელები შვილს, ასაკის მიუხედავად, **ზადანას** ეძახიან: „სუადას (55 წლის), ჩემს **ზადანას**, აქოურობა უყვარს. სუადამ ასე უთხრა მის **ზადნებს**: ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინც ამ სახლს გაყიდის, ღმერთი არ აპატიებს“ (ჰამიეთფასიოღლუ);

ცა (= გოგო): „ჭამე, **ცაგ**, პური მიაჭამე“ (ჰ.ფ.)...

გვხვდება ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა:

მორეგვილა ფხალი: „**მორეგვილა ფხალიც** ვიცი, მარა ახლა ასე მოგვინდა“ (ჰ. ფ.). **მორეგვილა/მორეგვილა** დასტურდება „ჩვენებურების ქართულში“: მორეგვავს – ჩაჩეხავს, ჩაზელს, ჩალესავს: „ჩემი ნენეი ლობიას, ფხალს შესუნელებამდი მორეგვავს; მორეგვილი: ლაფერაით მორეგვილი ფხალი გერმელი გამოდის...“ (ფუტკარაძე, 1993:511).

მოპრანჭული ფაფა: „ფაფა **მოპრანჭულია**, მარა ახალია (ჰ.ფ.). მოცემულ გამოთქმაში იგულისხმება თევზზე დასხმული ფაფის უსწორმასწორო ზედაპირი. შდრ. **მოპრანჭულ**-ი (**მოპრანჭულისა**) 1. საუბ. ვინც მოპრანჭეს ან მოიპრანჭა, – გამოპრანჭული. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. მოკაზმულ-მოპრანჭული (ქეგლ). ჰამიდიეს მეტყველებაში **მოპრანჭულს** საპირისპირო მნიშვნელობა აქვს, ნიშნავს ულამაზოს;

ტყულა ჩაი: „ტყულა ჩაი დალიეთ, ჭადით (= პურით) არა“ (ჰ. ფ.). გამოთქმა ნიშნავს ჩაის დალევას ყველაფრის გარეშე, უპუროდ;

რამეთი გზობა (= რამდენჯერ): „გადილე, ჭამე, **რამეთი გზობა** გითხრა და...“ (ჰ.ფ.);

2019 წლამდე ჩაწერილ მასალებში გვეკონდა შესიტყვება **და-თლილი კაცები**, რაც, ჩვენი განმარტებით ნიშნავდა გამორჩეულ, თითზე ჩამოსათვლელ კაცებს. იგივე მნიშვნელობა დაგვიდასტურეს მოგვიანებით (2019 წ.) ჩვენმა რესპოდენტებმა: „თბილისში არის ჩემი დეიდაშვილი, მამამისის ხისიმია, მისი დედა ჯიჯავაძეა, უმიან ჯიჯავაძე. მისი ბაღანა საელჩოში მუშაობს, იქა **დათლილი კაცია**“ (მნიშვნელოვანი კაცია, – დააზუსტა დინარა ნოლაიდეღმა). ამ მნიშვნელობის მეტი სიციხადისთვის ჰ. ფასიოღლუმ მოიშვევლია თურქ. ünli adam (= ცნობილი კაცი).

განსხვავებული სემანტიკისაა ჰამიდიელთა მეტყველებაში დადასტურებული ზმნური ფორმა **აწუნვებ**: „რეიზა **აწუნვებ**, ნუ გცხვენია გადაყლაპე მაი საჭმელი“ (ჰ. ფ.). როგორც ცნობილია, ქართულში ლექსემა **წუნვი** უარყოფითი კონოტაციისაა, ნიშნავს მსუნაგს, სულწასულს, ცუდს, უვარგისს... (იხ. ქეგლ), საანალიზო წინადადებაში კი **წუნვი** მორცხვობას უკავშირდება.

ჰამიდიელთა მეტყველებაში ჭარბობს შერეული ლექსიკა:

ჩორბა (თურქ. Çorba = წვნიანი): „ფხალის ერთად გარეული **ჩორბა** გემრიელია, ცხელია ნამეტანი? მუურიეთ და“;

ნიშანლი (თურქ. Nişanlı = დანიშნული): „ნუ მატყუებ, შენ სტამბოლშიდიებადე, მე **ნიშანლი** ვიყავი“ (ჰ. ფ.);

აჯელე (თურქ. Acele = ჩქარობს): „მამიდასთან გეიზარდე შენ? დამე **აჯელე** არ გინდა, დარჩი ქობულეთში“ (ა.მ.);

იარიჯები (თურქ. Yarıcı = მონახევრე, მოიჯარე, საზიაროდ მომუშავე): „**იარიჯები** მოვდენ, დილას გამრებიან, ახლა მოვდენ... მე არ მჯერავს იარიჯების, დინარას და ახმედს ჯერა“;

ზეითუნი (თურქ. Zeytin = ზეთისხილი): „რა იყო, **ზეითუნი** რა გეჩქარებოდა, სხვა ჭამე, ჭამე“;

კენერი (თურქ. Kenar = კუთხე, ნაპირი, განაპირა): „**კენერში** ნუ ზიხარ“ (ჰ.ფ.). ეს ნიშნავს, რომ ჰამიდიეს ქობულეთელ მუჰაჯირებს ახსოვთ ძველი ტრადიციები, ხალხური რწმენა: გასათხოვარი ქალი კუთხეში არ უნდა დასვა.

მისაფირი (თურქ. Misafir = სტუმარი): „ჭამე, **ცაფ**, სირცხვილია **მისაფირთან**, შენდა ჭამო, იმანაც ჭამოს“;

აირი, ყირმიზი (თურქ. Ayı = ცალკე, kırmızı = წითელი): „თევზის ნახევარი **აირი გაყირმიზებულია**“;

ბეთმეზი (**ბექმეზი**: თურქ. Bekmez = ყურძნის, თუთის, მსხლის დადუღებული წვენი), **კიზილჯული** (თურქ. Kızılıcık = შინდი): **„ბექმეზის ფაფა ჭამე, ყურძნის ფაფა, კიზილჯული წუუსვი“**;

ნანე (თურქ. Nane = პიტნა): **„ზეთისხილი – ყირმიზი; პიმპილი – თუ გინდა ნანესაც მოაყრი, ბექ ქონდარიც კაია“**(პ. ფ.).

ჰამიდიელთა გადმოცემით, სოფლის ერთ-ერთ უბანში ბერძნები სახლობდნენ, რაც დადასტურებულია ტოპონიმში **იფი**: **„იფში ძველი ბერძნების სოფელი იყო, მერე იყო გურჯი ქოი. ვერულიძეები და ქათამაძეები არიან, მარა ჩასულები, ძველი ქობულეთელები“** (ა.მ.); **„ქალი იარიჯი ლაზია, კაცი ჩვენებური არ არის, ესქი რუმია (=ძველი ბერძენია)“**.

დაზაიფდეს (თურქ. Zayıf = სუსტი): **„დინარაი არაფერს არ ჭამს, ახლანდა დაზაიფდეს“** (პ. ფ.);

ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ხშირად დასტურდება ლექსემა **მოყალიბება**. სიტყვის ძირი არაბულია (kalıp = მოდელი, ფორმა, ყალიბი). ჰამიდიელები **მოყალიბებას** იყენებენ **მოწესრიგების** მნიშვნელობით. ეს ლექსიკური ერთეული ადრე დადასტურებული გვექონდა უსულო საგნებთან მიმართებით, მაგალითად, **მოყალიბეს სახლები**. მოგვიანებით (2019 წ.) შევხვდით ადამიანებთან მიმართებითაც. ა. მემარნე ჰყვება: **„დინარაი სტანბოლში იყო, ბაღანა მოყალიბა, გოგო მოყალიბა, უნივერსიტეტში ოქუიორ** (თურქ. Okuyor = სწავლობს), **იატაქი, ოდა**(თურქ. Yatak = საწოლი; oda = ოთახი) – სუ ყველაფერი **ოქულმა** მისცა (თურქ. Okul = სკოლა. მიქმ. გულისხმობს უნივერსიტეტს – ავტ.)“.

ჰამიდიელ მუჰაჯირთა ერთი ნაწილი, გვარად ხარაზები, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკედანაა. **„ხარაზი – ayakkabıcı** (თურქ. ayakkabıcı = ფეხსაცმლის მკერავი)ფეხსაცმლის მკერავები იყვნენ“. გვარის საქებრად იყენებს პ. ფასიოღლუ სიტყვათშეხამებას **დაქებული ხარაზი**.

ქართული ხატოვანი გამოთქმის ტიპური ნიმუშია **პირზე მე მჯობს**. პ. ფასიოღლუ საუბრობს მასზე უფროს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალზე, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულ ქალბატონ ემინეზე, რომელიც, მიუხედავად ასაკისა, კარგად გამოიყურება და განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი ქართულით, ქობულეთური მეტყველებით: **„ემინე პირზე მე მჯობს, ახალათაა, თუ ცოცხალი იქნება, მოვა (=სახეზე მე მჯობს, ახალგაზრდასავითაა – ავტ.)“**.

საინტერესო ფრაზაა **ტანი არ მაქ, მარა ძველი მახსოვს**. ერთი შეხედვით, **ტანი არ მაქ** ადამიანის სიმაღლის გადმოსაცემად უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ, წინადადების მთლიანი კონტექსტიდან გამომდინარე, რახან რესპოდენტი მეხსიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, საფიქრებელია, რომ ფრაზა **ტანი არ მაქ** უნდა ნიშნავდეს **დავბერდი, ასაკიანი ვარ**.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: ზეპირი მეტყველების დინამიკაში შესწავლა იძლევა მნიშვნელოვან შედეგს, კერძოდ, გარდა იმისა, რომ გამოვლინდება ახალი ლექსიკური ერთეულები, შესაძლებელი ხდება სიტყვაფორმათა სემანტიკური ნიუანსებისა და იმის დაზუსტებაც, რა შემოინახა გენეტიკურმა მეხსიერებამ.

გამოყენებული ლიტერატურა

თურქულ-ქართული ლექსიკონი – Türkçe Gürcüce Sözlük, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბოლი.

ფუტკარაძე 1993 – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <https://ena.ge/explanatory-online>

მ ა რ ი ა მ კ ო ზ ე რ ი ძ ე

ბერ- ძირიანი გვარსახელები 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“

გვარსახელების სტრუქტურის, სემანტიკისა და ეტიმოლოგიის შესწავლა ენათმეცნიერული კვლევის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ობიექტია. საკითხის შესწავლა მჭიდრო კავშირშია ისტორიულ და ეთნოგრაფიულ მონაცემებთან. „რუისის სამწყსოს დავთარი“ 1715 წელს შეუდგენია ნიკოლოზ მროველს (ორბელიში-

ლი) მეფე გიორგი XI დავალებითა და მისი ძმისწული ვახტანგის (ვახტანგ VI) ხელშეწყობით. რუისის დავთარში ჩამოთვლილია 84 სოფელი და თითოეულ სოფელში აღნუსხულია იქ მოსახლე 1839 ოჯახი ანუ კომლი. ეს დავთარი დაიბეჭდა 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნები (წიგნი I, ელექტრონული სტამბა, გამომცემელი ქართველი ამხანაგობისა) (ე. თაყაიშვილი 1907, 127-207).

დოკუმენტში ქართულ გვარებსა და საკუთარ სახელებში ხშირად მეორდება **ბერ-** ძირი. **ბერი** საზოგადო სახელი ქართული ენის ლექსიკონებსა და ეთნოგრაფიულ მასალებში რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება. **ბერ-ი – მოხუცებული, მონაზონი.** მისგან ნაწარმოებია ბერობა, დაბერება, დედაბერი, დედაბერებრი, სიბერე, უბერესი. ბერვა „შებერვა“, ჩაბერვა: დაბერვა, მიბერვა, შებერვა, ბერვა... (ი. აბულაძე 1973, 131,139).**ბერი** – ხანში შესული – ხანმრავალი კაცი. ბებერი, ბერობა, დააბერა, დედაბერი, კაცი, ჳევის-ბერი (ს.- ს. ორბელიანი 1991, 102). **ბერ-ი (ბერისა)** 1. ბებერი, მოხუცებული, დიდი ხნის (ადამიანი)// საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ); 2. საეკლესიო მძობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღქმა აქვს დადებული//ბერად აღიკვეცება, ბერად აღკვეცილი (ქეკელი 2008, გვ. 996).

ბერ-ი სიტყვის სემანტიკასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ბერი თავდაპირველად აღნიშნავდა ჩვილს (ნ. მარი 1935, 351-355; ი. სურგულაძე 1989,40,41; ნ. აბაკელია 1997, 24-25). ბერი ვაჟიშვილის აღმნიშვნელი საერთო ქართველური სიტყვაა (ივ. ჯავახიშვილი 1937, 186).ქართლში ახლად დაბადებულ ბავშვს წლამდე ბერი ეწოდებოდა (ვ. ბარდაველიძე 1947, 5-65; მ. კობერიძე 2023, 252-260).

ი. მაისურაძე გვარებთან დადასტურებულ ბერ- კომპონენტს განიხილავს როგორც მამრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვას. მეცნიერის ვარაუდით, თავდაპირველად იხმარებოდა ზოგადი მნიშვნელობით, რასაც ამტკიცებს მისი სემანტიკური ცვალებადობა. სწორედ ეს ზოგადი მნიშვნელობა დაედო საფუძვლად მამაკაცის საკუთარ სახელთა შექმნას წარსულში, როგორც წარმოქმნილ ფორმებს, ისე კომპოზიტებსაც (ი. მაისურაძე 1965, 237, 241).

ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელთაგან წარმოქმნილა გვარი (ზ. ჭუმბურიძე 1987, 319).

დოკუმენტში დადასტურებული კომლის პირსახელებიდან შესაძლებელია გამოვყოთ **ბერი** საზოგადო სახელიდან წარმოქმნილი ანთროპონიმები.

მარტივი, აფიქსდაურთველი პირსახელებიდან გამოვლინდა - 169 შემთხვევა. **არადეთი** -1; **სამება**-4; **დირბი**-6; **ქვემო ძვიმლეთი**-9; **ავნევი**-4; **დვანი** -6; **ნული**-4; **ურმისხელი**-1;**ბალთა**-2; **ჭვრინისი** -2; **ქალეთი** -1; **ატოცი**-3; **ბრეძა**-5; **ნაბახტევი**-2; **ბრილი**-5; **ოძისი**-7; **ოქონა**-3; **კნოლე**-3; **ნული**-5, **ერკნეთი**-8; **ღვერთეთი**-4; **თორმანეული**-2; **ბეყმარი**-2;**მდავი**-5, **წორბისი**-5; **ტეზერი**-7; **შინდარა**-1; **მულნისი**-1;**სავანხევი**-1; **ბელლითი**-4; **კუნკას უბანი**-2; **თიღვა**-2; **ახანო**-1; **მწყვედელისი**-6; **ბერმენაული**-4; **ტკოცა**-5; **დუმაცხო** -3; **ფლევი**-1; **ალი**-1; **სამება**-4; **ჭალის სოფელი**-7; **ახალსოფელი**-1; **სატივე**-1; **ვაცა**-4; **ცერონისი**-3; **ავლევი**-2; **ფრცა** (ფცა)-6; **სურამი**-3; **თერეგვანი**-4; **ოქორა**-1; **მადინა**-2; **ახალშენი** -3; **არაგამა**-1; **გამოდმა ახალდაბა**-1; **ტაშისკარი**-1; **შინდარა**-1; **ქარელი**-1; **ხაშური**-3.

პირსახელი წარმოქმნილია აფიქსების საშუალებით:

უა (←**ო-ა**):**ბერუა** -5 შემთხვევა.**წორბისი**- ფინჯაიმე **ბერუა**; ტეზერი-მჭედლიშვილი **ბერუა**; ბელლითი – მამუკაშვილი **ბერუა**; მონასტერი – ლომინაშვილი **ბერუა**; აბისი-ბოჭაძე **ბერუა**.

ბერუა←**ბერ-ო-ა**. შდრ. დათუა (←დათოა); გიგუა (←გოგოა). **ბერო** წარმოქმნილია წოდებითი ბრუნვის ფორმისაგან. -ა მოფერებით -კნინობითის მაწარმოებელი აფიქსია.-ა მაწარმოებელი აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებშია გავრცელებულია. -ა მაწარმოებელი ერთვის **ო-ზე** დამთავრებულ სახელს და უ-დ გარდაიქმნება. ვანო-ვანუა, ბერო-ბერუა. შესაძლებელია ეს უა ნიუანსურად კნინობითობის -უნა, -უკა-ს სიახლოვითაც აიხსნას (გ. ხორნაული 2003, 235).

ბერუა გამოიყოფა გვარსახელში – **ბერუაშვილი**. დოკუმენტში გამოვლინდა ამ გვარის გამოყენების 4 შემთხვევა. ბერუაშვილი გიორგი (ფრცა), ბერუაშვილი მღვდელი ელიოზი (ჭვრინისი), ბერუაშვილი ბეჟია, ბერუაშვილი თამაზა (ოსიაური).

ბერე: ცხადაშვილი **ბერე (ბალთა)**, გოგიბაშვილი **ბერე** (ნაბახტევი), გუნაშვილი **ბერე (მვისი)**. აქ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს „ბერე-ს“, რაც ჭანურში აქვს „ბავშვი“, „შვილი“, „მე (ბიჭი)“ (არნ, ჩიქობავა 2008, 39, 40).

-უკა: **ბერუკა** პირსახელის გამოყენების 23 შემთხვევა გამოვლინდა. კნოლე-ძულიაშვილი ბერუკა; ბეკამი-შოშიაშვილი ბერუკა; ბალთა-სახუაძე ბერუკა; ოძისი-ღვარძლაძე ბერუკა, ბრევაძე ბერუკა, ბრევაძე ბერუკა, ოქონა-ნიკაშიძე ბერუკა; ტეზერი-არავიაშვილი ბერუკა; ქვიშხეთი-მაღლაფერიძე ბერუკა; ზანავი-გოსტაბაშვილი ბერუკა; სავანცევი-მარგველაშვილი ბერუკა, მახარობლიშვილი ბერუკა; თიღვა-თანდილაშვილი ბერუკა. აბისი-კვამლაძე ბერუკა; ცერონისი-ხატის კაცი ბერუკა; ავლევი-სვიანიძე ბერუკა; ფრცა-კუკუაშვილი ბერუკა; კვინიკაძე ბერუკა; უთხვა-ბლიაძე ბერუკა; ბიჯნისი-ძულიაშვილი ბერუკა; კვირიაშვილი ბერუკა; სურამი-ნებეირიძე ბერუკა; ძალინა-ჭილაძე ბერუკა.

-უკა კნინობითობით-საალერსო ფორმის მაწარმოებელი უმთავრესად რაჭულში გამოიყენება, სადაც ყველანაირ სახელს დაერთვის, საკუთარსაც და საზოგადოსაც (ვარლამუკა, ხელუკა, წყალუკა...), ფშავ-ხევსურეთში მხოლოდ ადამიანთა სახელებს აწარმოებს დედუკა, ბაბუკა (ბაბუკი), სამუკა, ნანუკა... (გ. ხორნაული 2003, 236). დოკუმენტში გამოვლინდა გვარსახელი: **ბერუკაშვილი** ბერი (არადეთი); **ბერეკაშვილი** სეხნია (ბრილი). გვარი **ბერეკაშვილი** გვავარაუდებინებს პირსახელს **ბერეკა** (ბერიკა).

-იკა კნინობით-საალერსო სუფიქსი გამოვლინდა პირსახელში **ბერიკა**. ღვინაიშვილი ბერიკა (მვისი). **-ურჩა:** **ბერურჩა**. დოკუმენტში გამოვლინდა აბრამიშვილი **ბერურჩა**. **ბერურჩა** გვხვდება გვარსახელში **ბერურჩაშვილი**.

საკვლევ მასალაში გამოვლინდა 18 ბერ- ელემენტური გვარსახელი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დასტუდება 8 -მე-ზე დაბოლოებული გვარსახელი, 10 – შვილზე დაბოლოებული.

გვარი **ბერიძე** (**←ბერ-ი +ძე**) დადასტურდა არადეთში (ბერიძე თამაზა, ბერიძე იორდანე). ბერიძეები უფრო მრავალრიცხოვანი გვარია. ისტორიულად იხსენიებიან მრავალ ისტორიულ დოკუმენტში (მესხეთი, იმერეთი, გურია, აჭარა...). ბერიძეები საციციანოში ციციშვილების აზნაურები იყვნენ. 1411 წლის დოკუმენტში ქართლში იხ-

სენიება დავით ბერიძე. 1448 წელს ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემულ ქონების ზომების წიგნში სხვებთან ერთად მოწმედ ბერიძეცაა დასახელებული. დემეტრე ბერიძე მოწმედ გვხვდება იმავე ალექსანდრე მეფის მიერ 1484-1510 წლებში კაციბერ თოფურიძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელში. დაუთა ბერიძე არის მოწმე გიორგი სააკაძის მიერ ფარსადან ჯავახიშვილისაგან ყმა მამულის ნასყიდობის წიგნში. ქართლში ციციშვილის აზნაურ ბერიძეს 1578-1675 წლებში ჰყოლია სამი კომლი ყმა მწლეთსა და ხამლეთში. ბერიძეები ქართლში მხოლოდ ციციშვილების აზნაურები არ იყვნენ, ისინი ირიცხებოდნენ საამილახვროს აზნაურებშიც(ი. ახუაშვილი 1997, 48). ამჟამად ბერიძეები ცხოვრობენ ფრონის ხეობის სოფლებში- არადეთსა და დირბში.

გვარსახელი **კობერიძე** გამოვლინდა ფრონის ხეობის ორ სოფელში- წორბისსა და ხტანაში (კობერიძე მამუკა -წორბისი; კობერიძე პაატა - ხრტანა).ამ გვარის მაწარმოებლად ზ. ჭუმბურიძე სიტყვა ბერი მიაჩნია, ისევე როგორც ძე და შვილი (ბერე ჭანურად „შვილს“, „ვაჟს“ ნიშნავს) (ზ. ჭუმბურიძე 1987, 345).

დოკუმენტში დადასტურდა გვარსახელი **ბეროზაშვილი**. ბეროზაშვილი შოშია, ბეროზაშვილი მამუკა, ბეროზაშვილი დათუნა (მესამე სახუცო ტეზერი). გვარი გვავარაუდებინებს პირსახელს ბეროზა (-ოზა საკუთარი სახელის წარმომქმნელი აფიქსია).

ბერ- კომპონენტი დადასტურდა გვარებში: **ბერაძე** თამაზა (სურნისი და წირეთი); **ბერაძე** ლაზარე (მდავი). გვარი გვავარაუდებინებს -ა მოფერებით-კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსით ნაწარმოები პირსახელს **ბერა**.

ამრიგად, „რუისის სამწყსოს დავთარში“ გამოვლინდა ბერძირიანი გვარსახელების წარმოების საკმაოდ მრავალფეროვანი გზები და საშუალებები.ის ფაქტი, რომ აქ დადასტურებული გვარსახელები და მაწარმოებელი აფიქსები ქართულია, გვაძლევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, ფრონის ხეობაში, როგორც ისტორიული ზემოქართლის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ არ ჩანს არაქართული მოსახლეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაკელია 1997 – ნ. აბაკელია, სიმბოლოდარიტუალიქართულ-კულტურაში, თბილისი.

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი.

ახუაშვილი 1997 – ი. ახუაშვილი, ქართულ გვარ-სახელთა საიდუმლოებანი, თბილისი.

ბარდაველიძე 1947 – ვ. ბარდაველიძე, ეთნოგრაფიულიჩანაწერებიმეცნიერისარქივიდან(ქართლი).თბილისი.

თაყაიშვილი 1907 – ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, გამომცემლობა ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთ ამხანაგობისა, ტფილისი.

კობერიძე 2023 – მ. კობერიძე, „ბერად დაყენების“ რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოში. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია. X, გორი.

მაისურაძე 1965 – ი. მაისურაძე, ბერ- ძირი ქართულ გვარ-სახელებში. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. 1, 22, თბილისი.

მარი 1935- Н. МАРР, Избранные работы, I, Ленинград.

ორბელიანი 1991 – ს.ს. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი-ქართული. I, თბილისი.

სურგულაძე 1989 – ი. სურგულაძე ირაკლი, ერთი საქორწილო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1, 40,41, თბილისი.

ქეგელი 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ჩიქოვაძე 2008-არნ. ჩიქოვაძე, ჭანურ-მეგრულ შედარებითი ლექსიკონი. შრომები, IV, თბილისი.

ჭუმბურიძე 1937 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, გამომცემლობა ქართული, გამომცემლობა ნაკადული, თბილისი.

ხორნაული 2003 – გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა, გამომცემლობა თსუ, თბილისი.

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა: ქართველი ერის ისტორია, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჯ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

დისიმილაციური გამჟღერების ერთი შემთხვევისთვის ქიზიყურში

დისიმილაციურ გარდაქმნათა შორის ყრუ თანხმოვნის გამჟღერებას ქართველურ ენებში მეცნიერთა ყურადღება არაერთხელ მიუპყრია. ამ ფონეტიკურ პროცესს შესწევს ძალა ენათა კონტაქტის ისტორიულ შრეთა გამოკვეთისა და ენობრივი სისტემის ცვლილების ცხადად ქცევისა. წინამდებარე კვლევაც ქიზიყურში გამოვლენილ ამავე ფონეტიკური კანონის მოქმედებას ეთმობა: განხილულია მისი გამომწვევი მიზეზი და დიალექტურ ლექსიკაში განხორციელებული ცვლილების თავისებურებანი.

გ. ახვლედიანის დაკვირვებამ ოსურში შესული ორი აბრუპტივის შემცველი ქართული სიტყვების შესახებ საფუძველი დაუდო როგორც ქართველური, ისე სხვა კავკასიური ენების ხასიათის შესწავლას უცხო ბგერითი ერთეულების ფონოლოგიური დამკვირდება-ადაპტირების მხრივ¹. კვლევით გამოვლინდა, რომ ორი ყრუ მკვეთრის თანაარსებობა ერთ სიტყვაში შეუძლებელი იყო, რის გამოც ერთ-ერთი მათგანი ჰომორგანულ მჟღერად იქცეოდა².

ამ ფონეტიკური კანონის ისტორიული მოქმედების შესახებ სვანურში მსჯელობს ს. ჟღენტი³, რომელმაც შეისწავლა ე. თაყაიშვილის ნაშრომში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში“ თავმოყრილი სვანეთის ქართული ხელნაწერები და გამოავლინა ტექსტის ორთოგრაფიული უზუსტობანი, რაც ჩამწერის მიერ სა-

¹ ახვლედიანი 1941, 41-44 (ოსუ შრომები, ტ. XVIII, თბილისი, 1941).

² იხ. დას. ნაშრომი.

³ ჟღენტი 1965, 47-53

მწერლობო ენის სუსტად ფლობით ახსნა და ტექსტებში თავჩენილ სვანიზმებში შენიშნა სვანურისათვის მახასიათებელი დიაქრონიულად განხორციელებული ფონეტიკური გარდაქმნები, მათ შორის დისიმილაციაც.

დისიმილაციური გამჟღერების წესის ნაკვალევი გამოავლინა გ. როგავამ ჩერქეზულში, რაც აისახა რუსულიდან შეთვისებულ სიტყვებში¹: კვლევა ემყარება როგორც ადიღურის, ისე ყაბარდოულის ჩვენებას და გამოვლინდა, რომ რუსული ენის ყრუ ხშულები ადიღურში უცვლელად დამკვიდრებულა, რაც სათანადო ბგერითი ერთეულების არსებობას უნდა გამოეწვია², დისიმილაცია მხოლოდ ყაბარდოულში მოხდა, რომელსაც არ მოეპოვება პრერეპტივთა სერია და ორი ყრუ თანხმოვნიდან ერთ-ერთი გამჟღერდა.

გ. როგავა „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხებში (ნაწ. II)“ ჩერქეზულთან ერთად საგანგებოდ მსჯელობს დისიმილაციური გამჟღერების საკითხზე ქართველურ ენებში. ნაშრომში იგი სრულად მიმოიხილავს საკითხის შესწავლის ისტორიას, უმართებულოდ მიიჩნევს ცალკეულ მკვლევართა დასკვნას ამ ფონეტიკური კანონით ახსნილი ისტორიული ბგერათცვლილებების შესახებ და მათ გამომწვევ მიუჩნევს მოიაზრებს სხვა ფონეტიკური კანონის ამოქმედებას³.

იგი ამავე ნაშრომში ქართველურ ენებში დისიმილაციური გამჟღერების შესახებ წერს: „როგორც ჩანს, ფონეტიკური პროცესი – ყრუ ხშულთა დისიმილაციური გამჟღერება დასახელებულ ენებში – ხდება სხვა ენებიდან შეთვისებულ სიტყვებში. საკუთარ მასალაში ამ ფონეტიკურ კანონზომიერებას არა აქვს ადგილი“⁴. ამ დებულების კვალდაკვალ ყურადღებას იპყრობს ფუთჟ-ლიექსიკური ერთეულის

¹ როგავა 1984, 15-22

² ცნობილია, რომ ადიღური განარჩევს სამგვარ სიყრუეს: ფშვინვიერს, უფშვინველსა და მკვეთრს. რუსულის ყრუ თანხმოვნები უფშვინველია (resp. პრე-რეპტივი), ფონეტიკურად ემთხვევა რა ადიღურის ყრუთა ერთ-ერთ სერიას, ამდენად, ბგერათშეხამება ნაკლებად იქნებოდა დამაბრკოლებელი.

³ იხ. როგავა 1984, 29-32

⁴ როგავა 1984, 3.

ფონეტიკური გარდასახვა, რაც თავს იჩენს სამწერლობო ენასა და კილოებში.

ქველ-ის მიხედვით, **ფუთქ**-ი „ბებერას, კოჟრის“ სინონიმია და ნიშნავს „აბურცულ წყალჩამდგარ კანს“¹. ქიზიყურში ეს ძირი დისიმილირებული ფორმით გვხვდება: ანლაუტში **ფ** ასპირატი მჟღერდება (ფ>ბ):

ფუთქი > **ბუთქი**: *ფეჭზე იგეთი ბუთქ-ი ადევ, ნეტა როგო დადის?! (ზოდბ.)*

ეგევე სახეცვლილი ძირი გამოირჩევა მრავალმხრივი სიტყვათქმნადობით:

ა) აწარმოებს **ბუთქ-ვ**-ა ნასახელარ ზმნას: *რატოიგრე დამბუთქენია ფეჭი-ო! (ზოდბ.)*

ბ) **ნა-არ** დერივაციული ირგვლივსართის მეშვეობითაწარმოებს ახალ**ნა-ბუთქ-არ-ი** სახელურ ფუძეს: *მაატა ეგეგ ნაბუთქარი ააჭერ და ეშველოდ ბალდ (ზოდბ.)*.

ფ. ერთელიშვილი ერთი მხრივ დასაშვებად მიიჩნევს ანლაუტური **ფ**-ს ზემოქმედებით გამოწვეულ პროგრესულ დისიმილაციას (ფუფქი > ფუთქი), მეორე მხრივ ინლაუტური **თ**-ს მიერ განხორციელებულ რეგრესულ დისიმილაციას ვარაუდობს (**ფუთქი** < **თუთქი**) და ასკვნის, რომ **ფუთქი** *ფუფქ-ისა* და *თუთქ-ის* კონტამინაციის შედეგია².

ნ. ჭოხონელიძის აზრით, **ფუთქ**- ძირის პირველსახეა ძვ. ქართ. გან-**ფუტყ**-ვ-ა „დაწვა“ (ფუთქ < ფუთკ < ფუტყ). იგი **ფუტყ**- ძირიდან მომდინარედ მიიჩნევს რაჭულ *გადა-ფუნტკლ-ავ-ს* „გადაბუგავს“ და იმერულ *ე-ი-ფუტკრ-ებ-ა* „ამობურცვა დაწვის გამო“ და აგრეთვე სვანურ **ფუთკუირდ** *ლიჩედ* „ფერფლად ქცევა“ ფორმებს³.

გასაზიარებელია ნ. ჭოხონელიძის ვარაუდი ძვ. ქართ. *ფუტყ*-ძირში **ტყატკრ** სახის ფონეტიკური გარდაქმნის შესახებ. ეს პროცესი უნდა გამოეწვია ფარინგალური რიგის თანხმოვანთა მოშლას, რაც, თავის მხრივ, ე.წ. „ჰარმონიულ კომპლექსებშიც“ აისახებოდა.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, გვ.194.

² ერთელიშვილი 1980, 144

³ ჭოხონელიძე 2024, 683-684

ხახისმიერი **ყ**-ს არტიკულაციის წინ წამოწევამ მისი რთული რაგვარობაც (სპირანტოიდობა) შეცვალა – გარდაქმნა ხშულ-მსკდომად, ხოლოვიზრაცია, როგორც მახასიათებელი საწარმოთქმო კომპონენტი, ერთგვარ გარდამავალ ბგერად აქცია **რ**-ს სახით¹. ფონოლოგიურად რეალიზებული გარდამავალი **რ** ბგერა /**ტა**/ ბგერათვომპლექსს ხან შემდგომ უვითარდება, როგორც ამას ი. ქავთარაძე ამოწმებს იმერულში², ხანაც – წინ, როგორც ამას, ალ. კობახიძის მიხედვით, რაჭულში ვხვდებით³.

დამატებით განმარტებას მოითხოვს რაჭულში განხორციელებული ფუტყ- > ფუნტკლ-გარდაქმნა./ნტკლ/ ბგერათმომდევრობა რამდენიმე ფონეტიკური პროცესის განხორციელების შედეგად უნდა მიგვეღო: დეფარინგალიზაციის შემდგომ პირვანდელი **ტყ** კომპლექსი სტრუქტურულად გართულდა და გარდაქმნილა **S^oCCS** სახის ბგერათმომდევრობად, სადაც /**ტა**/-ს ირგვლივ **რ**-ს გაჩენა იმ ვიზრაციის კომპენსაციის ორმაგი პოზიციური რეალიზების შედეგია, რაც რთული რაგვარობის მქონე **ყ**ხშული ფარინგალის მოშლამ წარმოშვა:

*გადაფუტყავს > *გადაფურტკრავს.*

/რტკრ/ ბგერათმომდევრობის სახეცვლილების შემდგომი ეტაპი უნდა ყოფილიყო */რტკლ/**, რაც **რ-რ > რ-ლ** სახის პროგრესულსონორულ დისიმილაციას უნდა გამოეწვია (**გადაფურტკრავს > *გადაფურტკლავს*)⁴, ხოლო **ტ**-ს წინა პოზიციამირ, როგორც ჩანს, ასიმილირდა: **რან** (რტკლ > ნტკლ: **გადაფურტკლავს > გადაფუნტკლავს*).*

გ. როგავას ზემოთქმულ შეხედულებას თუ გავითვალისწინებთ, **ფაბ** დიმილაციური გამჟღერება საკუთრივ ლექსიკურ ფონდში არ უნდა განხორციელებულიყო⁵. თუ *ფუთყ-* ძირის პირველსახე *ფუტყ-* უნდა ყოფილიყო (ფუტყ>ფუთყ), მოულოდნელი არ უნდა იყოს, მას რელექსიკალიზაციის შესაძლებლობაც მისცემოდა: მიღე-

¹ კოჭლამაზაშვილი 2009, 29-32

² ქავთარაძე 1963, 118

³ კობახიძე 1987, 27

⁴ შდრ. ახვლედიანი 1949, 203

⁵ როგავა 1984, 36

ბული თქ კომპლექსი ცდილობს ფონეტიკური პოზიციის გამყარებას და ანლაუტური თანხმობის დისიმილაციური გამჟღერებით შეამარა ახალი სახელური ფუძე ქიზიყურში: ფუთქი >ბუთქი, რომლის მიზანიც ცალსახად ცნებითი ერთეულის შექმნა იყო, ამდენად, დისიმილაციური გამჟღერება არანასესხებ ლექსიკურ ერთეულებშიც შეიძლება განხორციელდეს.

ძვ. ქართ. **ფუტყ-** „დაწვის“ აღმნიშვნელ ძირთან მიმართებით ყურადღებას იპყრობს ხეთური *putk-iyā* „აფუება, ამოსვლა“. ი. ტატიშვილის განმარტებით, ეგევე სიტყვა აღნიშნავს „სიმსივნის, ძირმაგარას, კოპის... გაზრდას“¹.

უ. კლოკჰორშტი შენიშნავს **tk** კომპლექსის არსებობას ძირში; იგი ერთი მხრივ ითვალისწინებს ი. ტიშლერის ბგერათფარდობის კანონს ს.-ინდ.-ევრ. *k₁ : ხეთ. *tk, მაგრამ არ იზიარებს, რამეთუ არ მოიაზრებს *k₁ ფონემის არსებობას საერთო ინდო-ევროპულში, მეორე მხრივ – არადამაჯერებლად მიაჩნია ო. კარუბასეული ანალიზი, შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვა-ფორმის სეგმენტაციით და ეტიმოლოგიური ახსნისაგან თავს იკავებს².

ი. პუჰველს ხეთურ *putk-iyā* „სიმსივნე“ ძირის ლიეტუვურ შესატყვისად მიაჩნია *pūsti* „id“, ამოსავლად კი –ნასახელარი ზმნა **putko* „შეშუპება, სიმსივნე“, რომელსაც, თავის მხრივ, უპირისპირებს ბელორუსულ *pot-ka* (<*pūtīka) „ასო“ (ანატ.) და ლათინურ *prae-pūtium* „ჩუჩა“ (ანატ.) ერთეულებს³.

ვფიქრობ, ხეთურში *putk-* „აფუება, ამოსვლის“ აღმნიშვნელი ძირი ქართველური ნასესხობა უნდა იყოს. ი. პუჰველისეული ეტიმოლოგიური ახსნის გათვალისწინებით, ს.-ქართვ. **ფუტყ-** „დამწვრობა, ბებერა“ უნდა შეეთვისებინა ს.-ინდ.-ევრ. ფუძე-ენას, რომლის რეფლექსებსაც უნდა ვხვდებოდეთ ერთი მხრივ – ანატოლიურ (ხეთ. *putk-iyā*) და მეორე მხრივ –ბალტიურ, სლავურ და რომანულ შტოებში. ამას ვვარაუდობ ძირის გარდასახვის გათვალისწინებით, რაც ფონოტაქტიკურ შეზღუდვას უნდა გამოეწვია შეთვისების შემდგომ: როგორც ჩანს, ფუძე-ენაში მოგვიანებით სუპერირებულ იქნა

¹ ტატიშვილი 2011, 68

² იხ. კლოკჰორშტი 2008, 683

³ პუჰველი 2013, 146.

უჩვეულო **tk** თანხმობვანთკომპლექსი (tk>t) და სახეცვლილი აისახა მონათესავე ენათა ლექსიკურ ფონდში, თუმცა ნასესხობის პირველ-სახე ანატოლიურს (resp. ხეთურს) შემოუნახავს¹.

***ფუტყ**- ძირის ქართველურ წარმოშობას უნდა მეტყველებდეს დიაქრონიული ცვლის ის საფეხურები, რაც სავსებით გასდევს ქართულის მახასიათებელ ისტორიულად მოქმედ ფონეტიკურ კანონ-ზომიერებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

ახვლედიანი 1941 – გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის, თსუ შრომები, XVIII, 41-44, თბილისი.

ერთელიშვილი 1980 – ფ. ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი.

კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი.

კოჭლამაზაშვილი 2009 – ლ. კოჭლამაზაშვილი, ვიზრაციის ფუნქცია ფარინგალთა წარმოთქმაში, თსუ სტუდენტთა 69-ე სამეცნიერო კონფერენცია, 29-32, თბილისი.

ჟღენტი 1965 – ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი.

როგავა 1984 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, II, თბილისი.

პუჰველი 2013 – J. Puhvel, Hittite etymological dictionary, vol. 9, Berlin-Boston.

¹ საკუთრივ ხეთურში ანლაუტში **p**-ს ნაცვლად შესაძლოა სწორედ მისი მჟღერი კორელატი **b** ყოფილიყო (**butk-iya*)¹ დისიმილაციური გამჟღერების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ლურსმულ დამწერლობაში საზიარო • სილაზოგრაფიით გადმოიცემა *bu* და *pu* მარცვლები.

ტატიშვილი 2011 – ი. ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, ნაკვ. 5, თბილისი.

ქავთარაძე 1963 – ი. ქავთარაძე, მასალები ზემოიშვრული ლექსიკონისათვის I, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, 109-160, თბილისი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბილისი.

ჭოხონელიძე 2024 – ნ. ჭოხონელიძე, სახელურ ომონიმთა ისტორია ქართულ დიალექტურ ლექსიკაში, თბილისი,

კლოკჰორშტი 2008 – A. Kloekhorst, Etymological Dictionary of the Hittite Inherited lexicon, Leiden, Brill.

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

დალის ხეობის ეკლესიონიმები¹

დალის ხეობის ეკლესიონიმებია: **ჯგერაზ შყერის** „შიყერის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია“, **აჯარაზ ჯგერაზ/ჯგერაზ სუთიფის** „აჯარის წმ. გიორგი“, **ნალჯუამი** „ნაეკლესიარი“, **ჩხალთაზ ჯგერაზ** „ჩხალთის წმ. გიორგი“, **ბეროლრე ნალჯიგუტ** „ბერების ნასახლარი“... შესაბამისად, კოდორის ხეობის სალოცავთაგან, ქრისტიანულ ძეგლთაგან, ნაეკლესიართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: შიყერის წმ. გიორგი სახელობის ეკლესია, აჯარის იგივე სვიფის წმ. გიორგი, ნალჯუამი, ჩხალთის წმ. გიორგი... ნაშთები და ნანგრევები კლუხორის უღელტეხილის სიახლოვეს, საკენში, ჩხალთასა და ლათაში, რომელიც ადგილობრივთა ცნობიერებით ბაზილიკის ტიპის ნაეკლესიარები უნდა იყოს და წმინდა ადგილებად და მიჩნეული. კოდორის ხეობაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიცია განდევილობისა, რასაც ადასტურებს ტოპო-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი № **OTG-I-24-160**)

ნიმი ბეროლრე ნალზიგვ „ბერების ნასახლარი, ბერთა სავანე“. ინ-ფორმატორებმა განგვიმარტეს, რომ ათეისტურ ეპოქაში ქრისტიანულ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ზედმიწევნით აღსასრულებლად ბერ-მონაზვნებს შეუმჩნეველი და ერთგვარად გასაიდუმლოებული ადგილები ჰქონიათ სოფლებში – აჯარასა და ბრამბაში.

ჯგერაჲ შეყრიმ – X საუკუნის შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან, საკენისა და ომარიშალის გამყოფ მაღალ ზეგანზე, (აგების ზუსტი თარიღი უცნობია). ეს სვანური ეკლესიონიმი სტრუქტურულად ნაგენეტივარი სახელია; **შეყრიმ < შიყ-ერ-იმ** (სვან შიყ „ზურგი“. -ერ საკმაოდ პროდუქტიული ტოპოფორმანტია, -იმ კი ნათ. ბრუნვის ნიშანი). მანძილი სოხუმიდან ამ ეკლესიამდე ზუსტად ასი კილომეტრია. X საუკუნის ძეგლის ნანგრევებზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში აქ სალოცავი აღმართეს დალელებმა (ომარიშალელებმა/ იალცუნესგელებმა). ეს მხარე, ეს ადგილები და ზოგადად, დალის სვანეთი უაღრესად საინტერესოა არქეოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით. დალელთა მიერ შიყერის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების ჩატარების არაერთგზისი მოთხოვნის მიუხედავად, ამ ძეგლის აშენების ზუსტი ქრონოლოგია კოდორელთათვის და ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც, სამწუხაროდ, ბოლომდე დარჩა მხოლოდ ვარაუდად, რამდენადაც ვერ მოხერხდა ვერც სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა, ვერც ძეგლის შესწავლა, ვერც კოდორელთა მიერ განახლებული სალოცავის კურთხევა და ამოქმედება.

ეკლესიონიმი **აჯარაჲ ჯგერაჲ/ ჯგერაჲ სტიფიშ** არის აჟარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, აგებული XIX საუკუნეში; დალის ხეობაში რუსი კაზაკების ცხოვრების ხანაში იქვე მდგარა წმინდა ნიკოლოზის სახელობის სალოცავი. **ნალჯტამი** (სვან. ნალჯტამ „ნაეკლესიარი“ ლაჯტში „ეკლესია“ შდრ. სვან. **მაჯტშ** „მადლობა“, ე.ი. **ლაჯტში/ლაჯტშ** სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... კოდორელთათვის, ადგილობრივ მკვიდრთათვის **ნალჯტამის** სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძეგლი აჟარის ერთ-ერთ შემადლებულ გორაზე, რომელიც ხალხური გადმოცემით მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა **აჯარაჲ ჯგერაჲს** – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. **ჩხალთაჲ ჯგერაჲ** – ჩხალთის

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მისიმიანთა მთავარი ისტორიული ციხის ჩიხარის/ ჩიხარისის მიმდებარე ტერიტორიაზე კოდორელთა ძალისხმევით აღიმართა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. ნაშთები და ნანგრევები კლუხორის უღელტეხილის სიახლოვეს, საკენში, ჩხალთასა და ლათაში, რომელიც ადგილობრივთა ცნობიერებით ბაზილიკის ტიპის ნაეკლესიარები უნდა იყოს და საკულტო დანიშნულების წმინდა ადგილებად და მიჩნეული. კოდორის ხეობაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიცია განდევილობისა, რასაც ადასტურებს ტოპონიმი **ბეროლრე ნაღზიგუტ** „ბერების ნასახლარი, ბერთა სავანე“.

საგანგებოდ გვინდა მსჯელობა **ჯგერაგ შყერიშის** შესახებ: მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის – განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიული ლიტერატურაში; ტრადიციულად „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას საეკლესიო კალენდარით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს სწორედ **ჯგერაგ შყერიშ**-ს მოიხსენიებდა (ვ. ბარდაველიძე, 1939, 27-96). ცნობილია, რომ მთელი ქრისტიანული სამყარო ლოცულობს აღმოსავლეთისკენ, სამოთხის... მზის ამოსვლის მხარეს; ზემო სვანეთში კი რამდენიმე თემი დღემდე დასავლეთისკენ, კერძოდ შიყერისკენ, შიყერის მიმართულებით ლოცულობს იმის გამო, რომ მის წინაპარს იქ უცხოვრია, იქ უდიდებია ღმერთი. შიყერის სალოცავს ყველა დალეღისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მადლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივი მფარველის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსისხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შიყერის მაღალ სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დაღის ხეობა ხელისგულივით მოჩანს!) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათაწმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. ხალხური გადმოცემებით, XIX საუკუნის მიწურულისათვის ნანგრევების სახითლა მოღწეულ სალოცავზე ადრეულ საუკუნეებში ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო.

დალის ხეობის სხვა **ეკლესიონიები** ისტორიულ, კარტოგრაფიულ, წერილობით წყაროებში მოძიებისა და კოდორელ ინფორმაციებთან არაერთგზის გადამოწმების მიუხედავად ვერ მოვიძიეთ, ვერ დავადასტურეთ. რაც ვფიქრობთ, რომ ნამდვილი პარადოქსია, იმიტომ რომ დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნებაც კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – ქლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. დალის სვანეთი მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორაის) და ქლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.) დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგრეხილები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმბას მთები), დასავლეთით კი – ბაგადის კლდეებია. დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი (აძგარა, ყულუჩი, გვანდრალა, ხეცქვარა, საკნარა) შენაკადის აუზებს. მისი ფართობი შეადგენს 650 ჰექტარს, აქედან 350 ჰექტარი საკარმიდამო და სახნავ-სათიბ მიწებს უკავია, დანარჩენი კი ტყის მასივები და ალპური საძოვრებია (მარგიანი, 2005, 16). დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება, ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. არქეოლოგთა დასკვნით, ქრონოლოგია კოდორის ხეობის არქეოლოგი-

ური ძეგლებისა საკმაოდ ფართოა: აქ გვხვდება როგორც ძველი ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს და მომდევნო დროის ნაშთები, რაც რეგიონის ადრეული ხანიდან დასახლების მაუწყებელია; იგულისხმება წებელდის კულტურა და პოსტწებელდური მატერიალური კულტურის ძეგლები (ვ. ჯაფარიძე 2009, 650; ტრაპში 1963, 258). ვარაუდობენ, რომ ქლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო `ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში – IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის (ბონდარევი 1981, 89). ითვლება, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში. თუმცა ფაქტია, რომ არცერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში, დალის (კოდორის) ხეობა დედა სამშობლოსგან მოკვეთილი არ ყოფილა, იქ მუდამ სუფევდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება და გაისმოდა ძლიერი ქართული სიტყვა. ყოველივე ზემორე თქმულმა ხალხთა გადაადგილებების კუთხით განაპირობა ის, რომ ამ ხეობის თანამედროვე ტოპონიმიის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელდების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ზოგადი სურათი შეიძლება ასეთია: სვანურია, ძირითადად, დალის ხეობის სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო სამოვრის/ იალაღის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითაა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები. ვარაუდობენ, რომ დალის სვანეთი ისტორიული მისიმიანეთია. ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანელებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ მხოლოდ ერთხელ გაიღვეს ისტორიის არენაზე ჩახარის (ჩხალთის) მიდამოებში 555 წელს მომხდარი აჯანყებით, მაგრამ ისე-

თი ძლიერი იყო ის გაელვება, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის – ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია (თ. მიზჩუანი, 1898, 128). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე მათმა მემკვიდრე დაღვლებმა ღირსეულად გაიმეორეს წინაპართა გამირობანი და 1993-2008 წლებში გამირობად შეინარჩუნეს ქართული სულისკვეთება და კოდორის ხეობა საქართველოდ შემოინახეს დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში. VII-VIII საუკუნეების შემდგომ მისიმიანნი ისტორიულ წყაროებში უკვე აღარსად მოიხსენიებიან. ისტორიოგრაფიაში დაშვებულია სხვადასხვა ვარაუდი: 1. მისიმიანთა გადარჩენილი ნაწილი შეიძლება არაბთა შემოსევის დროს განადგურებულიყო ან გადასულიყო ზემო სვანეთში; 2. შესაძლოა მათ აქტიური როლი შეესრულებინათ აფხაზი ხალხის ფორმირებაში; 3. არაა გამორიცხული ქლუხორის ხელსაყრელი უღელტეხილით მათი ჩრდილო კავკასიაში გადასვლა, მით უფრო, რომ შუა საუკუნეებში ყუბანის სათავგამო სვანთა განსახლება მეცნიერულად დადგენილი და გაზიარებულია (ლ. ლავროვი, რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, თ. მიზჩუანი), რაც მტკიცდება სვანური სუბსტრატის არსებობით იმ მხარის ტოპონიმიში, ათეულობით ისტორიული ძეგლით, სამარხით და ა.შ. სრულიად დამაჯერებელია ბერძნულ წერილობით წყაროებში ფიქსირებული ისტორიული მისიმიანეთის სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელების მ. ქალდანისეული ანალიზი: „მისიმიანებით დასახლებულ მხარეს მისიმიანეთი შეარქვეს იქაური ხალხის სახელის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა კი თავის ქვეყანას სულ სხვა სახელით მამართავდა. ამის მაგალითები ხომ მრავალია! რა შეიძლება ყოფილიყო ეს სახელი და გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა მისი არსებობის შესახებ? ეს სახელი, ჩვენი ვარაუდით, იყო დალი (სვანური წარმოთქმით **დღლ**). მხოლოდ ამ სახელით იცნობს მთელი სვანეთი ყოფილი მისიმიანეთის ტერიტორიას. იგივე სახელი მოხსენიებული აქვთ ი. გიულდენშტედტს, ლ. ლიულიესა და კლაპროთს იმავე ტერიტორიის საერთო სახელწოდებად. გარდა ამისა, ამ მხარის კარგ მცოდნეს ლ. ლიულიეს თავის რუკაზე ერთ-ერთი სოფლის სახელადაც აქვს ნაჩვენები „დალი“. ეს სოფელი, მაშინდელი რუკის მიხედვით დღევანდელი ლათის ტერიტორიას ემთხვევა. თუ ვიწამებთ, რომ დღევანდელი აფხაზეთის სვანეთის უძველეს სვანურ სახელწოდებას –

დალს კავშირი აქვს სვანების წარმართული პანთეონის დალის სახელთან, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ იმ სოფელში, რომელსაც ძველთაგანვე სახელად “დალი” რქმევია, წარმართობის ეპოქაში სწორედ ნადირობის ქალღმერთის სახელობის ტაძარი მდგარიყო (მ. ქალდანი 1999, 57); აღსანიშნავია, რომ დღემდე ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს დანარჩენ ქართველებთან მიმართებით ყოველთვის ხაზგასმით უწოდებენ დალელს /დალელებს.

ეკლესიონიმი ტოპონიმის სახეობაა; (ბერძნ. ეკლესია „შეკრება, შეკრების ადგილი“). ეკლესიონიმი აღნიშნავს საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების, რელიგიური თაყვანისცემის ადგილის, კერძოდ, ეკლესიის, ნიშის, სახატის, საჯვარის, სალკე მდგომი საკურთხეველის, წმინდა ქვის, სალოცავი ხისა თუ წყაროს საკუთარ სახელს, მაგ. ბეთანია, ანჩისხატი, შიომღვიმე... (პ. ცხადაია 2005, 175).

ამრიგად, დალის ხეობის ეკლესიონიმებია: **ჯგერაგ შყერიშ** „შიყერის წმ. გიორგი“, **აჯარაგ ჯგერაგ** „აჟარის წმ. გიორგი“, **ლამზერ ბაჩარ** „სალოცავი ქვები“, **ჯგერაგ სუიფიშ** „სვიფის წმ. გიორგი“, **ლამზერ გორაგ** „სარიტუალო მაღლობი“, **ნალკუამი** „ნაეკლესიარი“, **ჩხალთაგ ჯგერაგ** „ჩხალთის წმ. გიორგი“, **ბეროლრე ნალზიგუ** „ბერევის სავანე“...

გამოყენებული ლიტერატურა

ასლანიშვილი 1933 – ს. ასლანიშვილი, აფხაზეთის სვანეთი, ტფილისი.

ბატონიშვილი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი.

ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი.

თაყაიშვილი 1991 – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, თბილისი.

მიბჩუანი 1989 – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი.

მარგიანი 2005 – შ. მარგიანი, კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა; კრებული–დალეღთა იმედი თბილისი.

ქალდანი 1999 – მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, # 2 თბილისი.

ცხადაია 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“ 122, №1, თბილისი.

ჯაფარიძე 2009 – ვ. ჯაფარიძე, მთიანი აფხაზეთის (მდ. კოდორის შუა წელის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საკითხისათვის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბილისი.

ხორავა 2008 – ბ. ხორავა ბ., წებელდა – დალის 1840 წლის აჯანყება, კრებ. სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, თბილისი.

Бондарев Н. 1981 – В горах Абхазий, Москва.

Бражба Х. 1956. – Некоторые вопросы этнонимии топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 27.

Лавров Л. И. 1950 – Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М. – Л.

გიორგი მულიანი, ეკა დადიანი

ფერეიდნული დიალექტის ლექსიკიდან (ბრძნული გამონათქვამები)

ქართული ენა მდიდარია ბრძნული გამონათქვამებით. სალიტერატურო ენასა და დიალექტებში მრავლად გამოიყენება ანდაზა-შეგონებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ფერეიდნულ ქართველთა მეტყველება.

მშობლიურ გარემოს მოწყვეტილმა და უცხო მიწაზე მკაცრ კლიმატურ პირობებში მცხოვრებმა ფერეიდნელმა ქართველებმა

ოთხი საუკუნის განმავლობაში არაერთი ქართული ანდაზა შემოინახეს. ამასთან, შექმნეს ახალი გამოთქმებიც.

ფერეიდნული ანდაზების ნიმუშები წარმოდგენილია მკვლევართა (არნ. ჩიქობავა, მ. თოდუა, ზ. შარაშენიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ს. გუგუნანი, მ. ბერიძე, ლ. ზაკურამე...) ნაშრომებსა და გამოქვეყნებულ ფერეიდნულ ტექსტებში. მოხსენებაში განვიხილავთ ფერეიდნის ქართულენოვან სოფლებში ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას.

„ანდაზა ერთი წინადადებით გამოხატული ალეგორიული ხასიათის გამონათქვამია, რომელიც შეიცავს ხალხის გონებამახვილურ დაკვირვებას რაიმე მოვლენაზე და რომელიც, ჩვეულებრივ, განზოგადებულია და მორგებულია ანალოგიურ მოვლენებს“ (ლეჟავა, 1959: 140).

ანდაზა რთული ენობრივი ერთეულია როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქცია-სემანტიკის თვალსაზრისით. ანდაზების ენა, ლექსიკა ენათმეცნიერთა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ანდაზები ერის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-შეცნობის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ცნობილია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ხალხის ანდაზები მსგავსებას ავლენენ სემანტიკური თვალსაზრისით.

ფერეიდნულ დიალექტში გავრცელებული ანდაზები ქართულისა და სპარსული ელემენტების ნაზავია, რაც ფერეიდანში არსებული ენობრივი სიტუაციის ნათელი გამოხატულებაა. ამის გათვალისწინებით ანდაზები რამდენიმე ჯგუფად დავყავით:

I. ანდაზები, რომლებიც ქართველთა საერთო მემკვიდრეობაა და, ამდენად, ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაშიც გამოიყენება უცვლელად ან უმნიშვნელო სხვაობით. მაგალითად:

ასჯერ გაზომე და ერთველ გაჭერო (ჩულრუთი). შდრ.: **ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი** (ჩხენკელი, 2009);

გარეველ ქათამმა შინავრ ქათამი გააგდო (ჩულრუთი). შდრ.: **გარეული მოვიდა, შინაური გააგდო** (<https://idioms.tsu.ge/>); **გარეულმა კატამ შინაური გააგდო** (ჩხენკელი 2009);

დედაკაცს ვებნები, როზალმა გაიგოსო (ჩულრუთი); **ყორო, შენ გებნები, ზალო, შენ გაიგე** (სიბაქი). შდრ.: **ქალს ელაპარაკებოდნენ, რძალო, შენ გესმოდესო** (კანდელაკი, 1959); **მულო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონეო** (<https://idioms.tsu.ge/>);

ენას ძოლი არ აქო (ჯაყჯაყი). შდრ.: **ენას ძვალი არა აქესო** (ჩხენკელი, 2009); **ენას ძვალი არა აქესო, სიტყვას – ბაჟიო** (<https://idioms.tsu.ge/>);

მელამ თქო: რო მოვკდებო, საქათმოსთან დამმარბეთო (ჩულრუთი). შდრ.: **მელა კვდებოდა და – საქათმეში დამმარბეთო** (<https://idioms.tsu.ge/>);

მოზობელის ტილი კამზეჩად მაძანს (მარტყოფი). შდრ. **რწყილს კამეჩად მოგარვენებს** (<https://idioms.tsu.ge/>);

მუტრუკი რო დედასყენ წინ ჩამუარდა, გელი შაჰჰამსო (ჯაყჯაყი). შდრ.: **დედის წინ გაქცეულ კვიცსო მგელი შეჰამსო** (კანდელაკი, 1959); **კვიცი რომ დედას გაასწრებს, ან მგელი შეჰამს, ან მგლის ფერიო** (ჩხენკელი, 2009);

ნაჯახსა თუ ტარი ჯოხისა არა-მქონდეს, ვერ მაძკრისო (მარტყოფი). შდრ.: **ხემა სთქვა: მე ცული ვერას დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო** (კანდელაკი, 1959);

ყორანს რა უნდა, ჳელის აქნევაო (ჩულრუთი). შდრ.: **ქორს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას ელოდაო** (კანდელაკი, 1959);

შიში მაჩენე, გაქცევა გაჩენო (სიბაქი). შდრ.: **შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო** (კანდელაკი, 1959); **გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო** (<https://idioms.tsu.ge/>);

ძალით გამოტვეილთაზია (ძალი) **შიქალს** (ნადირს) **არ დაძკერს**. შდრ.: **ძალად მიტვეებული მწევარი კურდღელს ვერ დაძკერსო** (ჩხენკელი, 2009);

წინათ კაცი მეორეს ჳიდაიო (მარტყოფი). შდრ.: **წინა კაცი უკანა კაცის ჳიდაიო** (კანდელაკი, 1959);

ხე რო წაძქეების, ცულიან და უცულო თავისას მიიღებს (ჩულრუთი). შდრ.: **ხე რომ წაძქევა, ცულიანი და უცულო ყველა ზედ შემოასხდებო** (კანდელაკი, 1959);

ჯერ ცხენი არ უყიდა და ზაგას უკეთებს (ჩულრუთი). შდრ.: **კაცს ცხენი არ ჳყავდა, უნაგირს ნატრობდაო** (<https://idioms.tsu.ge/>).

II. ანდაზები, რომლებიც ფერეიდნული დიალექტისთვის არის დამახასიათებელი და ფერეიდნელ ქართველთა ისტორიული მოვლენებისა თუ სოციალური ყოფის ამსახველია. ზოგიერთი ანდაზა ფართოდაა გავრცელებული, ზოგი კი შედარებით ვიწრო არეალში, ერთ ან რამდენიმე სოფელში, იხმარება:

ავადანული (სოფელი) **რო უპატრონო იყოს, სომეხი ანქ უჯოხო**
ივლისო (მარტყოფი);

აზიმანნი სახტომსაყე არ ჩამოდენ და კარებიც სახტომში ვერ
აილენ (მარტყოფი). აზიმანი გვარია მარტყოფში. ამ გვარის მამაკაცე-
ბი ცნობილი იყენენ ნადირობითა და მთაში სიარულით. მათ ძალიან
გამხდარი საქონელი ჰყავდათ. ვინმე რომ იკითხავს, ასეთი გამხდა-
რი რატომ არის საქონელიო, აღნიშნული გამონათქვამით პასუხო-
ბენ.

არ მჭირდა ჭირი, ნაჩი (უკანალში) **ვირჭი ჩხირიო** (ჩულრუთი);

ახირ (ბოლოს) **ჩიტი ჩონც დოგოსკლინტეხსო** (მარტყოფი);

ბეწი ადამიანს არ მაჰკლავს, გულს ოორევს (ჩულრუთი);

დაბარებით ახანძალს ვერ ითხოვენ (ჩულრუთი);

დაბარებით ცხენი წყალს არ დაიღვეს (ჩულრუთი);

დედას მოოგია და დედაი (დეიდა) **დასუსტებულაო** (გული
წასვლიაო) (ჩულრუთი);

დიდ ქუას ვერმინ ფეკს ვერ ამადკრავსო (მარტყოფი);

ემამ რა იცის, ციცა საით მაჰფსომსო (ჩულრუთი);

ეხტიარი (უფლება) **რო დედაკაცის ჯელჩი ჩავარდეს, თხას ჩი-**
ლაჩი (ორმოც დღეში) **გამპარსავს** (მარტყოფი);

თოფრაჩი (ხურჯინში) **ჩასეს და თქო: ფეკები გამამკიდავო**
(ჯაყჯაყი);

თუ მოკდომა (შეთანხმება) **იყოს, თეილ ავადანულს ერთ დე-**
დაკაცი უკმარაო (ჩულრუთი);

კაკალი არც რა, გუდაკი მაიბა (მარტყოფი);

თხა რო ჩოხანს (მწყემსს) **მეეწელოს, პატრონის დედაკაცი გა-**
იგებს (მარტყოფი);

თხას რო აყბალი (იღბალი) **მოოკდა, მეჩოხნეს** (მწყემსს) **პურს**
შოოკამს (მარტყოფი);

მინაც მალვით იმაკა, ცხადით მაიგებს (ჩულრუთი);

მინმე რო სარავზე (სათავეში) **ივლის, ქუნავზე** (ბოლოში) **მეეწ-**
ეების (მარტყოფი);

მიწას ქილაით არმინ არ რწყავს (მარტყოფი);

ოვრ ყორანი სხოს კაკალსათი შულლობდესო (ჩულრუთი);

უკუდო კარი კუდიან კარს კუდს უზიდავდაო (მარტყოფი);

ქულუხი (ბელტი) ტიროდა: **თუ წიმა მოიდაო, ქუა გაწყალდე-
ბისო** (ახნა);

ქულუხი წიმას დროს ქუას უტიროდაო (ჩულრუთი);

შენ ხარი მამე, რო შენ წყალი გავაპარზო(გავაფუჭო) (მარტყო-
ფი);

შიმშილობა არ გამოგიზიდნია, რო აშეყოზა (სიყვარული) და-
გამიწყედეს (მარტყოფი);

ჩემ ცხორები მოიდენ, ქენები სამანგოლას (ქალის სახელია)
თხაზე (ჩულრუთი);

პალს ნუ მიპცემ ხეწნაზეო (ჩულრუთი) „საქმეს ნუ გაიხდი სა-
ხვეწრად“.

ჰკო ცხირი არ არი, რო სუყელას ქონდეს (ჩულრუთი);

ხარჯი რო ყონაღსაყენ (სტუმრის) **იყოს, ყონაღობას რა უნდა**
(მარტყოფი);

ხეს თუ მატლი თავისყე არა-მყვანდეს, არ წაიქცების (ჩულრუ-
თი).

III. ანდაზები, რომლებიც დასტურდება სპარსულსა და ქარ-
თულში, მათ შორის ფერეიდნულ დიალექტში. ისინი საერთოა სხვა-
დასხვა საზოგადოებისა და კულტურისათვის:

ფერ.: **არმინ არ იტყვის, რო ჩემ დო ყავეაო**; ქართ.: **ვინ იტყვის
ჩემი დო მყავეაო** (ჩხენკელი, 2009). შდრ. სპარს.: Kasi naguyad ke duqe
man torš ast **کسی نگوید که دوغ من ترش است** (Šarifi, 2010: 954) **„არავინ არ
იტყვის, რომ ჩემი დო მყავეა“**;

ფერ.: **არმის სხოს სამარეჩი არ დაამარხვენ** (ჩულრუთი); ქართ.:
სხვისი საფლავი არავის ამოუვისია (კანდელაკი, 1959); **სხვის საფლავს
ვერავინ ამოავსებს** (Šurgāiā... 2002: 205). შდრ.: სპარს.: kasi rā dar qabre
digari nemigozārand **کسی را در قبر دیگری نمی گذارند** (Soheili, 2006:144) **„არა-
ვის სხვის საფლავში არ ჩადებენ“**;

ფერ.: **აქლემს უთხრეს: კისერი მრუდი გაქო. თქო: რა სწორი
მაქო?** (ჩულრუთი); ქართ.: **აქლემს უთხრეს: კისერი გაქვს მრუდო
და სხვა რა მაქვს სწორიო** (ჩხენკელი, 2009). შდრ.: Sotor rā goftand:
čērā gardanet kaje? Goft: kojām rāste! **چرا گردنت کجه؟ گفت: کجام
راستنه!** (Soheili, 2006: 33) **„აქლემს უთხრეს: რატომაა შენი კისერი მრუ-
დიო? თქვა: სად რა მაქვს სწორიო!“**

ფერ.: **ბიბია რო ოვრი შაძქნა, ყმაწილი სწორად არ დაძაბდები-**
სო (ჩუღრუთი); ქართ.: **ორ შიძას შუა ზავში დაიხრჩო** (კანდელაკი,
1959); **ორ შიძას შორის ზავში შიმშილით მოკვდაო** (<https://idioms.tsu.ge/>). შდრ.: Māmā ke do tā šod sare bače kaj mišavad **ماما كه دو تا شد سر بچه**
چم مى شود (Šarifi, 2010: 679) **„ზეთიქალი რომ ორი გახდება, ჩვილის**
თავი გამრუდდება“.

ფერ.: **დამპალ თანფით**(თოკით) **ჭაჩი არ ჩახიდეო** (ჩუღრუ-
თი);ქართ.: **დამპალი თოკით ორმოში არ ჩაისვლება** (კანდელა-
კი,1959). შდრ.: Bā ŋanābe pusidehe kasi be čah oftādan **با طناب پوسیده کسی به**
چاه افتادن (Dehxoda, 1984, 1: 365) **„სხვისი დამპალი თოკით ჭაში არ ჩა-**
ისვლება“.

ფერ.: **თა თორნე ცხელია, პური დააკარ** (ჩუღრუთი); ქართ.: **სა-**
ნამ თორნე ცხელია, ლავაში ჩააკარიო (კანდელაკი, 1959).შდრ.: **მანამ**
თონე ცხელია, პური უნდა ჩააკრაო (ჩხენკელი, 2009); Tā tanur garm
ast nān tavān bast **تا تنور گرم است نان توان بست** (Dehxoda, 1984, 1: 530) **„სანამ**
თონე ცხელია, პურის გამოცხობა შესაძლებელია“;

ფერ.: **მელას კითხეს: შენ შაჰედი (მოწმე) მინ არიო და თქო: ჩემ**
კუდიო (ჩუღრუთი); ქართ.: **მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო**
(კანდელაკი, 1959). შდრ.: Be rubāhe goftand: šāhedet kie? Goft:
dombam!! **به روباهه گفتند: شاهدت كيه؟ گفت: دمبم** (Soheili, 2006: 33) **„მელას**
უთხრეს: ვინაა შენი მოწმეო? თქვა: ჩემი კუდიო!“

ფერ.: **ნამაიობა** (სიკეთე)არ **დაძკარგებისო** (ჩუღრუთი); ქართ.:
გაცემულ სიკეთეს ხალხი არ ივიწყებსო (კანდელაკი, 1959). შდრ.:
Xubi gom nemiše **خوبیگم نمیشه** (Dehxoda, 1984, 2: 753) **„სიკეთე არ დაი-**
კარგება“;

ფერ.: **პირაღმა ასლას თავქე ჩამოსლაც აქო** (ჩუღრუთი); ქართ.:
აღმართს დაღმართი მოსდევსო (კანდელაკი, 1959). შდრ.: Har sarāziri,
yek sarbālāyi dārad **هر سرآزیری، یک سربالایی دارد** (Soheili, 2006: 185) **„ყველა**
დაღმართს ერთი აღმართიც აქვს“;

ფერ.: **სავზარი სავზარს მაიტანსო** (ახჩა); **გაფი** (ამზავი) **გაფს**
მაიტანსო (ჩუღრუთი). ქართ.: **პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდე-**
ბაო (კანდელაკი, 1959). შდრ.: Harf harf miārad **حرف حرف میاراد** (Dehxoda,
1984, 2: 692) **„ლაპარაკს ლაპარაკი მოსდევს“;**

ფერ.: **საქონელი პატრონს დაიგვანდებისო** (ჩუღრუთი); ქართ.:
საქონელი პატრონს ეგვანებაო (კანდელაკი, 1959); **რაც პატრონი, ის**

საქონელიო (<https://idioms.tsu.ge/>); შდრ.: Māle xāne be sāhebxāne mibarad مال خانه به صاحبخانه می برد (Šarifi, 2010: 677) **„სახლის საქონელი მეპატრონეს დაემსგავსება“**;

ფერ.: ქარის მოტანილს ქარი წაიდევს (მარტყოფი); ქართ.: ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო (კანდელაკი, 1959). შდრ.: Bād āvarde rā bād mibarad باد آورده را باد می برد (Dehxoda, 1984, 1: 350) **„ქარის მოტანილს ქარი წაიღებს“**;

ფერ.: ქორს (ბრმას) ღმერთსაყენ რა უნდა? ორ თოლი! (ჩულურუთი); ქართ.: ბრმას რა უნდა და ორივე თვალიო (<https://idioms.tsu.ge/>). შდრ.: kur az xodā či mixād? Do češme binā! کور از خدا چی میخواد؟ دو چشم! (Soheili, 2006: 148) **„ბრმას ღმერთისგან რა უნდა? ორი თვალი!“**

ფერ.: ღმერთი ვირს იცნობდა, რო ქა არ მისცა (ჩულურუთი); ქართ.: რჩოლია საქონელს ღმერთი რქას არ მისცემსო (Šurgāiā..., 2002: 97). შდრ.: Xodā xar rā did šāx nadād خدای را دید شاخ نداد (Dehxoda, 1984, 2: 717) **„ღმერთმა ვირი ნახა, რქა არ მისცა“**;

ფერ.: ცურავს პიტნა-მზულდა და თავის ბუდესთან გამწონდაო (ჩულურუთი); ქართ.: ვირსა პიტნა სძულდა, მოუტანეს, წინ დაუდესო (კანდელაკი, 1959); ვირსა პიტნა სძულდა და ცხვირწინ ეტუზებოდაო (<https://idioms.tsu.ge/>). შდრ.: mār xeili az pune xošeš miyād mar xēli az pune xošš miyād مار خیلی از پونه خوشش میاد دم لونه شم سبز میشه (Soheili, 2006: 162) **„გველს ძალიან მოსწონს პიტნა, მის სოროსთანაც ხარობს“**;

ფერ.: წყალი რო დაიდლოროს, ვეღარ აჰკრეფ (ჩულურუთი); ქართ.: დაღვრილი წყალი აღარ აიხვეტებაო (ჩხენკელი, 2009). შდრ.: Ābe rixte jam' nagardad آب ریخته جمع نگرند (Dehxoda, 1984, 1: 11) **„დაღვრილი წყალი ვერ მოგროვდება“**.

ფერ.: ხალღს პირს ვერ მაკრავო (ჩულურუთი); ქართ.: სოფელს პირს ვერავინ აუკრავსო (ჩხენკელი, 2009). შდრ.: dahāne mardom rā nemitvān bast دهان مردم را نمیتوان بست (Soheili, 2006: 85) **„ხალღის პირს ვერ დახურავ“**.

ფერ.: ხუთი თითი ერთი არ არიანო (ჩულურუთი); ქართ.: ხუთი თითი აქვს კაცსა, ხუთივე უთანასწორო (კანდელაკი, 1959); ხუთ თითში ერთმანეთის ტოლი ორიცა არ არისო (<https://idioms.tsu.ge/>). შდრ.: Panj angōšt barādarand, barābar nistand. پنج انگشت برادرند، برابر نیستند. (Soheili, 2006: 38) **„ხუთი თითი მძებო არიან, ტოლები არ არიან“**;

IV. ანდაზები, რომლებიც ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებრაში სპარსული ენისა და კულტურის გავლენით ჩნდება. სპარსული გამონათქვამები ჩვეულებრივ გავრცელებულია ქართული ვარიანტით, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ადგილობრივი გარემოს შესაბამისად არის სახეცვლილი. იშვიათად ანდაზები სპარსულ ენაზეც გვხვდება:

ზერკაცი გამსტუმრე, რო ნათხოვნი გითხოვოს, ჯეილი გამსტუმრე, ვირი იყიდოსო (მარტყოფი). შდრ.: Pir rā be xar xaridan va javān rā be zan gereftan mafrest *مفرتن گرفتن و جوانرا بزن خریدن و پير را بخار خریدن* (Dehxoda, 1984, 1: 520) **„მოხუცი ვირის საყიდლად და ახალგაზრდა ქალის ხელის სათხოვნელად არ გაგზავნო“;**

გედამას (მათხოვარს) **ჩე** (გინდა) **ერთ პური მისცე, ჩე ერთი გამართო** (სიბაქი). შდრ.: Az gedā če yek nān begirand va če bedahand yeksānāst *از گدا چه يك نان بگیرند و چه بدهند يكسانست* (Dehxoda, 1984, 1: 142) **„მათხოვარს გინდა ერთი პური მიეცი, გინდა ერთი გამოართვი, სულ ერთია“;**

ერთ წყილის ბალაზე საბანს არ დააწოხენო (მარტყოფი). შდრ.: Lahāf rā barāye šepeši birun nayandāzand *لحاف را برای شپشی بیرون نیندازند* (Šarifi, 2010, 2: 652) **„საბანს ერთი ტილის გამო არ გადააგდებენ“;**

თუ შენ ყურთ უკანი დაინახე, ემასაც ნახავ (ჩულრუთი). შდრ.: Agar pošte gušat rā didi folān kas yā folān čiz rā xāhi did *اگر پشت گوشت را دیدی اگر پشته گوشت را دیدی فلان کس یا فلان چیز را خواهی دید* (Dehxoda, 1984, 1: 197) **„თუ შენ ყურის უკანა მხარე დაინახე, ვიღაცას ან რაღაცასაც ნახავ“;**

თუ ჰარამზადა არ იყოს, ყვინმა საითყენ იცის, ჩულრუთი სად არი (ჩულრუთი). შდრ.: Agar fozul nabāšad šāh če dānad pas qal'e kojāst *اگر فزول نباشد شاه چه داند پس قلعه کجاست* (Dehxoda, 1984, 1: 197) **„თუ მეტიჩანა არ იყოს, მეფემ საიდან იცის, ფასყალა სად მდებარეობს“;**

საქმე ერთკელ მაძკდების (ჩულრუთი). შდრ.: kār yek bār mišavād *کار یک بار میشود* (Dehxoda, 1984, 3: 1182) **„ინციდენტი ერთხელაც მოხდება“;**

შენ რო აქლემზე-აზიხარ, რათი კონტ-კონტად დაადიხარ (მარტყოფი). შდრ.: Šotor savāri va dolā dolā *شتر سواری و دولا دولا* (Dehxoda, 1984, 2: 1018) **„აქლემით სიარული და მოკუზულ მოკუზული“**

ჯორს კითხეს: შენ ალა მინ არიო? თქო: ჩემ დედა ცხენიაო (ჩულრუთი). შდრ.: astar rā goftand pedarat kist goft xaleham mādiānast.

استر را گفتند پدرت کیست گفت خاله ام مادیانست (Dehxoda, 1984, 1: 172) „ჯორს ჰკითხეს, მამაშენი ვინ არისო? თქვა: დეიდა ცხენი მყავსო“;

ემ სამარეს რო შენ დაძტირი, შიგ კდარი არ არი (მარტყოფი); შდრ.: sare qabri gerye kon ke morde tuš bāāe سر قبری گریه کن که مرده توش باشه (Soheili, 2006: 104) „იმ საფლავზე იტირე, შიგნით მკვდარი რომ იყოს“.

სპარს.: „Xare mā az koregi dom nadāšt خَر ما از کُرگی دُم نداشت“ (Dehxoda, 1984, 2: 734) „ჩვენს ვირს ჩოჩორობიდან კუდი არ ჰქონდაო“.

ფერეიდნულში გამოყენებული ანდაზების დიდი ნაწილი ქართულია – ქართველთა საერთო შემოქმედება ან შექმნილია ფერეიდნელ ქართველთა მიერ; გარკვეული ნაწილი ანდაზებისა სპარსული ენის გავლენით მკვიდრდება და ფერეიდნული დიალექტის ლექსიკის განუყოფელ ნაწილად იქცევა. ხალხური გამონათქვამების როლი ფერეიდნელ ქართველთა იდენტობის, ქართული ენისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბერიძე... 2020 – ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი.

თოდუა 1975 – თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბილისი.

კანდელაკი 1959 – ქართული ანდაზები. შემდგენელი ა. კანდელაკი. თბილისი.

ლეჟავა 1959– ლეჟავა, ლ., ქართული ანდაზების ენა. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი.

ფერეიდანში ჩაწერილი დიალექტური მასალა (სტატისის ავტორთა პირადი არქივი).

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა <https://idioms.tsu.ge/?s=%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98+>

ქდვ – ქართული დიალექტური კორპუსი (<http://www.corpora.co/#/corpus>).

შარაშენიძე 1969– შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ, თბილისი.

ჩიქობავა 2010 (1927) – ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, შრომები, I, თბ., 2010. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №7, ტფილისი.

ჩხენკელი... 2009 – ჩხენკელი ჰ., ჩხენკელი ვ., ჩხენკელი ფ., ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები), თბილისი. <https://el.ge/articles/616>

Gugunāni 2014 – Gugunāni S., Āxore Xalaf-e Qohestejān, 2014. گوگونانی، سعید: آخوره خلف قهستان، 1393.

Dehxoda 1984 – Dehxoda, Aliakbar., Amsāl va Hekam, 4 Jeld, Tehrān, Enteshārāt-e Amirkabir, 1984. امثال و حکم، چهار جلد، دهخدا، علی اکبر. انتشارات امیرکبیر، تهران، 1363.

Šarifi 2010 – Šarifi, Farajolāh. Gozideh va Šarhe Amsāl va Hekame Dehxodā, Jelde 2, Tehrān, Našr-e Hirmand, 2010. شریفی، فرج الله. گزیده امثال و حکم دهخدا، جلد دوم، تهران، نشر هیرمند، 1389.

Soheili 2006 – Soheili Mehdi, Zarb- ol Masal-hāye Ma'rufe Iran, Tehrān, Našr-e Gol ĀRā, 2006. سهیلی، مهدی. ضرب المثل های معروف ایران، تهران، نشر گل آرا، 1385.

Šurgāia... 2002–Šurgāia T. Delšād F.,Hezār-o yek Zarb- ol Msal-e gorji, Tehrān, Enteshārāt-e Vezārāt-e Omure Xāreje. شورغانیا، ثنا. دلشاد، فرشید. هزار و یک ضرب المثل گرجی، تهران، انتشارات وزارت امور خارجه، 1380.

ნ ი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

დიალექტოლოგიური მასალები სოფელი ტყვიავიდან

სოფელი ტყვიავი მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, ადმინისტრაციულად გორის რაიონში (მუნიციპალიტეტში). ლიახვის ხეობათა ტოპონიმია და ანთროპონიმია ნაკლებად არის შესწავლილი და ამ ხარვეზის შევსებას მიზნად ისახავს სოფელ ტყვიავის ამ ტიპის მასალების შეკრება, პუბლიკაცია. სოფელში ცხოვრობენ ზემო ქართლის ხეობებიდან ჩამოსახლებულები, ძირითადად კი ქსნის საე-

რისთავოს კუთვნილი მხარეებიდან, ასევე მესხეთ-ჯავახეთიდან, რაჭიდან, დვალეთიდან. სოფელი ფეოდალურ ხანაში ძირითადად ერისთავებისა და თავად ფავლენიშვილების საკუთრება იყო, რასაც მთელი რიგი დოკუმენტები გვიდასტურებს. მოვიყვანოთ ორ მათგანს:

„1793 წ. – არზა კაცია ფავლენიშვილისა ერეკლე მეორისადმი: – ...მარიამობის თვეში თქვენი რისხვა მოვიდა ერისთავიანზედ და თქვენის ბრძანებით ტყვიავის ერთი კომლი გლეხი და ერთი საკომლო მამული ბატონიშვილმა იულონმა მიბოძა. ამ ზაფხულს ტყვიავი ქაიხოსრო ლევანიშვილისათვის გეთხოვებინათ...“

მეფის პასუხი: „ტყვიავის მამასახლისო ჩიქლაძე, ჩვენ რომ ქაიხოსრო აბაშიძეს ტყვიავი ვათხოვეთ, რაც იმჟამად ჩვენი სახასო გლეხი კაცი ტყვიავეში იყო, ის ვათხოვეთ. ამ წიგნის მიცემის უწინ ტყვიავეში ჩვენ მიგვიცია ვისთვისმე მამული, თუ ჩვენ შვილ იულონსა, იმასთან ქაიხოსრო აბაშიძეს საქმე არა აქვს (ქსმ, VIII, გვ.195-196).

ასეთი სახის მასალებიდან ჩანს, რომ ტყვიავეში სხვადასხვა ეპოქაში ყმა-მამული ჰქონდათ აბაშიძეებს, თავხელიძეებს, მაჩაბლებს, ორბელიანებს და სხვა ფეოდალებს. დღევანდელი ტყვიავის სოფლის ცენტრი არის ძველი დასახლება, რომელიც ეჭირათ ერისთავებს და ყმა-მამულიც დაახლოებით ამ ადგილებში ლოკალიზდება. სოფლის აღმოსავლეთმხარეს კორინთელაანთი (კორინთელები) და ნატროშვილები ფლობდნენ, ფავლენიშვილები ეუფლებოდნენ ქვემო ტყვიავეს. ამჟამად ტყვიავი ერთ სოფლად მოიაზრება.

ერისთავებმა მთის მხარეებიდან ჩამოსახლეს ტყვიავეში: დემეტრაშვილები, მელთაურები, კობაძეები, ბაშარულები, ჩოხელები, ქისიშვილები, კორინთელები, ხადურები, ხარხელები...

ფავლენიშვილებმა: სოფელ ერედვიდან ჟუჟნიაშვილები, ჭარებიდან ლაფაჩები, გვერდისძირის სოფლებიდან – გუგუტიშვილი, გნოლიძე, ოქროპირიძე, სოფელი ხეითიდან ქასაბიშვილი, რაჭიდან ჩიქლაძე, ამჟამად ისინი ჩიხლაძეები არიან, ასევე რაჭის სოფელ ჭელიაღლედან არიან ჩამოსულები დალაქიშვილები, წედისიდან მაისურაძეები; იმერეთიდან გოგოლაძეები, საჩხერის სოფელ ლიჩიდან ლომიძეები, ამჟამად ლიჩელები და სხვა.

ამ და სხვა მასალების მოხმობით შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც სოფელ ტყვიავეში, ისე სხვა ქართლის სოფლებში ძირითადად მთიდან და მთისწინეთიდან ჩამოსული მოსახლეობა ცხოვ-

რობს. მთის რეგიონები ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული, რასაც მეთვრამეტე საუკუნის მთელი რიგი წყაროები გვიდასტურებენ. მაგალითად, ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების აღწერები, გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ და სხვა მასალები. მთიდან მიგრაცია ძირითადად ეკონომიური მიზეზით შეიძლება აიხსნას, როცა ქართველი გლეხი დემოგრაფიულად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბარისკენ მოიწევდა, თუმცა XVIII-XIX საუკუნეებში ზემოხსენებულ მხარეში ისედაც მძიმე ვითარება იყო გრიგორიანებისა და ოსების მოძალების გამო, რასაც მთელი რიგი ეთნიკური შედეგები მოჰყვა. ამ მოვლენას ვერ ასცდა სოფელი ტყვიავიც.

სოფელში მოსული მოსახლეობა სახლდებოდა იმ მიწებზე, რომელიც მის ბატონს ეკუთვნოდა და ასე წარმოიშვა უბნები, რომლებიც დღესაც არსებობენ. აქ უნდა გავითვალისწინოთ გვართა დასახლება, დიდი ოჯახები, რომლებიც მთური წესის თანახმად ჯერ გაუყრელი და ერთი სოციალური ერთეული იყო.

გვართან და ოჯახთან ასოცირდება ორონიმები, რომლებიც საკუთარი სახელებიდან მოდის და პირველად ერთი გვართი იყო დასახლებული.

გვაროვნულ დასახლებას აწარმოებს კუთვნილებითი -ა ან -თ სუფიქსი: დალაქიანთ უბანი, ეს არის სოფლის ცენტრში, დალაქიშვილები. კორინთელიანთ უბანი, სოფლის ცენტრში, კორინთელები. პავლიანთ უბანი, პავლიაშვილები სოფლის ცენტრში. ძამელიანთ უბანი, სოფლის ცენტრში ძამელაშვილები. ხაბაზიანთ უბანი, ხაბაზიშვილები.

ასეთი დასახლებები ასევე ფორმდება -ან სუფიქსით, რომელიც კრებითობას აღნიშნავს. მერებაანი – მერებაშვილები, ნატრევიანი – ნატრიაშვილები, ოქრუანი – ოქრუაშვილები, ქარელიანი – ქარელები. ესენი მთიდან სოფელ ფაჩურიდან არიან და ძველი გვარი ფაჩური იყო.

ფავლენიანი, ფავლენიშვილები, ეს გვარი გადაშენებულია, მაგრამ ტოპონიმმა დროს გაუძლო, დღესაც შემონახულია.

მეგრელიანი, გვარად არიან ელბაქიძეები და ჩამოსახლებულები არიან ჯავის ხეობიდან, სოფელ ელბაქიანთ კარიდან, რომელიც ამჟამად ნასოფლარია. ეს საკითხი რამდენჯერმე გადავამოწმეთ

და ინფორმატორები გვიდასტურებენ, რომ იქაც ძველად ამ სახელით იხსენიებოდნენ. ასეთი ტიპის კომპოზიტიური ანთროპოოიკონიმიები, რომელთა შემადგენლობაში გვხვდება უბანი დიდი პროცენტით არის წარმოდგენილი, მეორე ადგილზეა -კარ შემადგენლიანი ანთროპოოიკონიმიები. -უბან კომპონენტთან სახელებს სოფელში ცალკე აქვთ კიდევ პატარა უბნები გვარების მიხედვით, რომლებიც ერთი ან ორი ოჯახით არის წარმოდგენილი და წარმოების მიხედვით ზემოხსენებულებისგან არ განსხვავდება: ხუბაანი – ხუბაშვილი, ძველი გვარით ჩოხელები, ნაწილი ამ გვარით არის წარმოდგენილი – ჩოხელიანთი; ტერტერაანი – ტერტერაშვილი – ტერტერაანთი; კაპანაანი – კაპანაძე; ასკილაანი – ასკილაშვილი – ასკილაანთი; კინკრიაანი – კინკრიაშვილი – კინკრიაანთი; გოგალაანი – გოგალაძე – გოგალაანთი; ბაშაანი – ბაშარული – ბაშარულიანთი; სომხიანი – სომხიშვილი – სომხიანთი; ქანაანი – ქანაშვილი – ქანაანთი; კეცხოველიანი – კეცხოველი – კეცხოველიანთი.

სოფელში დროთა განმავლობაში დიდი ოჯახები გაყრის შედეგად დაიყო პატარა ოჯახებად. მათი სახელდება მჭიდროდ არის დაკავშირებული ონომასტიკასთან, კერძოდ, შტოგვარების წარმოქმნასთან. ეს მიკროდასახლებები დაკავშირებულია მხოლოდ ნათესაობასთან, ტერიტორიულ ერთიანობასთან. ენობრივმა მოდიფიკაციამ საკუთარ სახელთა საინტერესო სამყარო შექმნა. გვარის განაყარი შტო-გვარი თვით გვარში ზრდის შედეგად ჩნდება. შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ჩვეულებრივ უფროსი წინაპრის სახელისგან იწარმოება და გამოყენებულია ძირითადად მამაკაცის სახელები, იშვიათად ქალისაც.

ასეთი სახის აღმნიშვნელ სახელთა ძირითად მაწარმოებლად გამოიყოფა ან-თ სუფიქსები, მაგალითად:

პანტელიანთ მიწები – შტო-გვარი რაზმამეების გვარიდან არის გამოყოფილი.

ყაყიანთ ვერხვი – რაზმამეების გვარიდან, შიმშილანთ ბალი – ქარელის შტო-გვარი, ფარჩანთ მამული – ქარელის შტო-გვარი, კაკალაანთი – ქარელის შტო-გვარი, ქანქორანთ ადგილი „ – „

შტო-გვარის წარმომავლობას აღნიშნავს -ულ სუფიქსი: ბაბია-სეული, რაზმადის ერთი შტო-გვარი, ბაჩალასეული – ლობჯანიძის

ერთ-ერთი შტო-გვარი, გაბოაანთეული – ჩიქლაძის, იგივე ჩიხლაძის ერთ-ერთი შტო-გვარი.

ჩიხლაძეების შტო-გვარიდან ასევე დავაფიქსირეთ: ზიზოსეული და კოტესეული მამულები. ლამეტანთეული – მელთაურების ერთი-ერთი შტო. კაკოლასეული – ქანაშვილების ერთ-ერთი შტო და სხვები.

შტო-გვარების საწარმოებლად ფაქტობრივად ორმაგი სუფიქსები მონაწილეობენ ,ანთ და -ულ, რომლებიც შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებს ტოპონიმებად აქცევს.

როგორც სოფელ ტყვიავში, ისე სხვა სოფლებში გავრცელებულია მეტსახელები. კანონიზებული ქრისტიანული სახელებით ამათუ იმ პიროვნებას უფრო მეტსახელებით იცნობენ. ოფიციალურ სახელთან ერთად ესა თუ ის პიროვნება ხშირად ატარებს ზედმეტ სახელსაც, რომელიც მას შერქმეული აქვს ფიზიკური ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით, ან შემთხვევის, წარმომავლობის გამო, რაც ფაქტიურად ანთროპონიმია და მიუთითებს ტოპონიმებზეც.

წარმოების მიხედვით მეტსახელები ნაირფუძიანია. აფიქსები დაერთვის არსებით, ზედსართავებს, მიმღეობებს, საწყისებს.

საწარმოებლად გამოიყენება -ა სუფიქსი: შურდულა, მიკიჩა, ცხვირა, მსუქანა, ბატკანა, ზებრა, ჩიქლა...

უფრო პროდუქტიულია -ან, -ანთ სუფიქსები: კაჭოაანი, ოსკოტიანი, ჯადოაანი, აბაზაანი, გინგოლაანი, წაპლაანი, მუნჯაანი, დილაანი, წიფლაანი, ზებაანი, ტეკანაანი, წყრალაანი, გეჯიკაანი, შარვალაანი, ფაქიზოაანთი, ჩაჩხიანთი, საქოაანთი, გეგეტიაანთი, კოკობაანთი, ტუხაანთი და სხვა.

მეტსახელებისგან გვხვდება მიკრო უბნები, სადაც მათი ონიმიზაცია ჩანს.

როგორც აღინიშნა, სოფელ ტყვიავის შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებები. ვახუშტი ბაგრატიონს „პატარა ლიახვით რწყულ სოფლებს“ შორის მესამე ნომრად დასახელებული ჰყავს სოფელი ტყვიავი. (ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, 1997, გვ.207). ვახუშტის ასევე აღნიშნული აქვს სოფელი მდინარის მარცხენა მხარეს თავის მიერ შედგენილ რუკაზე (იხ. რუკა, 1745წ.) იოანე ბაგრატიონს სოფელი აღნიშნული აქვს რო-

გორც მოსახლე პატარა ლიახვით მრწყველ სოფლებს შორის (ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ. 1986, გვ. 40).

სოფლის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა 1818 წლის რუსული კამერალური აღწერის მასალები, სადაც აღწერილია მაშინდელი სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა, მათ შორის: თავად მიხეილ, რომანოზ და სოლომონ ერისთავების საერთო გლეხები, პოლკოვნიკ შანშე ერისთავის გლეხები, აზნაური ივანე ფავლენიშვილი, აზნაურ სიმონ ძამელაშვილის გლეხები, აზნაურ სიდამონ და ბესარიონ კორინთელების გლეხები, მამასახლისი დავით ქარელი, ნინია, იაკობ, თევდორე გიგუაშვილები; მათი შვილები: ნინია, მოსია, მიხეილი, ანდრია, სიმონ პაპიაშვილი, ვაჟი ზაქარია, ნინია რაზმაძე, დავით ლაღაზიშვილი, ვაჟები: სიმონი, სოსია, პეტრე, ბერუა ჯავახი, მათი წინაპრები გადმოვიდნენ ჯავახეთიდან 200 წელზე მეტი ხნისწინ.

პეტრე ჩიხლაძე, გაბრიელ ჩიხლაძე, შიო ჩიხლაძე – ვაჟები: ანდრია, აღდგომელა, რაჟდენი. ბერუა ხაბაზიშვილი, ძმები: ტატულა და სოსია.

ასევე სოფლებში ამ დროს ცხოვრობდნენ: სტეფანე, გრიგოლი, გოდერძი, იოსებ, ტეტია, ქაიხოსრო ქარელები.

თავიანთ ოჯახებით, რომლებმაც შექმნეს დიდი დასახლება-უბანი, სოფლის ცენტრში და ეწოდება – ქარელიანთ უბანი.

სოფლის სახელის შესახებ ასეთია გადმოცემა, ქართველ მეფეებს ამ ადგილებში იარაღის საწყობი ჰქონიათ, ამზადებდნენ ტყვია-წამალს, შესაბამის მასალას, აღმოსავლეთი მხრიდან სოფელ კურბითიდან (დღევანდელი კულბითი) ეზიდებოდნენ და ასე ამზადებდნენ, მუშა-ხელი კი მთიდან მოჰყავდათ. ასე დაერქვა სოფელს ეს სახელი. მიგვაჩნია, რომ გადმოცემას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ დამატებითი კვლევა-ძიება აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაგრატიონი 1997 – ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბაგრატიონი 1745 – ვ. ბაგრატიონი, რუკები.

ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ალიმბარაშვილი 2021 – ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით. გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გორი.

მ ე დ ე ა ს ა ლ ი ა ნ ი

სვანურ ღვთაებათა პანთეონის ზოგი არქაული ტერმინის წარმომავლობისათვის. III. აზრახ/აზრახ/აზერჰამ...¹

სვანური **ღერთარ** „ღმერთები“, რაც ასე ხშირად გვხვდება სვანურ თქმულება-გადმოცემებში, საკულტო და ყოფით სიმღერა-ბალადებში, წარმართულ სიუჟეტებში და ა. შ., რასაკვირველია, წარმართული მითების ნაშთია. სვანური მითოლოგია კი, როგორც ქართული მითოლოგიის თავისებური შემადგენელი ნაწილი, საინტერესო და საყურადღებოა თავისი სიძველით, კოლორიტით, ანგარიშგასაწევი შინაარსებითა და ნიუანსებით, რომლებიც საქართველოს მთიანეთში უფრო ხელშეუხებლად შემორჩენილა.

სვანურ მითოლოგიურ სამყაროში, როგორც აკ. გელოვანი აღნიშნავდა, „ბოლომდე მტკიცედ შემორჩა უხსოვარი წარსულის რელიგიური კულტის სიტყვიერი და ნივთიერი ძეგლები, ადათის რიტუალის რეალიები, კერძოდ საქმისაის ფალოსური ატრიბუტები, ქვის ან კირქვის სიმბოლური გამოსახულებანი, ლითონის ნივთები...“ (გელოვანი 1983).

სვანური პანთეონი მოიცავს არაერთ „ღმერთსა“ თუ „ღვთაებას“, რომელთა მეტი წილი წარმართულია, ნაწილი ქრისტიანულია, თუმცა ხშირად ქრისტიანული და წარმართული ლექსიკური ერთე-

¹ ნაშრომი მომზადდა 2022 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „**სვანური რელიგიური ლექსიკის ეთნო-ლინგვისტური ასპექტები**“ ფარგლებში.

ულები აღრეულია ერთმანეთში და, რაც ძალზე სამწუხაროა, ბევრი მათგანი ნელ-ნელა მივიწყებას ეძლევა. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჩვენ მიერ სოფ. ცხუმარში 75 წლის ჯოტო სალიანი-საგან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში – **შუანრე ღერთარ** „სვანთა ღვთაებები“ ჩამოთვლილია ამა თუ იმ დარგის „ღმერთთა“ თუ „ღვთაებათა“ სახელწოდებები (მაგ.: **ხოშა ღერმეთ** „მამაღმერთი“, **ჯგვრანგ** „წმ. გიორგი“, **აფხზანთ** „ნადირობის ღმერთი“, **ჯეჯგლან** „ღორების ღვთაება“, **აბრან/აბრახ** „ცხვრების ღვთაება“, **შაჟხან** „მჭედლობის ღვთაება“, **ლილე** „მზის ქალღმერთი“, **დან** „ნადირობის ქალღმერთი“, **აბერჰამ დეცემ** „ცის ღვთაება; საქონლისა და მესაქონლეთა ღვთაება“...), რომელთა ერთი ნაწილი ლექსიკონებმა და ნაბეჭდმა ტექსტებმა შემოგვინახეს, ნაწილი კი ცოცხალ მეტყველებას რელიქტის სახით შემორჩა.

სვანური პანთეონის „ღმერთთა“ თუ „ღვთაებათა“ სახელებიდან ბევრი შესწავლილ-გაანალიზებულია როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით, თუმცა გვხვდება ბევრი ისეთი ტერმინი, რომელთა კვლევა დღემდე არავის უცდია. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს სწორედ ამგვარი არქაული რელიგიური ლექსიკური ერთეულების: **აბრან/აბრახ/აბრან/აბრახ** (ბქ.) „ცხვრების მფარველი ღვთაება“, **აბერჰამ** [დეცემ] (ზს.) 1. „ღვთაება ცისა/მზისა“, 2. „საქონლისა და საქონლის მომვლელთა ღვთაება“, 3. „თვლების მკურნალი ღვთაება“ სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური კვლევა წარმოადგენს ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით.

საველე პირობებში მოპოვებულ ტექსტში – **შუანრე ღერთარ** „სვანთა ღვთაებები“ დაფიქსირდა ლექსემა **აბრან/აბრახ/აბრან/აბრახ** (ბქ.) „ცხვრების მფარველი ღვთაება“, რომელიც დღემდე გამოცემულ ვერცერთ ნაბეჭდ ტექსტში ვერ დავადასტურეთ. ფონეტიკური ვარიანტების ვარიაციულობას ბალსქვემოურში, ცხადია, კილოკაური სიმრავლე განაპირობებს. სვანური ენის სხვა დიალექტ-კილოკავებში კი ეს არქაული სიტყვა რატომღაც არ დადასტურებულა. ვფიქრობთ, იგი ან დაკარგულია, ან არც გვქონია სვანური ენის დანარჩენ დიალექტებში. სამწუხაროდ, მეტი ინფორმაცია სვანურ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია, რაც მის სემანტიკურ გააზრებას და ასევე სხვა ქართველურ ენებთან დაკავშირებას ერ-

თვარად აფერხებს, თუმცა ფონეტიკურ ვარიანტთა ვარიაციულობა ამ სიტყვის არქაულობაზე უნდა მიუთითებდეს, სხვა ქართველურ ენებში შესატყვისის არქონა კი მის შესაძლო სესხებაზე. აქვე უნდა განვიხილოთ, ასევე, ბალსქვემოურ დიალექტში დადასტურებული ღვთაების სახელი – **აზერჰამ** [დეცემ], რომელიც **აზრან/აზრახ/აზრან/აზრახ** სიტყვის მსგავსად ძველი ეპოქის გადმონაშთი უნდა იყოს. ეთნოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, „თვალზე ლიბრის გადაკვრის შემთხვევაში **აზერჰამ დეცემს** ევედრებოდნენ“ (ბურდული 2010:219). როგორც სპეციალური ლიტერატურის გაცნობამ აჩვენა, სამწუხაროდ, არც ამ სიტყვის შესახებ მოგვეპოვება მეტი ინფორმაცია.

ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიაში – „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარზარ-ბაზარ)“, სადაც სვანური სარწმუნოებრივი ხასიათის მასალისა და დანარჩენი ქართველი ტომების შესაფერისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე არის მსჯელობა ხალხური **ბარზარა/ბარზარე**’ს კულტის შესახებ, მოხმობილია ნ. მარის ძალზე საინტერესო მოსაზრებები ქართული **ბარზალე** და სუმერული მზის აღმნიშვნელი **ბარ-ბარ/ზაბ-ბარ** სიტყვის წარმომავლობის შესახებ და ამასთან დაკავშირებით ავტორს საგულისხმოდ მიაჩნია მისი ერთ-ერთი დებულება, რომლის თანახმად სომხური თქმულება **მეჰერ**’ის, ქართული **ამირანი**’სა და აფხაზური **აზერსკილ**’ის შესახებ ძირითადად უძველესი იაფეტური თქმულებათა მზის ღვთაებაზე, რომელიც გმირად არის ქცეული და რომელიც ბერძნულში გადავიდა და პრომეთეოსის შესახებ თქმულებად გარდაიქმნაო. ნ. მარის აზრით, თქმულების პერსონაჟების სახელები **ა-მირა** (ანუ **ა-მერ**) აფხ. მზის სახელს **ა-მირა** ან **ა-მერ**’ს უნდა უდრიდეს, მის შესატყვისად კი მიიჩნევს ბერძ. **პრომეთეოს**’ს, აფხ. **ა-ზერსკილ**’ს და ეგვიპტის გნოსტიკურ წრეებში გავრცელებული რწმენის პერსონაჟის სახელს – **Abraxa**’ს (1941:117). ერთი შეხედვით ბქ. **აზრან/აზრახ/აზრან/აზრახ**, როგორც უცნობი ღვთაების სახელი, მოგვაგონებს სწორედ სინათლისა და სიბნელის ეგვიპტურ ღვთაებას – **Abraxa/Abrahas**’ს. სვანურ საანალიზო ფორმებში არსებული ხმოვნის უმლაუტი, ვფიქრობთ, გამოწვეულია აუსლაუტისეული ხმოვნის დაკარგვით, თუმცა მისი ეგვიპტური წარმომავლობა საეჭვოდ მიგვაჩნია.

ვინაიდან ამ მეტად ბუნდოვან და საკრალურ ტერმინებს შევე-
ხეთ, სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და სვანური უიმ-
ვიათესი ფორმების – **აბრახ/აბრაბ/აბრახ/აბრაჰ** და **აბერჰამ** {დეცემ} ზემოაღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებთან – **ა-ბერსკილ, Abraxa...** შედარება-შეპირისპირების საფუძველზე, შევეცდებით მათი წარმო-
მავლობის დადგენას.

როდესაც ვ. ბარდაველიძის დასახელებულ მონოგრაფიას გა-
ვეცანით, ჩვენი ყურადღება მიიქცია სწორედ აფხ. ტერმინმა –
აბ[გ]რსკილ მა და ასევე ზემოთ წარმოდგენილმა ეგვიპტის გნოსტი-
კურ წრეებში გავრცელებულმა რწმენის პერსონაჟის სახელმა –
Abraxa მ (1941:117). *აბრსკილი* (აფხ. **Абрскыыл**), როგორც ცნობილია,
ქართული „ამირანიანის“ აფხაზური ვარიანტის ერთ-ერთი პოპულა-
რული პერსონაჟია და იგი ქართული ამირანის იდენტური გმირია.
ამირანის პერსონაჟს ჰყავს ორეულები განსხვავებული საგმირო-მი-
თოლოგიური ტრადიციებიდან – ოსური ნართების *ბათრადის*, სომ-
ხური ეპოსის *მჭერის*, სამხრეთელი სლავების *მარკო კრალევიჩის* და
სხვათა სახით, რომელთა შორის არის აფხაზური ტრადიციის *აბ-
რსკილიც* (კიკნაძე 2007:146). ლეგენდების თანახმად, ამირანის მსგა-
ვსად, *აბრსკილიც* საარაკო ძალის მქონეა, ისიც ებრძვის მტრებს
(უცხოტომელებს, გოლიათებს), შიშის ზარს სცემს მტერსა თუ მოყვა-
რეს, ისიც გადიდგულდება და ღმერთის ტოლად მიიჩნევენ თავს,
რისთვისაც მას ღმერთი დასჯის და მაღალ მთაზე/კლდეზე/მღვიმე-
ში და ა. შ. მიაჯაჭვებს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული
მოსაზრების თანახმად, ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საგმი-
რო ეპოსის ჟანრის თქმულება აბრსკილზე, უცნობია ბზიფის აფხა-
ზებისთვის და ის მხოლოდ აბჟუელ აფხაზებშია გავრცელებული
(ჯალაბაძე 2022:197), რაც სპეციალისტთა ვარაუდით, იმაზე მეტყვე-
ლებს, რომ იგი საერთოაფხაზური მოვლენა არ უნდა იყოს და თქმუ-
ლების სიუჟეტი „ამირანიანის“ ტიპის საგმირო ეპოსის დასავლურ-
ქართული ვარიანტიდან არის ნასესხები (ანთელავა 2017:191-192). ამ
მოსაზრებას ნ. ჯალაბაძე ლოგიკურად თვლის, „ვინაიდან, აბრსკი-
ლის სიუჟეტი საერთოაფხაზური რომ ყოფილიყო, მაშინ ის ბზიფის
აფხაზებშიც იქნებოდა დაფიქსირებული“ (ჯალაბაძე, იქვე). ვ. ბატო-
ნიშვილის ცნობით, ტერიტორია, სადაც აბრსკილის თქმულების მო-
ქმედება ხდება (ანუ აბჟუის აფხაზეთი), მისი დროისთვის კვლავ

ოდიშს მიეკუთვნება (ბაგრატიონი 1997:170-171). აბრსკილის თქმულებაში კი სივრცე, სადაც მოქმედება ვითარდება, მეცნიერთა აზრით, უკვე აფხაზეთად არის წოდებული. „ანუ, დიდი ალბათობით, ეპოსში იმ პერიოდის ამბები უნდა იყოს აღწერილი, როდესაც ოდიშის ეს ნაწილი აფხაზეთის ხელში აღმოჩნდა“ (ჯალაბაძე 2022:206).

აბრსკილი, აფხაზური ზეპირსიტყვიერების მიხედვით, ეპიკური გმირია, რომელიც იბადება აფხაზი ქალწულისაგან. იგი გოლიათური ძალ-ღონის და უშიშარი ვაჟკაცია; დაუნდობლად ებრძვის შინაურ და გარეშე მტრებს, ანადგურებს ბოროტ ძალებს, უვარგის მცენარეებს – გვიმრასა და ეკალ-ბარდებს (ზოგი ვერსიით – ვაზს), ხოცავს ცისფერთვალეა და ქერა ადამიანებს, ემტერება ქაცვას და აშვას (|| კაცუბას და ასუბას) გვარის ხალხს. გადიდგულებული აბრსკილი ღმერთის ტოლად წარმოადგენს თავს, რაც ღვთის გულისწყრომას გამოიწვევს. განრისხებული ღმერთი მის შეპყრობას ანგელოზებს დაავალებს და თავის არაშთან ერთად მღვიმეში რკინის პალოზე მიაჯაჭვებს. თქმულების ძირითადი ვერსიით, აღნიშნული მღვიმე ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჭლოუსთანაა და დღესაც აბრსკილის მღვიმედ იწოდება (ინტ. მასალ.).

ნ. ჯალაბაძის ნაშრომში – „აფხაზური თქმულება აბრსკილზე და მასთან დაკავშირებული ვარაუდები“ ისტორიული ფაქტების მიმოხილვის საფუძველზე არის ცდა აბრსკილის ეპოსის ზოგიერთი მოტივის ახსნისა. ავტორის აზრით, „აბრსკილის ეპოსში აბჟუის მხარე აფხაზეთში შედის, რაც ვახუშტის აღწერით ჯერ კიდევ ოდიშის შემადგენლობაშია. ლოგიკურად, ეს ეპოსიც იმ პერიოდის ამბებს უნდა აგვიწერდეს, როდესაც აბჟუას უკვე აფხაზეთი იჩემებენ. მარტივია ქერა (წითურ) ცისფერთვალეებიანთა ტომში მეგრელების ამოცნობა, რომელთა განადგურებაც აფხაზთა გმირს მიზნად უქცევია... აფხაზი არ იცნობს ვაზის კულტურას და ამდენად მის მოსპობას არაფრად დაგიდევს; არ იცნობს ზღვას, როგორც საკვების მოპოვების წყაროს; არ არის ქრისტიანი და ღმერთის წინაშე ქედს არ იხრის. მისი მამის სამფლობელოები მაღალ კლდეებშია (ერცახუს მთაზე), სადაც რეალურად არის სამი, ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უღელტეხილი. ჩანს, რომ აბრსკილის ეპოსში, სადაც არაერთი ქრონოლოგიური პლასტი იკითხება, ასახვა ჰპოვა ქართველთა (მეგრელთა) და აფხაზთა შორის მიმდინარე დაპირისპირებამ, რომელიც ამი-

რანიანის ტიპის საგმირო ეპოსის დასავლურქართული ვარიანტის სიუჟეტს შეერწყა“ (2022: 208-209).

ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, აბრსკილი ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას თავის დროზე სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ და მოგვიანებით, თითქმის, მივიწყებულ გადმოცემათა გმირთან – **ბერსკუასთან**. **ბერსკუა** ყველა ნიშნით **აბრსკილი**-ს იდენტური გმირია (მას, კალათში მწოლიარე ჩვილს, უშვილო მონადირე ხუტია მიუვალ მთაზე პოულობს და შინ მიჰყავს. ბავშვი მალე იზრდება და ხალხის ქომაგი ხდება: იცავს მტერთაგან, შველის ხვნათესვაში, დევთაგან მოიპოვებს ღომის მარცვლებს და ადამიანებს მის მოყვანას ასწავლის; ბოლოს, ერთი ვარიანტით, ღმერთს ეურჩება, მეორეთი – წმ. გიორგის, რის გამოც გამოქვაბულში ამწყვდევენ, საიდანაც ზოგჯერ დღესაც ისმის მისი გმინვა). რამდენადაც თქმულება აბრსკილზე მხოლოდ აბჟუელ აფხაზებშია გავრცელებული, იმაზე მეტყველებს, რომ იგი საერთოაფხაზური მოვლენა არ არის. როგორც ზემოთაც ითქვა, თქმულების სიუჟეტი ნასესხები უნდა იყოს „ამირანიანის“ ტიპის საგმირო ეპოსის დასავლურქართული ვარიანტისაგან (იხ. ანთელავა 2005).

აფხ. **ა-ბერ-სკელ/ა-ბერ-სკილ** სიტყვის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა მეცნიერთა შორის. ნ. მარის ზემოთაღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, **აბრსკილი** „მზის შვილს (აფხ. **ა-მრა/ა-მგრ** „მზე“ + მეგრ. **სკელ/-სკილ/სკირ** „შვილი“, შდრ. აფხ. **ამირაბირ** „მზე“)“ უნდა ნიშნავდეს. მ. ჩიქოვანი აღნიშნულ სიტყვას „ამბრის შვილად“ თარგმნის, შ. სალაყაია „ქვის შვილად“ მიიჩნევს, ხოლო ნ. ანთელავა მას, როგორც ითქვა, მეგრ. **ბერ-სკუა**-ს უპირისპირებს და საექვოდ მიაჩნია გ. წულაიას თვალსაზრისი **ბერ-/ბერ-** სეგმენტის სკვითური წარმომავლობის თაობაზე (იქვე).

სანამ უშუალოდ სვანურში დადასტურებულ **აბერჰამ** [დეცემ] „ღვთაება ცისა“ ლექსემის შესახებ გვექნება მსჯელობა, მანამდე მცირე ექსკურსის სახით მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურას, სადაც ქართული მითოლოგიური (ე. წ. ღვთაებრივი) გმირის ამირანის შესახებაა საუბარი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო გვეჩვენება გ. კუჭუხიძის ნაშრომები (იხ. კუჭუხიძე 2020; 2021), რომლებიც ქართული ფოლკლორის პერსონაჟ ამირანის სახელის გენეზისს, აგრეთვე, ამირანისა და ბერძნული პანთეონისეული პრომეთესა და

კავკასიის სხვა მითოლოგიური პერსონაჟების ურთიერთმიმართების საკითხებს ეხება. მის ერთ-ერთ ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაზე (იხ. ჯავახიშვილი 1979; ჩიქოვანი 1959; ჩიქოვანი 1975...) დაყრდნობითა და საკუთარი ინტერპრეტაციებით მოცემულია მსჯელობა სწორედ ამირანის წარმომავლობაზე. იგი ფალაური სიტყვების **mīhr I mīhrān** „მზე მზეებისა“ საფუძველზე გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ამირანის ძველი სახელი გავრცელებული იყო შემოკლებული ფორმით – **იმიჰრან**, რომ იმიჰრანად იხსენიებდნენ ამ გმირს და შემდეგ მისი სახელი ტრანსფორმირდა როგორც **ამიჰრან** (ამირან)“, თუმცა, მისი აზრით, „ფალაური წარმოშობის სახელი არ მეტყველებს იმაზე, თითქოს თავად პერსონაჟიც ირანული წარმოშობისაა“. ასევე, აღნიშნავს, რომ „თავდაპირველად, შესაძლოა, სხვა სახელით იხსენიებდნენ ამ გმირს და ფალაური სახელი კი ირანული ექსპანსიის დროს ირანული კულტურის გავლენით გაჩნდა; ამირანს, შესაძლოა, ჰქონდა ქართული ან ქართველური სახელი, რომელიც, იქნებ, დაახლოებით ასე ჟღერდა: მზეთა მზე...“ (კუჭუხიძე 2020:149-150).

ამირანის პერსონაჟს ჰყავს ორეულები განსხვავებული საგმირო-მითოლოგიური ტრადიციებიდან (იხ. ზემოთ!). ერთ-ერთი ასეთი ორეული, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, გახლავთ სომხური ეპოსის სასუნელთა მოდემის უკანასკნელი გმირი **მჰერი**, რომელმაც, ამირანის მსგავსად, ორთაბრძოლაში გამოიწვია ღმერთი, ღმერთმა კი მას შვიდი ანგელოზი შეაბრძოლა. დამარცხებულმა მჰერმა საკუთარი მახვილით გააპო კლდე, რომლის წიაღში სამუდამოდ უნდა დატყვევებულიყო. ეს კლდე წელიწადში ორჯერ იხსნება – ვარდავარისა და ამაღლების დღესასწაულებზე. ამ დროს მჰერი გამოდის გარეთ, მაგრამ კვლავინდებურად მიწას არ სურს მისი ზიდვა, ის ცხენიანად ეფლობა მიწაში. კლდის ერთ-ერთი გახსნისას კი შემოდის მწყემსი და მის კითხვაზე: „როდის გამოხვალ აქედანო?“ მჰერი აძლევს საგულისხმო პასუხს: „თუ ახლა ავდექი და გამოვედი, ვერ ამიტანს მე მიწა. სანამ ეს წუთისოფელი ბოროტებით არის სავსე, სანამ ასეთი ცრუა მიწა, მე არ მეცხოვრება ქვეყანაზე. როცა დაემხოვა ეს სოფელი და კვლავ აშენდება, როცა ხორბლის მარცვალი კაკლისოდენა გახდება, როცა ასკილის ნაყოფივით გახდება ხორბლის მარცვალი, აი, მაშინ დადგება ჩემი დღე და იმ დღეს გამოვალ

აქედან“ (იხ. კიკნაძე 2001:42-43). პ. ინგოროყვა ამ სიტყვებში: „მაშინ გათავისუფლდება მჭერი, როცა ხორბალი და ქერი გამსხვილდება...“, ხედავდა გაგრძელებას „ამირანიანის“ ერთ-ერთი ვარიანტის, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ნახა ერთხელ მწყემსმა გამოქვაბულში გამოკეტილი ამირანი, როგორ გამოართვა მან მწყემსს პური, როგორ მოუჭირა ამ პურს ხელი და როგორ წამოვიდა იქიდან სისხლი; როგორც ავტორი შენიშნავს, ამირანი, ქართული თქმულების თანახმად, „იტანჯება იმის გამო, რომ პური, რომელსაც ადამიანები სჭამენ, სისხლის წვეთით არის შესვრილი“, მას კი უნდოდა, რომ „ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდა“. სწორედ მისი ამ ოცნების კვალია ასახული მჭერისა და მწყემსის შეხვედრის ეპიზოდში; მკვლევრის თანახმად, მიზეზი მჭერის სიტყვების თქმისა მხოლოდ ამირანის თქმულებით იხსნება, ამ თქმულების გამოძახილია მჭერის სიტყვები და ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „ამირანიანიდან“ იღებს სათავეს მჭერის სახე; მჭერის სახელის შესახებ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ, ნ. მარის მიხედვით, „მჭერი არის პარალელური ფორმა სახელისა: ამირანი“ (სასუნცი 1939:XXVII-XXVIII; კუჭუხიძე 2020:151). ამ მოსაზრების შესახებ, გ. კუჭუხიძე შენიშნავს, „როგორც ვნახეთ, ჩვენი ვარაუდით, ამ გამირის სახელი, დროის ერთ მონაკვეთში, შესაძლოა, უღერდა როგორც **mīhr I mīhrān** „მზეთა მზე“; თუ მჭერი და ამირანი ერთი და იგივე არიან, ეს ბადებს მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ორივე სახელი **mīhr I mīhrān**-იდან მოდის, ვფიქრობთ, ქართულ სამყაროში გამირის სახელი დამკვიდრებულა ფორმით **იმიჰრან** (ამიჰრან, ამირან), სომხეთში კი განსხვავებული ფორმით გავრცელებულა მისი სახელი, საფიქრებელია, რომ იქ **mīhr I mīhrān**-ის პირველი ნაწილის ტრანსფორმირება მოხდა და ასე ჩამოყალიბდა ფორმა *მჭერ*; ნ. მარის მოსაზრება ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან და, თუ შევეცდებით, დავაზუსტოთ და ისე ჩამოვავალიბოთ ჩვენი დასკვნა, უნდა ითქვას, რომ ეს სახელები – *ამირანი* და *მჭერი* – ერთი საწყისიდან (**mīhr I mīhrān**) ჩანს მიღებული და რომ ქართულ სამყაროში *იმიჰრანი* (ამირანი), სომხეთში კი *მჭერი* დარქმევია *მიჰრ* და *მიჰრანს*; ნ. მარის ვარაუდს, ალბათ, მეტ დამაჯერებლობას სძენს მოსაზრება, რომ *მიჰრი მიჰრანიდან* მომდინარეობს ორივე სახელი...“ (კუჭუხიძე 2022: 38-39). ბოლოს კი ავტორი დასკვნის სახით დასძენს,

რომ ამირანს სხვადასხვა კულტურული სამყაროსა და ეპოქის გავლენით არაერთი ცვლილება უნდა განეცადა (იქვე).

ზ. კიკნაძის აზრით, „მკერის გათავისუფლება ისევე, როგორც ამირანისა, ესქატოლოგიურ პერსპექტივასთან, ქვეყნის ფერისცვალებასთან არის დაკავშირებული. მკერის ღმერთმებრძოლი ნება მოტეხილია, იგი, შეიძლება ითქვას, კათარზისის პროცესში იმყოფება და ელის საბოლოო, ესქატოლოგიურ ჟამს. განწმედით-განახლებული მკერი და „ახალი ცა და ახალი მიწა“ შეეგებება ერთმანეთს“ (იქვე). ჩვენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა სომხური ეპოსის გმირის – მკერის ის პასუხი, რომელიც მან მწყემსს გასცა, ვინაიდან ჩვენ მიერ წლების წინ ლენტეხისა და კოდორის (resp. **დალის**) ხეობის სოფლებში საველე მუშაობისას ჩაწერილ ამირანის ზღაპრის სხვადასხვა ვარიანტებში თითქმის ანა-ლოგიური პასუხი მოვისმინეთ. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით: ჟათლაკუნა მეთხუძმარ ალეს, ამირანს, ი ხეჭუდდელალ თურმე ამიშობას: „მაე ამბაჟ ლოქ ლი, იმჟი ლოქ ლი, ზურნლა ეერ მაჩუბხენჟი დარბაზთე ისმი ლოქ ესა?“ ეს ლოქ ხოქუა, მეთხუძმარს, ერე „დარბაზთე მადე, ლახუთე ლოქ ისმი ზურნლა ეერ“, – ი ალღუპაჟელი ლოქ ქუეყნი გუემ! (მთქმ. შ. ონიანი, ეკლინგ. მასალ.) – ამირანს გადაყრია ერთი მონადირე, რომელსაც ამირანი აქაურ ამბებს ეკითხებოდა: „რა ხდება, საქმე როგორ არისო, ქალის ხმა პირველი სართულიდან მეორე სართულზე თუ ისმისო?“ მონადირეს უთქვამს: „მეორე სართულამდე კი არა მთაშიც ისმისო“. სხვა ვერსიის მიხედვით: აშუზ ანდაჟ ათთხანენა ამირანს ი ეჯის ლახუტედენა: „კუეცნემ ესერ ითქ უოშამდ ლი ლებჳკუე, ერე ჳარგჳე ჩუადსკვდდედდს ლექუერიშ?“ „უუ, ლებჳკუესერ მწსერ ირი, ათხე ემხუ ფაჟუ გუემი როქ ღერი ეჩელექუა!“ „მიჩესერ ეხხოჟ ლიტეხ დემეგ ესერ ხაჯონა! – ამირანს ლოხტიხა (ხ. გურჩიანი, კოდორ. ქრონიკ., 2007-2010:465) – ერთხელ მწყემსი გადაყრია ამირანს და მისთვის უკითხავს: „ხორბლის მარცვალი რამდენად უნდა გაიპოსო, რომ წისქვილის ხვიმირში ჩაეტიოსო?“ „გასაპობი როგორ იქნებაო, როცა ახლა ერთი ქუდი სავსე მარცვალი ჩადისო!“ „მაშინ ჩემი იქ დაბრუნება არ ღირსო!“, – ამირანს უპასუხია. არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც ზღაპრებში, ვგულისხმობთ ქართულ ზღაპრებს ამირანის შესახებ, ანალოგიური პასუხი არ შეგვხვედრია. ერთ შემთხვევაში ამირანი აპროტესტებს ქალის საზოგადოებრივ-ზნეობრივი

ნორმების რღვევას და მეორე შემთხვევაში მას არ უნდა დაბრუნდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც ხორბლის მარცვალი წინანდელივით მსხვილი არ იყო. სვანური ზღაპრის პერსონაჟის – ამირანის ეს სიტყვები გამოხატავს გმირის ეგზისტენციალურ მდგომარეობას, მას არ უნდა დაბრუნდეს იმ სამყაროში, სადაც პროგრესის ნაცვლად რეგრესი დახვდება. ისიც, ეპიკური გმირის მჭერის მსგავსად, ელოდება ქვეყნის ფერისცვალებას. აჭარაში ჩაწერილი „ამირანიანის“ ერთ-ერთ ვერსიაში, რომლის გმირი დედჯალ ოხრუჯი ზღვაში ერთ კუნძულზეა დაბმული რკინის პალოთი და ჯაჭვით, მერცხლებს, რომლებიც პერიოდულად მიფრინდებიან ხოლმე მასთან, მუდმივად ერთსა და იმავეს ეკითხება: „ქალები ცხენზე შესხდნენ თუ არაო?“ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ დაბმული გოლიათი გახარებულია და ამბობს: „ნელ-ნელა ახლოვდება ჩემი გაშვების დროვო“. თქმულების აღნიშნულ ვარიანტში, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, დასტურდება რწმენა, რომ დედჯალი თანდათან აიშვებს, თუმცა მისი გათავისუფლების ჟამი მოახლოვდება მაშინ, როცა დაიწყება დიდი ხნის შემუშავებული საზოგადოებრივ-ზნეობრივი ნორმების რღვევა (კეკელიძე 2022: 114).

ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროს, როგორც ითქვა, **აბერჰამ** სიტყვის გენეზისის დადგენა წარმოადგენს, რომელსაც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების განხილვისა და დამატებით სვანური მასალების შესწავლა-მომიების შედეგად სწორედ მითოლოგიურ გმირ ამირანამდე მივყავართ. მას დროთა ვითარებაში სხვადასხვა სახის ტრანსფორმაცია უნდა განეცადა და საბოლოოდ ღვთაების დონეზე უნდა ასულიყო.

ქართული ხალხური ეპოსის გმირს ამირანს სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვება: **ამირან** (ზს., ქს.)/**წმირან** (ზს.)/**წმირმ** (ბქ.)/**წმირწ** (ბქ., ლნტ.) 1. ანთრ. „ამირანი“, 2. გადატ. „ძლიერი, ღონიერი (ადამიანი)“, შდრ. ასევე სვან. **მირიმ** < ქართ. ამირან-ი, რომელთაგანაც ყველაზე ძველი ბალსქვემოური **წმირმ** ფორმა ჩანს, მომდინარე ქართ. ამირანი¹საგან შემდეგი სახის ფონეტიკური გარდაქმნებით: **ამირან** > **წმირან** > * **წმირნ** > **წმირმ** (საღლიანი 2023:281). ვინაიდან ქართულის გზით სვანურში დამკვიდრებულ **ამირან**ს პიროვნული სახელის პარალელურად გადატანითი მნიშვნელობაც მიუღია, ვფიქრობთ, ბალ-

სქვემოურში დაფიქსირებული ლი-**მირ**-ალ „ქედმაღლობა/ამპარტავ-
ნობა/უფროსობა...“ ფორმაც სწორედ ქართ. **ამირან** ისაგან მომდინა-
რეობს, რომელსაც ზმნის პირიანი ფორმებიც ეწარმოება, თუმცა დე-
ფექტური ზმნაა, რაც სიტყვის სესხებას ხელშესახებს ხდის (იქვე).
ამირანის ზღაპრის ერთ-ერთ, კერძოდ ლაშხურ ვარიანტში **იმირან**
ფუძეც დავადასტურეთ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 100: 23-24), თუკი
კორექტურულ შეცდომასთან არ გვაქვს საქმე.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენთვის ამ ეტაპზე უმთავ-
რესია სვანური უძველესი და თითქმის მივიწყებული სიტყვის –
ახგრჰამ [დეცეშ] წარმომავლობის გარკვევა. სპეციალური სამეცნიერ-
ო ლიტერატურის გაცნობისა და ჩვენეული დაკვირვების შედეგად,
შესაძლებლად ჩავთვალეთ აღნიშნული სიტყვა მიგვეჩნია, ერთი
მხრივ, ამირანის ტრანსფორმირებულ ფორმად, მეორე მხრივ კი, ამი-
რანის უძველესი, შემოკლებული სახელიდან – **ამიჰრან** მომდინა-
რედ, რომელიც, მეცნიერთა ვარაუდით, ტრანსფორმირდა როგორც
ამიჰრანი (ამირანი). სვანურ საანალიზო ლექსემაში ფონეტიკურ
პროცესთა უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით, სავარა-
უდოდ, შემდეგი სურათი იხატება: 1. სვან. **ახგრ-ჰამ** „ღვთაება ცი-
სა/მზისა; თვალების მკურნალი ღვთაება“ < ***ამგრ-ჰამ** < ***ამგრ-ჰან** <
***ამირ-ჰან** < ქართ. ამირან-ი „ქართული ხალხური ეპოსის გმირი“ სი-
ტყვისაგან სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესთა (*სონორ თან-
ხმოვანთა მონაცვლეობის, რედუქციის, ბგერათა განვითარების*) სა-
შუალებით ან 2. სვან. **ახგრ-ჰამ** < ***ახგრ-ჰან** < ***ახგჰ-რან** < ***ახიჰ-რან** <
უძვ. ქართ. ფ. **ამიჰ-რან-ი** (< ამირან-ი) ფორმისაგან შემდეგი სახის
ფონეტიკური პროცესების განხორციელებით: *თანხმოვანთმონაც-
ვლეობის, ხმოვანთა რედუქციისა და მეტათეზისის*.

რაც შეეხება ამირანის აფხაზურ პროტოტიპს **აბრსკილ**ს, იგი,
როგორც არაერთი მეცნიერი მიუთითებს, ჰიბრიდული ფორმაა
აფხაზური და ზანური (მეგრული) ფორმების კონტამინაციით მიღე-
ბული და შედარებით ახალი ფორმაციის წარმომადგენელია. ადვი-
ლი შესაძლებელია, რომ სვანურმა სწორედ აფხაზურზე ბევრად უფ-
რო არქაული (ქართული ან ქართველური) ფორმა შემოგვინახა, რო-
მელმაც, ცხადია, მრავალგზის იცვალა სახე, თუმცა ეთნოგრაფიული
მასალების სიმცირე სვანური განსახილველი არქაული სიტყვის შე-
სახებ ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბილისი.

ბაგრატიონი 1997 – ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი.

ბარდაველიძე 1941 – ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ზაბარ), თბილისი.

ბურდული 2010 – მ. ბურდული, ქართული ტრადიციული სამედიცინო ცოდნა, სამკურნალო რიტუალები სვანეთში, ახალციხე.

გელოვანი 1983 – ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

კეკელიძე 2022 – თ. კეკელიძე, „ამირანიანის“ ლექსითი, პროზაული და შერეული ვარიანტების ურთიერთმიმართება და მათი ტრანსმისია, ბათუმი.

კიკნაძე 2001 – ზ. კიკნაძე, ქართული ხალხური ეპოსი, თბილისი.

კიკნაძე 2007 – ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბილისი.

კუჭუხიძე 2020 – გ. კუჭუხიძე, სახელ „ამირანის“ გენეზისისათვის, XIV საერთა-შორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი. <http://conference.litinstitutu.ge/wpcontent/uploads/Simpoziuri-Masalebi-14.pdf>

კუჭუხიძე 2021 – გ. კუჭუხიძე, ამირანი და ტარიელი („ამირანიანისა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხისათვის), ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIII, თბილისი.

სასუნცი 1939 – სომხური ეპოსი დავით სასუნცი, ტფ., ფედერაცია.

საღლიანი 2023 – მ. საღლიანი, სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი, ტ. I, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბილისი

ჭუმბურიძე 1992 – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბილისი.

ჯალაბაძე 2022 – ნ. ჯალაბაძე, აფხაზური თქმულება აბრსკილ-ზე და მასთან დაკავშირებული ვარაუდები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XXI, თბილისი.

ჭ ა ზ უ კ ი ქ ი რ ი ა

ერთი რიგის მეგრულ ტოპონიმთა მართლწერის საკითხი

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით **ა-ფუ-**მიან ტოპონიმებში ეს **ა** იკვეცება ნათესაობითსა და მოქმედებითში:

მცხეთა – მცხეთის/მცხეთით, მღეთა – მღეთის/მღეთით, წებელდა – წებელდის/წებელდით, წევა – წევის/წევით, წეკელდა – წეკელდის/წეკელდით, მალდა – მალდის/მალდით, მალთაყვა – მალთაყვის/მალთაყვით, ნეკრისა – ნეკრისის/ნეკრისით, კობტა – კობტის/კობტით...

უნიფიკაციური სიმწყობრე ირღვევა, როდესაც ფუძის ბოლოს ფუნქციური, დერივაციული **ა** დასტურდება, – ნორმების მიხედვით ამ შემთხვევაში ფუძე უკვეცელია:

„ფუძეუკვეცელია **ნაძვა** (სოფ.), **მოღობილა** (მთა), **ტალახა** (მთა), **ტყემალა** (მთა), **ურემა** (მთა), **ღრუბელა** (სოფ.), **წითელა** (მდ.), **ჭაობა** (მდ.), ასევე რთული შედგენილობის გეოგრაფიული სახელები: **ორბოძალა** (სოფ.), **ორკბილა** (მწვერვ.), **პირჩიტა** (მთა), **რუშაგა** (მდ.), **ქუდნისლა** (მთა), **ღარისწყალა** (სოფ.), **შაენაზადა**¹ (მთა), **შაგწყალა** (მდ.), **წყალწითელა** (მდ.), **ჭალახმელა** (სოფ.), **ხარისთვალა** (დაბა), **ხეგხმელა** (მდ.), **ხიდა** (უღელტ.), **ხიდმაღალა** (სოფ.) და ა.შ. [სასკოლო ორთოგრაფიული 2011, 482].

არცთუ იშვიათად ფუძის ბოლოკიდური **ა-ს** დერივაციულობა აშკარად იკვეთება, თუმცა ამის მიუხედავად ეს **ა** იკვეცება²:

¹ ეს სახელი ფუძეკვეცადია საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის (თბ., 1987) მიხედვით.

² ვეერდნობით გამოცემებს: საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987; <https://ice.tsu.ge/liv/geograf.php>.

ყურყუტა (ყურყუტისა) – „მთა დუშეთისა და ლენინგორის რ-ნების საზღვარზე“; **შავნაზადა** (შავნაზადისა¹) – „მთა გარდაბნის რ-ნში“; **იდუმალა** (იდუმალისა) – „სოფელი ასპინძის რ-ნში“; **წაზლანა** (წაზლანისა) – „სოფლები შუახევისა და ხულოს რ-ნებში“; **კუპრა** (კუპრისა) – „მთა ონის რ-ნში“; **კენჭიყარა** (კენჭიყარისა)² – „მთა ბორჯომის რ-ნში“; **მწარა** (მწარისა) – „მდინარე გუდაუთის რ-ნში“; „სოფლების ზემო **მწარისა** და ქვემო **მწარის** გავრცელებული სახელწოდება“. **მახათა** (მახათისა) – „მთა თბილისის მიდამოებში“; **მახარა** (მახარისა) „მთა დუშეთისა და თიანეთის რ-ნებში“; **ხუმარა** (ხუმარისა) – „მთა ქარელის რ-ნში“; **მაჭარა** (მაჭარისა) „მდინარე გულრიფშის რ-ნში“; „სოფელი გულრიფშის რ-ნში“; **ბაწარა** (ბაწარისა) „მდინარე ახმეტის რ-ნში“; **ბოსელა** (ბოსელისა) „სოფელი თერჯოლის რ-ნში“; **ბორცვანა** (ბორცვანისა) „სოფელი გორის რ-ნში“; **ბოსტანა** (ბოსტანისა) „მდინარე ამბროლაურის რ-ნში“; „სოფელი ამბროლაურის რ-ნში“; **ჭივჭავა** (ჭივჭავისა) „მდინარე თეთრი წყაროს რ-ნში“; **ჯანდა** (ჯანდისა) – „მთა მესტიის რ-ნში“; **მწუხარელა** (მწუხარელისა) – „სოფელ ახალი თერჯოლის ძვ. სახელწოდება“...³

დამაბნეველია, რომ, ერთი მხრივ, **მტირალა** ფუძეუკვეცვლად არის მიჩნეული, ხოლო, მეორე მხრივ, **ყვირილა** – ფუძეუკვეცვლად:

მტირალა (მტირალასი) – „მთა ხელვაჩაურის რ-ნში“;

შდრ.:

ყვირილა (ყვირილისა) – „მთა ხულოს რ-ნში“;

ყვირილა (ყვირილისა) – „უღელტეხილი ხულოს რ-ნში“;

ყვირილა (ყვირილისა) – „მდინარე საჩხერის რ-ნში“;

ყვირილისწყალი (ყვირილისწყლისა) – „მდინარე ჩოხატაურის რ-ნში“.

ამ და მსგავსი საკმაოდ სოლიდური ოდენობის მასალით ირკვევა, რომ ფუძის ბოლო ხმოვნის სტატუსის მიხედვით შერჩეული-

¹ შდრ. **ნაზადა** (ნაზადასი).

² ელექტრონულ ორთოგრაფიულში ეს ფორმა ასეა წარმოდგენილი: კენჭიყრა (კენჭისყრისა) – „მთა ბორჯომის რ-ნში, თრიალეთის ქედზე“.

³ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში წარმოდგენილ ფორმებს ზოგჯერ სათანადო კვალიფიკაცია არ ახლავს; მაგ.: „**თეთრა** მდინარე ახალქალაქის რ-ნში, მდინარე ჭობარეთისწყლის მარცხენა შენაკადი.

საკლასიფიკაციო ნიშანი არ იძლევა საკითხის მარტივად და ცალსახად გადაწყვეტის საშუალებას, ყოველ შემთხვევაში, ამ ნიშნით წარმოდგენილ კლასიფიკაციას ბევრი კითხვა ახლავს. კატეგორიულად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ, საერთოდ, **საკუთარ სახელთაგან ფუძეკვებადია:**

ყველა ა-ფუძიანი უცხოური ტოპონიმი (ანგოლა... ანკარა... სენა... ჯომოლუნგმა... პიზა... ლაზა...): **ამ მასალაში ფუძის ბოლოს დადასტურებული ა არ შეიძლება ქართული დერივაციული სუფიქსი იყოს** – ეს არის ამ ორთოგრაფიული წესის საფუძველი:

ბუნებრივია, რომ ქართული ენის ნორმების მიხედვით ხდება ქართველური ენების მასალის ორთოგრაფიული შეფასება-კლასიფიკაციაც. გვაქვს:

ლაფსთა – ლაფსთის/ლაფსთით, შხარა – შხარის/შხარით, შხელდა – შხელდის/შხელდით, ლარაკვაკვა – ლარაკვაკვის/ლარაკვაკვით, ნენსკრა – ნენსკრის/ნენსკრით, მოგუაშირხა – მოგუაშირხის/მოგუაშირხით, მულხრა – მულხრის/მულხრით, ლუხრა – ლუხრის/ლუხრით, ლასხანა – ლასხანის/ლასხანით, ლადლინა – ლადლინის/ლადლინით, ლუგელა – ლუგელის/ლუგელით, მუნჩია – მუნჩიის/მუნჩიით, მუჩერა – მუჩერის/მუჩერით, მუხურჩა – მუხურჩის/მუხურჩით, წალენჯიხა – წალენჯიხის/წალენჯიხით, შამგონა – შამგონის/შამგონით, ერგეტა – ერგეტის/ერგეტით, ხეთა – ხეთის/ხეთით, ზარწუფა – ზარწუფის/ზარწუფით, ჰაბურთა – ჰაბურთის/ჰაბურთით, გარაბა – გარაბის/გარაბით, ორქა – ორქის/ორქით, ჭოდა – ჭოდის/ჭოდით, მუყავა – მუყავის/მუყავით, მუშიკვარა – მუშიკვარის/მუშიკვარით¹, მუყაჯიკვარა – მუყაჯიკვარის/მუყაჯიკვარით², ჯიხა – ჯიხის/ჯიხით, ხუძგა – ხუძგის/ხუძგით, ღალიძგა – ღალიძგის/ღალიძგით, შხაფიძგა – შხაფიძგის/შხაფიძგით, ყირღალიშკა – ყირღალიშკის/ყირღალიშკით...

¹ ეს ფორმა გეოგრაფიული სახელების ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით კუმშვად-კვეცადი გამოდის; აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ასეა წარმოდგენილი: **მუშიკვრისა.**

² ეს ფორმა გეოგრაფიული სახელების ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით კუმშვად-კვეცადი გამოდის; აქ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ასეა წარმოდგენილი: **მუყაჯიკვრისა.**

ეს წესი „ზოგჯერ ირღვევა, რაც განსაკუთრებით ეხება დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სოფლის სახელს. ესენია: **გაგიდა, კოჩარა, კობორა, ორსანტია, სიდა, ხურჩა**, რომლებიც უნდა შეიკვეცოს (**გაგიდის, კოჩარის, კობორის, ორსანტიის, სიდის, ხურჩის**)“ [სასკოლო ორთოგრაფიული 2011, 482].

წესი არცთუ იშვიათად ირღვევა (ამ მხრივ, არამხოლოდ ჩამოთვლილი ტოპონიმებია აქტუალური; ხშირად ვხვდებით ასეთ შესიტყვებებს: **ფოკას მონასტერი, ფონას ეკლესია, ფაწას ხეობა...**) და ეს, რა თქმა უნდა, არც გასაკვირია და არც მოულოდნელი (სწორია **„ღაზის სექტორი“**, **„პიზის კოშკი“**, **„სინის მთა“**, **როკის კონცხი...** მაგრამ **„ღაზას სექტორი“**, **„პიზას კოშკი“**, **„სინას მთა“**, **როკას კონცხი...** გაცილებით უფრო ხშირად ისმის და იწერება).

ზოგადად, ბევრი წესი ირღვევა, მაგრამ როდესაც არსებობს ორთოგრაფიული მკაფიო სტრატეგია და სტანდარტი, არსებობს დარღვევების გასწორების საშუალებაც, – სწორედ ესაა ნორმატიული გამოცემების დანიშნულება. მთავარია ამ სახელმძღვანელო ნორმებში იყოს პრინციპების სიცხადე და თანმიმდევრულობა.

იკვეცება ქართულ ენობრივ მიმოქცევაში აღმოჩენილი სახელური ფუძის ბოლოკიდური **ა** იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას მეგრულში დერივაციული დატვირთვა აქვს:

ნოღელა – ნოღელისა; **ნემონა** – ნემონისა; **ქვიშონა** – ქვიშონისა; **უჩაშონა** – უჩაშონისა; **თაია** – თაიისა; **გვალაია** – გვალაიისა; **ტყაია** – ტყაიისა!¹... **ოტორონჯია** – ოტორონჯიისა... **ოტობაია** – ოტობაიისა, **ოხაჩქალია** – ოხაჩქალისა...

გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ ლექსიკონის პრინციპის მიხედვით ამგვარადვე გაიმართება **-ონა** ტოპოფორმანტებით გაფორმებული სახელები: **მეგრ.:** **ჭველეთონა, ჭუბურონა, ბერწულონა, მიგირონა, ჩერგვალონა, ჯაპონა, ქორონა, ხინწკონა, ჩხირონა, ვერხონა... ლაზ.:** **ჭუბრონა, თხირონა, დანძონა, ცხეხონა, ჭკონუნა, თხომზონა, მშქერონა, სქინდონა, კაკალეფუნა, მაყაყონა...**

¹ ამ ფორმის ნათესაობითი ბრუნვა გეოგრაფიული სახელების ელექტრონული ლექსიკონში ასეა წარმოდგენილი: **ტყაიისა**.

ეს ბუნებრივია, – სალიტერატურო ქართულის ნორმებისთვის არ უნდა იყოს და არც არის რელევანტური, რა სტატუს-ფუნქცია აქვს ამ შემთხვევაში მეგრული/ლაზური/სვანური სახელის ფუძის ბოლო ელემენტს.

მეორე მხრივ, ქართულთან ლექსიკური და აფიქსური დამთხვევა შეიძლება გახდეს ფუძის უკვეცელობის მიზეზი:

ნაზადა (ნაზადასი) – „რკინიგზის ბაქანი ფოთ-ჭალადიდის გადასარბენზე“¹.

უნაგირა (უნაგირასი) – „მთა ცხაკაიას რ-ნში, ოდიშის მთისწინეთში“; *შდრ.*: **უნაგერა** (უნაგერასი) – „მთა ლანჩხუთის რ-ნში, ნიგოეთის სერზე.

ზოგჯერ **ოიკონიმი** და **გვარსახელი** ფორმით ერთმანეთს ემთხვევა, – სხვაობა თავს იჩენს ბრუნების პარადიგმაში: გვარსახელი ფუძეუკვეცელია, **ოიკონიმი – ფუძეუკვეცადი**:

გუდავა (გუდავისა) – „სოფელი გალის რ-ნში; სოფლების პირველი გუდავისა და მეორე გუდავის გავრცელებული სახელწოდება“;

მიქავა (მიქავისა) – „სოფელი წალენჯიხის რ-ნში“;

მუყავა (მუყავისა) – „სოფელი წალენჯიხის რ-ნში“².

ტოპონიმად ქცეულ ქართულ პირთა სახელებში (შესაძლოა ეს სახელი კომპოზიტის ნაწილი იყოს) ფუძე უცვლელია:

კვირიკე (კვირიკესი) – „სოფლები ქობულეთის რ-ნში, სამტრედიის რ-ნის გომისა და ნაბაკევის სოფსაბჭოებში“; **ზედა კვირიკე** (ზედა კვირიკესი) – „სოფელი ქობულეთის რ-ნში“; **ელია** (ელიასი) – „მთა ყაზბეგის რ-ნში, ხევის ჩრდ. განშტოებაზე“; „მთა თბილისის მიდამოებში, მტკვრის მარცხ. მხარეს“; **ივლიტა** (ივლიტასი) – „სოფე-

¹ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა სოკოს სახეობას აღნიშნავს და, როგორც მოსალოდნელი იყო, ფუძეუკვეცელია (ისევე როგორც მისი მოხეური სინონიმი **ცხვარა**): **ნაზადა** (ნაზადასი) *კუთხ.*1. (კახ.) მუქი ლურჯი ფერის სოკო; იჭმება 2. (მოხევ.) იგივეა, რაც **ცხვარა** (ქეგლ).

² ყოველთვის ასე არ არის: ქალაქს ერქვა **ცხაკაია**, მაგრამ არც გვარსახელის და არც ოიკონიმის ამპლუაში ეს ფუძე არ არის კვეცადი.

ლი ახალციხის რ-ნში“; **მუხაესტატე** (მუხაესტატესი) – „სოფელი ქობულეთის რ-ნში“...

შდრ.:

საკვირიკე (საკვირიკისა) – „მთა ბორჯომისა და ახალციხის რ-ნების საზღვარზე, თრიალეთის ქედზე“.

საინტერესო ფორმაა კომპოზიტი **„ჯიხასკარი“**.

პირველი ნაწილი (**ჯიხა**) ცალკეც არსებობს, როგორც ტოპონიმი: **ჯიხა** (ჯიხისა) – „სოფელი ცხაკაიას რ-ნში“¹.

სპეციალურ ლიტერატურაში **ჯიხა** ფორმასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „არის... შემთხვევებიც, როცა რთული შედგენილობის ტოპონიმის მეორე კომპონენტი უკვეცელია, მთელი კომპოზიტი კი – კვეცადი (შდრ.: **ჯიხა** (მეგრ. = ციხე); ნათ. **ჯიხას** (მეგრ. ჯიხაშ), მაგრამ: **წალენჯიხის**)“ [აფრიდონიძე, 2013, 26].

გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, როგორც აღინიშნა, **ჯიხა** ფუძეკვეცადია ცალკეც და კომპოზიტის შემადგენლობაშიც; ეს სავსებით ჯდება ქართულ ორთოგრაფიულ სისტემაში, რომელიც ამ შემთხვევაში **ფუძის დაბოლოებაზე** რეაგირებს და ამის მიხედვით მიუჩენს ადგილს ამა თუ იმ ფორმას საკუთარ სისტემაში (თუ ა-ზე ბოლოვდება, ესე იგი, ის იკვეცება).

მაგრამ მას **არ შეუძლია** კორექტირება შეიტანოს მეგრულის ფლექსიურ მორფემებზე და საკუთარი სისტემის მიხედვით „გამართოს“ ესა თუ ის ფორმა ან ფორმათა წყება, ამიტომ **სწორი ფორმაა არა ჯიხასკარი** (სადაც მეგრული -შ-ს ნაცვლად ქართული -ს ჩანს ნათესაობითის ნიშნად), არამედ **ჯიხა-შ-კარი**, ისევე როგორც **სწორია ყულ-იშ-კარი** (და არა **ყულისკარი**), **ოისირე-შ-დუდი** (და არა **ოისირე-ს-დუდი**)...

ე-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელები ფუძეკვეცადია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით.

უკვეცელია „წიგნური გზით შეთვისებული ზოგი უცხოური საზოგადო სახელი ა- და ე-თი დაბოლოებული: **ატაშე, კაშნე, ტირე, ჟელე, კაფე, კუპე, კლიშე...**, რომელთაც, როგორც წესი, შენარჩუნებუ-

¹ აქედანაა ნაწარმოები ფორმა **ჯიხაიში**, სადაც ნათესაობითის ფორმანტი სრული სახით ჩანს ხმოვანფუძიან სახელთან (**ჯიხა-იში**).

ლი აქვთ მახვილი ბოლოკიდურ ხმოვანზე... (არ ითქმის: **კაზნის, ელის, კუბის, კლიშის...**) [ჩიქობავა, 1950, 038].

ეს დაკვირვება განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არ შემოიფარგლება ზოგადი დეკლარირებით, არამედ ხსნის წესსა და მიზეზს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გარკვეული ორთოგრაფიული პოზიცია.

მასალის ორთოგრაფიული კლასიფიკაციისას **უცხოური და მეგრული ე-**ფუძიანი ტოპონიმები ფუძეუკვეცელ სახელებადაა მიჩნეული ქართულში:

„კვეცის უნარის მხრივ დიფერენცირებულია ქართული ან საქართველოს და უცხოური წარმოშობის ტოპონიმები, კერძოდ, ქართული მასალა აშკარად კვეცის ნიმუშებს გვიჩვენებს, მაშინ როცა არაქართული ტოპონიმები უკვეცელი რჩება. შდრ.: **საბუე – საბუის; საირმე – საირმის**, მაგრამ: **დუშანზე (ქალაქი) – დუშანზეს, იორდანე (მდინარე) – იორდანეს, ჩილე (სახელმწიფო) – ჩილეს...**

უკვეცელია, მეორე მხრივ, ზანური (მეგრული) წარმოშობის **ლე – ე** აფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები (ანუ სოფლების სახელები), რომლებიც უპირატესად ამა თუ იმ გვარისგან იწარმოება: **ლე-ფოჩხუ-ე** (გვარიდან ფოჩხუა), **ლე-სხულუხ-ე** (გვარიდან სხულუხია) და მისთ., ან **ო – ე** აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: **ო-ირემ-ე, ო-ხაჩქუ-ე** და მისთ.“ [აფრიდონიძე, 2013, 28].

„უკვეცელია... სამეგრელოს **ლე – ე** და **ო – ე** თავსართ-ბოლოსართიანი ტოპონიმები: **ლე-ყვანი-ე, ლე-ფოჩხუ-ე, ლე-სხულუხ-ე...; ო-კვინორ-ე, ო-ხაჩქუ-ე** და მისთ.“ [სასკოლო ორთოგრაფიული 2011, 482].

ცნობილია, რომ დანიშნულების სახელთა ერთ-ერთი მაწარმოებელი ქართულში **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსია. ამ სადერივაციო აფიქსებით არის გაფორმებული ტოპონიმების ერთი ჯგუფი; **-ე** სუფიქსი, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვამაწარმოებელია (ისევე, როგორც **-ა**) იკვეცება ამ ფორმებში და დერივაციული დატვირთვა თავსართზე გადადის:

საბოლოკე (საბოლოკისა) – „სოფელი ცხინვალის რ-ნში“; **საბუე** (საბუისა) – „სოფლები ახმეტისა და ყვარლის რ-ნებში; მთა ყვარლის რ-ნში“; **საგვარჯილე** (საგვარჯილისა) – „მღვიმე ორჯონიკიძის რ-ნში, ძირულის ხეობაში“; **სათავე** (სათავისა) – „სოფელი სოხუმის

რ-ნში“; **სათიბე** (სათიბისა) – „მთა ახმეტის რ-ნში, გომბორის ქედზე“; **სათოვლე** (სათოვლისა) – „სოფელი მცხეთის რ-ნში“; **სათხე** (სათხისა) – „სოფელი ბოგდანოვკის რ-ნში“; **საკირე** (საკირისა) – „სოფლები ბორჯომის, დმანისისა და ჯავის რ-ნებში“; **საკოხე** (საკოხისა) – „მთა ყაზბეგის რ-ნში, ხევის კავკასიონზე“; **საკურწე** (საკურწისა) – „სოფელი ჭიათურის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე“; **სალომე** (სალომისა) – „მთა კასპის რ-ნში, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე“; **სამერცხლე** (სამერცხლისა) – „მთა ამბროლაურის რ-ნში, ლუხუნის აუზში“; **სამყურე** (სამყურისა) – „სოფელი ადიგენის რ-ნში“; **სამშვილდე** (სამშვილდისა) – „სოფელი თეთრიწყაროს რ-ნში“; **სამცხე** (სამცხისა) – „ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში“; **სანახშირე** (სანახშირისა) – „სოფელი ზესტაფონის რ-ნში“; **სანიორე** (სანიორისა) – „სოფელი თელავის რ-ნში“; **სარკინე** (სარკინისა) – „მთა ონის რ-ნში, რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონის სამხრ. კალთაზე“...

კვეცის წესს დაექვემდებარა პირის სახელისგან ნაწარმოები ტოპონიმიც: **საკვირიკე** (საკვირიკისა) – „მთა ბორჯომისა და ახალციხის რ-ნების საზღვარზე, თრიალეთის ქედზე“.

ო – ე პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მეგრული (resp. ზანური) ტოპონიმები ფუძეუკვეცელია ქართული ენის ორთოგრაფიით, **მიუხედავად იმისა, რომ ქართული და მეგრულ-ლაზური -ე სუფიქსი აბსოლუტურად ერთი და იმავე სტატუსის მქონე ელემენტებია (ო- ქართული სა- პრეფიქსის მორფოლოგიური შესატყვისია, ხოლო -ე შეთვისებულია ქართულიდან. შესატყვისობის თვალსაზრისით წმინდა მეგრულ-ლაზური იქნებოდა ო-ა წარმოება; მაგრამ გვაქვს კონტამინირებული, ჰიბრიდული აფიქსაცია: ო –ე):**

საირმე (საირმისა) – „სოფლების ზედა საირმისა და ქვედა საირმის გავრცელებული სახელწოდება“; *შდრ.: ოირემე* (ოირემესი) – „სოფელი ზუგდიდის რ-ნში“.

საკალმახე (საკალმახისა) – „მდინარე წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, რიონის მარჯვ. შენაკადი“; *შდრ.: ოკალმახე* (ოკალმახესი) – „მდინარე წალენჯიხის რ-ნში, ენგურის მარჯვ. შენაკადი“.

საწაბლე (საწაბლისა) – „სოფელი ზესტაფონის რ-ნში“; *შდრ.*:
ოჭუბურე (ოჭუბურესი) – „სოფელი სოხუმის რ-ნში“...

ო-ე წარმოებისა და შესაბამისი ორთოგრაფიის საილუსტრაციო მეგრული მასალა:

ოისირე (ოისირესი) – „ქედი გალის რ-ნში“; **ოკალმახე** (ოკალმახესი) – „მდინარე წალეჯიხის რ-ნში“; **ოკაცე** (ოკაცესი) – „მდინარე წულუკიძის რ-ნში“; **ოკვარე** (ოკვარესი) – „მდინარე ლანჩხუთის რ-ნში“; **ოკვინორე** (ოკვინორესი) – „სოფლები გალის რ-ნის ოტობაისა და განახლების სოფსაბჭოებში“; **ომაკარე** (ომაკარესი) – „მდინარე ოჩამჩირის რ-ნში“; **ოფიცარე** (ოფიცარესი) – „მთა გეგჰკორის რ-ნში“; **ოქაჯე** (ოქაჯესი) – „მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში“; **ოცარცე** (ოცარცესი) – „სოფელი გალის რ-ნში“; **ოწყარიე** (ოწყარიესი) – „მდინარე ხობის რ-ნში“; **ოჭუბურე** (ოჭუბურესი) – „სოფელი სოხუმის რ-ნში“; **ოხაჩქუე (ოხაჩქუესი)** – „ქედი გალის რ-ნში“; **ოჯოდორე** (ოჯოდორესი) – „მდინარე გალის რ-ნში“...¹

თუ ფუძის ბოლო **-ე**-ს არა აქვს კავშირი დერივაციასთან, – მით უმეტეს მოსალოდნელია კვეცა და იკვეცება კიდევაც ასეთი ქართული ტოპონიმური ფუძეები ისევე, როგორც იკვეცება **ე**-ფუძიანი საზოგადო სახელები საერთოდ:

ოლე (ოლისა) – „ტაფობი წითელწყაროს რ-ნში“; **ვალე** (ვალისა) – „ქალაქი ახალციხის რაიონში“; **ზოდბე** – „სოფლების ზემო **ზოდბისა** და ქვემო **ზოდბის** გავრცელებული სახელწოდება“²; **ხეწე** – „სოფლების ზემო **ხეწისა** და ქვემო **ხეწის** გავრცელებული სახელწოდება“;

¹ იშვიათად, მაგრამ ეს სისტემაც ირღვევა ისეთი მაგალითებით, როგორცაა გურული ზანიზმი **ორაგვე**, სადაც იგივე **ო – ე** აფიქსები ჩანს, – თუმცა ის ფუძეკვეცადია: **ორაგვე** (ორაგვისა) – „სოფელი ლანჩხუთის რ-ნში“).

² ეს ფორმა გეოგრაფიული სახელების ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით უკვეცელი გამოდის; აქ განმარტება ასეა წარმოდგენილი: სოფლების **ზემო ზოდბესა** და **ქვემო ზოდბეს** გავრცელებული სახელწოდება“. თუმცა იქვეა **„ზოდბისხევი“**. ასევე: **ზემო ზოდბე (ზემო ზოდბისა), ქვემო ზოდბე (ქვემო ზოდბისა)“,** ცხადია, კორექტურაა.

ზემო **ხვეწე** (ზემო ხვეწისა¹) – „სოფელი ჯავის რ-ნში“; ქვემო **ხვეწე** (ქვემო ხვეწისა) – „სოფელი ჯავის რ-ნში“; **ხდე** (ხდისა), ხდისწყალი – „მდინარე ყაზბეგის რ-ნში; **მაკასტახე** (მაკასტახისა) – „მთა თიანეთისა და ახმეტის რ-ნების საზღვარზე“; **სკანდე** (სკანდისა) – „სოფელი თერჯოლის რ-ნში“; **სოდევე** (სოდევისა) – „სოფელი დუშეთის რ-ნში“; **უსტამალე** (უსტამალისა) – „მდინარე დუშეთის რ-ნში“; **ფრონე** (ფრონისა) – „მდინარეების აღმოსავლეთ ფრონის, შუა ფრონისა და დასავლეთ ფრონის გავრცელებული სახელწოდება“; **ქერე** (ქერისა) – „სოფელი გორის რ-ნში“²; **დესქე** (დესქისა) – „მწვერვალი ონის რ-ნში“; **ღორძე** (ღორძისა) – „სოფელი ადიგენის რ-ნში“; **ცახალე** (ცახალისა) – „მთა დუშეთის რ-ნში“; **წვერე** (წვერისა) – „სოფელი დუშეთის რ-ნში“; **ხდე** (ხდისა) – „მდინარე ყაზბეგის რ-ნში“; **ჯუნმერე** (ჯუნმერი-სა) – „სოფელი ლანჩხუთის რ-ნში“...

ასევეა მეგრული მასალის მიხედვით:

დიჟყე – „დიჟყისა „მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში“; **დოშაყე** – „დოშაყისა „სოფელი გეგეჰკორის რ-ნში“; **მოიდანახე** – „მოიდანახისა „სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში“; **რიყე** (რიყისა) – „სოფელი ზუგდიდის რ-ნში; **სქურჭალე** (სქურჭალისა) – „მდინარე წალენჯიხის რ-ნში“; **ტებენე** (ტებენისა) – „მდინარე წალენჯიხის რ-ნში“; **შებე** (შებისა) – „მდინარე ჩხოროწყუს რ-ნში“; **ცვანე** (ცვანისა) – „სოფელი ზუგდიდის რ-ნში“; **წარჩე** (წარჩისა) – „სოფელი გალის რ-ნში“; **ჭალე** (ჭალისა) – „სოფელი წალენჯიხის რ-ნში“; **ჭველე** (ჭველისა) – „სოფელი წალენჯიხის რ-ნში“; **ხაბუმე** (ხაბუმისა) – „სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში“...

არის შემთხვევები, როდესაც ქართულ მასალაში უკვეცელად არის წარმოდგენილი ე-ფუძიანი ტოპონიმები:

¹ ეს ფორმა გეოგრაფიული სახელების ელექტრონული ლექსიკონის მიხედვით ასეა წარმოდგენილი: **ზემო ხვეწე** (ზემო ხვეწისა); კორექტურაა.

² ეს ფორმა ფუძეუკვეცილი ჩანს საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987; <https://ice.tsu.ge/liv/geograf.php>-ის მიხედვით, თუმცა აქვე დასტურდება წინააღმდეგობა: **ზემო ქერე** (ზემო ქერისა) – „სოფელი ცხინვალის რ-ნში“; **„ქვემო ქერე“** არსად არ არის.

ტანიე (ტანიესი) – „მთა დუშეთის რ-ნში“; **ჭიე** (ჭიესი) – „სოფელი დუშეთის რ-ნში“; ზემო **რენე** (ზემო რენესი) – „სოფელი კასპის რ-ნში“; ქვემო **რენე** (ქვემო რენესი) – „სოფელი კასპის რ-ნში“; ზემო **ქერე** (ზემო ქერესი) – „სოფელი ცხინვალის რ-ნში“...

ლე- პრეფიქსთან კომბინაციაში, როგორც წესი, არის **-ე** სუფიქსი. ამ აფიქსების ალტერნატივაა **სა- -ო. ლე- -ედა სა- -ო** აფიქსაცია, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ფუძეებთან (გვარებთან) გვხვდება, მაგრამ ზოგჯერ ერთსა და იმავე ფუძესთანაც დასტურდება (განსხვავებული გეოგრაფიული დასახლებების აღსანიშნავად): **საშამუგო (სოფ. გალის რ-ში); ლეშამუგე (სოფ. წალენჯიხის რ-ში).**

რაც შეეხება გვარსახელებისგან **ლე-ე** აფიქსებით ნაწარმოებ ტოპონიმებს, აქაც იგივე სურათი ჩანს, რაც **ო- ე** აფიქსაციისას იყო: **ე-** ს მთელ პარადიგმაში ინარჩუნებს ფუძე.

ლე- -ე:

ლებადათურე (ლებადათურესი), **ლებაჩე** (ლებაჩესი), **ლეგახარე** (ლეგახარესი), **ლეგოგიე** (ლეგოგიესი), **ლეგულორდავე** (ლეგულორდავესი), **ლედარსალე** (ლედარსალესი), **ლედგებე** (ლედგებესი), **ლევახანე** (ლევახანესი), **ლეკაკულე** (ლეკაკულესი), **ლეკეკელე** (ლეკეკელესი), **ლეკვანტალე** (ლეკვანტალესი), **ლეკოკაიე** (ლეკოკაიესი), **ლემიქავე** (ლემიქავესი), **ლეპატარავე** (ლეპატარავესი), **ლეყვანიე** (ლეყვანიესი), **ლესალე** (ლესალესი), **ლესაჯაიე** (ლესაჯაიესი), **ლესიჭინე** (ლესიჭინესი), **ლესხულუხიე** (ლესხულუხიესი), **ლეფილიე** (ლეფილიესი), **ლეფოჩხუე** (ლეფოჩხუესი), **ლექარდე** (ლექარდესი), **ლექარჩე** (ლექარჩესი), **ლექაჯაიე** (ლექაჯაიესი), **ლექობალე** (ლექობალესი), **ლეშამუგიე** (ლეშამუგიესი), **ლემამამე** (ლემამამესი), **ლეცავე** (ლეცავესი), **ლეციცხვაიე** (ლეციცხვაიესი), **ლეწურწუმე** (ლეწურწუმესი)...

ცხადია, აქაც დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რას ემყარება ასეთი ორთოგრაფიული სტრატეგია. **-ე** აქაც დერივაციული ელემენტია, ქართული **-ე** სუფიქსია, რომელსაც ვხვდებით **ო- ე** აფიქსურ კომბინაციაში და თუ ქართული მასალისთვის არის კვეცა ნორმატიული თვალსაზრისით გამართლებული, **რატომ არ ვრცელდება ეს წესი ზანურ მასალაზე?**

არ შეიძლება ამის მიზეზი იყოს ის, რომ ამ ტიპის ტოპონიმების ფუძეებში გვარსახელები „იკითხება“: სულაც გვარსახელის სახით წარმოდგენილი ა- ფუძიანი ტოპონიმები ჩვეულებრივად იკვეცენ **-ს-ს (გუდავა – გუდავის/გუდავით, მიქავა – მიქავის/მიქავით/ მუჟავა – მუჟავის/მუჟავით).**

რამდენად ლოგიკურია, რომ ოიკონიმ **მიქავა**’-ს ნათესაობით-მოქმედებითის ფორმები (**მიქავის/მიქავით**) ორთოგრაფიულად მართებულ ფორმად მივიჩნიოთ, ხოლო ტოპონიმ **ლემიქავა**’-ს ანალოგიური ბრუნვის ფორმები (**ლემიქავის/ლემიქავით**) – მცდარად?

შენიშვნა: ასევე ფუძეუკვეცელთა რიგშია **ლებერია** (ლებერია-სი) – „მთა გეგეჰკორის რ-ნში“.

თავი მოვუყაროთ ზემოთქმულს:

1. თუ **-ა** დერივაციული აფიქსია, არ იკვეცება (**ნაბადა – ნაბადას/ნაბადათი...**) სხვა შემთხვევაში იკვეცება (**გაგრა – გაგრის/გაგრით...**); არცთუ იშვიათად ირღვევა ეს წესი, რაც დაკავშირებულია ფუძის ბოლოვიდური **ა-ს** სტატუსის ადეკვატურად გააზრებასთან (**ყვირილა – ყვირილის/ყვირილით...**).

2. თუ **-ე** დერივაციული აფიქსის კომპონენტია, იკვეცება (**საირმე – საირმის/საირმით...**);

3. ასევე ფუძეუკვეცადია **ე-ზე** დაბოლოებული ტოპონიმები, სადაც **ე-ს** არა აქვს კავშირი დერივაციასთან (**ვალე – ვალის/ვალით...**), თუმცა ყოველთვის არ ხდება ასე (**რენე – რენესი/რენეთი...**).

4. **ე-** სუფიქსიანი უცხოური ტოპონიმები ფუძეუკვეცელია (**ოტრადნოე – ოტრადნოეს/ოტრადნოეთი...**), თუმცა ყოველთვის არ ხდება ასე (**ეგვიპტე – ეგვიპტის/ეგვიპტით...**).

5. კვეცადია ფუძე, რომელიც საერთოა გვარსახელისა და ოიკონიმისთვის (**მიქავა – მიქავის/მიქავით...**), მაგრამ თუ იგივე ფუძე **ლე-ე** აფიქსებით არის გაფორმებული, ის უკვეცელი იქნება (**ლემიქავა – ლემიქავას/ლემიქავათი...**).

6. თუ მეგრულ ტოპონიმურ მასალაში დასტურდება **ქართულიდან შეთვისებული დერივაციული აფიქსის კომპონენტი -ე** (ოირმე – ოირემეს/ოირემეთი...), ის არ იკვეცება.

7. იკვეცება ფუძის ბოლო ე იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ არის დერივაციული აფიქსი(ცვანე – ცვანის/ცვანით...).

ამ გარემოებათა გამო, ვფიქრობთ, საკმაოდ წინააღმდეგობრივია ა/ე- ფუძიან ტოპონიმთა არსებული ორთოგრაფიული კლასიფიკაცია, სადაც განსაკუთრებით ის იქცევს ყურადღებას, რომ ქართულ ტოპონიმებში -ე სუფიქსი იკვეცება, მაგრამ მეგრულ-ლაზურის შესაბამის მასალაში დადასტურებულ ქართულიდან ნასესხებ (resp. ქართულ) -ე-ს მიმართ ორთოგრაფიული სტრატეგია ისეთივეა, როგორიცაა ე-ფუძიან უცხო სიტყვათა/ტოპონიმთა შემთხვევაში¹.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ე- ფუძიანი მეგრული (resp. ზანური) ტოპონიმების მართლწერა წარმოდგენილია არა ქართული, არამედ მეგრული (resp. ზანური) ნორმის (ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ენობრივი წესის, ჩვევის, უზუსის) მიხედვით. ქართულ ორთოგრაფიულ სისტემაში თითქოს შემოჭრილია სწორედ მეგრული (resp. ზანური) „ორთოგრაფია“ თუ საერთო წესი ფორმაცვალების (ფუძეუკვეცელობა ამ შემთხვევაში).

გამოყენებული ლიტერატურა

<https://ice.tsu.ge/liv/geograf.php>

აფრიდონიძე 2013 – შ. აფრიდონიძე, ტოპონიმთა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები II, თბილისი.

¹ ანუ, ერთ სისტემაში მოექცა: კუპე, კაშნე... ზიმბაბვე, ულან-უდე, ტუაფსე... ოისირე, ოკალმახე. კუპე'-ს რიგის მასალაში ფუძის სტაბილურობა მახვილს მიეწერება, მაგრამ ასეთი საფუძველი არ ჩანს ტოპონიმების შემთხვევაში. იქნებ ამის გამო საერთოდაც უფრო რაციონალური ჩანდეს ე-ფუძიანი უცხოური ტოპონიმების გადაყვანა ეგვიპტე – ეგვიპტის მოდელზე? ა- და ე-ფუძიანი სახელები ერთ ჯგუფში აღმოჩნდება და სისტემა სავსებით გამართული იქნება; ერთი მხრივ, გვექნება: განა – განის, გვინა – გვინის... მეორე მხრივ, ეგვიპტე – ეგვიპტის, ადიღე – ადიღის, ჩიღე – ჩიღის, დუშანზე – დუშანზის... აქვე იქნება ზანური ა- და ე-ფუძიანი ტოპონიმების ადგილიც.

სასკოლო ორთოგრაფიული 2011 – სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, დანართი I, გეოგრაფიული სახელების მართლწერა, თბილისი.

ორთოგრაფიული ლექსიკონი 1987 – საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1950 – არნ., ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, თბილისი.

ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

ლენტეხური დიალექტის ტექსტები განმარტებებითურთ

აკაკი შანიძე სვანური ენის შესასწავლად და გამოსაკვლევად სვანეთში პირველად 1920 წელს გამგზავრებულა. ქუთაისიდან ჯერ ჩოლურში (7/VII-20/VII/1920 წ.), მერე კი ლაშხეთში ასულა და უმუშავია. მიუხედავად იმისა, რომ მას სვანურის კურსი პეტერბურგის უნივერსიტეტში ნ. მარისგან მოსმენილი ჰქონია, ადგილზე მუშაობისას სვანური ენის სპეციფიკაში გარკვევა მაინც გასძნელებია „უკვე ერთი კვირე შემისრულდა, რაც სვანეთში (ჩოლურში) ვარ და სვანურს ვსწავლობ. ამ ხნის განმავლობაში კაცი ფრანგულისა და გერმანულის გრამატიკულ აგებულებაში გაერკვეოდა, მაგრამ სვანურის ზოგიერთი მჭარეები, განსაკუთრებით ზმნის უღვლილება, ჯერ-ჯერობით ბურუსით არის მოცული ჩემთვის. ნ. მარის მიერ წაკითხული კურსი პეტერბურგის უნივერსიტეტში მხოლოდ მცირედნად მშველის. მასალის დამუშავება სულ კელახლა მიწდება“ (შანიძე 202:243).

1921-22 წლებში კვლავ დაბრუნებულა ქვემოსვანეთში და ლაშხურ და ჩოლურულ მასალასთან ერთად, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, ლენტეხშიც ჩაუწერია ადგილობრივ მკვიდრთაგან ლენტეხური ტექსტები.

საქართველოს ეროვნულ არქივში, აკაკი შანიძის პირად ფონდში, არაერთი სამივლინებო მასალაა დაცული, მათ შორისაა აღნიშნულ წლებში ჩაწერილი ხელნაწერი დედანიც. ამჯერად ყურა-

დღეებს გავამახვილებთ 1922 წლით დათარიღებულ ლენტეხურ ტექსტებზე (სეა, უიცა, N-469), რომლებიც შევადარეთ დღემდე გამოცემულ მასალებს და აღმოჩნდა, რომ დიდი ნაწილი ამ ტექსტებისა არ არის დაბეჭდილი. აღნიშნული ხელნაწერი ტექსტები საინტერესოა როგორც თემატურად, ისე აშეებზე გაკეთებული განმარტებებით, დაზუსტებებითა თუ შენიშვნებით, რაც მკაფიო წარმოდგენას ქმნის სვანურის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისითაც.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც ტექსტის ჩაწერისას, ან სხვა მთქმელთან გადამოწმებისას, აშეებზე მიწერილი სიტყვათა ქართული განმარტებებითა და საინტერესო დაზუსტებებით. მათი ნაწილი სვანურის დანარჩენი დიალექტებისაგან გარკვეული სემანტიკური ცვლილებებით დასტურდება, აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, შანიძისეული განმარტებით, აქამდე გამოცემულ სვანურ ლექსიკონებში არ დაიძებნა. შედარებისთვის დამატებულია სვანურის დიალექტების (მათ შორის ჩოლურული მეტყველების) ნიმუშები:

დარალა – (=მგლდეგა¹ მულახ.) სულელი (შანიძე1922:108ა). მაგ.: ალე სემი გეზალისა ეშხუ **დარალა** ლემარ „ამ სამ შვილში, ერთი სულელი ყოფილა“ (ტექსტი- **ლითვერი გვეშ ლენტეხამსა**). შდრ. (ჩოლ.) **დარალა**- 1) უვიცი;2) ადამიანი, რომელსაც არავინ არაფრად თვლის; შდრ. (ლშხ.) **დარალრლ** „ადამიანი, რომელიც არაფრად მიაჩნიათ“. ლაშხურში, ისედაც უარყოფით სემანტიკას კნინონითის -**ოლ** სუფიქსი აქვს დამატებული. მიღებულია **დარ** ფუმეზე -**ალა** ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებლის დართვით. სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური **დარალა** დაკავშირებულია ქართ. **მდარესთან** „მდარე, არასრულფასოვანი ადამიანი“ (გაზდელიანი 2013:53).

ბაჲ – „ბაო“ – დიდი სკა; სახლი მეორე ადგილას (ძირითადის გარდა თავის სოფელში), აქედან **ლაზავიდ** „საბაოდ“ (შანიძე 1922: 104), (ტექსტი- **კალვილ**).

სვანურ ლექსიკონებში სკის მნიშვნელობა არ არის მითითებული: (ბზ., ლშხ.) **ბაჲ**, (ბქ.) **ბაჲ**, (ლნტ.) **ლაზაჲ** – „დროებითი საცხოვრებელი (ღამის სათვეი) იალაღებზე, ყანასა ან ტყეში (სვან. ლექს., 2000:

1. სვანური მასალა განმარტებითურთ ხელნაწერს მისდევს!

148). შდრ. ჩოლ. **ბაჭ** – „საზაფხულო დროებითი სეზონური საცხოვრებელი სახლი“, **ლაბაჭდ შიდხ** – „იტყვიან მოუწესრიგებელ, უხეირო ოჯახზე“. დასტურდება ტოპონიმშიც – **ბაჭ** – სამოვარ-სათიბი, ყოფილი საქონლის საზამთრო სადგომი. მესტია (ჭკადუა 2020:31). „ს.-ქართვ. ***ბაჭ** – „საჩრდილობელი თავშესაფარი“ ქართ. **ბაო** „მცირე ჩრდილი; ჩრდილი“ (საბა) სვან. **ბაჭ, ლა-ბაჭ** „თავშესაფარი ადგილი... საერთ.-სინდური***ბაჭ** – „საქონლის ფარდული“ ყაბ. **ბოჭ** საქონლის ფარდული“ აფხაზ. **ა-ბოჭ-რა** „ბოსელი“ (ჩუხუა 2017:105)

ლიბლავი – დარღვევა, **აბლავი, ადაბელავე, ჩაფელ ჩუამბგლავან** „ფეხსაცმელი დამერღვა“ (შანიძე 1922:107). მაგ.: კანტორალ მერქედა ჩუ **ლეზლავე** ლიხ „კანტორები ორივე დარღვეულია“; კანტორალ ხაბლხდ ჩუ **ადაბელავე** „კანტორები ხალხმა დაარღვია“ (ტექსტი -**ლა-მანაშვირ**), შდრ. (ლშხ.) **ლიბალაუი**, (ჩოლ.) **ლიბალაუი/ლიბელაუი/აბ-ლაუი** „ხის ფოთლიანი ტოტების გასხეპვა“, ლენტეხურში სემანტიკური მნიშვნელობა გადაწეული ჩანს.

ლესაბ – რაღაც მუხუდოს მსგავსი მცენარეა (ეგებ ეს ის იყოს, რასაც ლაშხელები ნეცინ ღედერ-ს ე.ი. წვრილ ცერცვს ეძახიან (შანიძე 1922:110). (ტექსტი **გულიდ**). არც ლექსიკონებში დასტურდება და არც ცოცხალ მეტყველებაში (ქვემოსვანურში). შდრ. ზს. **საბ**, ლშხ. **საბ** „ახალმოჭრილი, ნედლი, წვრილი შეშა“.

ლეფატან – ერთი კანაფის საპერანგე, საზომი(შანიძე 1922: 114ა), (ტექსტი – **დადიანობ ლენტეხასა**) შდრ. სვან. ფატან

ჩუბთუარობ – [ი]?თაფლავენ; თაფლს ურევენ? (შანიძე 1922: 118ა). მაგ.: ნაგუთნოვილი ღვინალს **ჩუბთუარობ** ი მართლაც ლათრა მად ხარ, ეჯჟი ბეგი ხეფასი „ნაგუთნოულის ღვინოს თაფლავენ და მართლა არ დაილევა, ისეთი მაგარი გამოდის“ (ტექსტი **კელედი**). **თუი>ლითუარი>ათუარი**, ასეთი წარმოება უცხოა სვანურის დანარჩენი დიალექტებისთვის.

აშშარ – „აშარი“, ვიწრო ჯეობა (ლენტეხისა და ჩოლურისა). ლაშხეთში **აშარი** უკვე აღარ არის, რადგანაც გაშლილია (ასე ესმის ეს სიტყვა ალ. ქურასპედიანს). ლაშხეთში მაგალითად როცა იტყვიან **აშართ მოვედიო**, ეს იმას ნიშნავს, რომ ცხენის წყლის ჯეობით მოვიდა (ლენტეხზე და ჩოლურზე) (შანიძე 1922:105). **აშარ** – უბანი (ლენტეხი, ბაბილი), ბაბილის ერთ-ერთი დასახლება, ლიპარტელიანები-

სა და ქურასბედიანების; ყანები – ს. გულიდაში მაცხოვრის ეკლესიის მიდამოები (ჭკადუა, 2020:19).

შაირ– ძელქვა (ულპოლველი, მაგარი ხეცო. იმისი სარები 200-300 წელს ძლებს მიწაში. შანიძე 1922:120), (ტექსტი **ლენტეხა სიმდიდრე**). შდრ. (ზს., ლნტ) **შაირა** – „წითელი ხე, ურთხელი“ (სვან. ლექსიკ. 2000:812); (ჩოლ.) **შაირა**- „ურთხელი“.

პჭვიფ – მდელო (ლაშომ პჭვიფ ხარ ხოჩა. შანიძე 1922:122) (ტექსტი – **მაცხვარ ლამეზერ**), შდრ. ჩოლ. **აჭუიფ** „1) მდელო; 2) ადგილის სახელი ჭველიერში“; **პჭუიფ** – სოფლის მოედანი (ლენტეხი, მეღურა), ს. მეღურაშია, დგას რამდენიმე ცაცხვი, როგორც ჩანს ადრე საკულტო დანიშნულების იყო (ჭკადუა 2020:22).

ლეჯარ – ტყე, სადაც ფიჭვი და ნაძვი არ ურევია, არამედ მუხა, წიფელი თხილი და სხვა (**ჯი**- მუხა, **ჯირა**- მუხისხე, **ჯირამარელი** – ჯიუტი კაცია. შანიძე 1922:105ა) (ტექსტი – **ლენტეხა აშარ ცხეკარ ი მეგმარე ლიმაჯე ლგლექვა**).

ლექსიკონებში **ჯი** ფორმა არ გვხვდება, შდრ. (ზს.) **ჯირა/ჯიპრა**, (ლმხ.) **ჯირა**, (ლნტ.) **ჯირა** – „მუხა“ (სვან. ლექს. 2000:888), შდრ. (ჩოლ.) **ჯირა** – „მუხა“, **ლეჯირა** – „სადაც მუხის ხე მრავლადაა“.

ლაკდობანი (იქვე **ნაკდობანი**) – მთა (შანიძე 1922:121ა). მაგ.: კუმშს მერ გოლდშოხო ზაეს ი მერ **ლაკდობანისო** „საქონელს ზოგი გოლდაში წაიყვანს და ზოგი ლაკდობანში“; **ნაკდობანი** ნალიში ფედიას ლი „ნაკდობანი ნალიშის ახლოსაა“ (ტექსტი **ჭალა**).

სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონში აღნიშნული ტოპონიმი **ლაკდობანი** არ დასტურდება, მაგრამ შეტანილია **ნალიშ**, რომლის სიახლოვესაც უნდა ყოფილიყო ხსენებული ადგილი. **ნალიშ** – სამოვარი მთა (მეღურა, ნანარი) მდ. ჩოლშურას მარცხენამხარეზე, ალპური ზონა“ (ჭკადუა 2020:407). გულიდელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სწორი ფორმაა **ლაკდობანი**, რომელიც ბაბილელთა კუთვნილი სამოვარი მთა ყოფილა (მთქმელი ვასო მეშველიანი, გულიდი).

მედურ **კაუ-კენჭელას** ხოწიბხ ჟი „კავკენჭელაზე არიან ჩამოკიდებულნი. **კავ** – კავი, ხოლო **კენჭალა** მთქმელმა არ იცის, მაგრამ ალბათ ისიც **კავი** უნდა იყოს“. „**კაუ-კენჭელას** ხოწიბხ ჟი – წელებზე ფეხს იდგამს?, სულ იმის ცდაშია? **კაუ-კენჭელას** ამრეკხ ჟი, ან პწიბხ ჟი – სულ განუწყვეტილად და მოუსვენრად მამუშავეს, წელი გამაგდებინეს, ჭაპანწყვეტაში მამყოფეს?“ (შანიძე 1922:107ა), (ტექსტი

ლექუსირ). შდრ. (ჩოლ.) ფრაზეოლოგიური გამონათქვამი – **კაჭკენ-ჭელას ხორიკ** – „კავზე ნეკით ჰკიდია, მოუსვენრობს“, **კავკენჭალს ხასგურ** – როცა შრომა-ჯაფისგან მოსვენება არ აქვს ადამიანს, (ლშხ.) **კაჭკენჭელას ხორიკ** „ბევრს შრომობს“.

შანიძის განმარტებულ ლექსიკურ ერთეულებში, ბევრია ისეთი, რომლებიც ქართულიდან შეთვისებულად უნდა ჩაითვალოს, მცირეოდენი სემანტიკური გადაწვევებით:

უიწყუდ – უწყვეტლივ, განუწყვეტლივ. ეს **უიწყუდ** ქართულიდან ნასესხებია, უნდა ვიფიქროთ (შანიძე 1922:115ა). შდრ. **უიწყუდ** (ბქ.ლნტ.ჩოლ.)/ **უიწყუდ** (ლშხ.) *ზმნის* < ქართ. უ-წყვეტ-ად „მუდამ, გამუდმებით, განუწყვეტლივ, ხშირად“ (შდრ. ბზ., ჩოლ. **უქტიცად**, ბქ. **უქტიცად**; ბქ. **აშმე(ჭ)იდ**) (საღლიანი 2023:377).

ფანცხარ – ერთმანეთზე სამ ადგილას წნელით გადაბმული გრძელი ჯოხები, რომლებიც მარჯილს ედება თივის მოტანის დროს (შანიძე 1922:112ა), (ტექსტი – **გოლდაშილახუ**). შდრ. **ფარცხ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ **ფანცხ** (ლნტ.) „ლასტი“ < ქართ. ფარცხ-ი „სასოფლო-სამეურნეო იარაღი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად (და თესლისათვის მიწის მისაყრელად)... (საღლიანი იქვე:385)“.

ნაზარა – თივა დატკეპნილი და კონასავით გაკეთებული, მაგრამ შეკრული არაფრით არ არის (შანიძე 1922:112ა), (ტექსტი- **გოლდაშილახუ**). შდრ. ჩოლ. **ნაზარე/ა**, ლშხ. **ნაზარე/ლგმზარე** თივის კონა. „**ნაზარ**-ი შეშის ტვირთი, რასაც კაცი წამოიკიდებს; სვილის, ჩალის რამდენიმე კონა ერთად შეკრული“ (ქართულკილო-თქმათა სიტყვის კონა, 1974).

ლათრი – თივის სათრევი, მარჯილის სიფართოვეზე. **ზექი ლათრი** ანკიდ „შეშის სათრევი მოიტანა“ (ე.ი. მოიტანა შეშის კონა თრევით და არა მარჯილით). **ნენიი ლათრი** ა) თრევით მოსატანი თივა (უმარჯილოდ), ბ) სათრევი მარჯილით მოსატანი თივა. მაგ. **ლათრიერ** ჟ'ახენჭვენხ ფელდისა (შანიძე 1922:114). შდრ. **ლათრინა** (ბზ., ბქ. ლნტ.), **ლათრინა** (ლშხ.) – „გასათრევი საშუალება“ (სვან. ლექსიკ. 2000:380), (ჩოლ.) **ლათრინა** – „სათრევი ხელსაწყო“ სვ. **ლითრინე** – „თრევა“. შდრ. **სათრიელ-ი**, **სათრიელა** – იგივეა, რაც სათრეველა 1). მარხილის (ან აჩაჩა ურმის) ნაწილი, რომლითაც მარხილი (ან ურემი) უღელზეა მიმაგრებული, ფრჩხილა. 2. პარალელურად შეკრული ძელები ტვირთის გადასატანად (ქეგლ.).

ჩემი – შესახებ. **ჩემ** ცალკე არ იკმარება. მიშკუა ჩემი ხოლა ხოქუაბ „ჩემს შესახებ ცუდი უთქვამთ“, ეჯ ჩემი ათარაგანდინ ეჯის „დაელაპარაკე მას იმის შესახებ“. ამ მაგალითიდანაც ცხადია, რომ **ჩემ** არსებითი სახელია, როგორც **ხედ**, რომელსაც მსგავსი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ყოველთვის ერთს ვერ იკმართ მეორის ნაცვლად, ვინაიდან განსხვავებაც არის მათ შორის (შანიძე 1922:111). შდრ. (ჩოლ.) **ჩემი** – სახელზე, **ჩემე** – „ისაკუთრებს“.

ნაგუთნოვილ – ერთნაირი ყურძენია. ყვედრეშა და ცხუმე-ლირში ყოველნაირი ყურძენი მოდის, ხოლო სხვაგან მხოლოდ ესენი: ნაგუთნოული, ფრანგულა და ადესა (შანიძე 1922:118ა). მაგ.: ყურძენს ხომა ნალად **ნაგუთნოვილს** იკმარობ, ლათრა მად ხად, ეჯჟი ბგგი ხეფასი „ყურძენს უფრო მეტად ნაგუთნოულს იყენებენ, არ დაილევა, ისეთი მაგარი გამოდის“ (ტექსტი - **კელიდი**).

აღნიშნული ჯიმი გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში სხვადასხვა ვარიანტით – **ნაკუთნეული**, **ნაკუთნოული**, **ნაკუთნოური**, **ნაგუთნეული**, **ნაგუთნოური**. „ქართული აბორიგენული წითელიყურძენიანი საყურძნე ვაზის ჯიმი რაჭა-ლეჩხუმიდან განეკუთვნება რაჭა-ლეჩხუმის ვაზის იშვიათ ჯიშთა ჯგუფს და სხვაგან არსად გვხვდება“ (მიროტაძე, 1939:158-161). როგორც ჩანს, 20-იან წლებში ლენტეხშიც გავრცელებული იყო.

ლამამლი – სამამულო (ე.ი სავენაჯე, საზვრე, საბაოები) (შანიძე 1922:111). მაგ. **ლამამლი** ლაბავიწრ გულდარს იშკანაგ ხუდეგ „სასამულო გულიდელებს სხვაგან აქვთ“. შდრ. **მამილ** (ლნტ., ჩოლ.) „ყურძენი, ვაზი“ ბოტ. < ქართ. მამალ-ი „ვენახი“ (საღლიანი 2023:252).

წურა – ლენტეხში კიდევ იშოვება კალმახის გარდა წურა, მაგრამ სხვაგან სვანეთში კი მხოლოდ კალმახი იცის. ამიტომ **კალმახ** (ლშხ.), ანუ **კალმან** (მულახ.) იქ აღნიშნავს საზოგადოდ თევზს, მაშინ როდესაც საზოგადო სახელი თევზისა **გუზ** შენახულია ლენტეხში, ხოლო ბალსუმიურ სვანურში იგი მხოლოდ ძველ ლექსებში გვხვდება (**გუზ**, **გუზჭარ**), ლენტეხურში ამიტომ **კალმან** მარტო ჩვენი კალმახია და არა საზოგადოდ თევზი, როგორც სხვა სვანებს ესმის (შანიძე 1922:106). შდრ. (ლშხ.) **წურაი ზოოლ** < ქართ. წურა „მდინარის მოვერცხლისფრო, ულვაშებიანი თევზი (საღლიანი 2023:448).

ლიჭრელალი – აჭრელება (წერას შავად თეთრ ქაღალდზე, წერა-კითხვას), მაგ. ბოფშს ლოქ ლიჭრელალის ხათვერი (შანიძე 1922: 108). შდრ. (ლშხ., ჩოლ.) **ქ'ესჭტრლან** „გადააკვდა, ემოციებს გამოხატავს“.

ხიზარ – სახაზინოა, ხოლო **ხიზარ, ნახან** – ხიზნები (შანიძე 1922:106). შდრ. **ხაზინა/ხაზინა** (ზხ., ლნტ.) < ქართ. ხაზინა (<არაბ. **khazina/hazine/hazina** „სალარო; საჭურჭლე“) „სალარო; სახელმწიფო ქონება; **ხიზან** (ზხ., ლშხ.) < ქართ. ხიზან-ი (<სპარს. **xizan**) „დროებით სხვას შეკედლებული პირი“, ლი-**ხიზან**-ლ (ლშხ.) *ხლომ*. < ქართ. გა-ხიზენ-ა „გასახლება“, ლი-**ხიზან**-ი (ჩოლ., უშგ.) /ლი-**ხიზინ**-ე (უშგ.) < ქართ. გა-ხიზენ-ა „გასახლება“ (საღლიანი 2023:459).

ვინაიდან ტექსტების უმეტესობა არ არის გამოცემული და მასში ასახული ლექსიკის ნაწილი არც ლექსიკონებში დასტურდება, მნიშვნელოვანია მათი გაცოცხლება და ფართო საზოგადოებისათვის იმ სახით გაცნობა, როგორც დედანშია ასახული. აღნიშნული ხელნაწერი საინტერესოა ასევე ფონეტიკური და სინტაქსური შენიშვნების თვალსაზრისითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზდელიანი 2013 – ე. გაზდელიანი, ზედსართავი სახელის ჯგუფები და ხარისხები სვანურში, იკე, XLI თბილისი.

მიროტაძე 1939 – ა. მიროტაძე, რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები, თბილისი.

საღლიანი 2023 – მ. საღლიანი, ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში, II, თბილისი.

სეა, უიცა, 1922 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, N 469.

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულკილო-თქმათასიტყვისკონა. წ. 1, 2., თბილისი.

შანიძე 2021 – აკ. შანიძე, მოგონებანი, დღიურები, სხვადასხვა, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, V, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჭკადუა 2020 – ა. ჭკადუა, სვანური ტოპონიმისკა, თბილისი.

შორენა შავრეშიანი

სვანური ზღაპრების თარგმანისათვის¹

ზღაპარი კაცობრიობის პირველქმნილი ინტელექტუალიზმის უტყუარი ანარეკლია, რომელიც მუდმივ მოძრაობაშია და საუკუნეების მანძილზე მთქმელიდან მთქმელს, თაობიდან თაობას გადაეცემა. ხალხური ზეპირსიტყვიერების ამ საინტერესო ჟანრმა, ღირსეულად გაუძლო მრავალსაუკუნოვან კონტაქტებს და მთლიანად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, უნიკალური თვისებები და ნიშნები.

სვანური ზღაპრების არქაულობამ და ჟანრობრივმა მრავალფეროვნებამ განაპირობა ჩვენი ინტერესი გვეთარგმნა სვანური ხალხური ზღაპრები ქართულ-ინგლისურ ენებზე, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სათარგმნი ენის სპეციფიკა და ზღაპრის თხრობისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მანერა.

თარგმნისას ხშირად შეინიშნება ისეთი ლექსიკური ელემენტების ექვივალენტობის არ არსებობა, როგორცაა *სინტაქსური სტრუქტურები, საკვები, ტანსაცმელი, ტიტული, წოდება, წეს-ჩვეულება* და სხვ. ეს ელემენტები წმინდა ეროვნული ნიშნებია, რომელიც ასახავს ეთნიკურ-კულტურულ-სოციალურ ინფორმაციას, ეროვნულ სახეს. თითოეული მსგავსი სიტყვა-რეალია უნიკალურია და შესაბამისად მართებულია ინგლისურ თარგმანში ეს ლექსიკური ერთეულები უცვლელად, ტრანსლიტერაციით გადმოიცეს და სქოლიოში ახსნა-განმარტება დაერთოს.

სვანურ ზღაპრებში მთავარი გმირები ხშირად სთხოვენ დედას *ხაჭაპურისა* და *კუზდარის* გამოცხობას; პერსონაჟები ხშირად აკეთებენ *ლომს* და ა. შ. ქართულისა და სვანურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკური ერთეულები უცვლელად გადადის თარგმანში. მგ.:

¹ კვლევა განხორციელდა 2022 წელს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების პროექტის „**სვანური ზღაპრების ქართულ-ინგლისური თარგმანები** (YS-22-953)“ ფარგლებში.

ხექტ ქრისტეშად: დედე, ათუი-ათუი **თაშნაჲ** ოხნაყე (სეა, უიცა, 403) / „უთხრა ქრისტეშამ: დედა, ცხელ-ცხელი ხაჭაპური გამომიცხვეო („უთხრა ქრისტეშამ: დედა, ცხელ-ცხელი ყველიანიმცა გამოუცხო“)“ / Christesha said {to her mother}, “mother, bake me hot **khachapuri**!”

ანჯად მიჩა ხეხუაჯად ი **ქუთ-ლეტყბე** ოხნაყე, აღანმნდ ლალემ (ზხ. სვან. ქრესტ., 1978:161) / „მოვიდა ისეც მისი ცოლი და ხაჭაპური გამოუცხო, მაგრამ არც ეს ჭამა („მოვიდა მისი ცოლი ისეც და ხაჭაპური-მესაწველი გამოუცხო, ესეც არ ჭამა“)“ / “His wife came again and baked him **khachapuri**, but he did not eat it either.”

აგის **კუბტარ** ახხნაყუნე მიჩა დის (სეა, უიცა, 403) / „სახლში კუბდარი გამოაცხობინა დედამისს“ („შინ **კუბატ**-იან-ებ-ი გამოაცხო-ბინა **დედა-ს**“)“ / “{He} made his mother bake **kubdariat** home.“

ამ დროჲჟონ ალ მარეს ემზუ კარდლოდ **ღომ** ლაჯაბს ხოგედა ი სომეხ ერ ყორალისგა მეზი ესწუნე, ამ დროჲჟონ ანჯად **იღმთე** სიმინდი ფეკილდ ესქიმ(ზხ. სვან. ქრესტ., 1978: 163) „ამ დროს ამ კაცს კარდალით ღომი ედგა მოსახარშად და სომეხი რომ კარებში შემოსული დაინახა, ამ დროს ადგა და **ღომში** სიმინდის ფქვილი ჩაამატა („ამ **დრო**-ზე ამ კაცს ერთი **კარდალ**-უკა **ღომ**-ი ხარშვას ე-დგ-ა და **სომეხ**-ი რომ კარებში მავალი დაინახა, ამ **დრო**-ს მოვიდა და **ღომ**-[ის]-კენ **სიმინდ**-[ის] **ფქვილ**-უკა დაამატა“)“ / “At that time, the man had **ghomi** in a cauldron to cook, and when he saw the Armenian entering the door, rose and added corn flour to the **ghomi**.”

წოდებისა და ეროვნული სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები ატარებს ეროვნულ, საზოგადოებრივ და სოციალურ ინფორმაციას. შესაბამისად მიზანშეწონილად მივიჩნით, რომ მსგავსი ლექსიკური ერთეულებიც თარგმანში უცვლელად დაგვეტოვებინა. მაგ.:

იმ იჩმინა, აჩადლალ ლაკუტარდელთე, ემზუნლო ჩოთორგან ემზუ **ჴარგს** მეჯმაგორდ, ქა ლახნდა ამეჩუ დემდ ზაჲ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979:75) / „რა უნდა ექნა, საწყალი გზას გაუდგა, შემდეგ ერთ **თავადს** მოჯამაგირედ დაუდგა {და} აქ ათი წელი დაჰყო („რას *იქ-

¹ Khachapuri- is a traditional Georgian dish of cheese-filled bread. El. Resource: 06:03: 2024 <https://en.wikipedia.org/wiki/Khachapuri>.

მოდა, წავიდა საწყალი *საგდებელისკენ, ერთის შემდეგ და-უ-დგ-ა ერთ თავადს **მოჯამაგირე**-დ, დაყო აქ **ათ**-ი წელი”) / “What ought {he} do? The poor man continued on his way. Then he stood as **tavadi**’s servant and spent ten years there.”

ბაპდ ხექტუე: – ის ერნაკიჭულ ემზეზ, ეჯი მადას?– ეჰა! ეჯი **ჩოხა ი ნაბად**. **ჩოხა** ათხე მულტასრრი მეჩდე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979:74) / „მღვდელმა უთხრა: – შენ რომქსოვილის პატარა ნაჭერი გამომიგზავნე, ის რა იყო?– აჰა! ის **ჩოხა** და **ნაბადი**. **ჩოხა** ახლა ზღვაში იქნება გასული („**ჩოხა** ახლა **ზღვა**-სიქნება წასული“) / “The priest asked, “What was the small piece of cloth you sent me?” Aha! It was a **chokha** and **nabadi**. The **chokha** will be gone to the sea now.”

ზღაპრებში დადებით გმირებთან ერთად მთავარ პერსონაჟებად გვევლინებიან *ბოროტი ძალები, ნეგატიური არსებები* (ჯადოქრები, კუდიანი დედაბრები, ქაჯები, გველუშაპები, დევები და ა.შ.), რომელთა აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდებებიც ტრანსლიტერაციით გადაგვაქვს ინგლისურ ვარიანტში, რომლის დაწვრილებითი განმარტებაც წიგნის სქოლიოში იქნება მითითებული. მაგ.:

ეჩქას ანკანდხ ამხაუთესგა სემი **ქაჯარ** (ზხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939: 411) / „იმ დროს აქ სამი **ქაჯი** შემოვიდა“ („მაშინ მოვიდნენ ამაში **სამ**-ი **ქაჯ**-ებ-ი“) / “At that time three **kajis** came there.”

ათხე ჯესერ ღერი ალ **გუელგრშაბთე** ი ბარგარ ჟესეროდ ოთშხუთინ ამეჩუ (ბქ., სვან პროზ. ტექსტ., 1957:88) / „ახლა მე წავალო იმ **გველვეშაბთან** და ნივთები აქ შემინახეო („ახლა თვითონო წავა ამ **გველვეშაბ**-[ის]-კენ და **ბარგ**-ებ-ი შეუნახაომცა აქ“) / "Now, I will go to that **gvelveshapi** and you keep my things here."

ეჩუნლო **დნუემ** ხექტუე: ჯეალოქ ლახრდი ემზუ ფურს ი ეჯი ლოქუ ხეყდა სემი ზად, სემითოდ, სემი ნაგზი, სემი ლადელ (ლშხ. სვან პროზ. ტექსტ., 1979:73) / „შემდეგ **დეემა** უთხრა: მე მოგცემო ერთ ძროხას და ის გყავდესო სამი წელი, სამი თვე, სამი კვირა, სამი დღე“ („მერე **დეე**-მა უთხრა: „თვითონო მისცემს ერთ **ფურ**-ს და ისომცა ჰყავდა **სამ**-ი წელი, **სამ**-ითვე, **სამ**-ი კვირა, **სამ**-ი დღე“) / “Then the **devi** said {to him}, “I will give you a cow and have it for three years, three months, three weeks, and three days.”

ამა თუ იმ ენაში არსებული ზომა-წონის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების უმეტესობა ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოშო-

ბილი და კონკრეტული ეთნოსის სოციალურ-ეკონომიკურ ყოფას ასახავს. შესაბამისად, თარგმნისას იგივე პრინციპით ვხელმძღვანელობთ. მაგ.

ჩუესგურდახ, ტაბაგოსგეხ: „ემზუ **დორამ** ლეთრეს ჩულოქ-ლაითერეჯემ, სასახლესლოქოხგემ (ჩოლ., მთქმ. დ. გვიდიანი) / „დასხდნენ, სუფრა გაუშალეს: „ერთ **დორა** სასმელს თუ დალევეო, სასახლესაგიშენებო („დაჯდნენ, **ტაბლა** და-უ-**დგ**-ეს: „ერთ **დორა** სასმელს დალევეო შენ, სასახლესო და-უ-**დგ**-ამ-ს“)“ / “They sat down and laid the table for her, “If you drink a **dora**, I will build a palace for you.”

ხეჭუ ჩაჟდ: „აკაჟან ლოქ სგობინქაჟ ლოქ ასადე კინჩხქა, ღომკინ ჯაუ ლახსკურდა ი ხოჩიდლოქ ხამამომ ძერუ შუტელტ ლეჩფელ, კან ჟ'რუ ახანკურნე ი ჯიმ ჟ'რუ ასაშიდ ეჩეჟი ემზუ **ჩარაქამ** ი ხომა ჩქარდ ლოქ ადგენე“ (ჩოლ., მთქმ. ი დ. გვიდიანი) / ცხენმა უთხრა: „აკვანი წინ დამიდეო, კისერზე, უკან შენ შემაჯეჟიო და რაც ძალი და ღონე გაქვს ორი შოლტი საქალამნე დამარტყიო, ისე დამარტყიო, რომკანი ამეტყავოსო და ერთი **ჩარეჟა** მარილი დამაყარეო ი-მაზედა უფრო ჩქარა წავალო („ცხენმა უთხრა: „**აკვან**-ი-ო წინამცაო და-უ-**დ**-ო **კინჩხ**-ზე, უკან თვითონმცაო შეაჯდა და დაარტყიო რაც უფრო **ორ**-ი **შოლტ**-ი საქალამნე, **კან**-ი ამოაგდებინამცა და მარილი დააყარამცა იმაზე ერთი **ჩარეჟა** და უფრო **ჩქარ**-ად-ო წავა“)“ / “The horse said, “Put the cradle in the front, on my neck, you sit behind, and with all your strength and effort, hit me two whips of leather, hit me hard enough to flay the skin, spread a **chareki** of salt on it, and I will go faster”.

ჟი ლოქ ოსგომა კინჩხჟი, ჟი ლოქ ახწედა გაკ, ჟი ლოქ ლახგენენა ყუანტგაკჟი, ოხფრშუდა ლოქ ჟორა კუინძ, ჟი ლოქ ლახსედა გაკა კეცხჟი, ჟი ლოქ ასსიპენა ემზუ **ქეჟა** მინდორდ, ჟი ლოქ ემჩედ ეჩა ლაჟანთე, ჩუ ლოქ ოთჟანა, ჩუ ლოქ ოთლანა კუეცენ, ჩუ ლოქ აღმედელი, ჟი ლოქ ემჩედ ლათრდთე, ქა ლოქ ოხსკინა რეჟუს, ოხფრმდუა ლოქ ნაშდექ, მუჟუხენ ლოქ სგ'ათჟალენა რეჟუს. ოთბინა ლოქ ლიჭმარალ ი ჟი ლოქ ოხთია ემზუ **ქეჟა** მინდორ ი ჩუდალ-დაგრელი(სვან. ქრესტ., 1978:273) / „დავასხიო კისერზე, ამოუვიდაო კაკლის ხე, ამ კაკლის ხეზე შეჯდაო ყვავი, ვესროლეო მიწის ბელტი, რომელიც ხის ტოტს შერჩაო და ერთ **ქეჟა** მინდვრად გადაიქცაო. მე ავედიო იმის მოსახნავად, მოვხანიო, დავთესე ხორბალიო, დამწიფდაო, ავედიო მოსამკალად, გადმოხტაო კურდღელი, ვესროლეო ნა-

მგალი და ყუის მხრიდან ჩაერჭოო კურდღელს. დაიწყო სირბილი და მომკაო ერთი ქვევა მინდორი და მოკვდა კიდევაცო („დაუსხამსო კინჩხ-ზე, ამოსვლიაო კაკალ-ი, *და-ნა-დგ-ამ-ა-ო ყვავ-იკაკალ-ზე, უსროლიაო მიწისქ ბელტი, შერჩენიაო კაკალ-ისქ წვერზე, გადაქვევიაო ერთ ქვევამინდვრ-ად, ასულაო იმის სა-ხვნ-ელ-ისქ-კენ, და-უ-ხნ-ავ-ს-ო, დაუთესიაო ხორბალი, დამწიფებულაო, ასულაო მოსამკალისქკენ, გადმო-უ-სკუბ-ი-ა კურდღელს, უსროლიაო ნამგალი, ყუიდანო *ჩანარჭობა კურდღელს. დაუწყიაო სირბილი და მოუმკიაო ერთი ქვევამინდორ-ი და ქვე მომკვდარა“) / “I poured {it} on his neck, and a walnut tree grew up. A crow sat on the walnut tree. I threw the clod at the crow; it remained on the branch of the tree, and it turned into a **ktseva** of the field. I went to plough it. I ploughed {and} sowed the wheat. It had ripened. I went to reap. A rabbit jumped out, and I threw a sickle at him. The sickle was stuck in him with the blunt side. The rabbit started running, reaped a **ktseva** of the field, and died.”

თარგმნისას, გარდა ცალკეული ლექსიკური ერთეულების თარგმნის პრინციპების შემუშავებისა, გასათავალისწინებელია, ასევე წყარო და სამიზნე ენების სტრუქტურა-აგებულება, ენობრივი მახასიათებლები, ვინაიდან სამიზნე ენაში შესაძლოა გვექონდეს ნულოვანი შესატყვისი, რომელიმე გრამატიკული კატეგორიისა. ზღაპრებში დიალოგს განსაკუთრებულიადგილი უკავია სიუჟეტის განვითარების, პერსონაჟთა ურთიერთობისათვის. სვანურ ზღაპრებში ხშირია ამ დიალოგებში სხვათა სიტყვის ნაწილაკის **ლოქ/როქ** „ო“-ს დართვა, რომელიც წარმოადგენს არა მთქმელის, არამედ პერსონაჟის კუთვნილებას. სხვათა სიტყვის ნაწილაკი „ო“ ინგლისური ენისათვის არ არის დამახასიათებელი. სვანური ზღაპრების ინგლისურ თარგმანში პერსონაჟთა დიალოგურ მეტყველებას უმეტესწილად წარმოვადგენთ პირდაპირ თქმაში. მაგ.:

მაღლოქ ხათემ, იმნარ ლოქ ლი ამჟი ლგწუხუბაჟე? (სვან პროზ. ტექსტ., 1979:74) / „რა გჭირსო, რატომ ხარ ასეთი შეწუხებულო („რაო სჭირს, რისთვისო არის ასე შე-წუხ-ებ-ულ-ი?“) / “What is wrong with you? Why are you so sad?”

ბაჰდ დამშუიდა ი ხეჟჟე: ჯეღსგ’უჰ ლოქ აჩადქორთე ი პასუხს ჯეღ ლოქ ლახტიხე (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979:73-74) „მღვდელმა დაამშვიდა და უთხრა: შენ შედიო სახლში და პასუხს მე გაცემო („თვითონ შევიდამცაო სახლისქკენ და პასუხ-ს თვითონო დაუბრუ-

ნებს“) / “The priest calmed him down and said, “You go in, and I will answer him.”...

ზღაპრებში გვხვდება მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები – მზა ფორმულები, რომლებიც სხვა გამომსახველობით საშუალებებთან ერთად ზღაპარს განსხვავებულ სტილს სძენენ. სწორედ ეს მყარი გამონათქვამები ქმნიან ამა თუ იმ ენის ზღაპრის თარგმნისას სირთულეს ზღაპრის დასაწყისისა და დამთავრების აღმნიშვნელ ფორმულებთან ერთად, ამიტომ თარგმნის დროს აუცილებელია ამ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებაც, რაზეც ვრცლად მოხსენებაში იქნება საუბარი.

გამოყენებული ლიტერატურა

სეა, უიგა 1922 – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ანაწ. 1., N 403.

სვან.ქრესტ. 1978 – სვანური ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ ა. შანიძის და მ. ქალდანის რედაქციით, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, ბალსზემოური კილო, ტ. I. ტექსტები შეკრიბეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, ბალსქვემოური კილო, II. ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, ლაშხური კილო, ტომი IV. ტექსტები შეკრიბეს ა. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა. თბილისი.

მთქმელი – **დარეჯან გვიდიანი** (ზღაპარი „ადლახანი“, ჩაიწერეს ნატო შავრეშიანმა და მედეა საღლიანმა, ჩოლურის ხეობა, სოფელი საყდარი).

ნ ი ა შ ა ტ ა კ ი შ ვ ი ლ ი

დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან

მოვახსენებთ, რომ მასალები, რომლებსაც ჩვენ აღნიშნულ კონფერენციაზე წარმოვადგენთ ჩაწერილი გვაქვს გორში და მის გარშემო მდებარე სოფლებში, დევნილთა დასახლებაში. ეს დასახლებებია წმინდა წყლის, ბერბუკის, გორის, ხურვალეთის, აგარის, ქარელისა და ასევე კერძო ჩასახლებები, სადაც ცხოვრობენ 2008 წელს რუსეთის აგრესიის შედეგად გამოდევნილი ქართველობა. ესენი არიან დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობის, ცხინვალის მცხოვრებნი, რომლებიც დღეს ასე გაჭირვებულად ცხოვრობენ და ოცნებობენ, რომ დაბრუნდნენ მშობლიურ ადგილებში.

მასალების მიხედვით, ჩვენი ჩანაწერები მრავალფეროვანია, ისინი ეხება ეთნიკურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ საკითხებს, ასევე მეტყველებას, დიალექტოლოგიას, ტოპონიმიკას, მათ შორის პოლიტიკის საკითხებსაც.

უნდა ითქვას, რომ საკითხების, მასალების მოპოვება არაა მარტივი საქმე, რადგან დევნილები ძირითადად ორიენტირებულნი არიან იმ საკითხებზე, რომლებიც მათ და სხვა ნათესავებს ეხებათ, ბევრი მათგანი განუწყვეტელი დაბომბვების გამო ცარიელ-ტარიელი გამოვიდა მშობლიური სახლიდან, დაკარგეს ყველაფერი, მათ შორის ძვირფასი ადამიანები და შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხალისით არ პასუხობენ დასმულ შეკითხვებს. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ ადამიანებს შევუმსუბუქოთ ყოფა და მათი ცხოვრების თანაზიარი გავხდეთ. ამ მიმართებით ჩაწერილი მასალები ვფიქრობთ აქტუალურია და მას ჩვენი თვალთახედვით წარმოვადგენთ.

მადლობას მოვახსენებთ აჩაბეთიდან, ქურთიდან, თამარაშენიდან, ცხინვალიდან, მარწემიდან, ხეთიიდან, ერედვიდან, ვანათიდან, ბელოთიდან, აწრისხევიდან და სხვა სოფლებიდან გამოდევნილ ადამიანებს, რომლებიც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ თანამშრომლობაზე.

წარმოვადგენთ როგორც ხალხურ ისე მეცნიერულ ეტიმოლოგიას, რომელიც რესპონდენტების მიერ არის მოთხრობილი და შედარებულია ასევე სპეციალურ ლიტერატურასთან.

სოფელი კეხვი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში მარჯვენა მხარეს, მცხოვრებნი არიან: კახნიაშვილი, ზანგალაძე, ბლიაძე, მელანაშვილი, თედელური, ბასიშვილი, მაღალდაძე, ილურიძე... სოფელს ჩრდილოეთიდან ჩამოუდის და ლიახვის მარჯვენა შენაკადია ხევი, რომელსაც ასმათა ეწოდება. ამ ხევის სათავეა მთა, რომელსაც ნაქერალა ეწოდება, აქედან გზა იმერეთში გადადის, ადრე თურმეამ გზით სარგებლობდნენ და იქ მთაზე პატარა დასახლებაც ყოფილა. ამ ხევს სოფლის სიახლოვეს შეერთვის ასევე პატარა ხევი, რომელსაც დედოფალა ეწოდება. ასეთი გადმოცემა ჩავიწერეთ: თამარ მეფე თავისი მხლებლებით ხევში მოსულა, წყალი მოუთხოვია, როცა უგემნია ასე უბრძანებია – ას მათ შორის უკეთესია და ამის შემდგომ ხევს ასმათა დარქმევია.

დედოფალას სახელიც თამარის სახელს უკავშირდება. მას ასე უბრძანებია ნაკადულთა დედოფალიაო.

დევნილებს და შთამომავლებს დღესაც კარგად ახსოვთ ამ მდინარეების სახელები, მათ შორის ისიც, რომ ის პატარა ხევები რბილი, ლურჯი ფერის წყლით არის გამორჩეული და ოცნებობენ მასთან შეხვედრაზე.

ლუდათი – ლუდათები არის ვრცელი მამულები, რომლებიც ქურთის, კეხვის, აჩაბეთის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს და იყო სახნავ-სათესი ადგილები. აქ თურმე ადრე ხვნის დროს სხვადასხვა ნივთებს პოულობდნენ და მიაჩნიათ, რომ სანამ აღნიშნული სოფლების მცხოვრებნი დაბლა ზონაში საცხოვრებლად ჩამოვიდოდნენ, ზემოთ ამ ადგილებში ცხოვრობდნენ, ხოლო ხვნა-თესვას დაბლა აწარმოებდნენ. შემდგომ კი უკვე ძველ ნასახლარებში დაიწყეს მამულების დამუშავება. აქვე ახლოს იყო აბოწმინდის დასახლება, ნიში, რომლის სახელიც დღესაც ქრისტიანობისათვის წამებულ წმინდა აბოს უკავშირდება. ასეთი ან ოდნავ განსხვავებული ფორმის სახელები გვხვდება მთელ რიგ ისტორიულ წერილებში, მაგალითად არის სოფელი რაჭაში ღუნდა, რაც შეიძლება ითქვას, რომ ერთი ფუძისგან ნაწარმოები დიალექტური ერთეულებია. როგორც დავაფიქსირეთ, ზემოთხსენებული ლიახვის ხეობის გეოგრაფიულ ერთეულებს ასევე ეწოდებათ: ღადა-ღუდა.

სულხან-საბას განმარტებით – ღადა-ლუდა არის კაპან-ავისავალო¹. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია „არის ოღრო-ჩოღრო, ღორღიანი, ძნელად სავალი ადგილი“.²

ხეობაში როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვზე გვხვდება მინერალური წყაროების სახელები, როგორც ვემა, ისე ვერძას სახელით, ეს წყაროებია სოფელ სვერის სამხრეთით, რომელსაც იყენებდნენ განსაკუთრებით მაშინ, როცა მარილი ძნელი საშოვნელი იყო, ასევე მოწყობილი იყო გეჯა საქონლის დასარწყულებლად და როგორც იქაურები აღნიშნავდნენ, ნადირ-ფრინველებიც ეტანებოდნენ.

პატარა ლიახვის ხეობაში მქავე წყლები იყო სოფელ ელტურასთან და ლიახვის მეორე მხარეს ხადურიაანთ კარში, რომელსაც სოფლელები და ყველა იქ მიმავალი მგზავრი სიამოვნებით მიირთმევდა.

სოფელი აწრისხევი მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობაში მარჯვენა მხარეს, სადაც მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები ჩავიწერეთ ტერაშვილებისაგან, ასკილაშვილებისგან. თურმე სოფელს ეს სახელი აწრისხევი დაერქვა ძველად იქ მცხოვრები აწრელიძესაგან, რომელიც წარჩინებული გვარისა ყოფილა და ამ გვარის ადამიანებს სოფელში ჩამოუსახლებიათ ქსნის ხეობიდან პავლიაშვილები, რომლებიც მერე ასკილაშვილები გამხდარან-შერქმეული სახელით – რა ასკილივით გაწითლებულხარო. როგორც ასკილაშვილებთან გადავამოწმეთ ეს გადმოცემა თაობიდან თაობას გადაეცა და ამ გვარმა სამი საცხოვრებელი ადგილი გამოიცივალა, სანამ აწრისხევში დამკვიდრდებოდა.

ასევე საინტერესოა ძველად აქ მცხოვრები ფისამის გვარის ისტორია, რომელიც დღეს საერთოდ იშვიათ გვარებს მიეკუთვნება და მათი ლოკალიზაცია დასადგენია. როგორც გადმოგვცემენ, აწრისხევის დიდი ციხე ასევე მოხსენიებულია როგორც ნარიყალა, სადაც გამაგრებული იყო ქსნის ძლიერი ერისთავი შანშე, რომელიც ირანელებს ებრძოდა და მთელი ხეობა მას გამაგრებული ჰქონია.

როგორც პატარა ლიახვის ხეობის სოფელ ელტურას მცხოვრები ჯირკვალიძე გადმოგვცემს, სოფლის აღმოსავლეთ მხარეს ჩამო-

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV, 1965.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. 1962, ტ. VII, გვ. 389.

დის პატარა ხევი, რომელსაც ტრაზანა ხევი ჰქვია. აღნიშნული მცენარის ნაყენი სამკურნალოდ გამოიყენება, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია მისი ნამდვილი სახელია კრაზანა,¹ რომელიც სხვა სოფლებში დადასტურებულია ამ სახელით. კრაზანა კი მიგვაჩნია, რომ ის უფრო მთის დიალექტებიდან უნდა იყოს შეთვისებული აღნიშნულ დასახლებაში.

კუნლი მიწები, ეს სახელი ამავე ხეობის სოფელ ვანათის მცხოვრებმა გოჩიაშვილმა ჩაგვაწერინა. სოფლის ჩრდილოეთით არის ადგილი, რომელსაც ეწოდება ითრაფი, აქვე არის ითრაფის წმინდა გიორგის სალოცავიც. ამ სალოცავის გვერდით არის ნასახლარები, რომლებიც ძველი ვანათის ადგილებია და ეხლაც ამ სოფლის კუთვნილებაა. ლიტერატურაში ამ მცენარის სახელი სხვადასხვა დიალექტური ფორმით გვხვდება, ესენია:² ლეჩხუმურში – კუნელა, გურულში – კურკანტი, აჭარულში – ლიცვი, მეგრულში – ქუნცი, სვანურში – ცანცი და სხვა. აქვე ვიტყვით, რომ ხეობაში სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულნი არიან – გურულები, ლეჩხუმელები, რაჭველები, ასევე სხვადასხვა ტომები, რომელთა შესახებ ცნობები მოსაძიებელია.

როგორც ხეობის, ისე მოხისისა და აგარის დასახლებებში მცხოვრებლებმა ჩაგვაწერინეს (ქარელის რაიონი) მათი მთელი რიგი ელემენტები დღესაც არ არის აღრიცხულიდა საჭიროა ამ ხარვეზების გამოსწორება. ეს ეხება არამარტო სოფლების სახელებს, არამედ გვარებსაც, რომელთა წარმოშობა და სხვადასხვაობა დღესაც დასადგენია. მაგალითად რატომ არის ერთი და იგივე გვარი ხშირად ორად წარმოდგენილი, მაგალითად, რომელია სწორი ჩადუნელი თუ ხარაზიშვილი? დურგლიშვილი თუ წიკლაური? ჭილაძე თუ ჩიხლაძე? მაისურაძე თუ მასურაშვილი? კასრაძე თუ ნასრაძე? სიმონიშვილი თუ ჟამერაშვილი?

ამაზე გვაქვს მთელი ცნობები, რომელთა შესახებ მომავალში ვაპირებთ მასალების წარმოდგენას. ამჟამად კი სიტყვა (ტერმინი) აბანოზე გთავაზობთ აზრის გამოთქმას, რომელიც ხსენიებული სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი,

¹ ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ.41.

² ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1961, გვ.41.

მაგალითად: აბანო, აბანოეთი, დათვის აბანო, ნააბნოევი, მათ შორის ვირის აბანო და სხვა.

ეს სახელი ეწოდება არა მარტო სოფელს, არამედ მთელ რიგ გეოგრაფიულ ობიექტებს ზემო ქართლში. სულხან-საბას განმარტებით „აბანო არის დასაბანელი სახლი“.¹ სხვადასხვა ტემპერატურისა და შედგენილობის მინერალური წყლების აბანოებს საქართველოში ძველი დროიდან იყენებდნენ სამკურნალოდ, სასუნთქი გზების მოსაწესრიგებლად. სოფელი აბანო მდებარეობს ფრონეს ხეობაში – მდინარე ლოპანის წყლის ნაპირზე. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „აბანოს დის თბილი წყალი, ჰკურნავს ქართით დახეთქილსა – ბუგრსა მუწუკსა“, რომელიც ინფორმაციის გადმოცემით ზუსტად ასახავს ადგილობრივ პირობებს.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია მეგრულ დიალექტებში აღნიშნულია „აბანოში ტყეა“ ჰქვია ნაკიანში (ჩხოროწყუს რაიონი), ასევე „აბანოში წყალი“ – ველიკარში, მარტვილის რაიონში. აბანოს დღე – წრომში- ხაშურის რაიონში, ასევე სხვა ადგილებში.

ტერმინ „აბანომ“ ვერ ჰპოვა სრული ასახვა გეოგრაფიულ სახელწოდებებში, რომლის ობიექტიც გამოირჩევა აბანოებით. ასეთი სახელწოდებები სხვადასხვა ტერმინებით აისახა, მაგალითად, „მენჯი“, რომელიც მეგრულად მინერალურ წყალს ნიშნავს, რაც ვემას უნდა შეესიტყვებოდეს, მაგალითად ვემა-ვეჯა.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაშვილი 1961 – ალ. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი.

ორბელიანი 1965 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. ტ. VII

¹ სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, 1991, გვ. 37.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული მენჯარიშე // მენჯარიშ-ი სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **მენჯარიშე** „შურიანი“. **მენჯარიშე კოს შხვაში ონჯარუ, ოხარბუ** „შურიან კაცს სხვისი შურს, ეხარბება“. **მენჯარიშე კოჩიში თოი დღას ვერძღუნია**: მ. ხუბ. გვ.176 „შურიანი კაცის თვალი არასოდეს გაძღებო“ (ქაჯაია 2002). **მენჯარიშე** იხ. **მენჯარიშ-ი** „მომშურნე, შურიანი“ (ქობალია 2010).

საანალიზო ერთეული **მენჯარიშე** (*მე-ნჯარ-იშ-ე) || **მენჯარიშ-ი** (*მე-ნჯარ-იშ-ი), ჩანს, წარმოქმნილი სიტყვაა. მისთვის ამოსავალია ზმნური ძირი **ნჯარ-**, რომლის საწყისი არის **ნჯარება** და ნიშნავს: 1. **გაბრაზება, ჯავრება. ქუდუჭყუ ნჯარება დემს** „დაუწყო ჯავრება დევს“. **ირო ვონჯარუათ ნტერი**: ქხს, 1, გვ. 334 „მუდამ ვაჯავროთ მტერი“. **თუთა თუთას ანჯარენცე** „მთვარე მთვარეს აჯავრებს (ახარბებს)“. 2. **წუხილი, შურება, შეხარბება. ვემეხვადგნი, ის ონჯარ**: მასალ., გვ. 95 „რომ ვერ მიხვდება, ის წუხს“. **თინა ჭიჭეს ქუმონჯარ**: ქხს, 1 გვ. 74 „ის ცოტა მშურს“. **ბოში, მუს გონჯარ ჩქიმი ხეში ნადვაწეფი?**: ი. ყიფშ., გვ. 134 „ბიჭო, რას გშურს ჩემი ხელის ნამოდვაწარი?“ **შხვა მითინშენი ვადგენჯარასგ**: კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 22 „სხვისგანაც ნუ შეგშურდება!“ (ქაჯაია 2002). ამავე მნიშვნელობით განიხილავს ოთარ ქაჯაია **ნჯარაფ-ი** (ნჯარ-აფ-ი), **ნჯარაფა** (ნჯარ-აფ-ა) ფორმებს მითითებულ ლექსიკონში. ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა **ნჯარ-** ძირი.

საანალიზო ერთეულში გამოყოფილი ძირი გვხვდება სახელურ ფორმაშიც: **ნჯარ-**ი და ნიშნავს: 1. **ჯავრი, შური. მაწუხენს თიში ნჯარი**: კ. სამუშ. ქხპს, გვ. 156 „მაწუხებს იმისი ჯავრი“. **მა იში ნჯარი თ ვადმარულე** „მე იმისი ჯავრით ვერ დავიძინებ. ასე ნჯარც გ ე ლ ე ღ ა ნ ა „ახლა ჯავრს ამოიყრიან (ამოიღებენ)“. 2. **ჯარი, ლაშქარი; ხალხი. მუმაზა ქუუთხუ ნჯარი**: ქხს, 2, გვ. 26 – მამისთვის უთხოვია ჯარი. გოსოფუ ართი ცურენი თია ნჯარიში: ი. ყიფშ., გვ. 62

„გაგლიჯა ერთ მხარეს ჯარის ნაწილი“ (ქაჯაია 2002). **ნჯარ-ი** – ჯარი, ჯავრი, შური (ქობალაია 2010).

ნჯარ-ი ფორმაზე მითითებით განმარტავს ოთარ ქაჯაია **ჯარ-ი** სიტყვას (ჯარ-ი იხ. ნჯარ-ი), რაც ნიშნავს: 1. **ჯავრი, დარდი. ჯარ ვამოჭე თქვანი შური:** ქსს, 1, გვ. 21 „ჯავრი არ მჭირს სულაც თქვენი!“ **მიდმაყუნუუ სქანი ჯარი:** ქსს, 1, გვ. 144 „წამყვება შენი დარდი (ჯავრი)“. **ასე გვალო დოღურუ ე ბოშიქ ჯარისგ:** ი. ყიფშ., გვ. 39 „ახლა მთლად მოკვდა ეს ბიჭი ჯავრით. **მოსამსახურეფს ჯარქ ქენუოლეს თე ბოშიმ:** მ. ხუბ., გვ. 244 „მოსამსახურეფს ჯავრი ჩაუვარდათ ამ ბიჭისა“. 2. **ჟინი, ჟინი, ჟიბრი. სქანი დო ჩიიმი ცოროფას იკარღვანა ჯარიშენი:** ქსს, 1, გვ. 146 „შენსა და ჩემს სიყვარულს დაშლიან ჟინის (ჯიბრის) გამო“. **ართიანიში ჯარიშენი ჩილ დო სკუა მიორღეფს:** შ. ბერ., გვ. 82 „ერთმანეთის ჯიბრის გამო ცოლი და შვილი დაკარგეს.“ 3. **შეკრებილობა. ჯარი.** ჯარი (მვ.) „სოფელში გარკვეულ ადგილას იცოდნენ თავის შეყრა სადამოხანს, ეწყობოდა გართობა, – სიმიღრა, ცეკვა-თამაში“ (ქსს, 1, გვ. 115 – სქოლიო). მა **ჯარიშა გიშეველენქინ, ბრელი პუნს მაჯინეფი:** ქსს, 1, გვ. 115 „მე რომ შეკრებილობაში გამოვალ, ბევრი მყავს მაცქერალი. 4. **ჯარი** (ქაჯაია 2002).

ნჯარ- ძირიდან იწარმოება ფორმები: **მანჯარებელ-**ი (მა-ნჯარ-ებ-ელ-ი) მიმღ. მოქმ. „გამჯავრებელი“, „შემწუხებელი“, „გამბრაზე-ბელი“; **ონჯარებელ-**ი (ონ-ნჯარ-ებ-ელ-ი) მიმღ. ვნ. მყ. „გასაჯავრებელი“, „საწუხარი“, „გასაბრაზებელი“; **განჯარებული** (გა-ნჯარ-ებ-ულ-ი) მიმღ. ვნ. წარს. „გაჯავრებული“, „გაბრაზებული“; **ნანჯარები/უ** (ნა-ნჯარ-ებ-ი/უ) მიმღ. ვნებ. წარს. „განაჯავრები“, „განაბრაზები“ (ქაჯაია 2002); **ნჯარებულ-**ი (ნჯარ-ებ-ულ-ი) – გამოჯავრებული (ქობალაია 2010).

ნჯარ-ი || **ჯარ-ი** გვხვდება შესიტყვებებში: **ნ ჯ ა რ ი ვ ა ა ჯ / ვ ა ჯ ი რ გ** – ჯავრი არ სჭირს, არაფრად მიაჩნია, არ ენაღვლება. **ის ვაჭირგ შხვაში ნ ჯ ა რ ი:** კ. სამუშ. ქართ. ზეპ., გვ. 97 „მას არ სჭირს სხვისი ჯავრი“. **ნ ჯ ა რ ი თ დურა || დურელი** „ჯავრით სიკვდილი || მკვდარი“; გადატ. დაფიქრება, განსაკუთრებული მზრუნველობა: **თიში ნ ჯ ა რ ი თ ვორექ დურელი** „იმისი ჯავრით ვარ მკვდარი“ (ქაჯაია 2002); **ჯარიშ დურელი** – ჯავრით, შურით მკვდარი (ქობალაია 2010); **ჯარი დო გონება** – ჯავრი და ფიქრი (გონება).

მიშელ **ჯარი დო გონებაშა**: ი. ყიფშ. გვ. 23 „შევიდა ჯავრსა და ფიქრში.“ **სქანჯარი დო გონებაქირფელ გემოჰყოიდუ**: მასალ. გვ. 29 „მენზე ჯავრმა და ფიქრმა ყველაფერი დამავიწყა (ქაჯაია 2002); **ნჯარიშ ეშაღალა** – ჯავრის ამოყრა, შურისძიება; **ნჯარიშ ეშმაღალარი** – ჯავრის ამომყრელი, შურისმამდიებელი (ქობალია 2010).

ვფიქრობთ, **ჯარბადო** (ჯარ-ბადო) „ძუნწი“, „ზარმაცი“ (ი. ყიფშ.), შურიანი, ჯავრიანი (პ. ჭარ.), **ჯარბადი** (ჯარ-აბადი) „ძუნწი, ხარბი“ (ქაჯაია 2002), **ჯარუბადო** (ჯარ-უბადო) – ავისმზრახველი, შურიანი (ქობალია 2010) სიტყვებში შეიძლება გამოიყოს **ჯარ-**, რაც საანალიზო ფორმის **ნჯარ-** || **ჯარ-** ძირის შინაარსის შემცველი უნდა იყოს. აქვე შეიძლება განვიხილოთ **ჯარბ-**ი „ჯავრი“, რომელიც იგივეა, რაც **ჯაბი**– ჯავრი, დარდი. **ქინჭე, ცირა, ჯარბის ვაკო გორუა** „ისწრაფე, ცირავ, ჯავრს არ უნდა ძებნა“; **დიდი ჯაბი, დიდი სევდაქ მიაჩგ**: მ. ხუბ., გვ. 34 „დიდი ჯავრი, დიდი სევდა მიეცა.“ შდრ. ა) **ჯაბრ-**ი 1. „ჯავრი“, 2. ჯიბრი, ქიშპი, ჯობნის სურვილი. ბეჟანიშ **ჯაბრიშენი** ტყურა ქოთქოუ: ი. ყიფშ., გვ. 105 „ბეჟანის ჯიბრით ტყუილი თქვა.“ ბ) **ჯარი** (ქაჯაია 2002). შდრ. კახ. **ჯაბრ-**ი იგივეა, რაც **ჯიბრი** – სურვილი რამეში ჯობნისა. რაკი **ჯაბრზედ** შედგა, ეხლა [ლუარსახს] დათმოზა სათაკილო ეგონა (ილია)(ქეგლ).

ნჯარ- || **ჯარ-** ძირის ფონეტიკური ვარიანტი უნდა იყოს **ჯანგოჭე**! (ჯან-გოჭე – ჯავრი ნუ გაქვს! ნუ გენადვლება!) ფორმაში დადასტურებული **ჯან-**: **ჯანგოჭე, მა სქან დუს შხვას ვადვანებენქია**: მ. ხუბ., გვ. 6 „ნუ გემინია (ჯავრი ნუ გაქვს/ნუ გჭირს), მე შენს თავს სხვას არ დავანებებო“ (ქაჯაია 2002).

ნჯარ- || **ჯარ-** ფუძეებს გამოუვლინდა მნიშვნელობები: **გაბრაზება, ჯავრება, წუხილი, შურება, შეხარბება, ჯავრი, შური, დარდი, ყინი, ჯინი, ჯიბრი**. ჩამოთვლილთაგან საანალიზო სიტყვისთვის საყურადღებოა **გაბრაზება, ჯავრება, წუხილი, შურება, შეხარბება, ჯავრი, შური, დარდი, ყინი, ჯიბრი**. თუმცა საკვლევი ფუძის ომონიმური ვარიანტი ნიშნავს: **ჯარი, ლაშქარი; ხალხი, შეკრებილობა**. შინაარსის გათვალისწინებით, **მენჯარიშე** || **მენჯარიშ-**ი სიტყვის არსებულ განმარტებას („მოშურნე, შურიანი“) შეიძლება დაემატოს: „ჟი-ნიანი“ „ჯიბრიანი“, „მოწუხარი“, „მონადვლე“.

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, საანალიზო ერთეულში გამოყოფილი **ნჯარ-** || **ჯარ-** ძირი მეგრულში ქართულიდან არის

შემოსული (< ჯავრ-ი || ჯაბრ-ი). უკანასკნელი კი არაბული **jävr** || **jäbr** „წუხილი, დარდი, მრისხანება. გულმოსულობა. სიფიცხე, უსამართლობა, შევიწროება, შეურაცხყოფა“ ფორმიდან მომდინარეობს (ყიფიანი 1882, გვ. 195, ანდრონიკაშვილი 1996, გვ. 214, შანიძე 1950, გვ. 490, შაჰ-ნამე 1934, გვ. 635. ზოგი ავტორის მიხედვით, ქართ. ჯავრ-ი ← სპარს. **jäwr** ფორმიდან (აბულაძე 1916, 347).

ჩანს, თავკიდურ პოზიციამი მეგრულში, ერთი მხრივ, **ნ-** გაჩენილია (ნ-ჯარ-), მეორე მხრივ, ვ- დაკარგულია (ქართ. ჯავრ-ი > მეგრ. ჯარ-ი), ასევე, **რ-** გადასულია **ნ-**ში: **ჯან-** (**ჯან-** გოჭ). რაც შეეხება ქართ. **ჯაბრ-** ფორმას, ის ამგვარადაც გვაქვს მეგრულში (**ჯაბრ-** || **ჯარბ-**), მაგრამ ფონეტიკურადაც სახეცვლილია, კერძოდ, **რ-** დაკარგულია: **ჯაბ-**ი.

საკვლევ ფორმაში გვაქვს ორმაგი წარმოება, ერთი მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის **-ის** ნიშნით, რაც შინაარსობრივად აღნიშნავს კუთვნილებას (ნჯარ-იშ- *შურისა, *ჯავრისა), შდრ. **კოლოში** || **კოიოში**, ვაზის ჯიში – „მწარისა“, მარცვალი და მაჭარი მწარეა, ღვინდება კარგად (ელიავა 1997, 199), **ჭითაში** – ვაზის ჯიში, მალლარი, „წითლისა“ (იქვე, 376), **ჩეში** – ყურმნის ჯიშია, თეთრი მალლარი (იქვე, 347), **თხირიში** – მიკროტოპონიმი (კვარაცხელია 2003, 106-109) (მეგრულის ლინგვისტური ანალიზი 2010, გვ. 458) და, მეორე მხრივ, **მე-ე** თვისების აღმნიშვნელი კონფიქსით (რომელიც ქართულიდან არის შეთვისებული) წარმოება (მე-ნჯარ-იშ-ე *მოშურნისა, შურიანისა“). შდრ. **მეკვარჩხანე** „ცაცია“ (< კვარჩხანი „მარცხენა“) (ჭარაია 1997, 92), **მეტყურე** „მეტყუილე, მატყუარა“ (დან., ცან., 435¹⁰), **მეგოლე** „მთაში მოსიარულე, მთიელი“ (გუდ. 228²³⁻²⁴) (მეგრულის ლინგვისტური ანალიზი 2010, გვ. 437). **მენჯარიშ-**ი ფორმაში მე- თვისების მაწარმოებელი პრეფიქსია, ხოლო **-ი** ბრუნვის ნიშანი.

მამასადაძე, მეგრული **მენჯარიშე** (მე-ნჯარ-იშ-ე) || **მენჯარიშ-**ი „შურიანი, მოშურნე“ ნაწარმოები სიტყვაა. ფორმოზრივად გვაქვს ორმაგი წარმოება, ერთი მხრივ, ნათესაობითი ბრუნვის **-იშ** ნიშნით, რაც შინაარსობრივად აღნიშნავს კუთვნილებას, მეორე მხრივ, **მე-ე** თვისების აღმნიშვნელი კონფიქსით (მე-ნჯარ-იშ-ე *მოშურნისა, შურიანისა“). კუთვნილების შინაარსი სიტყვაში დაკარგულია, რეალურად ის თვისების აღმნიშვნელი სახელია. ამოსავალი არის **ნჯარ-** || **ჯარ-** ძირი, რომელიც არაბულ-სპარსული სიტყვაა და მეგრულში

ქართულის გზით არის შესული. ძირის სემანტიკიდან გამომდინარე, მოცემული სიტყვის არსებულ განმარტებას „მოშურნე“, „შურიანი“ შეიძლება დაემატოს მნიშვნელობები: „ჟინიანი“, „ჯიბრიანი“, „მოწუხარი“, „მონაღვლე“. აღნიშნული ძირების ფონეტიკური ვარიანტებია **ჯან-** და **ჯაბ-**.

გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1916 – ი. აბულაძე, შაჰ-ნამე, ტ. I, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1996 – მ. ანდრონიკაშვილი, II. ნარკვევები-ირანულ-ქართული ურთიერთობიდან, თბილისი.

კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 3, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფიანი 1882 – დ. ყიფიანი, ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურგი.

შანიძე 1950 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, თბილისი.

შაჰ-ნამე 1934 – „შაჰ-ნამე“, ტ. II, ლექსიკონი, თბილისი.

<https://www.ena.ge/> – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

ეთნოკულტურული თემატიკის რამდენიმე საკითხი თანამედროვე აზერბაიჯანული პროზის ქართულენოვანი ანთოლოგიიდან

ქართული წიგნის კულტურულ სივრცეს უახლეს პერიოდში მრავალი რჩეული გამოცემა შეემატა. ერთ-ერთი რჩეულთაგანია თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის (პროზა) ანთოლოგია ქართულ ენაზე (აზარბაიჯანის თარგმანის ცენტრი, ბაქო, 2017. აზერბაიჯანულიდან თარგმნა იმირ მამედლიმ; რედაქტორი მანანა ბოსტოლანაშვილი). იგი მე-20 საუკუნიდან დღემდე შექმნილი აზერბაიჯანული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების კრებულია და, შესაბამისად, აერთიანებს ძველი და ახალი თაობის აწარმოებული და ცოცხალი მწერლების შემოქმედებას – სულ წარმოდგენილია 35 მწერალი, თითოეული ბიოგრაფიული რეზიუმით და ერთი რჩეული თხზულებით. კრებულს წამმდვარებული აქვს გურამ ოდიშარიას უაღრესად საგულისხმო და საქმიანი წინასიტყვაობა „სინათლე ხარ თვალისაო“.

თანამედროვე აზერბაიჯანული პროზის ანთოლოგია არამარტო შესანიშნავი თარგმანითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით, თემატური მრავალფეროვნებითა და მხატვრული თავისებურებებითაა შთამბეჭდავი, არამედ ქართველი მკითხველისათვის მას სხვა კეთილი ინტერესიც ახლავს, სახელდობრ, ეთნოკულტურული პრობლემატიკითა და საერთო გეოგრაფიული არეალით შეპირობებული. კრებულის წინასიტყვაობის თანახმად: „ქართველი მკითხველი კარგად იცნობს აზერბაიჯანულ ლიტერატურას, მაგრამ წინათ ბევრად უკეთ იცნობდა. უკეთ იცნობდა მას – შესანიშნავი მთარგმნელების წყალობით, მე-13 საუკუნეში ხორასში მცხოვრები იმადედდინ ნასიმის პოეზიით დაწყებულსა და თანამედროვე აზერბაიჯანული პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებით დამთავრებულს.

აზერბაიჯანული ლიტერატურა მრავალფეროვანია. მეტად საინტერესოა, ასე ვთქვათ, მისი ქართული ლიტერატურის მონათესავე ფრთა – მარტო მირზა ფათალი ახუნდოვისა და ნარიმან ნარიმანო-

ვის სახელების გახსენება რად ღირს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სხვადასხვა სახის სირთულის გამო კარის მეზობლების – აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ახალი თაობების წარმომადგენლები, სამწუხაროდ, ისე კარგად არ იცნობენ ვერც ერთმანეთის ლიტერატურასა და ვერც ერთიმეორის ყოფას, საერთოდ.

ჩვენი ასეთი დაშორების მიზეზი მრავალია. ერთ-ერთი მათგანი ის კონფლიქტებია, რომლებიც დაახლოებით მეოთხედი საუკუნის წინ ცეცხლივით მოედო კავკასიის სხვადასხვა რეგიონს და ყველგან დაარღვია მშვიდობიანი ცხოვრების რიტმი. აზერბაიჯანული ლიტერატურა სხვა კავკასიური ლიტერატურების დარად ყოველთვის უპირისპირდებოდა ყოველგვარ გაუგებრობას, ომს, სიძულვილს და თავისი მდიდარი შესაძლებლობებით ებრძოდა“ (გვ. 6). ამ ფონზე წინამდებარე ანთოლოგიას, როგორც თანამედროვე აზერბაიჯანის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებების კრებულსა და ერთგვარ ქრონიკას, საგანგებო როლი აკისრია აწმყოსა და მერმისის ლიტერატურულ-კულტურული კომუნიკაციისათვის. ამასთან მიმართებით, ხაზგასმით აღსანიშნავია ანთოლოგიის ქრონოლოგიური ფორმატი – ნაწარმოებთა რიგითობა-თანმიმდევრობა, რაც საუკეთესოდ აზუსტებს მთარგმნელის პრაგმატულ-რაციონალურ მიზანამოცანებსა და კეთილ ნებას.

ცალკე საკითხია ქართულენოვანი ტექსტის პრობლემატიკა, რამდენადაც ანთოლოგიაში შესული მხატვრული ნაწარმოებების თარგმანი მაღალი მთარგმნელობითი კულტურის თვალსაჩინო ნიმუში და გამოცემის აკადემიურობის უპირველესი დასტურია. ანთოლოგიის ხასიათიდან და ჩვენი პროფესიული თვალსაწიერიდან ერთობ საინტერესოდ წარმოგვიდგება რჩეული ნაწერების მხატვრული ინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტებით შესწავლა, ეთნოკულტურული კონტექსტების თემატიკა. ანთოლოგიის ფურცლებიდან აზერბაიჯანელი პროზაიკოსები გვესაუბრებიან ადამიანური ყოფის ნაირგვარ პრობლემებზე, პიროვნებისა და პიროვნულის ურთულესსა და უმწვავეს საკითხებზე, დროის იმ მონაკვეთში მცხოვრები ადამიანის სვე-ბედზე, მეორე მსოფლიო ომისა და ახლანდელ ე. წ. რეგიონული სამხედრო კონფლიქტების ქარტეხილზე, დღევანდელი აზერბაიჯანის ყოფა-ცხოვრებაზე. ეცნობი კრებულს და ფურ-

ცელ-ფურცელ რწმუნდები ლიტერატურის სიმართლესა და უძლეველობაში, ჰუმანიზმისა და მაღალი სულიერი ფასეულობების უზენაესობაში; აქ გაცნობილი ადამიანები ხომ ასე ძალიან გვეახლოვებიან, ისინიც ხომ თითქმის იმავე პრობლემებით, იმავე ჭირ-ვარამითა თუ სიხარულით ცხოვრობენ, როგორც ჩვენთან, აქ, საქართველოში. უსათუოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ეთნოკულტურული პასაჟების როლი ქართველი მკითხველის ემოციური განწყობისათვის. ამ კუთხით ყურადღებას იპყრობს თხზულებებში წარმოდგენილი როგორც ზოგადადამიანური მიმართებები (იქნება ეს ვთქვათ: დედის ხატება და დედაშვილობის თემა საერთოდ, სამხედრო კონფლიქტების სიმძიმე და ტრაგიზმი, მშობლიური მიწის განცდა, მეგობრობისა და სიყვარულის მარადიული და ამოუწურავი თემატიკა, ოჯახური ყოფის მრავალგვარი ნიუანსები, სოფლად თუ ქალაქად ცხოვრებისათვის ათასგარი წვრილმანი და ა. შ.), ისე კერძო ხასიათის რეალიები (ასე, მაგ.: აზერბაიჯანული მეტსახელები, სადღეგრძელოები, იუმორი, ანდაზები და სხვ.). სანიმუშოდ წარმოვადგენთ რამდენიმე დაკვირვებას ძირითადად კონკრეტული ეთნოკულტურული რეალიებიდან.

ქართული ყოფის ჩვეულებრივობას, უპირველესად, საოცრად ენმინება სადღეგრძელოსა და სუფრის თემატური ხაზი. მხედველობაში გვაქვს სადღეგრძელო, როგორც ენობრივი ეტიკეტის ნიმუში და ამ ფენომენტთან დაკავშირებული მრავალი ნიუანსი ენობრივ-აზრობრივ-ფსიქოლოგიური შტრიხებითა და პრაგმატული გარემოთი. ეს ყველაფერი იმდენად ნაცნობია, ისე მშობლიური ელფერი დაჰკრავს, რომ ერთგვარად პარალელური სივრცის განცდას ბადებს. ასეთია ამ ნაწარმოებებში წარმოდგენილი სადღეგრძელო, როგორც ეთნოკულტურის უტყუარი ნატურალისტური მარკერი და მასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ფილოსოფია: საგანგებო თუ სახელდახელო პურობის ამბებით, სამზარეულოსა და ნამზადის წარმოჩენით, ტრადიციული თუ განსხვავებული სმურებით, სტუმარ-მასპინძლობის თემით.

ეთნოსოციალური ყოფის ერთი განსაკუთრებული მახასიათებელთაგანია მეტსახელები. ადგილობრივი კოლორიტის წარმოსაჩენად სრულიად აშკარაა მათი საგანგებო როლი. თხზულებებში ნაირგვარი მოტივაციით (გარეგნობა, ხასიათი, ჩვევა, წარმომავლობა, მი-

მსგავსება ფლორა-ფაუნის სამყაროსთან...) მეტსახელებისა და, ასევე, მათ მსგავსად, არცთუ იშვიათად, ხელობისა და პროფესიის აღმნიშვნელი სახელების გამოყენება მხატვრული მიზნების სრულყოფას ემსახურება. ისინი ერთგვარი სიტუაციური მარკერებია. მათი მეშვეობით (მხატვრულ დატვირთვას ვგულისხმობთ, ცხადია) ჩინებულად ხერხდება ნაირგვარი სიტუაციისა თუ ეპიზოდის ემფატირება. ისინი ფუნქციურად გარკვეულწილად უთანაბრდებიან ლიტერატურაში კარგად ცნობილ ე. წ. მოლაპარაკე გვარ-სახელებს. შთაბეჭდილებათა სიმძაფრე და მხატვრულ-ესთეტიკური ეფექტი ნაწარმოებებში მათი გამოყენების, პირობითობის მიღმაცაა საგულვებელი. სწორედ ამიტომაც ისინი, უფრო სწორად მათით სახელდებული პერსონაჟები, როგორც გარემომცველი სინამდვილის უქვევლი და თვალცხადი ნიშნები, საუკეთესოდ გვამახსოვრებენ თავს (ხშირად სწორედ მათ გამო გვახსოვს ესა თუ ის ნაწარმოები თუ ცალკეული ეპიზოდი მათგან). თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურული გალერეის სახასიათო სახელებია, მაგ.: მასხარა ნაზიმი, ავტობუსა რაფიკა, სინდისა ჰასანა, ჯუჯა მირი, ზიანა ჰუსეინა, მეზუფეტე საბირა, მანტიორი უსუფი, ჩლაჩ თაფთიგა, მსუქანა განთურალი, შმაგი და სხვ.

მოხსენებაში მასალების სახით წარმოვადგენთ ამონარიდებს ანთოლოგიიდან სადღეგრძელოსა და სუფრის თემატური ხაზის, ასევე მეტსახელთა შესახებ.

ზემოაღნიშნულთან ერთად ყურადღების ღირსი ბევრი სხვა საკითხია, თუნდაც ხალხური სიბრძნისა და ტრადიციულ გამოთქმათა ამსახველი ეპიზოდები, მაგ.:

„აქამდე ასე მეგონა, გამონათქვამები – „შენს სისხლს დავლევ“ და „შენს ხორცს შევჭამ“ – ისე, უბრალო გამონათქვამებია, გაბრაზებულ კაცს რომ მოადგება ენაზე. რადგანაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მანიაკს, არავინ არავის სისხლს არ სვამს და ხორცს არ ჭამს. მაგრამ თურმე საკითხი აქაც ისე არაა, როგორც მე მეგონა. ახლახანს ერთ-ერთ წმინდა წიგნში წავიკითხე: „თუ თქვენ ვინმეს უფლებას არღვევთ, ანდა მის ალალ უფლებას ითვისებთ, მაშინ ისე გამოდის, რომ თქვენ მის ხორცს ჭამთ“. აი ასე, არც მეტი და არც ნაკლები!“ („ვეილის ხევი“, გვ. 403).

„თებერვალს უთქვამს იანვრისთვის: „მე რომ მაშინ მოვსულიყავი, როცა შენ მოხვედი, ქალებს ხელს კოკის სახელურზე შევავინავდი“ („ხმა ზღვიდან“, გვ. 42).

ადგილობრივი კოლორიტის ნიმუშია გამოთქმა **ფაიზის ამინდები** (შემოდგომის ღრუბლიან-წვიმიანი, ცივი და ბურუსიანი ამინდების აღმნიშვნელი):

„ფაიზის ამინდები იდგა“ („პირველს ათი წუთი აკლდა“, გვ. 299).

„გეგონება ფაიზის ეს სიცივეცა და წვიმაც, რომელიც დილას აქეთ ცრიდა, ახლალა შეამჩნია“ (იქვე, გვ. 302).

როგორც საერთოდ ანდაზათა უმეტესობა, ღრმა ცხოვრებისეული ფილოსოფიის ამსახველია აზერბაიჯანული ანდაზა: „ზოგი სიკვდილი სიკვდილია, ზოგი კი სიკვდილზეც უარესია“ (გვ. 50, წამძღვარებული აქვს მოთხრობას „ზღურბლი“).

კულტურის ტიპოლოგიის თვალსაზრისით, საინტერესო ლიტერატურული პარალელები ჩანს ეპიზოდებში: „სანამ ამას წვერულვაში ამოუვა, **ან ვირი მოკვდება, ან ხანო**, გაიფიქრა“ („ახოვანი ქონდრისკაცი“, გვ. 254. შდრ. ქართული: ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი). საგულისხმო აზრობრივი შეხვედრები და მსჯელობის ნიმუშები გვაქვს „ვირის ლირიკის“ თემაზე აზერბაიჯანელი მწერლის რაფიგ თალის მოთხრობაში „ახოვანი ქონდრისკაცი“ (გვ. 250) და შოთა ნიშნიანიძის ბელეტრისტულ პოემაში „ვირის აპოლოგია“. მრავლის მთქმელია ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში ასახული აზრობრივ-თემატური შეხვედრები არამარტო ინტელექტუალურ-კულტურული სივრცის უნივერსალური მონაპოვარია, არამედ უნიკალური ჭვირნიშანიც ეპოქალური ამბებისა და, ზოგადად, ეთნოკულტურული ყოფისა. ვფიქრობთ, ამ მხრივ უახლესი ეპოქის ტრაგიზმს საუკეთესოდ ეხმიანება საბირ ახმედოვის მოთხრობა „ხმა ზღვიდან“. დიდი პოლიტიკით დატვირთულ რეგიონულ სამხედრო კონფლიქტებს განუყრელად თან ახლავს უბრალო ადამიანური ყოფის გასასტიკება და ამაზრზენი ცხოვრებისეული ტკივილები. მოთხრობა სამშობლოსათვის თავგანწირული მეზღვაურის წერილია დედისადმი, რომელშიც ჯარისკაცული სიმართლითაა გადმოცემული მისი შემამრწუნებელი თავგადასავალი: „არც ერთი ვაჟი არ მო-

უყვება დედას იმ თავგადასავალს, რომელსაც ახლა მე მოგიყვები. სხვა რა გზა მაქვს, ასე მტანჯველ მოლოდინში ხომ ვერ დაგტოვებ. შენ ყველაფერი უნდა იცოდე..." (გვ. 38). მისი ნაამბობი, ანუ მოთხრობის ხუთ გვერდზე აღწერილი მწარე რეალობა ლამის ქართული სინამდვილის ტოლფარდია.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ასევე ხალხური ყოფის ამსახველი ზოგი ჩვეულება და თეოლოგიური ხასიათის პასაჟები; თხზულებებში აქა-იქ გამკრთალი საქართველოსთან დაკავშირებული მხატვრული შტრიხებიც პირუთვნელობითაა წარმოდგენილი (მაგ., თბილისის პროსპექტი, ქართული სოფლების ხედები, ქართული ღვინოების სარეკლამო აზრა და სხვ.).

დასასრულ, დავძენთ, რომ შემოქმედებითი ძიებებისა და ენობრივი თავისებურებების წვდომა-მოხელთების განსაკუთრებული უნარი საოცარი ხიბლით ავსებს მთარგმნელის ისედაც შრომატევად ნაღვაწს. თარგმანის ენის სტილისტიკური ნიუანსები ყველაზე უკეთ მეტყველებს მთარგმნელის რუდუნებაზე და მის უზადო ხელოვანებას წარმოაჩენს. სულ უბრალო დეტალი – კრებულის სარჩევში მოთხრობათა სათაურების ოდენ ჩაკითხვა-გადათვალიერებაც მხატვრული ლიტერატურის ძალმოსილებას ამზეურებს. ანთოლოგიის კეთილშობილური მიზანი – უფრო ახლოს გაგვაცნოს მეზობელი ხალხის ცხოვრება, უთუოდ მომავლის ნათელ პერსპექტივებს უკავშირდება. თვით მისი არსებობის ფაქტიც ნაყოფიერი კულტურული თანამშრომლობის მართალი მაცნეა.

გამოყენებული ლიტერატურა

თანამედროვე აზერბაიჯანული ლიტერატურის ანთოლოგია (პროზა), აზერბაიჯანის თარგმანის ცენტრი, ბაქო, 2017.

მერაბ ჩუხუა

ტოპონიმიკური ძიებანი

ოსინდალე / ოცინდალე – დაბალი მთა-პლატო ხობისწყალ-ტეხურის წყალგამყოფი ქედის სამხრ. დაბოლოებაზე. დასცქერის სოფ. თაიას. უწინ, 1950 წლამდე, დასახლებული იყო. შემორჩენილია ეკლესია, რომელსაც მეტად შთამბეჭდავი სიდიდის უნიკალური ვაზის კარი ჰქონდა შებმული. ოცინდალეს კარები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ცნობილია ხალხური ეტიმოლოგიები ტოპონიმ ოცინდალე-ს შესახებ, რომელიც პ. ცხადაიამ ჩაიწერა; მთქმელები მიუთითებენ:

1. სწორი ფორმა ოსინჯალე, რადგან აქ სიძეები იყრიდნენ თავს;
2. აქ სინჯავდნენ საპატარძლოებს. ამიტომაც ოსინჯალე;
3. აქ ეკლესიაში იწერდნენ ჯვარს სასიძოები და ამიტომ დარქმევია ოსინდალე;
4. ცინდა კატის კნუტია. ოცინდალეც ამასთან დაკავშირებით დარქმევია...

ოცინდალეს ეტიმოლოგიის საკითხს მიემდვნა სპეციალური გამოკვლევები მეოცე საუკუნის 70-იან წლებში. ჩხოროწყუს რაიონულ გაზეთში დაბეჭდილია სხვადასხვა სახის წერილები. XIX საუკუნის საეკლესიო ჩანაწერებში მაშინდელი სოფელი ყველგან დასახლებულია თავდაპირველი ოცინდალე ფორმით (ა. სიჭინავა). წმინდა გიორგის ხატის წარწერაშიც დასახლებულია სოფელი ოცინდალე (თაია). აღნიშნულ პლატოზე ნატბევარია. პაატა ცხადაიას სწორედ ამ რეალობამ აფიქრებინა, რომ „როგორც ჩანს, ტბაში ხშირად ცურავდნენ გარეული იხვები. იხვს მეგრულში სინჯი („სირი“) ეწოდება. მამასადამე, თავდაპირველი ფორმაა ოსინჯალე (= საიხვე)“.

ოსინჯალე / ოსინდალე / ოსდალე / ოზდალე / ოცინდალე ალომორფებიდან ამოსავალი და ძირითადი ფორმა ო-სინდ-ალ-ე უნდა ყოფილიყო. იგი მეგრულში პოვნიერი ზმნური **სინდ-** „ნათება“ ძირიდან ნაწარმოები მყოფადის მიმღეობის ფორმა ჩანს, შდრ. **სინდ-** აფ-ა „ნათება; ფოსფორული ნათება“, **სინდ-** იერ-ი „სინათლიანი“; **სინდ-** ურ-ი „მოციმციმე, სინათლიანი“... აქ რეგიონში გავრცელებუ-

ლი ო-ხარკ-ალ-ე (ხარკ-) ტიპის სიტყვათწარმოება გვაქვს, შდრ.: **ოხარკალე** „წყარო და ადგილი ლუგელას ხეობაში“ (ჩხოროწყუ); **ოხარკალე** "ტბა სოფ. თიქორში" (ზუგდიდი)...

მსგავსი დერივაციის (ო--ალ-ე) სხვა ნიმუშებიც არაერთი შეგვიძლია მოვიხმოთ მეგრულიდან, შდრ: ო-ჟღვარტ-ალ-ე (ჟღვარტ-) „საჭყუმპალაო“, ო-ღვარ-ალ-ე (ღვარ-) „საყვირალი, საბღაელი“, ო-ღვარჯ-ალ-ე (ღვარჯ-) „საბანაო, სალალღაღო, სალადობო ადგილი წყალში“, ო-ხარჩ-ალ-ე (ხარჩ-) „პატარა წყალღვარდნილი“, ო-ჯღარჯღ-ალ-ე (ჯღარჯღ-) „წყლის მძლავრი დინების ადგილი“... სემანტიკურად **ოსინდალე**-ს *ნათელ-განათებულის* მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა; სწორედ ამან შესძინა მას მოგვიანებით საკულტო ღირებულება.

შეიძლება **ოსინდალე**-ს სხვაგვარ ინტერპრეტაციაზეც გვეფიქრა, რასაც **სინდ-** „ისინდი“ ფორმა დაედებოდა საფუძვლად, მაგრამ ამგვარ შესაძლებლობას ჩვენ ნაკლებ სავარაუდოდ მივიჩნევთ.

შორაპანი (ციხე და ტოპ.) მდებარეობს ზესტაფონში, მდ. ყვირილასა და ძირულას ხეობებში, მათ ხერთვისთან, დღევანდელი დაბა შორაპნის ტერიტორიაზე. აქ ცნობილი ანტიკური და შუა საუკუნეების ციხესიმაგრე გაგვახსენდება.

წყაროებში **შორაპანი** პირველად მოხსენიებულია სტრაბონთან (მგ. წ. I-ახ. წ. I სს). „ფაზისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტოს მთელი ქალაქის მოსახლეობა. შორაპნიდან საურმე გზით 4 დღის სავალია მტკვრამდე“.

პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზთა ორი ციხეა იბერიის საზღვართან – „სკანდე და სარაპანისი“. ციხე „მეტად ძნელად სავალ ადგილშია და ძნელად თუ მიუდგება იმას კაცი“.

ვახუშტი ბაგრატიონი შორაპნის შესახებ გადმოგვცემს: „ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა პირველმან მეფემან ფარნაოზ ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ და არს დიდშენობა ფრიადი. ამას ჩდილოთ-დასავლით უდის ყვირილა, აღმოსავლით-სამხრით ძირულა. აღმოსავალ-ჩდილოით შუა აქუს კლდე გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე“.

ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ **შორაპანი** ზანური წარმომავლობის ტოპონიმია (ტ. ფუტკარამე). ჩვენი დაკვირვებით, **შორა-**

პან-ს მეტად გამჭვირვალე ქართული ეტიმოლოგია უდასტურდება; იგი კომპოზიტია და მომდინარეობს შორ-ი აპან-ი -> შორ-აპან-ი, ანუ კარ-აპან-ი (აპან-ი „სახლის) წინა ნაწილი“) ტიპის კომპოზიცია გვაქვს. ტოპოფორმანტად შორ-ის გამოყენება დასახელებულ რეგიონში არ უნდა იყოს უჩვეულო, ვინაიდან იქვე მდებარეობს ტოპ. შორ-ი-ფონ-ი...

გამოყენებული ლიტერატურა

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი 2013 – ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ცხადაია 2009 – სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, IV. ჩხოროწყუს რაიონი, თბილისი,

ჯავახიშვილი 2002 – ჯავახიშვილი ი., ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი.

ნ ი ნ ო ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი

მრავალგზისობის გამოხატვის საშუალებები შირაქში მიგრირებულ ხევსურთა მეტყველებაში

გზისობა ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა, რომელიც გვიჩვენებს, ზმნით გადმოცემული მოქმედება ერთხელ შესრულდა თუ მრავალჯერ. ერთხელ შესრულებულ მოქმედებას „ერთგზისის“, ხოლო მრავალჯერ შესრულებულ მოქმედებას „მრავალგზისის“ სახელით მოიხსენებენ. რადგანაც მრავალგზისი მოქმედება „ხოლმეს“ შინაარსს შეიცავს, სპეციალურ ლიტერატურაში მას „ხოლმეობითსაც“ უწოდებენ. აქვე ვხვდებით სხვა სახელწოდებასაც: „თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. ამიტომ მრავალგზისი ფორმები ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომლებიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმებს

ჩვეულებითსაც ემახიან“ (შანიძე, 1980, 211). მრავალგზისობა ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქართულსაც. თუმცა, „მრავალგზისობა ის მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელიც ძველ და ახალ ქართულ სალიტერატურო ენებს შორის პრინციპულ განსხვავებას ქმნის; ძველი ქართულის სისტემიდან (ორგანული წარმოებიდან) ახალი ქართულის სისტემამდე (აღწერით წარმოებად) რთული გზა გაიარა“ (ახალი ქართული ენა, III, 2017, 322). „ენა საჭიროდ მიიჩნევს ფუნქციურად დააპირისპიროს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, მაგრამ ცვლის ამ დაპირისპირების სახეს: ერთ შემთხვევაში ეს მორფოლოგიურად ხდებოდა (და ხდება დღესაც ზოგ დიალექტში), მეორე შემთხვევაში ამ დაპირისპირებას არამორფოლოგიური საშუალებები ადხენენ“ (ახალი ქართული ენა, II, 2016, 77).

ძველ ქართულ ენაში ზემოხსენებული კატეგორია მწყობრად ჩამოყალიბებული სისტემით ფუნქციონირებდა, სადაც მრავალგზისობის შინაარსის გადმოცემას ოთხი მწკრივი ემსახურებოდა:

აწყმოს ხოლმეობითი: ხატავ-**ნ** იგი ხატვე-**ედ** ივინი

I (უწყვეტლის) ხოლმეობითი: ხატვიდ-**ო-ს** იგი

ხატვიდ-**ო-ან** ივინი

II ხოლმეობითი: დახატ-**ო-ს** მან დახატ-**ო-ან** მათ

III ხოლმეობითი: დაეხატ-**ო-ს** მას დაეხატ-**ო-ს** მათ

(შანიძე, 1976)

ახალ ქართულში (გარდა რამდენიმე დიალექტისა) ძველი ქართულისეული ორგანული წარმოება აღწერითმა წარმოებამ ჩაანაცვლა. ახალ სალიტერატურო ქართულში ორგანული წარმოების მოშლის შემდეგ, როდესაც უღვლილების სისტემიდან ზემოხსენებული მწკრივები გაქრა, მრავალგზისობის შინაარსის გადმოცემა „ხოლმე“ ნაწილაკმა იტვირთა. როგორც მიუთითებენ, დღეს ეს ნაწილაკი დაერთვის თითქმის ყველა მწკრივის ფორმას; თავად უწყვეტელ-ხოლმეობითის მწკრივი „ხოლმე“ ნაწილაკის გარეშეც ხშირად განმეორებული მოქმედების მნიშვნელობისაა; მრავალგზისობის შინაარსის ხაზგასმასა და გაძლიერებას ხელს უწყობს სხვადასხვა საგარემოებო სიტყვის (ხშირად, მუდამ, ყოველთვის, ყოველდღე) დართვა; ამავე ფუნქციას ასრულებს ფრაზაში ფორმათა გამეორებაც:

ცრემლს წყალსავით ვღვრით ხოლმე (ილია);

ძალაუნებურად კეთილ გზისკენ **გამიტაცებს ხოლმე** (აკაკი);
ჭია-მატლები **ერეოდნენ ხოლმე** ხეხილსა (იაკობი);
ნეტა სიტყვას საქმედ **ვაქცევდით ხოლმე** (ევ. გაბ.);
მოდო, გიორგისაც **დაეკითხე ხოლმე** (ილია);
ეგების აქედან ნინოს თვალი **მოგვრა ხოლმეო** (რ. ერისთ.);
კნეინა თვალს **გაახელდა**, შავარდენივით **გადმოფრინდებოდა**
ტახტიდამ (ილია);

ის დალოცვილი მღვდელი **ხშირად მარიგებდა ხოლმე** (ილია);

ვკვივ ვკვივ ვერ დავკვივ...

(მაგალითები დამოწმებულია წიგნიდან „ახალი ქართული ენა“, 2016).

ძველი ქართულიდან ხევსურულ დიალექტს ხოლმეობითის მწკრივები შემორჩა. თუმცა, ძველი ქართულისეული I ხოლმეობითი და II ხოლმეობითი აქ თავისებურად იწარმოება. ძველი ქართული-საგან განსხვავებით, ორივე მწკრივის პირველი და მეორე პირის ფორმები განვრცობილია **-დ** სუფიქსით (შდრ.: ფშაურში **-ოდ** სუფიქსით). მესამე პირში კი, მსგავსად ძველი ქართულისა, დაერთვის მწკრივის ნიშანი **-ი**. როგორც შენიშნავენ, „ფუნქციის თვალსაზრისით პირველსა და მეორე ხოლმეობითს შორის (არქაულ ნამყო უსრულს შორის), ის სხვაობაა, რომ პირველი ხოლმეობითი კავშირებითისა და ბრძანებითის ფუნქციით არ გამოიყენება, იგი მხოლოდ ხოლმეობითობის, ნამყოს ხოლმეობითობის გადმოსაცემად იხმარება“ (ჭინჭარაული 1960, 113).

I ხოლმეობითი:

ვაკეთებ-დ-ი-**დ**-ი ვაკეთებ-დ-ი-**დ**-ით

აკეთებ-დ-ი-**დ**-ი აკეთებ-დ-ი-**დ**-ით

აკეთებ-დ-ი-ს აკეთებ-დ-ი-ან

II ხოლმეობითი:

ვაკეთ-ი-**დ**-ი ვაკეთ-ი-**დ**-ით

აკეთ-ი-**დ**-ი აკეთ-ი-**დ**-ით

აკეთ-ი-ს აკეთ-ი-ან

„ი თათარ რაადად **ამზობდის** იმას მშავლებზე, არ ვიცი, ანაზრი წინავაც მტერობა რაიმ **ხქონდისა**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, გვ.13); „მეორეს დღეს ქალს მამზადებდეს. მყოლებ გაჰყვებოდ იმ სოფელშიით. ოციც **გახყვის**, ოცდახუთიც“ (იქვე, 11); „იქ

ნამყოფი ვინამ **თქვისაგ**“ (იქვე, გვ.15); „**კელებზედაო-დ**’ თავზედავ ძავ **შამაგვაკრიანავ** გასაგოდავ, თუ ვითას **მაემატებდიდითავ... წაგვასხნიანავ** მთაზედაო-დ’ გველებს **გვაჭერივებდიანავ**. მემრავ აიმე-ებისას წამლებს რასამ **აკეთებდიანავ... ხვრნიანავ** საორცხალნიო-დ’ **გაასხისავ** სისხლივ... გონ ამქდაო-დ’ აღარას **ვიგებდიდივ... რახანისა** კიდზე **გაგვდიდივ**, ჩოჯის კალთაჩი ქვებ **ჩავისხიდივ** (იქვე, გვ.17); **გაიცინიდივ**, თუ გაგეცინებისავ“ (იქვე, გვ.21).

„დედავ, მიშველე!“- **იძახდისაო**, „ლეღავ, მიშველე!“ – **ვიძახ-დიდიო**. „... „აის დრო არ გერჩიყვისაე, საქარის მაღალ რო **ომობდი-დიოოო**?“ (ჭინჭარაული 1960, 113).

ხევსურულში დასტურდება ძველ ქართულშივე იშვიათი გამოყენების III ხოლმეობითის ფორმებიც:

„**ეგ თქვის** მზექალასთან, ეხლა ქვე არაობს... ამგაად დადენილიყვნეს ერცხვასთან, **ეგ ეუბნისა’ ეროლაგის** ერთა ნაყრებს... გი-ორგის ახა შავხვდავ, არ გაუტეკავ უჭრელადავ – **ევეხნის** ქალებში“ (ჭინჭარაული 1960, 113).

ხევსურულ დიალექტში მრავალგზისობის შინაარსს გადმო-სცემენ სხვა მწკრივებიც (აწმყო, მყოფადი, უწყვეტელი, I თურმეობითი...). ისინი შეიძლება გამოიყენებოდეს დამოუკიდებლად ანმრავალგზისობაზე მიმანიშნებელ საგარემოებო სიტყვებთან (ხშირად, ბევრჯერ, სულ, ზოგჯერ...) ერთად:

„**ერთ ვერძს ჩავვლევენ, დახკვლენ**, მემრ **დაბრუნდებიან**, შინ წამავლენ. დიაცებ **სამეკვლეო-სასანთლეს გამაავებოზენ**“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 8.); „**ოჭშობისას დახკვლენ** თიკანს... არც **თიბენ** შაბათ-კვირისას, არც **მკიან**, ისრ კი **ქსოვენ**, **კელსაქმობენ**... ერთ ღამეს **სმენ** არაყს, **ადუღბენ** ჯორცს, **ცოტაობენ**, **იხუმრებენ**, **იციანიან**“ (იქვე, 6); „**დიდს პატივს სცემდეს** წინავ **მეკვლეთ**“ (იქვე, გვ. 8); „**როსაც ვაჟის ჯალაფთ ქალა ვის მაეწონებოდ**, კაცს ვის **ეტყოდეს**: – ჩვენავ მაგათ ქალა **მაგვწონსავ**, ნეტარ არ **მაგვეცემენავევ**?“ (იქვე, გვ. 9); „**თუ ვაჟ დაიწყებდ** საცოლის წუნობას, მაში ქალის ჯალაფნ აღარას **მისცემდეს** ვაჟს **დანახარჯს** (იქვე, გვ.10)... **მივიდოდეს** იბერებ კაცები, არაყს **მიიღებდეს**, **ორსაც საკლავს მიიყვანდეს**, ერთს **ჯვარჩი დახკვლევდეს**, ერთს-შინ“ (იქვე, გვ. 11); „**წიქა-მჭედლოურა-ვაზუათ** რო **გამაზდგომიან მშავლები**, მაშინაც **უბრუნებავ** დიაცს: – ნუ წახვავ მღევარჩიავ“ (იქვე, გვ.16).

წარმოდგენილი მასალიდანაც ჩანს, რომ მრავალგზისობის შინაარსის მქონე მეორე პირის ფორმები იშვიათია. ხსენებულ ფორმათა სიმცირის მიზეზს ალ. ჭინჭარაული ასე ხსნის: „მეორე პირი მისამართი პირია, მიმართვა კი უფრო ხშირად თხოვნას ან ბრძანებას გულისხმობს. ამიტომ მეორე პირის ხოლმეობითი უფრო ხშირად თხოვნით-ბრძანებითი შინაარსისაა“ (ჭინჭარაული, 1960, 109). II ხოლმეობითის **-დ-** სუფიქსიანი მეორე პირის ფორმები გადმოსცემს წართქმითი ბრძანებითის კატეგორიულ და თხოვნით-წაქეზებით შინაარსს:

„შენაც შუაკაცად მიგვიხვიდივ, უთხროდივ, რომავ თქვენთან მაკეთობაი სწადისავ... არა მიქცისავ უანგარიშოდავ. კიდევ ვინ მიდლალიდითავ.“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 9); *„მიავ ჩიტად ვიქცევიო-დ’ ვმაზე მამყვიდივ (იქვე, გვ. 18); „[შვილებს] დედისა უთქვამ: და წამოგვილალიდიო (იქვე, გვ. 24);* მრავალჯერ გამეორებული მოქმედების შინაარსს უსვამს ხაზს „იცის“ ზმნასთან საწყისის ან არსებითი სახელის გამოყენებაც: **„სამამკლოიციან ხევსურთ... სამამკლოს იქმენ, ლუდს ადუღებენ ჯვარის ქერისას დასტურნი“** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 7); **„ჯვარჩიით დიასახლისის გამატაეებავ იციან.სოფელჩიითაცვაიტაცეებენ დიაცს ვის...ჯვარჩი უმბრახად ყოფნაივ იციან. დასტურ ან ჯელოსან დაუმძრახდებისა-დ’ ვმას არცრუ არ ამიილებს“** (იქვე, 9) **„ვარდანამავ უფრო უნცროსის მმის ფიცვა იცოდისავ“** (გვ.15); ხევსურულისთვის უცხოა ახალ სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული „ხოლმე“ ნაწილაკი. როგორც ალ. ჭინჭარაული შენიშნავს, „მისი ხმარება ისევე საჩოთიროა, როგორც სალიტერატურო ქართულში ახლა ხოლმეობითის ხმარება იქნებოდა“ (ჭინჭარაული 1960, 114).

რა ვითარებაა 70 წლის წინ მშობლიური კუთხიდან შირაქში გადმოსახლებული ხევსურების მეტყველებაში? რა საშუალებებით გამოიციემა ბევრჯერ განმეორებული მოქმედების შინაარსი მთიდან ბარად, დედოფლისწყაროში, ჩამოსახლებული ხევსურების მეტყველებაში? პასუხი გასაცემია კითხვაზე: კიდევ თუა შემორჩენილი ამ ფუნქციით მათთან ხევსურული დიალექტისათვის დამახასიათებელი I ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის მწკრივები, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, იყენებენ თუ არა ისინი ახალქართულისეულ „ხოლმე“ ნაწილაკს? სწორედ ამ მიზნით გავესაუბრეთ აქაურ

ხევსურებს. როგორც ცნობილია, შირაქში ხევსურების ჩამოსახლება იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ინტენსიურად 1951 წლიდან დაიწყო. გადმოსახლების მიზეზად მათთვის შრომის შემსუბუქება და - საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სახელდებოდა. თუმცა, რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ გადმოსახლება იძულებითი იყო. მათ არ უნდოდათ მშობლიური კერის მიტოვება, მაგრამ ურჩ ხევსურებს მთავრობა უზარმაზარ ჯარიმას აკისრებდა. ჩამოსახლებულთ ძალიან გაუჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება. ბევრმა უკან დაბრუნებაც სცადა. მათგან ზოგი დაუბრუნდა მთას. ბევრი კი სამუდამოდ დამკვიდრდა ბარად, რადგან ნახა, რომ შრომა უფასდებოდათ, სწავლა-განათლება და სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა. მთავრობამ ხევსურები სოფელ არხილოსკალოში ერთ უბანში მათთვის წინასწარ აშენებულ სახლებში დააბინავა. ისინი დღესაც იმ უბანში ცხოვრობენ, თუმცა თითო-ოროლა ოჯახმა ზემო ქედსა და ქვემო ქედშიც დაიდო ბინა. მიუხედავად გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო პირობებისა, ხევსურებს სიცოცხლის ბოლომდე სტანჯავდა მიტოვებული სახლ-კარისა და მიწა-წყლის დარდი. ნელი წიკლაური იხსენებს: „ბებია სულ ლანძღავდა ვიღაცას, იქიდან რო გადმოგვასახლესაო, რაად გადმოგვასახლესაო, რახლად გაგვაწირვინესაო ჩვენ მიწა-წყალი?“ გაცილებით ადრე, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, ეს სოფლები არაგვის ხეობიდან ჩამოსული ფშავლებითა და მთიულებით დასახლდა. მაშინდელ სიღნაღის მაზრაში შემავალი შავმიწანიადაგიანი შირაქი (ახლანდელი დედოფლისწყაროს რაიონი) უხვმოსავლიანი იყო და ახალმობინადრეებმა „პურისბედელიც“ კი უწოდეს მას. მანამდე შირაქის ველები მხოლოდ თუმ-ფშაველ მეცხვარეთა ზამთრის იალაღებად იყო ქცეული. სოლომონ ყუბანეიშვილის გადმოცემით, 1889 წელს მეფის რუსეთის მთავრობას აქ რუსების დასახლება განუზრახავს. „ეს რომ მეცხვარე თუმებმა და ფშავლებმა გაიგეს, ფეხზედ დადგნენ... გადაწყვიტეს, შირაქის ველები უმალ დაეკავათ. ამ მიზნით 1900 წლიდან, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თანდათანობით იწყეს შირაქის ყველაზე კარგ ჩრდილო ნაწილში... დასახლება, სადაც გაუშენებიათ სამი სოფელი: „ზემო და ქვემოქედი“, და ბოლოს მათ შორის მდებარე „არხილო“. ამ საქმეს მეთაურობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თუმ-ფშავლების რწმუნებულად ითვლებოდა“ (ყუბანეიშვილი, 1937, 370-

371). მთიელთა შირაქში ჩასახლების საქმეში დიდია ვაჟას წვლილი. აქ მხოლოდ ვახსენებთ თვით ვაჟას კორესპონდენციებს, რომელიც შირაქელი ახალმოსახლეების საჭირობორტო საკითხებზე დაუწერია ავტორს. ესენია: 1906 წლით დათარიღებული „წერილი რედაქციის მიმართ“, 1913 წლით დათარიღებული „ქართველთა ახალშენი შირაქში“ და 1914 წელს ისევ რედაქციისათვის მიწერილი წერილი „შირაქის ამბები“. თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, ქედში პირველი მოსახლეები გაცილებით ადრე, XIX საუკუნის 90-იან წლებში, თავისი ინიციატივით, ძირითადად, სახნავ-სათესი მიწების გამო მოსულან. მიგრაციის პროცესმა რამდენიმე ათეული წელი გასტანა. ქვემო ქედი, ზემო ქედი და არხილოსკალო ცხოვრების დონითა და მოსახლეობის რაოდენობით ძლიერ სოფლებად იქცა. 1951 წლიდან მთიულებთან, ფშავლებთან, ბერძნებთან (იმავე ურუმებთან) და მეზობელ აბორიგენ ქიზიყელებთან შვიდი ათეული წლის განმავლობაში თანაცხოვრებამ ხევსურთა ყოფა-ცხოვრებასა და მეტყველებას, ცხადია, თავისი კვალი დააჩნია. სამოცდაათი წლის შემდეგ დიალექტმა, რომელზეც ეს ადამიანები საუბრობდნენ, სახე იცვალა. ზოგი რამ შეინახა და ზოგიც დაკარგა. რაღაც შეიძინა და რაღაც შეცვალა. დიალექტი (ისევე როგორც ენა) ხომ ცოცხალი ორგანიზმია. „დიალექტებში ყოველთვის შეხამებულია არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ოღონდ ხან ერთია უფრო ჭარბად წარმოდგენილი, ხან კი მეორის ხვედრი წონაა თვალსაჩინოდ მეტი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი დიალექტი, რომელშიაც სალიტერატურო ენასთან შედარებით ყველაფერი ახალი იყოს ან და ყველაფერი ძველი... ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის ცვლასთან დაკავშირებით და ამ ცვლის ნიადაგზე, მაგრამ არა ერთდროულად ყველა“ (ჩიქობავა, 2010, 240). ასე მოხდა ხოლმეობითობის სემანტიკის გადმოცემის შემთხვევაშიც.

საკითხის კვლევისას რესპონდენტები სამ ასაკობრივ (I-20-40-იან, II-50-70-იან და III-80-90-იან წლებში დაბადებულები) ჯგუფში გავანაწილეთ. ინტერვიუსათვის კი საგანგებოდ შევარჩიეთ თემები ხევსურულ წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებსა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე იმ იმედით, რომ მოსაუბრენი მრავალჯერ განმეორებული მოქმედების გადმოცემისას ჩვენთვის საინტერესო ფორმებს გვერდს ვერ აუვლიდნენ.

უხუცესი რესპონდენტი ჯარჯი წიკლაური 1928 წელს სოფელ როშკაშია დაბადებული. 1952 წელს ჩამოასახლეს არხილოსკალოში. 96 წლის მოხუცი ერთგულად დარაჯობს ოდესღაც საკავშირო მნიშვნელობის დღეს უფუნქციოდ დარჩენილ ნეფროლოგიურ სანატორიუმს. სწორედ სანატორიუმის ტერიტორიაზე მივაკითხეთ ინტერვიუსათვის. გაგვაოცა სხარტი გონებითა და საოცარი მეხსიერებით. ზეპირად, თითქმის უშეცდომოდ გვიამბო ვრცელი ლექსები შიოლასა და მთრეხელზე და ანა ბაჯიზე. ხევსურულ ყოფასა და ადათ-ტრადიციებზეც ბევრი რამ გაიხსენა. საგულისხმოა, რომ ლუდის ხარშვის ხევსურულ ტექნოლოგიასა თუ მიცვალებულის სულის საოხად გამართული დოღზე, „წელწადის“ დღესასწაულსა თუ ათენგენობის ხატობაზე, გვარებს შორის ჩამოვარდნილ შუღლსა თუ შერიგების რიტუალზე 52-წუთიან საუბარში რესპონდენტს ერთხელაც არუხსენებია „ხოლმე“ ნაწილაკი. მრავალგზისობის შინაარსის გამოსახატავად იგი, ძირითადად, უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივებს მიმართავს:

„სვილას დააფორებდენ მეშოკში, ჩასდებდენ მეშოკს წყალში, ის დასველდებოდა. მერე დასდებდენ თბილად... გაახმობდენ და წისქვილში დახფავდენ... „მერე ქეიფს დაიწყებდენ სოფელში, გახპატიყებდენ ერთიმეორეს, შააქუჩებდენ არაყს... „ხატიდან [დიდგორიდან – ნ.ც.]რო მივიდოდი თსახში, თოვლს ავიღებდი და შავაშლიდით თოვლს, „თეთრადამც ახევავედებითაო, ჩემიმც კვალი კარზედამც დაგიჯდებისთაო!“ – ამას ვეტყვოდი ბავშვები... დედაკაცები ტიროდენ... შავსდებოდი ცხენებზე, გარშემო ულიდით [მიცვალებულს – ნ.ც.], ქალები იმ მკვდართან იყვნენ შემოხვეულები... ქისტები გადმოდიოდენ, იპარავდენ საქონელს.“

ამ მწკრივებთანმან 2-ჯერ გამოიყენა მესამე პირის მრავლობითობის ძველი ქართულისეული **-ეს** სუფიქსი. იმავე დოღზე საუბრისას ახსენა პარალელური ფორმებიც:

„[ვინმე-ნ.ც.] რო მოკვდებოდა, იმას ცხენით ურბოლებდეს.“

„დოლი იცოდენ ხევსურეთში... კაცზე ცხრა ცხენი უნდა ყოფილიყო, ქალზე შვიდი ცხენი იცოდეს.“

რაც შეეხება საკუთრივ ხევსურული ხოლმეობითის მწკრივებს, რესპონდენტმა მხოლოდ II ხოლმეობითის ფორმები გამოიყენა და ისიც მხოლოდ მესამე პირისათვის:

„ხატში **მოხარშიან** ლუდი... სახში იშვიათში **მოხარშის** ვინ-
მემ... ხატში **წავიდაან**... „არაყიც იქ **წაიღის** დასტურმა... „აშენდითაო
დარბაზისერნოო, წაღმა წავივასთაო დღეა დღეობაა!“ – ასე **უთბრი-
ან**... ერთს სულის ცხენს ეძახოდენ. **დააკურთხვიან** იმ მკვდრისთვი...
ამოჰყარაან ი ხინკალი იმ ტაბლაზე... ერბოიანი ჯამები **დადგაან** ორ
ცალი... ნიორი **გაიყეიან** და ხინკალში **ჩაასხიან**... „ჩხუბ რო **დაიწყი-
ან**, ეხლა ხო **დაჭრიან** ერთიმეორე... ეგე **თქვიან**, მოხუცებმა **დათვა-
ლიან**.“

ჩვენს უხუცეს რესპონდენტს **ხოლმეობითისა** და **II ხოლმეო-
ბითის პირველ-მეორე (პირის -დ სუფიქსიან)** ფორმათა შესახებ ვე-
კითხები, ეს ფორმები თუ გახსოვს-მეთქი. მეუწება, რომ ახსოვს, მაგ-
რამ ახლა აღარ იყენებს: „არა, ვეღარც ვიკსენებ ბევრადა... ეხლა ვინ-
ღა ამბობს ისე, აღარავინ ამბობს.“

1946 წელს სოფელ ქმოსტში დაბადებული გიორგი ბურდული
ერთ-ერთი იმ რესპონდენტთაგანია, ვინც არხილოსკალოში მუდმივ
საცხოვრებლად საკმაოდ გვიან ჩამოვიდა. თუმცა გიორგის ბარად
ჩასახლება სხვა ისტორიას უკავშირდება. პირველად ექვსი წლის
ასაკში ჩამოიყვანეს არხილასკოლოში. შვიდი წელი იცხოვრა მისმა
ოჯახმა აქ. დაწყებითი განათლებაც აქ მიიღო გიორგიმ. მერე ხევსუ-
რეთში დაბრუნდნენ და თითქმის ოცი წელი ისევ ქმოსტში გაატარა.
1979 წელს საბოლოოდ დამკვიდრდა ის სოფელ არხილოსკალოში
და მას შემდეგ აქ ცხოვრობს. ოცდაცამეტი წლის ასაკში დატოვა ხევ-
სურეთი, შესაბამისად, ყველაფერი, რაც იქაურ ყოფა-ცხოვრებას
უკავშირდება, კარგად ახსოვს. უფრო მეტიც, თავის დროზე (60-იან
წლებში) „ჯვარის კელკაცებისა“ და „მერიგეთაგან“ ჩაუწერია რელი-
გიური და საყოფაცხოვრებო რიტუალების წარმართვის წესი და რი-
გი. მაგრამ უცნაურია, ერთი საათისა და 11 წუთის განმავლობაში გი-
ორგი ბურდულისგან ვერცერთი ჩემთვის საინტერესო ხოლმეობი-
თის ფორმა ვერ მოვისმინე. დაახლოებით 200-ჯერ გამოიყენა აწმყოს,
წყვეტილის, წყვეტილის ხოლმეობითის, I თურმეობითისა და II
თურმეობითისმწკრივთა ფორმები მრავალგზისი მოქმედების გად-
მოსაცემად:

„ეს ადრე ყოფილაო, **იტყვიან**, სათვალთვალო კოშკი... ეს მსუ-
ქანი ნადირი რო **მოგაქო**, რა ქვეყანა არი ეს, საიდან **მოგაქო**?... ეგ ეხ-
ლაც **გამამდის** მე ხშირად ...იქ არავის სტოებდენ. ვინც **რჩებოდა**, არ

მოპყვებოდა, აწერებდენ უზარმაზარ ჯარიმას, რომელიც გადაუხდელი იყო ხევსური კაცისთვის...დედაჩემი **გააკეთებდა** ბედისკვერას-სახლისთვი. ამას **დაახატებდენ, დააჭრებდენ**. ბედისკვერა **ცხვებოდა**... ხელოსანი ერქვა იმას, რო ერთ ზედმეტ სანათლავ საკლავს **დაჰკლავდი** და იქ, სადაც აკრძალული იყო, სხვა ვერ **შევიდოდა**, იქ შეგეძლო შესვლა... თუ ვინმე ცუდად **მოიქცეოდა** იქა, ან **იხმამაღლებდა** ან **გაილანბლებოდა**...ხშირად **მიწევდა** [რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა – ნ.ც.] და მახსოვს ზეპირად ის ყველაფერი, რაც იქ **ხდებოდა**... ორნი ძმები ყოფილან, სანადიროდ **უვლიათ**... ხალხთან რო ორ, ყოფილა ბევრჯერა, შენ ხევსური ხო არა ხარო, **უკითხია**...წესი იყო ისეთი, რო საკლავს რო მაიყვანდენ, ეს კაცები ჩოქზე უნდა **დამდგარიყვნენ** და ისე **მოსულიყვნენ** იქა... ხევსურების წეს-ჩვეულება იყო, რო თუ რამეს, ძვირფასს, იპოვნინდი, ხატში უნდა **მიგეტანა, შეგაწირა**, რო **გეთხოვა** დახმარება, პატიება და შეწყალება... გარეთ უნდა **გასულიყო** ქალი და იქ **ემშობიარა**... პატივს რო **მიუტანდენ**, მუკლით **დაჯდებოდა** (პატივის მიმტანი – ნ.ც.).“
ამავე ფუნქციითაა დატვირთული საწყისის ფორმასთან ერთად ხმარებული „იყო“ მეშველი ზმნა: „**იყო** ეგეთი ჯვარიონთ **მისვლა-მოსვლა**.“

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტის სამეტყველო ქცევაში უკვე შესამჩნევადაა დამკვიდრებული ახალი ქართულის „ხოლმე“ ნაწილაკი. ამას ადასტურებს ჩვენ მიერ მონიშნული 13 ფორმა:

„**მახსოვს**, ბიძაჩემი **მოჰყავდა ხოლმე** ხშირად... **ესე ამზობდენ ხოლმე**... **მასწავლიდა ხოლმე** მამაჩემი... **ოსები ვართო, იტყოდენ-ხოლმე**... დეკანოზი აშლილა, **იცოდენ ხოლმე ეგეთი რაღაცეები** ხუცობაში. **გამოქცეულა წყალში** გასაბანად. **გაიბანებოდენ ხოლმე** წყალში და **მიბრუნდებოდენ** ისევე ხატში.“

შუა საუბარში ჩემს შენიშვნაზე, ხევსურულად არ საუბრობთ-მეთქი, მეუბნება, გადავეჩვიეო. მხოლოდ ხევსურული ინტონაცია, იშვიათად ხმარებული დიალექტური ფორმები, აქა-იქ გაჟღერებული ჯარი და კიდევ მისივე მონათხრობი შემახსენებს გიორგი ბურდულის ხევსურობას. როცა სიტყვა ხ და ჯ ფონემებზე ჩამოვაგდე, მითხრა: „ეგ ეხლაც გამამდის მე ხშირად. იმიტო, რო ხალხთან რო ორ, ყოფილა ბევრჯერა, შენ ხევსური ხო არა ხარო, უკითხია. გებულობენ.“ „ხევსურულად ილაპარაკე, გიორგი,“ – სთხოვა ხევსურმა თანა-

სოფლელმა, ბესო წიკლაურმა. „არ მეხერხებაო“ – თითქოს დარცხვენით ჩაილაპარაკა. დასასრულს მაინც ვკითხე მასაც ხოლმეობითის ოდინდელი დიალექტური ფორმების შესახებ. წარმოგიდგინო ნაწყვეტს დიალოგიდან:

„-„ვთიბდი“ თუ „ვთიბავდი“? (ნ.ც.)

- მე „ვთიბდი“ და თუ ბევრები ვიყავით, **„ვთიბავდით“** მაშინ. (გ.ბ.)

- აღარც გახსოვს, „ვთიბდიდით“-ს რომ ამბობდნენ? (ნ.ც.)

- კი, ეხლაც ამბობენ: **„ვთიბდიდით“** ბევრები, როცა ბევრები ვიყავით, მრავლობითში როცა არი. თუ მარტო ვიყავი – „ვთიბდი“. (გ.ბ.)

- ახლაც ამბობთ, როცა შეიყრებით ხევსურები? (ნ.ც.)

- კი, კაცო, მაგრამ ეხლა ვის ველაპარაკო? (გ.ბ.)“

მოყვანილ დიალოგში ჩანს, რომ ერთი და იმავე კონტექსტში „ვთიბავდით“ და „ვთიბდიდით“ ფორმებია გამოყენებული. ამკარაა, რესპონდენტის სამეტყველო ქცევაში ხოლმეობითობის შინაარსის გამომხატველი ოდინდელი საშუალება მოშლის ზღვარზეა. ახსოვს, მაგრამ აქტიურად აღარ იყენებს, მითუმეტეს, როცა ხევსურების გარემოცვაში არ უწევს საუბარი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გიორგი ბურდულმა სწრაფად გაირა ინტეგრაციის პროცესი: ჩამოსვლისთანავე კოლმეურნეობაში წამყვან თანამდებობებზე მოუწია მუშაობამ და, გარდა ამისა, ჩამოსახლებიდან დღემდე მთიულებით დასახლებულ უბანში ცხოვრობს.

ლეილა და ნელი წიკლაურები თანატოლები და ბიძაშვილები არიან. ორივე არხილოსკალოში დაიბადა, ლეილა – 1961 წელს, ნელი მასზე ერთი წლით უმცროსია. გაიზარდნენ იქვე, ხევსურებით კომპაქტურად დასახლებულ უბანში და სკოლაც იქ დაამთავრეს. ორივემ უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო და მერე სოფელში დაბრუნდნენ. ხევსურებზე გათხოვდნენ და დღემდე იქ ცხოვრობენ. ნელი ისტორიკოსია. ერთხანს სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა. გარდა იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირია, არხილოსკალოს „ცოდნის სახლსაც“ უძღვება და აქტიური კომუნიკაცია აქვს სოფლის ახალგაზრდობასთან. ნელისთან ინტერვიუზე მისულმა ლეილაც გავიცანი და საუბარმა, ერთი შეხედვით, ბუნებრივი სახე მიიღო. წახემსე-

ბისას, სანამ ჩამწერს მოვიმარჯვებდი, ჩვეულებრივად საუბრობდნენ. ვიფიქრე, ასეც გაგრძელდებოდა დიალოგი. მაგრამ მერე ისე საოცარად გარდაისახნენ, ისე ოსტატურად გააცოცხლეს დიალექტიკეგონა, ორი მსახიობის სპექტაკლს ვუყურებდი. ჩემმა მასპინძლებმა ბავშვობა გაიხსენეს, ხვესურული ადათ-რიტუალები ჭირსა და ლხინში, თვალით ნანახი და გაგონილი. „საკვირველ ხალხ იყვნეს, კაცთაზე მეტ ხალხიო,“ – ასე იხსენებს ბერდიხა პაპას და თაია ბებიას ნელი. ბერდიხას ანდრეუზებსა და თაიას „ამბავებზეა“ გაზრდილი, ჩვენს მშობლებს ჩვენთვის სად ეცალათ, სულ სამუშაოდ იყვნენ გასულებიო, –ამბობს. ზუსტად 57 წუთი ილაპარაკეს. ცალკეული რესპონდენტის შესახებ ჩანაწერიდან საგანგებოდ ამოკრებილი სტატისტიკური მასალა ერთმანეთს შევადარე. სურათი ორივეგან ერთნაირია:

ხოლმეობითობის ფუნქციით ისინი, ძირითადად, იყენებენ აწმყოს, უწყვეტლის, უწყვეტლის ხოლმეობითის, წყვეტილისა და თურმეობითის მწკრივებს დამოუკიდებლად ან სხვადასხვა საგარემოებო სიტყვასთან (ხშირად, მუდამ, ყოველთვის, ერთი-ორჯერ...) ერთად, რომელიც მრავალგზისობის შინაარსს უსვამს ხაზს. მათ შორის გვხვდება უწყვეტლის ხოლმეობითის მესამე პირის მრავლობითობის **-ეს-**სუფიქსიანი დიალექტისეული ფორმებიც:

„ეხლა შემოირბნენ, მიიტანენ იმ ბოთლას, შანდობას ათქმევენ და გარბიან... ამ ამბავებზე და ანდრეუზებზე ვიზრდებოდი და ვყალიბდებოდი... მაგას ჩემ ბებიამც მაფრთხილებდ, ქმარს არ ასძრახდაო ხალხის გასაგონადაო... მასაკითხად დაგდიოდიო. ვისაც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა და წელ არ იყო გამჯდარი, იქ მოდიოდნენ, ისხდნენ და იხსენებდნენ მიცვალებულებს... ძალიან იცავდნენ პაპა და ბებია რელიგიურ დღესასწაულებს...და ჩვენც გვაკეთებინებდა მაგას... ბებია აცხობდა დიდ ბედისკვერას, ერთ მხარეს ასანთის ღერს უდებდა...დილით, პაპა რო კარებს ხსნიდა, სამჯერ შემოაგორებდა...ერთი-ორჯერ შეგვასწრო.“ (ნ.წ.) „სუფრა რო გაიშლებოდ, [დედა – ნ.ც.] ფეხზე ადგებოდა და იდგ ფეხზე... რო დაასხამდნენ [ღვინოს – ნ.ც.], ეს რძალი კი არ შაისომდ და იტყოდ სადღეგრძელოს, დაასხამდა, მისცემდა ვიღაცას, რო იმას [უფროს კაცს – ნ.ც.] მიართვო... ქრისტეშობის ღამეს კეთდებოდა ხინკალი ან კეცეული. ერბოიან ფაფა იხარშებოდ... არცერთზე არ მიტირიაო, მარ-

ტო რო **დავრჩებოდი**, მერე **ვტიროდიო**... ბალები არ **ვაცლიდით** დედას. **აირიოდა** ბეჩავი დედაშემი, **აერეოდა** ეს შენდობის თქმა, **გამოგყვრიდა** გარეთ“ (ლ.წ.)... „იმ სკამზე არცროს არ **ჯდებოდეს** არც ბავშვები და არც სხვები... „ძველ წელწადში **მოკითხვა იცოდეს**... ბერდისა მეუბნებოდა, ჩემს ახალგ ზრდობაშიაო ღამისთევით **სწორფრობა ვიცოდითაო**... [ძალები – ნ.ც.] არ **აჭაჭანებდესაო** ბატონიანთ მიწა-წყალზედაო ამ მელსაო.“ (ნ.წ.)... „სუყველა **მივიდიოდ-წავიდიოდეს**, არაფერს **უჩიოდეს**... „ფაფაში **ასხემდეს** ამ ერბოს. ანთებულ ფეჩში **ასხემდესა** და **ემახდეს** ღმერთს... დევები **ცხოვრობდეს** თურმე, დევები **იყვნესაო**. ცხვარს **აბინავებდეს** იმ დევების გამოქვაბულში... სირცხვილ იყო, არ **ტიროდესაო**“ (ლ.წ.).

რესპონდენტები საუბარში ხანდახან ხოლმეობითისა და II ხოლმეობითის დიალექტისეულ ფორმებსაც გაურევენ. მათ შორისა II ხოლმეობითის პირველი პირის ფორმაც:

„კომუნისტების დრო იყვო, **იტყოდიან** ჩვენ პაპა-ბებიებ... **იმუშავებდიან**... როგორა კარგ სუფრა **იცოდიან**... მეაც იმას **მეუბნებოდის** [დედა-ნ.ც.], რო ადეგი ფეხზედაო, არ დასჯდაო...

ამას **აიღებდიან** მერე და ანთებულ ფეჩში **ასხემდესა**... „თოვლ თუ არ იყო, ბრინჯი და რაღაცის ტოტ **მასტების** დედამ და საქონელთან და ქათმებთან გავიდიოდა და აეგრ **მიაცარისა**, გამრავლდითაო... კარგ წელ გვექნებისაო, **თქვიან**... დევებზე რო **ამბობდიან**... მიახლოებით მაქსონს, რო **თქვიან**... ეგრევე ხანჯალზე და ღაჯიაზე **გადადიოდიან**“ (ლ.წ.)... „პაპამ **გვითხრის**, ეს ბავშვები რო **შაგესიენიდიო** ამ მაგიდას“ (ნ.წ.).

ლეილასა და ნელის დიალოგში ხოლმეობითობის დიალექტისეული ფორმებთან ერთად არ გაგვჭირვებია „ხოლმე“- ნაწილაკიანი წარმოების აღნუსხვა. ხოლმეობითის მწკრივის 15 ფორმის გვერდით ნაწილაკიანი წარმოების 8 შემთხვევა დავითვალეთ:

„ქრისტე ღმერთო, დიდება შენდაო! – **დაიწყებდა** პაპა **ხოლმე** ომახიანად.“ (ნ.წ.)... „რო **მოდიოდა** **ხოლმე** სტუმარი... **გამოიყვანდა** **ხოლმე** დედა პატარა ბავშვს და მიიყვანდა ნელის პაპასთან... არცერთზე არ მიტირიაო, **იტყოდა** **ხოლმე**... **ნახულობდენ** **ხოლმე** ერთსახვას დანიშნულები... სამჯერ **შეასხამდა** **ხოლმე** იმ ერბოს დედა“ (ლ.წ.).

ბოლო მაგალითმა მიიქცია ყურადღება. ლეილა ქრისტეშობის ღამის რიტუალზე გვიყვება, როცა ხევსურები ერბოიან ფაფას ბუხარში შეასხამდნენ და შემახილით მოუხმობდნენ ქრისტეს. აქ იგი დიალექტისეულ „ასხემდეს“ ფორმას 2-ჯერ ამბობს. მაგრამ როცა „ხოლმე“ ნაწილაკთან წარმოთქვამს იმავე ზმნას, ამ უკანასკნელთან უკვე „ამ“ თემის ნიშანს ჩაურთავს.

ლეილას მონათხრობში, სადაც რესპონდენტი ახალი წლის ერთ-ერთ რიტუალზე გვიამბობს, კიდევ ორი საყურადღებო ფორმა შევნიშნეთ. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ძველისა და ახლის შერწყმის საინტერესო შემთხვევაა. ეს შეიძლება ძველიდან ახლისაკენ გარდამავალ საფეხურადაც მივიჩნიოთ. ესე იგი ინტერფერენციის რომელიღაც ეტაპზე ძველი და ახალი არათუ თანაარსებობდა, ისინი შეუღლდნენ კიდევ და ერთად ემსახურებოდნენ ერთი და იმავე გრამატიკული კატეგორიის გამოხატვას:

„აესრ რადაცეებს ეტყოდის ხოლმე, აყრიდ-აჭმევდის ხოლმე [საქონელს და ქათმებს].“

წინა რესპონდენტებისაგან განსხვავებით, მათივე თანატოლი რუსიკო ალუდაური ხევსურეთში, სოფელ ხახმატშია დაბადებული 1962 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1980 წელს, ზემო ქედში გათხოვდა. ქმარი მთიული ჰყავდა და დღემდე მთიულების გარემოცვაში ცხოვრობს. რუსიკო ზემო ქედში დიალექტური ტექსტების ჩასაწერად წასულმა შემთხვევით ტაქსიში გავიცანი. მთიულ თანასოფლელებს ყოფით თემებზე ელაპარაკებოდა. საუბრიდან გამომდინარე, მის მთიულობაში მაშინ ეჭვიც კი არ შემპარვია. თუმცა, მისი ხევსურული წარმომავლობის შესახებ ადრევე მსმენოდა და ტაქსიშივე შევეუთანხმდი ინტერვიუზე. ჩაწერაზე მისულს სულ სხვა რუსიკო დამხვდა: დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მშობლიურ დიალექტზე სასაუბროდ არც სიტყვა შემოღევია და არც თემა. ხევსურული ხმით ნატირალის იმპროვიზაციაც კი ჩამაწერინა. ინტერვიუს დასასრულს ხინკალი მზად იყო და საგანგებოდ მოპატიჟებული მთიული მეზობლებიც შემოგვიერთდნენ. ჩემი მასპინძელი ისევ ძველებურად ალაპარაკდა. მაშინ ვკითხე, აქაურ მთიულურსა და იქაურ ხევსურულს როგორ არიგებ-მეთქი ერთმანეთთან. „პირველი შვილი რომ მეყოლა, მერე უკვე გადავედი ამათ იმაზე. ჩემი საუბარი არავის არ მისდიოდ, რას ვეუბნებოდ, ვლანძღავდი, ვა-

გინებდი, თუ რას ვეუბნებოდ. მერე ავითვის თავისთავად, აბა, მთიულურად ვსაუბრობდ. ჰოდა ი ხევსურებში რო არ მიოლავ, ე ჯაჭმატ, ეხლა, რო ჩამოვალ იქით, ვეღარ გადმოვდივარ ამ ენაზე, მიჭირს ცოტა...ყოველ წელს მაინც მივდიოდით იქვე ჯაჭმატ. ერთი წელ არ გამიცდენავ სეერთოდ. სუ დავალ ყოველ წელს, ყოველ ათენგენობას. არა, არ დამცილდება ეგ [ანუ არ მავიწყდებაო ხევსურული – ნ.ც.] სეერთოდ.“–მიპასუხა.ალბათ, ამიტომაც არის მისი ხევსურული ასეთი ხალასი და დინამიური.გასაკვირი არ არის, რომ მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად რესპონდენტი თანაბარი სიხშირით იყენებს, ერთი მხრივ, აწმყოს, უწყვეტლის, უწყვეტლის ხოლმეობითის (ძირითადად, ძველი ქართულისეული ფორმებით), მყოფადის, თურმეობითის მწკრივებს და, მეორე მხრივ, I ხოლმეობითსა და II ხოლმეობითს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთან ვხვდებით პირველი პირის ფორმებსაც:

*„სატანს **გაგებხთ**, კარტოხას **გაურევთა** და აიმებს **დავაცხოზთ** ფეჩზე. აი ფეჩზე დამცხვრებს მემრე ორჯამიანში **ამავიღებთ**, **დავბანთ** აესე. მემრეა ერბოში **დავპოხთ** და ესე **დავდგამთ**... ქალსრო მუცელ **ასტკივდების**, **გაიყვანენ** ცალკე...მერე რო **გაიწმინდების**, **დაიბანების**, მემრეად **ამავას** ჯალაფთას... კეცეულეებს **დააცხოზდეს** მარტო. ფარდაგს **დაღფენდეს** შუაშიაცა და ნაპირშიაც. იქისკე ქალებ **დასხდებოდეს**, აქისკე კაცები... აი,აიმეებს **მიუდგამდეს** დაბლა, ჰოდა **სწურევდეს** იმას ი და ლუდ **გამადიოდ**... ი ლუდს კიდე **ჯვარში ადულეზდეს**, ძირითადად... ჭიქსავით იყვ. [ლუდს –ნ.ც.] იმაში **გვისხებდესა**... მერე საფორცხვლით **ვურევდით** აიმას, რო **გამშრალიყვ** კარგა... ცხენის**დალოცვა** **იგოდეს**კიდე **კევსურებმ**, მიცვალეზულის ცხენის... აი ჯარებს რო **დაგკლევდით** კიდე, მამაშაჩემ **იგოდის**, სპილენძის ქვაბს**შაუდგამდის** აი ჯარს.“*

*„იმ გუდანურებში **ვახვევდიდით** [ჩვილს – ნ.ც.] ადრე... აიმას **დაღფენდიან** მიწაზე... არიცნობდეს ქალ-ვაჟნ ერთმანეთს, მარაგათხოვიან...მემრეად **დაღნიშნიან** ქორწილი... აითევზს კიდე რო დავიჭერდით,**წამავილიდით** აის აი, **დავანთიდი** ე ტყეში ცეცხლა. **დავყაროდ** აი ნაკვერჩხალზე... **აადულიან** წყალი, **ჩაყარიან** ეს ფქვილი და ეს ქერი და ხორბლის დაფქულანწყლისწისქვილში, **ადულიან** ისა, ი ჭაჭ **გაურიიან** შიგ... ქვენქალობა ქვენ ჯვარში იყვის და ზენქალობა – ზენ ჯვარში. **დავსხდიდით** იმ ღამეს, **გავათენიდით**... ჯარა*

**გვედგ, ჯარაზედ ძახდიან, ძახდიან, ძახდიან და გამადიოდის აი თხორ.... მეხუთე კლასში ვიყავ, რო ცელ ავილე და თიბვა დავიწყე. აე, კელი სისხლიან მქონდია. ვთიბდიდით... უნაწილებდით...სხვას ვამ-
ლევდიდით, რო გემო გაიგასა, რახელ ესავ კამპეტკივ.“**

რუსიკოს მონათხრობში იმეზნება III ხოლმეობითის მწკრივის ფორმაც, რომელიც თვით ძველ ქართულშია იმვიათი:

**„როვინ უფროსი ვილაცა რო შამავიდის, დიაც ფეხზე უნდა ამ-
დგარიყვის.“**

ისიც ლოგიკურია, აუდიოჩანაწერში ვერცერთი „ხოლმე“-ნა-წილაკიანი ფორმა რომ ვერ დავადასტურეთ.

1966 წელს დაბადებული ბესო წიკლაური ჩემი რესპონდენტი-ცაა და გზამკვლევიც. მისი მეშვეობით გავიცანი უხუცესი ინფორ-მანტები. ბესო ცნობილი სახალხო მთქმელის, ივანე წიკლაურის, ვა-ჟია. ამჯერად ბესო და მისი მეუღლე ხათუნა არაბულიჩემი მასპინ-ძლები არიან და, ბუნებრივია, საუბარსაც „რამ დამაბერას“ ავტორით ვიწყებთ. ახსოვს, როგორ სტუმრობდნენ მამას ვახუშტი კოტეტიშვი-ლი და ალექსი ჭინჭარაული. ახსოვს სუფრასთან ექსპრომტად გა-მართული ზეიმი ლექსისა და იუმორისა, ამ სუფრასთან დაბადებუ-ლი იდეები, რომელიც 1979 წლის 14 აპრილის ხალხური პოეზიის სადამოზე რეალობად იქცა. ბესოს არხილოსკალო და თავისი უბანი დიდი ხნით არ მიუტოვებია. ახსოვს ხევსურული ადათ-ტრადიციე-ბი, „წელწადის“ რიტუალიც გაიხსენა და არხილოსკალოში ხევსურ-თა ჩამოსახლების ამბებიც, უფროსებისაგან გაგონილილი. ბესოს მე-უღლე, ხათუნა არაბული, 1973 წელსაა დაბადებული ხევსურეთში, სოფელ ბაცალიგოში. აქ 1992 წლიდან ცხოვრობს. ამბობენ, რომ დია-ლექტი არ დავიწყებიათ. უბანში ერთმანეთთან ჩვეულებრივ ხევსუ-რულად ლაპარაკობენ. 2-კილომეტრიან და 150-მეტრიან ქუჩაზე 70 კომლია, მათგან ყველა ხევსურია და არცერთი სახლი ცარიელი არ არისო. თუმცა მათგან ხევსურული ვერ მოვისმინე. ხშირად განმეო-რებული მოქმედების გადმოსაცემად ერთნაირი სიხშირით იყენებენ სხვადასხვა მწკრივის ფორმებს და „ხოლმე“ ნაწილაკს. ხოლმეობი-თის მწკრივები კი ერთხელაც არ უხსენებიათ:

„ხან იმათ ვეკითხებით, თუ რაღაცა ვერ გავიხსენეთ და ან ვერ ვიცით და იმის მიხედვით ვაკეთებთ... ძირითადად, რაიონში და-ვდიოდით შეჯიბრებებზე. სხვადასხვა რეგიონებში გვიწევდა გა-

სვლა... 1917 წელში, იტყოდა, რო ვარ დაბადებულიო... ამირან არა-
ბული და ეთერ თათარაიძე რო მოდიოდნენ, იმათ ჩაიწერეს რაღაცა
ლექსები... [მამა თავის ლექსებს-ნ.ც.] ძირითადად, იწერდა და მერე,
თუ ვიღაცას სჭირდებოდა, გადაიწერდნენ ხოლმე... ფანდურზე მღე-
როდა ხოლმე მამაჩემი და ამეებს, მახსოვს, რო იწერდნენ... არ ამბობ-
და ხოლმე ხშირად თვითონ [მამა თავის ლექსებს – ნ.ც.]... ჩემი და
იტყვის ხოლმე, მე მაკითხებდაო. აი, რაღაცა ლექსი დავწერე და წაი-
კითხეო... იტყოდნენ, რო არავის არ უნდოდა წამოსვლა , მარა იძუ-
ლებით გადმოსახლეს... ბავშვებს გაგვაგზავნიდნენ, რო სტუმარი
უნდა წამოგვეყვანა... ხან მუხლით დაუჯდებოდით. ზოგს გამო-
გვდიოდა, ზოგს – არა. იცინოდნენ ხოლმე, ხედავ, კაცო, რა გვი-
თხრაო. ჩავჭიდებდით ხოლმე ამ კაცს ხელს და აღარ უშვებდით.
ზოგი იძულებული ხდებოდა, რო წამოსულიყო ... ბევრს უცდია მო-
სმენა ამ ხუცობისა, მაგრამ ვერ უსწავლიათ.(ბ.წ.)... „ვეხმარებოდით
ჩვენც... წაგვიყვანდნენ ხოლმე ჩვენც დილით და როგორ გვეზარებო-
და, ექვს საათზე რო დაგვიძახებდა დედაჩემი. ეხლაც ბევრჯერ
იტყვის, რო ძალიან მეცოდებოდითო... თოვლში მარტოკებს არ გვიშ-
ვებდენ“ (ხ.ა.).

როცა უხუცეს რესპონდენტს ხოლმეობითის პირველი და მეო-
რე პირის ფორმების შესახებ ვკითხე, „ვთიბდიდით“ ან „ვწერდიდ“
სიტყვები თუ გახსოვს-მეთქი, ბესოც მახლდა ინტერვიუზე. მაშინ
ჯარჯის პასუხი („ეხლა ვინლა ამბობს ისე, აღარავინ ამბობს“). ბესომ
ასე დააზუსტა: „შეიძლება ეხლა [ჯარჯიმ-ნ.ც.] ვიღაცას მოუყვეს, რო
„მაშინ, როცა ახალგაზრდა ვიყავ, ვწერდიდ ლექსებსო... ან ეხლა თუ
სიტუაციამ მოიტანა, თქვას ესეთი რაღაცა, რო, აი, „მთაში რო ვცხოვ-
რობდით, იქ ვთიბდიდით იმ მამულს, ის ჩვენ იყვისო“.

რესპონდენტთა ეს ფრაზები კიდევ ერთხელ ადასტურებს
იმას, რომ ხოლმეობითის ხსენებული ფორმები (პირველი და მეორე
პირის) შირაქელი ხევსურების ხსოვნაშია შემორჩენილი. ყოველ-
დღიურობაში ისინი მას აღარ იყენებენ და როგორც სკივრში შემონა-
ხულ რელიქვიას, მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როცა მთაში მშობლი-
ურ გარემოს სტუმრობენ; ან როცა ხევსურეთიდან შორს ერთმანეთ-
თან საუბრობენ; უფრო ხშირად კი მაშინ, როცა ძველის გახსენება
უწევთ, რათა მონათხრობს იმ ძველის კოლორიტი დაუბრუნონ.
ეს ფუნქცია უნდა ჰქონდეს მრავალგზისობის შინაარსის გადმოსა-

ცემად გამოყენებულ დიალექტისეული ფორმებს როგორც რუსიკო ალუდაურის მიერ მონაყოლში, ასევე ლეილა და ნელი წიკლაურების დიალოგში. რესპონდენტები წუხან, რომ ხევსურული თვალსა და ხელს შუა იკარგება. ლეილა ამბობს: ბავშვები რომ იზრდებიან, ჩვენც იმათ ლაპარაკზე გადავდივართ. ძალაუნებურად ჩვენც უკვე გადავჩვიეთო. „აღარავინ აღარ საუბრობს, აი, ნელად (ამ მოკლე ხანში – ნ.ც.). ჩვენი თაობაც უკვე გადაეჩვია. თუ ვლაპარაკობთ, ერთი-ორი... მეც დამავიწყდა, უფრო კარგად ვიცოდი ადრე.“ ნელიც ამბობს, რომ ჩვენი თაობის ახალგაზრდები ადრე ერთმანეთთან ხევსურულად ვსაუბრობდით და სკოლაში პრობლემებიც კი გვქონდაო. იმასაც აღნიშნავს, ძველ ქართულს კლასში ყველაზე კარგად მე ვიგებდითო. რაც შეეხება 70-იანი წლების შემდეგ სოფელ არხილოსკალოში დაბადებულ თაობას, ისინი ხევსურულად უმცედომოდ ვედარ მეტყველებენ. ლეილა ამაზე შენიშნავს: „ჩემი შვილები კი ცდილობენ [ხევსურულად საუბარს – ნ.ც.], მაგრამ ამახინჯებენ. ვეტყვი ხოლმე, რო საერთოდ დაანებეთ თავი, როცა არ იცით. ნუ საუბრობთ, რო არ გიხდებათ და ვერ ახერხებთ.“ ამის მიზეზად ისინი ასახელებენ სოციალურ გარემოს (სკოლა, ტელევიზია...) და, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულებში მოძალეზულ ინტერნეტ სამუშაოლებს.

ამის ფონზე გასაკვირი აღარცაა, რომ 1980-იან წლებში და შემდეგში დაბადებული ხევსური ახალგაზრდების მეტყველებაში დიალექტისეული წარმოება მრავალგზისობისა თითქმის მთლიანად ახალს ჩაუნაცვლებია და ხოლმეობითის ოდინდელ მწკრივებს არქაული აქსესუარის ფუნქციადა შერჩენია.

1980 წელს დაბადებულ ლევან წიკლაურს ათენგენობის ხატობაზე ვკითხვით, რითი განსხვავდება ხევსურეთში ნანახი რიტუალი აქაური, არხილოსკალოში გამართული ათენგენობისაგანო: „იქ ლუდი იხარშებოდა... ჯვარში რა სახელითაც იკვლებოდა საკლავი, იმას ახსენებს [ხუცესის მოვალეობის შემსრულებელი – ნ.ც.] და იკვლება საკლავი... ოთხი ადამიანი რიგითობით თავიდან დავიწყებთ და მივყვებით... ოთხი ადამიანი ვართ დასტურები.“ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი შემდეგი რესპონდენტი 1996 წელს დაბადებული ქალდა წიკლაურია, ცნობილი მოლექსის, ივანე წიკლაურის, შვილიშვილი. ქალდა ილიას უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სო-

მელიეს პროფესიასაც დაუფლებია და წარმატებული ტურმენეჯერიც არის. მაშინ, როცა მათ ოჯახში ინტერვიუზე ვიყავი, სოფელში არ იყო. მოგვიანებით გულამაყრის ტურიდან ახალდაბრუნებულს ინტერნეტით დაუკავშირდი. ჯერ ალილოს რიტუალი და „წელწად შამაე წუხრა“ გაიხსენა. ხუთი წუთის ინტერვალში ხევსურული საერთოდ ვერ მოვისმინე. სამაგიეროდ, 14-ჯერ ახსენა „ხოლმე“:

„ამ ნადავლით ძალიან კმაყოფილები ვიყავით ხოლმე... აუცილებლად სუფრა იშლებოდა ჩვენთან... კეცეულებს დავაცხოვდით ხოლმე, ან ხინკალი კეთდებოდა სახლში... ცოტა გადაკახურებული სუფრაც გვქონდა ხოლმე ჩურჩხელებით, გოზინაყით, საცივით... ხანდახან თხუთმეტშიც გრძელდებოდა ხოლმე, გაგვქონდა ხოლმე ტკბილეული.“

მერე ათენგენობაზეც ილაპარაკა ზუსტად 2 წუთი და 57 წამი. ამჯერადაც სხვა მწკრივებთან ერთად „ხოლმე“ ნაწილაკის თქმა 3-ჯერ მოასწრო:

„ათენგენობას ავღნიშნავდით ბაცალიგოში ან რომშკაში. თითქმის ყოველ ზაფხულს მივდიოდით... იხარშებოდა ლუდი, რომელიც მზადდებოდა ერთი კვირით ადრე... ყოველ წელს იცვლებოდა დასტური. ძალიან დიდი სტუმრიანობა გვქონდა ხოლმე... ორშაბათს ვიცოდით ხოლმე საფლავებზე გასვლა... ორშაბათს მთავრდებოდა ხოლმე ათენგენობა.“

ამის შემდეგ ვთხოვე, ათენგენობაზე კიდევ მიაბე, ოღონდ წარმოიდგინე, ხევსურეთში ხარ, ხევსურების გარემოცვაში-მეთქი. ეს ორი ბოლო აუდოჩანაწერი შეიძლება კოდების გადართვის საინტერესო შემთხვევად განვიხილოთ. ქალდამ მოახერხა, ათ წუთამდე დროით შუალდში ერთსა და იმავე თემაზე საუბრისას ერთი დიალექტიდან მეორეზე გადართულიყო. დიალექტი, რომლითაც პირველ ჩანაწერში ათენგენობაზე ლაპარაკი დაიწყო, არაფრით განსხვავდება არხილოსკალოელი და ზემოქედელი მთიულების მეტყველებისაგან. თუმცა, ამჯერად უკვე გაუცნობიერებლად, რესპონდენტი შუა საუბარში (3 წუთი და 3 წამი) 2-ჯერ დაუბრუნდა თავდაპირველს. ეს გადართვა ინტონაციურადაც კი შესამჩნევი იყო. აქ ქალდამ მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად სხვა ხევსურულ ფორმებთან ერთად (დასხდებოდეს, რჩებოდეს ისინი) 14-ჯერ

გამოიყენა ძველი წარმოება და მათთან ერთად 3-ჯერ ახსენა „ხოლმე“ ნაწილაკიც:

„კარგ იყვის, კარგ. ორ-სამ დღიან ღრეობა იცოდინა... გვიხაროდის ძალიან ახალგაზრდების მოსვლა... ციოდა ხოლმე და ერთი ოთახი გვექონდა და იქ შემოვიდოდა ხოლმე, ბავშვიანი ვინც იყვის...იქ ხან ვთამაშობდით, ბავშვებ როცა ვიყვენით. კაცებ ისხდიდინ სხვა ოთახში. ხან შუქიც არ გვექონდის... ეგრ ვიყენიდი... იმღერიან,იცეკვიან,სვიან სასმელ. ბევრ სასმელს სვამდნენ ხოლმე. ხან დაიძინებდენ. ზოგს სად ეძინა, ზოგს სად ეძინა. ორშაბათისთვის უკვე ფხიზლდებოდ ხალხ და მიდიოდ სახლში და ზოგ კი რჩებოდეს სამშაბათამდე.“

დასკვნისათვის ვიტყვით, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ხევსურეთიდან შირაქში ჩამოსახლებული ხევსურების მეტყველებაში მრავალგზისობის გრამატიკული კატეგორია ძველებურად აღარ გამოიხატება: საკუთრივ დიალექტისათვის დამახასიათებელი ხოლმეობითის მწკრივები უკვე მოშლილია ან მოშლის ზღვარზეა (გასული საუკუნის 20-70-იან წლებში დაბადებულთა თაობა). უხუცესი რესპონდენტიც კი, მართალია, „ხოლმე“ ნაწილაკს საერთოდ არ ახსენებს, ხოლმეობითის მწკრივთა მხოლოდ მესამე პირის ფორმებს მოიხმარს. ხევსურული ფორმების გამოყენებაშემდგომი თაობის წარმომადგენლთა მიერ იშვიათია და დატვირთული ჩანს ფუნქციით – აღადგინოს ძველი კოლორიტი. მრავალგზისობის შინაარსს სხვადასხვა მწკრივითა და „ხოლმე“ ნაწილაკით გადმოსცემენ 80-იან წლებში და მის შემდეგ დაბადებული ხევსური ახალგაზრდები. რადგან მათი მეტყველება თითქმის არაფრით განსხვავდება არხილოსკალოსა და ზემო ქედში მცხოვრები მთიულების მეტყველებისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი ქართული ენა 2016 – ახალი ქართული ენა (სალიტერატურო ენის მორფოლოგია), II, თბილისი.

ახალი ქართული ენა 2017 – ახალი ქართული ენა (დიალექტების მორფოლოგია, კრებსითი ანალიზი), III, თბილისი.

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხულებანი, III, თბილისი.

ჭინჭარაული 1960 – ალ.ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი.

ს ო ფ ი კ ო ჭ ა ა ვ ა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა სოფელ სარფში (1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით)

არნოლდ ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმში (თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი) დაცულია აკად. არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, რომელიც მოიცავს მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვან საარქივო მასალებს. მათ შორის, გამორჩეულია მეცნიერის მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციების ამსახველი დღიურები, რომელთა დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია და უცნობია სამეცნიერო საზოგადოებისათვის. როგორც ვიცით, 1926-1929 წლებში ლაზური ენის შესახებ მასალების მოსაპოვებლად ახალგაზრდა მეცნიერმა იმოგზაურა აჭარასა და აფხაზეთში, ხოლო ექსპედიციებზე მოპოვებული მასალები – ტექსტები და კვლევის შედეგები გამოაქვეყნა თავის სამ მონოგრაფიაში: 1. ჭანური ტექსტები. ნაკვეთი პირველი. ხოფური კილოკავი. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, 1929; 2. ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ტექსტებითურთ). თფ., სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის გამ-ბა, 1936; 3. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი, ნ. მარის სახე-

ლობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, 1938.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას მიერ აჭარაში, სოფ. სარფში 1926 წელს ჩატარებული მივლინების დღიურს და თსუ-ს პედაგოგიური ფაკულტეტისთვის გაგზავნილ სანგარიშო მოხსენებას (აღიშნული ხელნაწერი სულ 16 გვერდისგან შედგება).

არნ. ჩიქობავა იყო პირველი მეცნიერი, რომელიც ლინგვისტური სამეცნიერო მივლინებით ჩავიდა სარფში. იგი თითქმის ერთი თვის განმავლობაში (19 ოქტომბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით) ცხოვრობდა ლაზებთან ერთად, იწერდა ლაზურ ტექსტებს და აკვირდებოდა იქაურ ენობრივ სიტუაციას. მეცნიერი დღიურში დეტალურად აღწერს ექსპედიციასთან დაკავშირებულ მოვლენებს, მგზავრობისას წარმოქმნილ სატრანსპორტო სირთულეებს და ბიუროკრატიულ ორგანოებთან ურთიერთობებს, რომელთა მიერ გაცემული სანებართვო დოკუმენტების გარეშე ვერ შეძლებდა დანიშნულების ადგილამდე მისვლას. ჩანაწერებში ხშირად ყურადღება გამახვილებულია ამინდზე, რადგან მასზე იყო დამოკიდებული ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე გადაადგილების შესაძლებლობა. ამასთანავე, მეცნიერს დაკონკრეტებული აქვს სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილების, ქუჩების, სასტუმროებისა და გემების სახელწოდებები. დასახელებულ ცნობათა შორის ყველაზე ღირებულია მეცნიერის შეფასებები და დასკვნები სოფ. სარფში მცხოვრები ლაზებისა და ლაზური ენის გრამატიკული თავისებურებების შესახებ.

სამეცნიერო მივლინების დღიურიდან ჩანს, რომ არნ. ჩიქობავა სარფამდე მისაღწევად გადაადგილდებოდა: მატარებლით, გემით, ლინეიკით, ცხენით, ნავით, მოტორიანი ნავით, ავტომობილით და ხშირ შემთხვევაში ფეხით. მგზავრობის პირველ დღეს აღნიშნული აქვს, რომ ნატანებსა და ქობულეთს შორის ჩქარი მატარებელი ლიანდაგიდან გადაუყვანიათ და გაუძარცვავთ, ამიტომ დამხმარედ ორთქმავალი და ორი ვაგონი გამოუმახებიათ. ეს პატარა ინციდენტი მაგალითია იმისა, თუ რამე მძიმე პირობებში უწყვედა სამივლინებო მოვალეობის შესრულება ახალგაზრდა მეცნიერს. ბათუმში ჩასვლისთანავე არნ. ჩიქობავა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის „ამხანაგს“ (მოადგილეს – ს. ჭ.) **დავით ქუთათელაძეს** და პროფგანათლების ინსპექტორს **ნეოფიტე ბოჭორიშვილს** ესტუმრა

დოკუმენტებისთვის. ამათ გარდა, საჭირო იყო სანაპირო რაზმისა და ნავთსადგურის უფროსის მიერ გაცემული საბუთები. ყოველივე ამას ემატებოდა სიდუხჭირე და საკვები პროდუქტების დეფიციტი.

სარფში ჩასული მეცნიერი ლაზებმა სკოლის ერთ ოთახში დააბინავეს (თურმე სკოლას სასტუმროს ფუნქციითაც იყენებდნენ, რადგან სხვადასხვა ეროვნების ტურისტებიც იქ რჩებოდნენ ღამის გასათენებლად). მას მასპინძლობას უწევდა ახალგაზრდა მასწავლებელი **პოლიკარპე ხაინდრავა** (ადგილობრივი მეგრელი), რომელიც არნ. ჩიქობავამ დაახასიათა როგორც კეთილშობილი და ყოველმხრივ ღირსებით შემკული ადამიანი. არნ. ჩიქობავა მივლინების დღიურში ხშირად ასახელებს იმ პირების სახელებსა და გვარებს, რომლებთანაც ურთიერთობა უწევდა. აუცილებლად აღნიშნავს თუ რომელი კუთხიდან იყვნენ ისინი და რამდენიმე სიტყვით ახასიათებს მათ პიროვნულ თვისებებსაც. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, სარფელი ლაზები, ნებაყოფლობითა და პუნქტუალურობის ზედმიწევნით დაცვით, მასწავლებელს (პოლ. ხაინდრავას) დღეში ორჯერ უგზავნიდნენ საჭმლებს. ამ შესტით ადგილობრივები პატივისცემას გამოხატავდნენ მასწავლებლისადმი. გარდა ამისა, ამით ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ სკოლის ფუნქციონირებისათვის.

ახალგაზრდა მეცნიერი ინფორმატორებისაგან იწერდა სხვადასხვა თემატიკის ტექსტებს, ცალკეულ სახელებს და ლაზთა შორის დიალოგებისას მოსმენილ საინტერესო ფრაზებს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ თურქული ენის არცოდნის გამო ხელი ეშლებოდა სავლელ მუშაობისას, რადგან ადგილობრივმა ლაზებმა არ იცოდნენ არც ქართული და არც რუსული. მეცნიერს დღიურში რამდენჯერმე აქვს აღნიშნული ლაზურ ენასთან დაკავშირებული გრამატიკული შენიშვნები, რომლებსაც მასალების ჩაწერისას ინიშნავდა.

არნ. ჩიქობავამ საკვლევი მასალები მოიპოვა შემდეგი ინფორმატორებისაგან: 1. **ახმეტ თანთოდლისთან** (პოლ. ხაინდრავა – ს. ჭ.) ერთად თურქული და ქართული სახელმძღვანელოებიდან („პირველი სხივის“ – პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი მასწავლებელთა ჯგუფის მიერ, აჭარისტანის სახელმწიფო გამოცემა, II გამოცემა, ბათომი, 1925) ლაზურად თარგმნა რამდენიმე პატარა ამბავი და მასალები. 2. ათინური მასალები და გონიოს გათურქების ამბები ჩაიწერა **ალი რეზ-ნუმანოდლისგან**. 3. **ხატიჯესგან და სუნიესგან**(10-11

წლის გოგონები) ჩაიწერა ფრაზები 4. **ალი აბდულოღლისა** (მასწავლებელი) და **ახმეტის** დახმარებით ამოწერა ზმნების ფორმები (ზმნები ამოწერა ასევე ნ. მარის ლექსიკონიდან – ს. ჭ.). 5. **ოსმან-თანთ-ოღლისგან** ჩაიწერა „მცუდელა კაცის“ ამბავი. ეს კაცი ყველაზე კარგად ერკვეოდა ესა თუ ის სიტყვა არაბული იყო, თურქული თუ სპარსული. 6. იქაური **მოლას შვილი** მუშგაკის მსმენელი ყოფილა ბათუმში, ცოტა ქართულის მცოდნე, მას არნ. ჩიქობავასათვის მიუტანია ჩანაწერები (ერთი რვეული). 7. **ალი აბდულს** ხოფაში უსწავლია და იქაური ამბები სცოდნია. ალის თქმით, იქ ყმაწვილებს ქალი რომ შეუყვარდებათ, ლექსებს წერენო. არნ. ჩიქობავამ ალი აბდულს ანბანის წერა ასწავლა, რათა წერის პროცესში ისიც ჩართულიყო. 8. ერთ **ახალგაზრდას** თურქულად ჩაწერილი ლაზური ლექსები გადაუცია. 9. ერთ დღეს ჩაწერის პროცესში **გალმა-სარფელი ახალგაზრდაც** ჩარეულა და ზმნების პარადიგმების წერისას დახმარებია.

სარფელი ლაზები ცდილობდნენ მკვლევარს რაც შეიძლება მეტი მასალა მოეგროვებინა. მათ უხაროდათ, რომ სტუმარი არნ. ჩიქობავა კარგად საუბრობდა ლაზურად (არნ. ჩიქობავას თქმით, ლაზებს სვანების მსგავსად, დიდად არ სცოდნიათ კომპლიმენტები): **„მთელ მოსახლეობასთან კარგი განწყობილება მაქვს, დიდის ხალისით მხვდებიან და ყველა ამბობს: მეგრულად არ ამბობს, წმინდა ლაზურით ლაპარაკობსო. ახლა თითქმის სრულიად თავისუფლად მესმის რასაც ლაპარაკობენ. არც თუ უხეიროდ „ვდარდალაფ“ მეც“** – აღნიშნავს მეცნიერი.

ვინაიდან არნ. ჩიქობავას მიერ შედგენილი საანგარიშო მოხსენება პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, წარმოვადგენთ ტექსტის სრულ ვერსიას:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს

ამავე ფაკულტეტის მასწავლებელ არნ. ჩიქობავას ჭანურ სოფ. სარფში მივლინების

1926 წ. 19. X – 20. XI ანგარიში

ფაკულტეტის მივლინების თანახმად 19. X გავემგზავრე ბათომს, საიდანაც უნდა გადავსულიყავ სოფ. სარფში. ერთად-ერთ ლაზურ სოფელში, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ-ის ფარგლებში მოიპოება. აჭარისტანის განსახკომისარიატის დახმარებით

ავიღე საჭირო ნებართვა სანაპირო რაზმის სამმართველოსგან, მაგრამ ბათომიდან გამგზავრება მხოლოდ 24. X მოხერხდა: ამის მიზეზი ის იყო, რომ ხმელეთით მგზავრობა ჭირს: ჭოროხზე ხიდი არ არის (ჩანგრეულია), ხოლო ზღვით რეგულარული მიმოსვლა არ წარმოებს. ზღვაზე თუ ოდნავ დელვავა სულ არ შეიძლება სარფში ამოსვლა.

სარფი მდებარეობს ზღვის პირად, ბათომიდან დაშორებულია 16-18 ვერსით და წარმოადგენს მოსაზღვრე სოფელს, უკეთ რომ ვთქვათ საზღვარი ამ სოფელზე გადის: ერთი ნაწილი ოსმალეთშია, მეორე საქართველოში. აქითა სარფში დაახლოებით 38 კომლი არის, ყველა ლაზი – ენობრივად და ეთნიკურად. სარწმუნოებით კი მუსლიმი. მუსლიმური ფანატიზმის წყალობით ისინი ფსიქოლოგიურად უფრო ახლოს დგანან ოსმალეთთან, ვინემ ქართველებთან, თუმც სახელმწიფოებრივად კარგად გრძნობენ იმ უპირატესობას, რომელიც მათ გააჩნიათ ოსმალეთის ლაზებთან შედარებით. სოფელი, საერთოდ, მიუხედავად მიწის დიდი სივიწროვისა, ღარიბი სრულებითაც არ არის: ტრანსპორტზე მუშაობა, ტვირთის გადაზიდვა (ყველას თითქმის თავისი ნავი ყავს), მეთევზეობა და ფორთოხალ-ლიმონის მოშენება ამის მიზეზია.

ჩამორჩენილია აქაურებზე არ ითქმის: **წერა-კითხვა ოსმალური დიდმა უმეტესობამ იცის. ქართული თითქმის არაგინ (თუ ლაპარაკიც კი!), რუსული ცოტათი ზოგიერთმა.** სწავლის სურვილი დიდია: ადგილობრივ სკოლაში 52 ლაზის ბავშვია, მათგან ქალი 10 (ეს 38 მოსახლეზე): ასე რომ საშუალო ასაკი ამოწურულია, თუმცა ის კი უნდა აღინიშნოს, რომ შკოლისადმი ამ სოფელს პატივისცემა და სიყვარული ადგილობრივმა მასწავლებელმა **პ. ხაინდრაგამ** ჩაუნერგა.

სარფის ლაზურის შესახებ ლიტერატურაში არავითარი ცნობა არ მოიპოებოდა; რამდენადაც ვიცით იქ არ ყოფილა არც აკად. **ნ. მარი,** არც განსვ. პროფ. **ო. ყიფშიძე** (რომელმაც ჩხალის ლაზური გამოიკვლია 1911 წ. და 1917 წ. ხოვა – ვიწეში მუშაობდა), არც ფრანგი ენათმეცნიერი აჭარიანი, არც JhKluge...

სარფში ვმუშაობდი 25.X-დან – 19. XI სადამომდი, სულ 26 დღე, როდესაც იქიდან გამოვემგზავრე... ამ ხნის განმავლობაში ჩემ მიერ ჩაწერილ იქნა 121 რვეულის გვერდი მასალა, უმთავრესად

პროზა, ჩავწერე მოწაფე **ახმედ თანთ-ოღლი** – 26 გვერდი მასალა; ამის მიზანი იყო გამეწვრთნა ეს ახალგაზრდა ლაზურ ტექსტების ჩაწერაში, აღმემრა მასში სათანადო ინტერესი საქმისადმი და ამას გარდა ჩემი ჩაწერისათვის კონტროლი გამეწია.

ამის გარდა ვეცადე ადგილობრივ მომეწყო ჩაწერის საქმე ადგილობრივი ძალების საშუალებით: ადგ. მასწავ. **პოლ. ხაინდრავა**, რომელიც ერკვევა ლაზურში, იგივე **ახმედ თანთ-ოღლი** (ოსმალურად საკმაოდ განათლებული და ნიჭიერი ახალგაზრდა). თავს იძვეს განაგრძონ ტექსტების ჩაწერა. მეორე მასწ. ლაზი **ალი აბდულოღლი** ვერ გამოვიყენე ამ მიზნით, თუმცა ძალიან სასურველად მიმაჩნდა: მან ქართული ანბანი სულ არ იცის; ვეცადე ქართული წერა შემესწავლებინა; ისიც ხალისით მოეკიდა, ოღონდ მოუცვლელი ბის გამო ვერ დავამთავრე მისი გაწვრთნა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ 20. XI იქითობის აჭარისტანის განსახკომის მოად. **დ. ქუთათელაძესთან** საუბარში მე აღვძარი საკითხი **განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ლაზი ახალგაზრდებისათვის, ისეთი როგორსაც ჩვენში აძლევენ მთისა და განაპირა მხარის ბავშვებს და ქართული განათლების მიღებით დაენერგათ ადგილობრივ ქართული კულტურის ორიენტაცია, რაზეც ამჟამად ლაპარაკიც არ შეიძლება.** ლაზური ტექსტების ჩაწერასთან დაკავშირებით ლაზურზე მუშაობის პროცესში გამოირკვა საინტერესო ფაქტების რიგი; მათში უმთავრესია: 1. რ ბგერის დასუსტება გარკვეულს კომპლექსში, რაც ძალუმად სცვლის ლაზურის გარეგნობას (შეადარე: ემუქ ნიხიდელეეტუ< ემუქ ნიხირელერეტუ: „იმას მოეპარა“)... 2) მოთხრობით ბრუნვის ხმარება ქვემდებარედ გარდამავალ ზმნებთან რა დროც არ უნდა იყოს: ემექ ჭასეფე იქიფს მაქთუბი (იმან წერს წერილი), ხოლო ცვალებადი დამატების ყოველთვის სახელობითი დასმა წერს კია არა, არამედ რა? 3) სპეციფიკური აღწერითი წარმოება ნამყო-სრულისა და წინარე წარსულისა (ცწერდი, დამიწერა, დამეწერა)... ამათგან პირველისა და უკანასკნელის შესახებ არავითარი ცნობა არ გვექონდა, მეორის შესაძლებლობა გაკვრით იყო აღნიშნული და სულ სხვა გაშუქებით წარმოდგენილი აკად. ნ. მარის მიერ. (რაც ბუნებრივია თუ მით უფრო რომ სარფში იგი არ ყოფილა...) სხვაზე აქ არ შევჩერდებით.

დასასრულ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ **ლაზური კრიტიკულ მდგომარეობაშია. ლაზი ორენოვანი მოქალაქეა: ოსმალური მისთვის უფრო ერთად-ერთი ენაა, და ძალზე გაგრძელებული სასაუბრო... ოჯახშიაც ოსმალური ბატონობს. ყოველმა ლაზმა მამაკაცმა ოსმალური უკეთ იცის, ვინმე ლაზური... ლაზურის ერთადერთი დასაყრდენი ქალების და ბავშვების ენაა (სანამ ოსმალურს შეისწავლიან) – ამ ვითარების შედეგია ის რომ ლაზი ყოველდღიურ ელემენტარ ცნებებისათვის, როგორცაა: ძვირი, იაფი, მაღალი, ღრმა, თხელი, წყალი... თურქულ სიტყვებს ხმარობს, ლაზური არავინ იცის. ანგარიში ბუნებრივია ოსმალურია (ათს იქით რიგობით რიცხვით სახელს ლაზურად ვეღარც კი ამბობენ), დღეებისა და თვეების სახელები თურქულია და ლაზური იშვიათად თუ ვინმემ იცის (მამაკაცებში)...**

ამრიგად: **ლაზური ლექსიკა კატასტროფულად იყვინთება ოსმალური სიტყვებით, მორფოლოგია სადავდება და სპეციფიკურ ქართველურ ხასიათს კარგავს და მხოლოდ ზმნის აგებულების მეტად თავისებურ ხასიათის გამო არ ხერხდება მისი თურქულით შენაცვლება...** ყოველივე ეს მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჭანურის მასალების ინტენსიურად შეგროვებას, რომ მეცნიერებას აუნაზღაურებელი არ მოუვიდეს იმ ჩვენებათა დაკარგვით, სამუდამოდ არ დაეკარგოს ის ჩვენებანი, რომელიც ჭანურს შეუძლია მისცეს ქართველურ ენების ისტორიულ-შედარებითი შესწავლისას არა ერთ მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტისას: ეს ჩვენება კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ თუნდაც მეგრულის ჩვენებანი... ამ მხრივ მის მაგივრობას ვერაფერი გასწევს.

დასასრულ საჭიროდ ვთვლი მადლობა ვუძღვნა: 1. ხელმძღვანელს **პროფ. ა. შანიძეს**, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს მივლინება. 2. პედაგოგიურ ფაკულტეტს, რომელმაც საამისო შვებულება მომცა, 3. სამეცნიერო დაწ. მთავარმართველობას, რომელმაც საჭირო თანხები გაიღო; აგრეთვე: აჭარისტანის განსახკომის მოადგილე **ქუთათელაძეს** და პროფ. განათლების ინსპექტორ **ნ. ბოჭორიშვილს**, სოფ. სარფში კი განსაკუთრებით – მასწ. **პ. ხაინდარავას**, რომლის დახმარებით შესაძლებელი გახდა ნორმალური სამეცნიერო მუშაობის წარმოება და თავიდან აცილება ყველა იმ გაუგებრობათა, რომელზედაც ასე ჩივოდნენ ლაზურის მკვლევარნი და რომლებიც დი-

დად აძნელებდნენ სამეცნიერო მუშაობას“ (არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი; თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტი. არნ. ჩიქობავას პირადი არქივი, 20-იანი წლების მასალები).

ამრიგად, ჩვენ მიერ მოძიებული ზემოთ დასახელებული სა-არქივო მასალებიდან ჩანს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. აკ. შანიძის მიერ დაგეგმილი სამეცნიერო მივლინება იყო მეტად საშური და საჭირო საქმე, რომელიც დიდი პასუხისმგებლობითა და მაღალპროფესიული სტანდარტებით შეასრულა ახალგაზრდა მეცნიერმა არნ. ჩიქობავამ. ურთულესი პირობების მიუხედავად, მის მიერ საზღვრისპირა სოფელ სარფში მოპოვებული ლაზური ტექსტები, იქაური სოციოლინგვისტური ვითარების ამსახველი სამივლინებო დღიური და საანგარიშო მოხსენება ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ქართველური ენებისა და ქართველოლოგიური ისტორიოგრაფიის მკვლევართათვის. ჩვენ მიერ მოძიებული საკვლევი მასალებიდან ირკვევა, რომ დაახლოებით 100 წლის წინ ლაზური ენის გამოყენება ნელ-ნელა მცირდებოდა და მის ადგილს აქტიურად იკავებდა თურქული ენა. ქალებისა და ბავშვების მიერ შენარჩუნებულ ლაზურს შველა სჭირდებოდა. სწორედ ამ მძიმე პერიოდში, ახალგაზრდები: **პოლ. ხაინდრავა და არნ. ჩიქობავა** ახერხებენ რადიკალური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცვლილებები შეიტანონ ლაზთა ეთნიკური და ენობრივი თვითშეგნების სწორად წარმართვაში. ადგილობრივმა მასწავლებელმა **პოლ. ხაინდრავამ** სარფელ ლაზებს ქართულ ენაზე წერა-კითხვა და ზოგადად, სწავლისადმი სიყვარული ჩაუნერგა. **არნ. ჩიქობავამ** კი ლაზური ტექსტების ჩაწერა/აღნუსხვა ასწავლა იქაურ ყმაწვილებს და ამ ტექსტების მოპოვების აუცილებლობაზე გაამახვილებინა ყურადღება, ამასთანავე, აჭარის განათლების სამინისტროს მოუწოდა, ქართული განათლების მეშვეობით,სარფელ ლაზთა შორის ქართული ორიენტაციის განვითარებისთვის შეეწყობთ ხელი.

წინელი ჭობონელიძე

ზოგიერთი სახეობის ჭურჭლის ნასესხები სახელის ისტორია

ქართულში საკუთრივ ქართველური წარმომავლობის სიტყვებთან ერთად დასტურდება, როგორც ზეპირი, ასევე ლიტერატურული გზით შემოსული ნასესხები მასალაც.

ძველად ნასესხები ბევრი სიტყვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამქრალია (სათანადო რეალიების გაქრობასთან ერთად), ზოგი კი დღესაც შემორჩენილია და აქტიური ხმარების ფონდშიც შემოდის (ფოჩხუა 1974: 357). ამასთან არაა გამორიცხული, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობისა და წარმომავლობის სიტყვა შეიძლება ნასესხები იყოს სხვადასხვა ენიდან განსხვავებულ დროში, ამის გამო კი დაბუნდოებული იყოს მათი წარმომავლობა.

ნასესხები სიტყვის გაქართულება ხდება არა მხოლოდ ბგერალობის, არამედ აგებულებისა და მნიშვნელობის ცვლილებითაც.

ამჯერად შევეცდებით წარმოვადგინოთ სამწერლო ქართულიდან ცნობილი, ლიტერატურული გზით ნასესხები, ზოგიერთი სახეობის ჭურჭლის სახელის ისტორია. ნასესხები მასალის წარმომავლობა მითითებულია სათანადო ლიტერატურაში.

ლაგინი-

ძვ. ქართ. **ლაგნი** საწყლე, დოქი, ჭურჭელი: „*ლაგნითა* წყალი ზე ედგას მქართა“ (მრ.14,13); „დავდგი... *ლაგნები*, სავსე ღვნითა“ (I, იერემ.35, 5); „*ლაგნითა* თაფლი“ (O, III მფ. 14,3); „დაყო ორმეოც დღე კნინსა ზედა ოსპნსა და *ლაგნსა* ერთსა წყალსა“ (მ. ცხ. 116r); „*ლაგნი*, სავსე ზედაშითა“ (Sin.-11,318r). **ლაგნტარი** საწყლე, დოქი: „ორი *ლაგნტარი* აქუნდა წყლისათჳს“ (მ. ცხ. 199r); „დავსო ლაგნტარი ერთი ფოლითა“ (მ. ცხ. 171r) – ილ. აზულ.

საშ. ქართ. **ლაგინარი** (სპარ.), **ლაგინი** (ლათინ.) პირფართოსარწყული, სარქვანი – საბა, დ. ჩუბ.

ახ. ქართ., დიალექტ. სარდაფიდან უკვე *ლაგინები* გაჰქონდათ არყითა და ლუდით (ი. მაჭავ. თარგმ.) – ქეგლი. *ლაგინი* არ გა-

მიკეთებია, მაგრამ ორხელი ჭურია, ხმარობენ პწნილისათვის (ქვ. იმერ. მრეწ. II, I, 161).

ლაგვანი ქვევრი; **ლაგვანტარი** საწყლე დოქი; ორშიმო ზან.(მეგრ. ქობ.).

ამავე სიტყვისაგან ფონეტიკური ცვლილებებით უნდა მომდინარეობდეს **ლაგინა** (გურ.) პატარა დოქი (შდრ. ლაგინი). «ბარელამ ღვინოც ამოილე გვერდის ჭურიდან, მოქაფული ღვინო რომაა. წაილე, აგერაა *ლაგინაი*» (ნ. ნაკაშ.) – ქეგლი. **ლაგინა** 3-4 ლიტრიანი დოქი. „ქორწილში კი დავლიე ერთი *ლაგინაი* ღვინო“ (ზახ., გურ.ჯაჯან.).

ლანკან-ი:

ძვ., ახ. ქართ. **ლანკანი** (ბერძნ. lekane) ლამბაქი „ფიალა“. თუალ-მარგალიტოვანი *ლანკნები* და პინაკები (ქ. ცხ. II, 139, 16). საკმრად *ლანკანთა*, თანად პინაკთა, / ბადაკშნით კელ-ყენეს შექმნულობანი (აბდულ. 39,4).

ლანკანი დიდი თევში, – ლანგარი (ქეგლი).

დიალექტ. **ლანკანი** კომტე, ლანკანი (ლაგანი იციან) (ქიზ. II, I, 36).

ლაკანი:

ძვ. ქართ. **ლაკანი** ჭურჭელი. უზავებელსა *ლაკანსა* წყლისა ცხელისასა შთაიგდო თავი თვისი [A=689 222v, 37-40a]; გამოეძიებდეს ყოველსა მას *ლაკნებსა* [იქვე 222v, 10-11b) – ზ. სარჯ. შდრ. ლანკანი.

დიალექტ. **ლაკანა** კუთხ. (ინგილ.) გეჯა, რომელშიაც ძაღლს სალაფავს უსხამენ («შინამრეწ.») – ქეგლი. **ლაკანაი** [ახ. ლამან] ჭურჭელი, რომელშიაც ძაღლს სალაფავს უსხამენ. ლაკანაი წადანდელ დროში დანაზახნ ჟულაბი (ძველად ნახმარი სიტყვაა ზოგივე) (ინგილ. ლამბ.). აგრეთვე მრეწ. II, I, 65.

დორა:

ძვ., ახ. ქართ. დიალექტ. **დორა** ღვინის საწყაო. „წარილე შენ დორაჲერთი ღვინოდ და მიაართუ“ (მ. ცხ. 224v) – ილ. აბულ. **დორა** 1. თიხის ჭურჭელი (წყლისათვის). ძველთაგანვე აკეთებენ აქაურები (შორაპნის სოფლებში) თიხის ჭურჭელს: ჩაფს, დერგს, *დორას* ... (ბ. ჩხ.). 2. სითხის საზომი ერთეული (სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ზომისა იყო. *დორა* თორმეტი მანერკა არის ანუ სამი ბათმანი (ბ. ჯორჯ.). ისე მოიძებნ ხუთ-ექვს თუნგიან *დორას*, როგორც ერთ ჩარექიანსა (ს. მგალობ.). „*დორა-ც...* ხუთლიტრია-

ნი ყოფილა“ (ივ. ჯავახ.) – ქეგლ. ახ. რედ. ორხელიანი *დორის* კეთების დროს, ტანს რო ყელამდე ავიყვანთ, შევაჩერებთ, ხელებს ცალკე გავაკეთებთ და მერე დავუკავშირებთ ტანს (ლექს. მრეწ. II, I, 210). აგრეთვე: (ლექს. მრეწ. IV, III, 1989, 153; ლექს. ალაფ., ჯავახ. ბერ; ქართლ. მიმიგ., კეცხ., ხუბ. (ალ. ღლ.). ზან. დორა (მეგრ. ქობ.). დორანდ, დორად, დორან (სვან. თოფ., ქალდ.).

დიალექტებში დასტურდება აგრეთვე ვარიანტები: **დორობა** უნისკარტო დოქი (ლიხ., გურ. ჯაჯ.); **დურუბაი** სწორე პირიანი, მუცლიანი და ყელდაბალი დოქი (გურ. შარამ.); **სადორე** (ლექს.) სითხის ჭურჭლის დასადები მოწყობილობა ხისა (ალ. ღლ.).

დორაკი-ი:

დორაკი სითხის საწყაო, მოდრაკი: „აღსუარული ზეთითა მეოთხედითა *დორაკი-სადოთა*“ (რიცხ. 15,4). **დორაკი** კნინობითი ფორმა სახელისა დორა, – დორის ნახევარი (საბა). «დორაკი»-ც... 21/2 ლიტრიანი საზომი იყო (ივ. ჯავახ.) – ქეგლი ახ.რედ.

ძვ. ქართულის **დორაკი**-დან კი უნდა მომდინარეობდეს სიტყვები **დურაკი** „საწველი ჭურჭელი“ (საბა). დიალექტ. **დურკი** ფშ. ცხვრის საწველი ჭურჭელი ცილინდრული ფორმისა, – ტაგანი, საწველელი – ქეგლი.

ვალ. *dōrak, dōlak* ჭიქა, საწყაო. სპ. *Dōra* ვაზა, თასი (პ. აჭარ.). შდრ. ლათ. *dōlium* კასრი.

ფიალ-ი:

ძვ. ქართ. **ფიალი** თასი, ვარცლი, ტაშტი: „დასდვან... პინაკები და *ფიალები* და ციცხუები“ (M, რიცხ. 4,7); „შთაასხა წყალი *ფიალსა*“ (მ. ცხ. 76v) – ილ. აბულ.

ფიალი (ბერძნ.) სასმისი თასი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ფიალა** [ბერძ. *phialē*] 1. ღვინის სასმისი, პირგადაშლილი, დაბალი ჯამივით. ძმანო, მორიგი სავსე *ფიალით* ჩვენცა მოვუსხდეთ ცეცხლსა ანთებულს! (გ. ორბ.). მის (ჰამლეტის) სადღეგრძელოდ ხელთ ავიღოთ სავსე *ფიალა* (ი. მაჩაბ. თარგმ.). [ვაჟამ] ერთი დასცალა კიდევ *ფიალა*, უნაგირს მოჰკრა ტორივით ხელი, არწივის თვალი შეატრიალა და შავ ღამეში შეაგდო ცხენი (ი. მოსაშ.). || ფიგურ. [თამარს] ეტყობა, ტრფობის *ფიალა* ჯერ კიდევ სრულად არ დაუცლია (აკაკი). 2. ტაშტი, ჯამფილა (საოჯახო საჭიროებისათვის).

ეფემიამ... დანარჩენი თავლი ზოგი *ფიალაზე* დაასხა ტაბლისათვის და ზოგიც შეინახა (თ. რაზიკ.) – ქეგლი.

ფიალა ნაღების მოსახდელი ხის პატარა ჯამი (მთ. კაიშ.). აგრეთვე: მრეწ. II, I: მთ. 93; ქართ. მტკვრ. ჩრდ.102; ზ. ქართ. 104,115; ქვ. რაჭ. 196; ქვ. სამეგრ. 246; გ. კახ. 54 .

დიალექტ. **ფიალა, ფიელა, ფრიალა** სამინდე ჭურჭელი, რომლითაც მეწისქვილე მინდს იღებს (ქიზ. მენტ.). **ფიელაჲ** მოზრდილი, გულგაშლილი ჭურჭელია (თუშ. მრეწ. II, I, 72, 74).

კუტალ-ი:

ძვ. ქართ. **კუტალი** სასმისი: „*კუტალი* ოქროსად, სავსე სასუმლითა რადთმე ტკბილითა, ვითარცა თავლითა“ (მარკ. 251r) – ილ. აბულ. **კუტალად** ჭურჭელი. იოვანე გაცუეთილმან *კუტალითა* ღვინოდ მომართუა [პარხლ. მრავალთ. 611v,30-31a] – ზ. სარჯ.

საშ. ქართ., დიალექტ. **კუტალი** (ბერძნ.) ხის ციცხვი; ან ბალის სარწყავთა ჩარხთა გარშემო მოკრული თიხის ქილა; აგრეთვე ფუკის კუტალი – დ. ჩუბ. *კუტალი* პატარაა, ერთი ყური აქვს. კოკა დიდია და აქვს ორი ყური (მესხ. მრეწ. II,I, 141). კოკას, *კუტალს*, საცრის ქარას ახალციხეში ვყიდულობდით (ჯავახ. მრეწ. II, I, 144). **კუტალი** არი ხის საწყლე ჭურჭელი, თუნგივით (ზ. რაჭ. მრეწ. II, I,200).

კუტალი ხის პატარა ტუჩიანი საწყლე ზან. (მეგრ. ქობ.).

კუტალ, კუტალ კულა, ღვინის სასმისი (სვან. თოფ. ქალდ.)

მნიშვნელობის გადატანით **კუტალი** კოკის პირსაცავია, ხისაა. ამასაც ბერიკაცები აკეთებენ. **კუტალი** იხმარება მხოლოდ კახეთისაკენ (ქიზ. მრეწ. II, I,32).

ფონეტიკური ცვლილებებით: **კუტო** თუჯის პატარა თუნგი ძეშუთი. *კუტოებ* ქისტეთითა მოგვქონდის (თუშ. ცოც.).

შიშ-ი:

ძვ. ქართ. **შიში** შუშა, «ალაბასტრი»: = „რომელსა აქუნდა *შიშითა* ნელსაცხებელი“ (მთ. 26,7) ; „რომელსა აქუნდა *შიში* ნელსაცხებელი“ C, – „...ალაბასტრი ნელსაცხებელისა“ (DE მთ. 26,7) – ილ. აბულ. სპარსული *šīšī, šīše* – „მინა, შუშა“. *šīse* – შუშა, მინა, ფლაკონი, სარკე და სხვ. (ანდრონიკაშვილი II, 1996).

საშ. ქართ. **შუშა** (სპარს.) მინა ან ჭიქის ჭურჭელი – დ. ჩუბ. დამიდგა კარგი სადილი, წინ ღვინით სავსე *შუშაო* (დ. გურამ. 150, 1, 6). მეორეს მხარესა – სულ ლამაზად დახატულის ნაბათით სავსე *შუშე-*

ბითა შაქრის ლერწმის და ხამის შაქრის მეტი (იდვა) (რუსუდ. 451, 37). ოქროს *შუშები* მრავალი უყრია, ვითა სალია (ფეშ. 100, 3).

ახ. ქართ. **შუშა** [სპარ. ში*შე] 1. იგივეა, რაც მინა1. 2. ამ ნივთიერებისაგან გაკეთებული მცირე ზომის ჭურჭელი ან სხვა რამე საგანი. მელნის *შუშა*. – ამ ფაფიდან მექარხნემ ბუშტებივით დაბერა მომრგვალო *შუშები* (ი. გოგებ.). წამალიც მომცეს პატარა *შუშით* (ნ. ლომ.). ლამპას ავუწიე და *შუშა* გასქდა (ნ. ლორთქ.). 3. გადატ. იტყვიან სწორ და კრიალა, ლამაზ რამეზე (ჩვეულებრივ ქალის თითებზე, კიტრზე...). ქალს თითები აზრებოდა, ის *შუშა* თითები, რომლებიც აცხოვრებდნენ ოჯახს (ვ. ბარნ.). ბიძა-ჩემმა... ერთი კალთა ქორფა, *შუშა* კიტრები მოიტანა (ნ. ლომ.) – ქეგლი.

დიალექტ. **შუშა** ბოთლი. ერ შუშა ღუნე დალივა, *შუშად* (ახ. შუშა) – ღამბ. ჯანგ (ინგ. ჰასრ.-ომარ.). **შუშე** მინის ჭურჭელი. ღამაზათ შეხრესენ და *შუშეში*, ემეში ჩადებენ (ჩაქ., შავშ.). წყალს ვსვამთ *შუშით* (აჭარ. მრეწ. II, I, 263).

შუშა შუშა; მინის პატარა ჭურჭელი ზან. (მეგრ. ქობ.).

მაშრაფა:

სამწერლო ძეგლებში **მაშრაფა** სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით და მნიშვნელობით დასტურდება.

მაშრაფა სასმისი, წყლის ჭურჭელი. ერთი ასეთი *მაშრაფა* იდგა მთელის გათლილის აღმასისა, რომ არა არს პირსა ყოვლისა ქვეყანი-სასა მისი მზგავსი (რუსუდ. 217, 37).

მაშრაპა (მაშრაფა B) სხვათა ენაა, სარწყული(ა), სტამნი(ა) ZAB – საბა, ნ. ჩუბ. **მაშრაპა** არაბ. მაშრაბაჰ – ვულგ. მაშრაპა თასი, სასმისი, ვაზა, ჭურჭელი, ფიალა. და *მაშრაპით* ღარშიგ ასხმიდა, შიგა დიოდა რებითა (შჰნ. I, 75, 243, 4).

მაშრაბა იგივეა, რაც მაშრაპა: „სარწყული, სტამნი“ (საბა); აგრევე მოასხეს ათი ათასი ჯორები და აკიდეს საღვინე და საჯულაზე ოქროსა კოკები, ლორთომლები, აბრაიგი, *მაშრაბები*... (შჰნ. III, 243, 22).

დიალექტ. **მაშრაფა** (არაბ. maşrapa) წყლის ამოსადები ჭურჭელი, ტოლჩა). დეიკავეს ბადვებმა *მაშრაფები*“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). წინეთ ჩვენ *მაშრაფას* წყლისთვინ ვხმარობდით. ახლა ვიღამ იცის (მესხ. ფეიქრ.). აგრეთვე: ჯავახ. მარტირ., იმერ. გაჩ.

მაშრაფი (სარეცხელის წყალს ამეღებთ ქვაბიდან *მაშრაფით* (აჭარ. მრეწ. II, I,270). მაშრაფი, ანუ დოლჩაჲ (თურქ. თასსაც ემახი-ან) წყლის სასმელია (საინგ. მრეწ. II,I, 70). აგრეთვე: აჭარ. ნიჟ., იმერ. გაჩ.

მაშრაფე: -მაგ *მაშრაფით* ამეიღე ღვინო ჭურდიან (რაცხ. გურ.).

მაშრაპაჲ რვალის ჭურჭელი (თუშ. მრეწ. II, I, 78).

ვაშრაპი, ვაშრაპა წყლის ჭურჭელი, ჩამჩის მსგავსი – ქეგლი.

ვაშრაპაჲ სპილენძის ან ვერცხლის პატარა თუნგი. „ვერცხლის *ვაშრაპაჲ*ოვ, სტუმართ წინ სადგმელაჲოვ“ (თუშ. ცოც.). *ვაშრაპაჲ* ქისტური ჭურჭელია სპილენძისა ან თუჯისა (თუშ. მრეწ. II, I,79).

ქეგლის მიხედვით **მაშრაფა** ძვ. საყვავილე ვაზა. [მაგიდაზე იდგა] ლამაზი მაშრაფა ყვავილებით (ვ. ბარნ.) – ქეგლი.

ქუზა:

საშ. ქართ. **ქუზა** (სპ. ქუზა, resp. ქოზა) თიხის ქოთანნი. დანაყე... ჭიქისა ჭურჭელსა ანუ *ქუზასა* (ქანან. 93, 31). ყოვლი სურნელი სხვადასხვარი გისგულაბდნებით, *ქუზებით*, კოლოფებითა თავ-თავის რიგით ასე ჩამოვიდის და ავიდის, რომ ვერა შვეიტყევით რა (რუსუდ. 218, 34). **ქუზი** არაბ. სარწყული – დ. ჩუბ.

დიალექტ. **ქუზა** (სპარს.) კატრის ხიდამ გამოთლილ ბარდალს *ქუზას* ვეტყვით; უწინ ახისხიდამ (ახალციხიდან) გადმოქონდნენ, – ხის ტოლჩა (აჭარ. ნიჟ.).

ზან. **ქვეზა** თიხის პატარა ჭურჭელი(მეგრ. ქობ.).

ხონი:

საშ. ქართ.**ხონი** დიდი ტაბაკი ZA – საბა. **ხონი** იყენეს მზანი მისაგებლად, ხელთ ეჭირნეს *ხონით* ალვაც (ნ.ციც. 647, 1329). **ხონი, ხონჩა** სპარს. გრძელიდა დიდი ტაბაკი – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **ხონი, ხონა** 1. იგივეა, რაც გობი. მე გადმოვიღე *ხონა*, რომელშიც მეწყოა გამოწლული თევზები (ვაჟა). დილით უმზეოდ უნდა დაკრიფოთ ალისარჩულის ყვავილი და ჩაყაროთ *ხონში* (ბ. ჯორჯ.). 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ხელხო-ნა – ქეგლი.

დიალექტ. **ხონი** თაბახი, მთლიანი ხისგან მრგვლად გამოთლილი გობი. მასში ცომსა ზელენ ან ფქვილსა ცრიან. აქედან ხონჩა (ქიზ. მენთ.). **ხონაის პური** გობზე მოზეილილი პური (ორ კილომდე).

სარძლოს სანახავად მისული სასიძოს მშობლები ათ *ხონის* პურს მიიტანდნენ (მოხ. ქავთ.). *ხონა ბაკანა* (< ხონა+ბაკანა) ხელგობი, ხის მოზრდილი ჯამი (2-3ლიტრიანი) „ეგეთი მჭამელია, რო ერთი *ხონა-ბაკანა* უნდა“ (მოხ. ქავთ.). „მართოს ერთი დიდ*ხონ* ჯალ გეყზილ“ (თუშ. ხუბ.). აგრეთვე *ხონა* (კახ., მოხ., გუდამაყრ., თიან., ქსნის ხეობ.) – ალ. ლლ. **ხონ** სხვადასხვანაირი საჩუქრებით სავსე დიდი გობი, მისართმევი: კად ხონით მოსულიყო (ინგილ. როსტ.). აგრეთვე ინგ. ჰასრ.-ომარ. ზან. **ხონი** დიდი ტაბაკი (მეგრ. ქობ.)

ქიშა:

საშ., ახ. ქართ., დიალექტ. **ქიშა** საწდეა – საბა, დ. ჩუბ., დოქის ოდენა თიხის ჭურჭელი (<<დიალ.>>) – ქეგლი. ლხინშია ფერკსა მოიტებს, დააქცევს ღვინის ქიშასა! (ქილ. 714,4). [კაცმა] ორი ორძალი წაიღო, ორი ხირაული, ერთი – *ქიშა* ღვინო (საბა). **ქიშა** პირვიწრო, დოქი პირგანიერი იყო, ტევადობა 4-6 ლიტრა წყლისა [ჰქონდა]. ქიშა ღვინისათვის იხმარებოდა, ახლა კი ღვინო რო აღარ არის, არაყს ან წყალს ასხამენ (ჯავახ. მრეწ. II, I,144). შდრ. **ქაში** სპარს. მოჭიქული ჭურჭლის სახეობა .

სიტყვაწარმოებით ამავე წარმომავლობისა ჩანს **ქვიშინა** (სასმისი). რაჭაში გამოვავლინეთ ხის შემდეგი სასმისები: კათხა, კვანჩხა, *ქვიშინა* (რაჭ. ფრ. 198). სანადიმო-სალაღობო სასმისებია: დიდი კათხები, ქარასხები, ყურიანი *ქვიშინები* (რაჭ. ფრ. 208). **ქვიშინას** რძი საწველათ ვხმარობთ (ზ. რაჭ. მრეწ. II, I, 201).

დოსტაქანი:

საშ., ახ. ქართ. **დოსტაქანი** [სპარ. დოსტაქან «სასმისი», «ფილა»] ძვ. დიდი სასმისი, დიდი თასი-საბანა, ჩუბ., ქეგლი. ავიყარენით, მიგვჭირდა სმა *დოსტაქნის* მეტისა (რუსთაველი). მოითხოვდა სანუკარსა, *დოსტაქნისა* დალევს სმითა (შჰნ. III, 474,2). ხან ეხვეოდენ დაკოცნიდენ [ერთმანერთსა]. ამგვარად საღამომდისი *დოსტაქანი* სვეს (ხოსრ. 70,22). არც ვლოთობ და არც იმაზე ვფიქრობ, რახან დღემდე ლუდი იშვიათად იშოვებოდა, ამისთვის საათობით ვიდგე რიგში, რომ ორიოდე *დოსტაქანი* ლუდი დავლიო (ა. ბელ.) – ქეგლი.

დიალექტ. **დოსტაქანი** – მხოლოდ ერთმა მითხრა სტაქნის ჩანადგმელიაო (ქიზ. მრეწ. II, I,36).

ნალბაქი:

საშ. ქართ. **ნალბაქი** ნალბაქი პატარა ჩაის პინაკი – დ. ჩუბ. *ნალბაქით* ნარინჯი წინ დაუდგეს (რუსუდ. 481,5).

ახ. ქართ., დიალექტ. **ლამბაქი** შდრ. სპარს. ნა'ლბაქი (ვ.ბერ.). **ლამბაქი** პატარა თევში, ჭიქის ან ფინჯნის დასადგმელი (უფრო მომცრო – სამურაბეა). ფაიფურის *ლამბაქი*. – კალისტომ ქილაში კოვზი მადიანად ამოუსვა და... *ლამბაქზე* გადმოაყირავა (ა. ბელ.). ცხრილზე დაალაგა: ... თაფლიანი ფიალა, გოზინაყიანი *ლამბაქი*, ერთი ჯამი კაკალი (თ. რაზიკ.) – ქეგლი. თხრის დროს უპოვნიათ აგრეთვე თიხის *ლამბაქ* (პატარა, დაბალი თევში ყოფილა(საინგ. მრეწ. II, I, 63). **ლანბაქი** ლამბაქი. დააწყო სამი ვაშლი *ლანბაქზე* (ღარიხევი, ზ. იმერ. ძოწ.).

გამოყენებულილიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1996 – მზ. ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის ტ. II, ნაწ. I თბილისი.

ჰ. აჭარ. – ჰ. აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ერევანი (სომხურ ენაზე). (ქართულად ნათარგმნი მასალა დაცულია ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

წყაროები

აბდულ. – იოანე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1964.

ილ. აბულ. – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

აჭარ. ნიყ. – შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

ვ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПн., 1912; თბილისი, 1986.

ბერძნ. გიორგ. – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული-ლექსიკონი, თბილისი, 2012.

გურ. შარაშ. – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. – „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

გურ. ჯაჯ. – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტი, I, თბილისი, 1977.

დ. გურამ. – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი, დაურთოს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბილისი, 1980.

ზ.-იმერ. ძოწ. – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974.

თუმ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუმური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

თუმ. ხუბ. – პ. ხუბუტია, თუმური კილო, თბილისი, 1968.

იმერ. გაჩ. – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1976.

ინგ. როსტ. – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.

ინგ. ღამბ. – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

ინგ. ჰასრ.-ომარ. – ჰ. ჰასრათოვ-ომარაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის ლექსიკური თავისებურებანი (სალექსიკონო მასალითურთ), თბილისი, 2024.

ლათ. – И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1986.

ლექზ. ალაგ. – მ. ალაგაძე, ლექზუმური ლექსიკონი, – ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938.

მეგრ. ქობ. – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მოხ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

მრეწ. – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. II, ნაწ. I, 1979 .

რაცხ. გურ. – რაცხანაირ-გურული ლექსიკონი, სამეცნ. ხელმძღვანელი რ. ბერიშვილი, თბილისი, ოზურგეთი, ღანჩხუთი, ჩოხატაური, 2001.

რაჭ. ფრ. – ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, I, რაჭა, თბილისი, 1974.

რუსუდ. – რუსუდანაიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

საბა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV2, გამოსცაილ. აბულაძემ, თბილისი, 1966.

ზ. სარჯ. – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

სპარს. – Персидско-русский словарь. Составители М. Н. Османов, Д. Х. Дорриидр. т. I-II, М., 1985.

სვან. თოფ., ქალდ. – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ფეშ. – ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1935.

ქ.ცხ. II – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959.

ქანან. – ქანანელი, უსწორო კარაბადინი, გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა, თბილისი, 1940.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქილ. – ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი, მეფე - ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბაორელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, თბილისი, 1975.

შავშ. – შავშეთი, წიგნის ავტორები: მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე და სხვ.; რედაქტ. მ. ფაღავა, ბათუმი, 2010.

შპნ. I, III – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1916; აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცად. კობიძემ, თბილისი, 1974.

ალ. ღლ. – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი, 1984.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ნ. ჩუბ. – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961.

ნ. ციცი. – ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, ქართული მწერლობა, 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, რ. თვარაძე, თბილისი, 1988.

ხოსრ. – ხოსროვ-ამირხოსროდეკლევი, ხოსროვშირინიანი, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ნ. გიგაშვილმა, თბილისი, 1979.

ჯავახ. ბერ. – გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1982.

ლ უ ი ზ ა ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე , დ ა ვ ი თ შ ა ვ ი ა ნ ი ძ ე

ქართველთა ყოფით-კულტურული მახასიათებლების აღმნიშვნელი ლექსემებისათვის (სვანური და აჭარული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ნებისმიერი ეთნოსის, ხალხის ენაში აისახება ის, რაც ამ ადამიანებს გარს აკრავთ, რითაც ისინი დაკავებულები არიან, რასაც ქმნიან, რითაც ვაჭრობენ, რაზეც ფიქრობენ, მათი წეს-ჩვეულებები, მითები, ყველაფერი, რითაც ისინი ცხოვრობენ - წერდა ვიჩესლავ ივანოვი (<http://arilimag.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%95%E1%83%98/?fbclid=IwAR2kt-A4KavX3EFwKlcoo6C8m71jgNZilfEldXDYf-ofCAMJaiR7bANRTZao>).

სამსჯელოდ გამოგვაქვს აჭარასა და სვანეთში მოძიებული სამი კატეგორიის (სამეურნეო ცოდნა-მოცემულობის, ტრადიციულ-კულტურული ცხოვრების წესის მსგავსების და კულტურულ-ყოფი-

თი ცხოვრების ამსახველი) ეთნოგრაფიული ლექსიკური ერთეულები.

ჩვენ მიერ გამოყოფილ სამ ჯგუფში გაერთიანებული თემატური სალექსიკონო მასალიდან ინფორმაციას მივიღებთ სხვადასხვა ეროვნულ-ტრადიციულ, ლოკალურ-კუთხურ მახასიათებლებზე, აჭარელთაგან შენარჩუნებულ, ზოგადად გადარჩენილ ქართულ ფასეულობებზე. ჩვენეული მასალები საშუალებაა ადვადგინოთ სოციალურ-კულტურული და პოლიტიკურიც სინამდვილე; ცოდნა რწმენითი და რელიგიური ცვალებადობის შესახებ. ეთნოგრაფიული სალექსიკონო მასალა წარმოდგენას გვიქმნის აჭარელთა და სვანთა სამეურნეო, ყოფითი საქმიანობაზე.

ჩვენეული ეთნოგრაფიული ლექსიკის ნაწილი შეიძლება ამა თუ იმ კუთხის ლექსიკურ ერთეულად მიიჩნეოდეს, თუმცა კვლევით დგინდება, რომ იგივე ლექსემა მსგავსი, ან განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში. აღნიშნულით კიდევ ერთხელ მტკიცდება: 1. ქართველთა ეთნოსის მენტალურ-კულტურული, რწმენითი ერთობა, ქართულ-ქართველური მემკვიდრეობის მთლიანობა. 2. დიალექტურ-ეთნოგრაფიულილექსიკის, საოჯახოს ამეტყველოებისთვის უდიდესი ყურადღების მიქცევის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ განსახილველ ყველა სიტყვა-თქმასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ უახლეს ეთნოგრაფიულ მასალებს და ეს მასალები კვლევის უტყუარი წყარო იქნება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგისთვის

§.1.1. ტრადიციულ-კულტურული ცხოვრების წესი, რწმენითი მახასიათებლები

აჭარული ეთნოგრაფიული ლექსიკიდან: ცხონებული, დარიგება, ხელის გახსნა

ლექსიკონების მიხედვით **ცხონებული** განმარტებულია, როგორც – **სასუფეველში გადასული, გარდაცვლილი, ნეტარხსენებული, სულმნათი.**

ეთნოგრაფიული მასალები:

ხელის გახსნა – ლეჩხუმურსა და იმერულში, სხვა დიალექტებშიც აღნიშნავს, რომ ჭირისუფალი იხსნილებს ხორციტ. ეს შესი-

ტყვება სვანეთშიც გვხვდება, თუმცა აქ აღნიშნულ შესიტყვებას იყენებენ ოჯახის მეკვლესგან „სამეფებუროდ“, „ზედაზე“– „კვერებით და სანთლით“ მილოცვისას. მეფებური „ხელის“ ნაჭრით შვეა სახლში, ბოსელში და დაილოცება: „კაცის სიმრავლე, საქონლის სიმრავლე, ჯანმრთელობა. ხარი გამიმრავლე, ძროხა გამიმრავლე, ვერძი, ტახი“ (მთხრობელი არჩილ ჩართოლანი, სოფ. ნაკრა). ამ დალოცვის „შიმი(შ) ლიფშედე“ / ხელის გახსნით უზრუნველყოფს ხვავიან-ბარაქიანობას, ჯანმრთელობის გარანტირებულობას, მატებას.

ჩემი მეუღლის რვა დედმამისშვილიდან სასუფეველში გადავიდა ყველა, ყველა ცხონებულია“ (მთხრობელი თ. ცეცხლაძე. სკვანა. 2022). იმერხევეშიც ცხონებული მიცვალებულს ნიშნავს. ჩვენ მიერ ქუთაისში ჩაწერილი მასალების მიხედვით ცხონებული მხოლოდ ისეთ მიცვალებულზე ითქმის, რომელსაც სიცოცხლეში სიკეთე უკეთებია. ცხონებული მხოლოდ ღვთის სათნო კაცია. ყველას ამ ტერმინით არ მოიხსენიებენ: „ღმერთმა შეუნდოს ყველას, მარა ჩემი ქვეყნის მტერს და სულგაყიდულ ქართველზე ცხონებული-თქვა რავა ვიტყვი“, „ისე ცხონდეს შევარდნაზე, სიგუა, იოსელიანი რავაც ეკუთვნოდეს“ (ხაჭაპურიძე 2017).

რაც შეეხება ლექსემას **დარიგება/რიგდება** ლექსიკონებში განმარტებულია როგორც ბოძება. ეთნოგრაფიული მასალა: „ორმოცდამეთორმეტე დღეს ადამიანის სული და ხორცი რიგდება ანუ ერთმანეთისა განიყრება. ტკივილიანია ეს დღე გარდაცვლილისთვის და მისი ჭირისუფლისთვის (მთხრობელი. აბულაძე. თხილვანა 2022).

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, შინაარსით, განსხვავებული რიტუალური და ქმედების წესით საინტერესოა სვანური ლექსიკური ერთეულები: **ხელის გახსნა, დადება/ადევს.**

„ელიაობის“ დღესასწაულთან დაკავშირებულ ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში განსხვავებული სემანტიკით გვხვდება სიტყვები: ადევის (ანუ პატივის სცემენ, უყვართ), **დალაგდა** და **გაიშალა** (გამოიდარა): „ჩვენ, ამინდისგან შებორკილ მის კაცებს გვათავისუფლებს ელია. **დარს გვილაგებს (დარს გვიგენე)**, ბეჩოს უღელტეხილზე ლენჯერელ ილიაზ გულედანს ულოცია წმინდა ელია ზედა ერთ საათში ამინდი **„გაშლილა“ (ქა აფხაე)**, მისცემიათ გზა. ელიას მაგარი დაფასება „ადევს“ ჩვენგან (ელიას გუნ ფას//ლგუენ ხაზ ნიშგეშხენ (ჩვენ ვაფასებთ). მისი სახელობის საყდრის მოვლაც, მისადმი ლოც-

ვაც ძალიან გვიყვარს. შველოდეს ყველას!“ (მთხრობელია ბ. გულედანი. ლენჯერი. ჩამწერი. ნაკანი, 1995). დალაგება, გაშლა-გამოდარების მნიშვნელობით ლექსიკონებში არ დასტურდება, თუმცა გვხვდება განსხვავებული კონტექსტებით, მაგ.: დალაგება-მოწესრიგება, კეთილგანწყობა, სილის გაშლა-ცემა, ფეხის გაშლა-ცეკვა, ფრთის გაშლა-განავარდება (ნეიმანი: 1978).

§. 2. სამეურნეო ცოდნა-საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები

გაშვება – გაცემა / გატანის მნიშვნელობით სვანურ სამეტყველოში.

ეთნოგრაფიული მასალა: „დემდიშ ლადელ ოხდვრიშს დარ ფიშვდე ყორქა – ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს რძის ნაწარმის კარში **გაშვებას** (გაცემას) არავინ ჩაიდენდა. ამ დღეებში არავის არ გაუგზავნიდნენ მარცვალს და ფქვილს“ (მთხრობელი, ცინდელიანი. სვანეთი. ნაკრა. 2017).

ხორბლის სათევი – რიგის, დროის აღმნიშვნელი სიტყვა-თქმა. თევა ქართულში ნიშნავს – ღამის გატეხვას, უძილობას.

ეთნოგრაფიული მასალა: „ძირითადად ხორბლის დაფქვისას¹ იყო. ასე უწოდებდნენ შემოდგომაზე წისქვილობას. ერთ კვირას ფქვავდა ერთი ოჯახი, მეორე კვირას მეორე. ხორბლის საფქვავს უთევენ“. „მხარ ოზბექ ხოლგენი კვეცენიშ ლიგვეჰს, მხარ ეჩხენ მიშგუ რიგ/ხერაშვ ლი – ხვალ ოზბექი ხორბალს უთევეს, ზეგ კი ჩემი რიგია“ (მთხრობელი ა. კვიციანი. 2015. სვანეთი. ბეჩო).

მიწის შემოჭერა – ქვემო სვანეთში გამოიყენება დარგული ნარგავისთვის მიყრილი მიწის დატკეპნის მნიშვნელობით.

ეთნოგრაფიული მასალა: „ბოსტანს ჩვეულებრივად დახვნა უნდა, შემდეგ თოხით დამუშავება და შემდეგ დარგვა. ასე დამუშავებულ მიწას მსხვილი ჯოხით ჩახვრეტდი და ნერგს ჩარგავდი. მიყრილ მიწას **„შემოვჭერდით“** და მოვრწყავდით დილა-საღამოს, ან დილით მარტო“ (მთხრობელი, მზევიანარ ქათამაძე, სოფ. ნაღვარევი).

¹ „სადაც ბუნება აძლევდათ“ მოჰყავდათ ხორბალი XX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით

დაწყობა-დაწყნარება – მოვლა-პატრონობის მნიშვნელობით ჩავიწერეთ აქარასა და სვანეთში, კერძოდ საქონელზე საუბრის დროს.

ეთნოგრაფიული მასალა: „შენ გაზრდილ საქონელს ყველანაირად დააწყო, დააწყნარებ. სხვისი საქონლის გემინია, ვერ დაიმორჩილებ ისე, როგორც გინდა“ (მთხრობელი, უმიანე მჟავანაძე, სოფ. ცხემლისი).

დაკოდვა – შეტეხვა. ზოგად ქართულში „დაკოდვა“ ახსნილია, როგორც ჭრილობის მიყენება, დაჭრა, დასაჭურისება (ქეგლ 1953: 465; ნეიმანი 1978: 559). **სვანური სამტყველო ენის მაგალითი:** „ქანს ჩუ აყჩურახ – კანაფს **დაკოდავდნენ** მის დროზე ზედმეტი ფოთლებისაგან“ (მთხრობელი გ. ონიანი. სვანეთი. სასაში, 2013).

„ქაშატობა“ აქარაში სამეურნეო საქმიანობის აკრძალვის შესახებ ცნობილია: „ქაშატობას არ შეიძლება მიწაზე მუშაობა. მიწიდან ხის ან ტოტის აღება და გამოტანაც კი. ითვლება რომ ტაბუს დამრღვევს სტიქია მოსავალს გაუნადგურებს, მავნებლები შეესევინან ნაკვეთს.“ ქაშატობა ორჯერ, გაზაფხულის და ზაფხულის პირველ შაბათს აღინიშნება ზემო აქარაში. აღსანიშნავია, რომ ტერმინი ამ ფორმით არცერთ გამოცემულ ლექსიკონში რაა ფიქსირებული, თუმცა გუგლის საძიებო სისტემაში გვხვდება. წიგნში „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ კვითხულობთ: **„ქაშეტა – საკულტო ძეგლი, მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სოფლ ხურთისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტყეთანაში (ტყისპირი), ბორცვზე. ოთხკუთხა პრიზმის მსგავსი ყრუ ნაგებობაა“** (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2008: 489). ქაშეტა სავარაუდოდ ქაშეთის დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს (memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject/?i...).

სწორედ ქაშატობის წესთან დაკავშირებით მასალის ჩაწერისას შეგვხვდა გამოთქმა მიწის გაქანება – **მიწის დამუშავების** მნიშვნელობით.

ეთნოგრაფიული მასალა: „გაზაფხულის პირველ შაბათს, ქაშატობას მიწა არ უნდა გააქანო, მეწყერი მოვა და დაზარალდებო“ (მთხრობელი, სულიკო ბოლქვაძე, სოფ. ჭვანა). ჩვენ მიერ იმერეთში ჩაწერილ მასალებში გვაქვს: „სადვთო დღესასწაულებზე მიწის

ნძრევა / გარყევა არ შეიძლება, ცოდვად ითვლება და არც მოსავალს მოგცემს“ (მთხრობელი, ნ. ჯიშკარიანი, ნახანულები, ქსკც 2003).

ლექსიკონებში **გაქანება** რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება- გაქცევა, წასვლა, რხევა (ლექსიკონი ქართული- გაჭენება, (სულხან-საბა:1991), ნელ-ნელა გაწევა (დლონტი 1974); დსკი მასალების მიხედვით გვხვდება მასშტაბის მნიშვნელობითაც: „კაცს თუ ტვინის გაქანება არა აქვს, ვერაფერს გააკეთებს“, „დიდი გაქანების კაცი იყო მხატვარი ოთარ ქანდარია“ (მთხრობელი სულიკო ხაჭაპურიძე, ქსკც მასალები, ქუთაისი, 2005).

§.3. ეთნოგრაფიული ლექსიკით ასახული ყოფითი ცხოვრება

გაუნათლებლობა – ბეჩობაა აჭარულში.

„ბეჩი“ – გამოშტერებული, გამოთაყვანებული, სულელი, ლენჩი, გიჟი, გადარეული. სულხან-საბასთან „ბეჩი“ გამტერებულს ნიშნავს (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი აჭარა. 2019 წ. პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. მეგლაძე გვ. 313). ლექსუმურში **ბეჩი**, წინდაუხედავს ნიშნავს (ბერიძე 1986).

ეთნოგრაფიული მასალები:

„ქალის ჩაგვრა ბეჩობის, გამოშტერებულობის გამოვლინება იყო. გაუნათლებლობაში შენი მემტერე თავისას იოლად იკეთებს. ამიტომაც არავინ გვანათლებდა. თუმცა მაინც ხერხდებოდა. ამ, ხიხადირის ხეობაში, მაგალითად გოგო რომ დაიბადებოდა, უკანალში ხელს მოუტკაცუნებდნენ და ეტყოდნენ „სკვანაში მოხდესო“. ანუ აქ განათლებული მეტი იყო და მოურეველი, ნაკლებ დამორჩილებული სოფელიც იყო“ (მთხრობელი ნ. აბაშიძეები. სკვანა 2022 წ); „ერთი ღერი თმის გამოჩენა ორმოც კაცთან ყოფნის ფასიანო, მეტი გუუნათლებლობა, **ბეჩობა** რაგინდა?“ (მთხრობელი აბულაძე ბექირი. თხილვანა. 2022).

შებრუნება. ქართულ სალიტერატუროსა და დიალექტებში ახსნილია, როგორც: უკან დაბრუნების, მხრის, გეზის, გვერდის შეცვლის, სხვაგვარად წარმართვის, ხელახლა დაწყების მნიშვნელობით (ქეგლ 1962). „მხარ ბაკურიშ დინამ ლისყალ (შერიგება) **სგა ლიხნი** (შეშვება სახლში) ხარხ – ხვალ ბაკურის გათხოვილი გოგოს **უკან შებრუნება** აქვს“ (მთხრობელი ცილა ქალდანი, სოფ. მაზერი).

შენიშვნა: ენგურის ხეობის სვანეთის მსგავსი მასალა, რომ ქალის „მთავარი თავი სახლი“ იქაა, სადაც ქალიშვილი/ „**შვილი ქალი**“ „**კერას ფსკვნის, შემოქმედობს**“, დადასტურდა ბალს ქვემო და ცხენისწყლის ხეობის სვანეთში, საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებშიც.

იმერეთში – იმავე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი – **მი-ბრუნება**. ქორწინების შემდეგ მამისეულ სახლში პირველი მისვლა, რომელიც აუცილებლად სუფრით აღინიშნებოდა.

კობიწი – აჭარულში **ხელმოჭერილს** ნიშნავს. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს სიტყვა ლექსიკონებში ვერ მოვიპოვეთ.

ეთნოგრაფიული მასალა: „ბავშვი რო იბადება ფაფობა გვაქვს, ფაფას ვაკეთებთ, აუცილებელია ეს. თუ ვინმემ არ გააკეთა, მაგას ჩვენებურად კობიწს ვეძახით. ანუ, რომ არ იმეტებს, ენანება, კობიწია ადამიანი“ (მთხრობელი, ტარიელ ბოლქვაძე, სოფ. ხაბელაშვილები).

გულისმისცემა – მიხვედრის მნიშვნელობით ჩავიწერეთ ლატალი. „როცა მისცემ გულს (შომა გუის ლახვედნე), რომ უკვე ტყემალი დადუღებულია, ქილებში ან ბოთლებში ჩაასხამ და საცობებს დაარტყამ“ (მთხრობელი გ. გვიჩიანი. სვანეთი. ლატალი. 2015).

მრგვლად – ერთიანად. მრგვალი – ერთიანი, მთლიანის მნიშვნელობით შეგვხვდა სვანეთში.

ეთნოგრაფიული მასალა: „ჩვენს სოფელში ერთ სამძმოს ხრიკი მოუწყვია. ჩვენ წინაპარს წინააღმდეგობა გაუწყვია, რის გამოც მოუკლავთ. მერე დარჩენილი ძმები მივარდნიან და ამოუწყვეტიათ სვანური თოფებით „მრგვლად“ (მურგვალდ ლიხვტე) (მთხრობელი ბ. ნანსყანი. სვანეთი. ლატალი. 2015).

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექსიკური ერთეულები ადასტურებს საყოველთაოდ გაზიარებულ ჭეშმარიტებას, რომ სიტყვა აზრის სამოსელია. ისინი მოგვითხრობენ ქართველთა ცხოვრების სამეურნეო, სოციალურ-კულტურულინიშან-თვისებების, მენტალობის, ცნობიერების, ეროვნულ-ტრადიციული და პიროვნული ფასეულობებისადმი, რელიგიისადმი დამოკიდებულებების შესახებ. აღნიშნული ეთნოლინგვისტური ერთეულების კვლევა ნათელს ჰფენს ეთნოსის სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის ბევრ ნაკლებად ცნობილ

თუ სრულიად უცნობ საკითხს და, ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის ისტორიის, ენის, კულტურის შესწავლის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978

სულხან-საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა 2008 – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბილისი.

ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი 2019 – ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, პროექტის ავტორი და სამეცნიერ ოხელმძღვანელი ნ. მგელაძე, ბათუმი.

ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ბერიძე 1986 – ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბილისი.

შავიანიძე 2022 – დ. შავიანიძე, სვანეთი, (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ქუთაისი.

ხაჭაპურიძე 2017 – ლ. ხაჭაპურიძე, ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება, ქუთაისი

ქსკც – ტ. ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მასალები.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციის მასალები, 2016-2024.

ქებელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, <https://ena.ge/explanatory-online>

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=28&id_srch=3387fa862e21792c96bae0c733d271c9&il=en&p=1&visualtheme=gw_brand
<http://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?i...>
<http://arilimag.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%->

[9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98/?fbclid=IwAR2kt-A4KavX3EFwKIcoo6C8m71jgNZilfEIdXDYf-ofCAMJaiR7bANRTZao\).](http://www.geogebra.org/m/9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98/?fbclid=IwAR2kt-A4KavX3EFwKIcoo6C8m71jgNZilfEIdXDYf-ofCAMJaiR7bANRTZao)

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

რამდენიმე მოსაზრება გაუმჭვირვალე სემანტიკის მქონე დენდრონიმებთან დაკავშირებით ქართულში (საჯი)

ქართულ ფიტონიმა დიდი ნაწილი გამჭვირვალე სემანტიკისაა, რასაც, უპირველეს ყოვლისა ის განაპირობებს, რომ მცენარეთა სამყაროს დიფერენცირებული სახელდება იმ სახით, რა სახითაც იგი დღესაა წარმოდგენილი, მეტწილად, გვიანდელია, უფრო მეტიც, მცენარეთა სახელდება ხშირად ჩვენ თვალწინ მიმდინარე ცოცხალი, დინამიკური პროცესია და, თუკი შესამჩნევია მთელ რიგ ფიტონიმთა დაკარგვა, მივიწყება, სემანტიკის გაბუნდოვანება, პარალელურად ჩნდება ახალი სახელების შედეგად მიღებული მცენარეთა სახელები, როგორცაა, მაგ.: გრამაფონა (კახ., იმერ., გურ.), კაპლიბა-ლახა (იმერ.), ქირურგი (კახ.), ფერადა (ქართლ.), ქაჯეთის ციხე (ქართლ.)... დაკვირვებამ ცხადყო, რომ უახლესი ნომინაცია მუდამ ალსანიში მცენარის რომელიმე ნიშან-თვისებითაა შეპირობებული.

ის რომ მცენარეთა სახელდება ქართულში ცოცხალი პროცესია, მკაფიოდ წარმოჩინდება გვიან შემოტანილი მცენარეების მრავალფეროვანი სახელების მაგალითით (არ ვგულისხმობთ უცხოური ენებიდან თარგმნილ სახელებს).

ნიმუში: მცენარე **უჯანგარის *Artemisia annua*** სამშობლოა ხმელთაშუა ზღვისპირეთი. ის ჩვენში შემოსულია, ამიტომაც საქარ-

თველოს ფლორისათვის ადვენტურ¹ მცენარედ მიიჩნევა. დღეს ეს ბალახოვანი მცენარე ქართულში უხვი და მრავალფეროვანი სინონიმებითაა წარმოდგენილი: „კახ. **მყრალა, მყრალა-ბალახი**; ინგილ. **ყარაშამზაი**; იმერ. **ოყრალო, ოყრალუა**; ზ.-იმერ. **კაკია ბალახი**; ქვ.-იმერ. **ყრალა-ყრალა, ანაგვრიელე**; რაჭ. **ყრიანჭოლა**; ლეჩხ.**მამდარა, მომყრალუე, შავცოცხე**; გურ., ზ.-აჭარ. **ძაღლიქინძა...** (ა. მაცაშვილი 1961).

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გამჭვირვალე სემანტიკისაა, ძირითადად, ბალახოვან, ბუჩქოვან მცენარეთა და სოკოთა სახელები.

ფიტონიმთა ერთი ნაწილის სემანტიკა გაუმჭვირვალეა, შესაბამისად, არ ჩანს სახელდების მოტივაციის საფუძველი. ამის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ნასესხობა, შორს წასული ფონეტიკური პროცესები, სემანტიკის დაბინდვა და, რაც ყველაზე საყურადღებოა, სახელის უძველესი წარმომავლობა, როცა მისი ამოსავალი ფორმისა და სემანტიკის ამოცნობა სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

რაკი გამჭვირვალე სემანტიკის ფიტონიმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართულში მცენარეთა მოტივირებული ნომინაცია მუდამ შეპირობებულია აღსანიშნის ნიშან-თვისებით, შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოტივირებული უნდა ყოფილიყო ის ფიტონიმებიც, რომელთა სემანტიკა მოცემულ ეტაპზე გაუმჭვირვალეა, მათ შორისაა არქაული წარმომავლობის სახელებიც.

გაუმჭვირვალე სემანტიკის ფიტონიმებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წყება სახელებისა, რომლებითაც აღნიშნულია მოცემული გარემოს ენდემური ან უძველესი დროიდან გავრცელებული მცენარეები. ეს სახელები ერთნაირად დასტურდება დიალექტებში (მცირედი ფონეტიკური ცვლელბებით), არ გამოირჩევა კილოური სინონიმების სიუხვით, მრავალფეროვნებით და, მეტწილად, მათ მოეპოვებათ შესატყვისობები ქართველურ ენებში. ფიტონიმთა ამ წყებას, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ენდემურ ან

¹ „ადვენტური მცენარე – გავლურებული მცენარე, რომელიც შესულია ადგილობრივი ბუნებრივი მცენარეულობის შემადგენლობაში“ (ჭაბაშვილი 1989).

ჩვენში უძველესი დროიდან ბუნებაში არსებულ ხემცენარეთა სახელები, დენდრონიმები (ზოგიერთი ბუჩქოვანი და ბალახოვანი მცენარის სახელიც.), როგორცაა: ლეღვი, ცაცხვი, წიფელი, წაბლი, თხმელა, მსხალი, ვაშლი... მაგ., „მსხალი *Pyrus sp. div. cult.* გურ. სხალი; ჭან. მცხული; მეგრ. სხული; სვან. ვიცხ, იცხ“ (ა. მაყაშვილი 1961).

მცენარეთა სახელების ეს ჯგუფი, საზოგადოდ, უნივერსალურიც კია, რადგან ბგერათმეცნიერების დადგენის, არქაულ ძირთა აღდგენისა და მათი დაბინდული სემანტიკის ამოცნობის შესაძლებლობებისათვის სანდო მასალას გვთავაზობს და ეს ასეა ყველა ენისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი კვლევის არაერთი საგულისხმო ნიმუში მოიპოვება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნევთ, დავაკვირდეთ ჩვენში უძველესი ხანიდან (რელიქტია) ფართო არეალით წარმოდგენილი მარადმწვანე ხემცენარის, ურთხელის *Táxus*¹ (უმთავრესად, კენკროვანი ურთხელი *Taxus baccata* L.) ქართველურ სახელებს.

ბოტანიკურ ლექსიკონებში მისი სახელები ასეა წარმოდგენილი:

1. „ურთხელი тисс, нежно-дерево *Taxus* უმთავრესად *T. baccata* კხ., ფშ., ხვს. უთხოვარი; რჭ., ლჩხ., იმ., გურ. ურთხმელა, ურთხველა; აჭ. მადა, ურთხმელა, სატილია; ქვ. რჭ. წუთული; ქრთ. ურთხლი; სხსაჯი; მგრ. ურთხელი; სვნ. ურთხელ, შანრა“ (ა. მაყაშვილი 1961).

2. „კენკრიანი ურთხელი (ურთხელი) *Taxus baccata* L.

ხევს., ფშ., კახ. უთხოვარი (ალ.მ.); მთიულ., გუდამაყ., ქართლ. ურთხლი (ავტ., ქდ, ალ.მ.); იმერ., რაჭ.-ლეჩხ., გურ., აჭარ. ურთხმელა, ურთხველა (ალ.მ.); რაჭ. ვურთხველა, ურთხველი (ა.კ.), ურთხმული (ავტ.); ქვ.-რაჭ. წუთული (ალ.მ.) („ნაყოფი“- ა.კ.), ხერკინა (ავტ.); გურ. კვირკვილაი („ნაყოფი“ - ზ.ტ.), უთხელა, ურთხელა

¹«ურთხელ-ი (ურთხლისა) [*Taxus baccata*] ბოტან. მაღალი (20 მეტრამდე) წიწვოვანი ხე; აქვს მეტად ძვირფასი მოწითალო ფერის გამძლე მერქანი, მოზრტყო წიწვი და მაგარი თესლი, რომელიც თითქმის მთლიანად დაფარულია კაშკაშა წითელი, მოტკბო რბილობით; იზრდება მთის ტყიან სარტყელში, უმთავრესად წიფლნარებში... (ქველ 1960)

(კ.გ.); ზ.-გურ. **ურბელა** (ნ.კიწ.); აჭარ. **სატილია** (ალ.მ.); აჭარ., ჩვ.ქ. **მადა** (ალ.მ., შ.ფ.); ჩვ.ქ. **არდუჭი, ურთქმელა, ურთკმელა, უხრავი** (შ.ფ.);

საბა (ალ.მ.), რ.ე. (ქართლ.-კახ.), დ.ჩ. **საჯი**;საბა, რ.ე. (ქართლ.-კახ.), დ.ჩ., ზ.ყ. **ურთხლი**; საბა, ი.ბ., ნ.ჩ., დ.ჩ., ქან. **ურთხელი**; საბა, ნ.ჩ. **ძელი ულპოლველი**; ი.ბ. **სტახსი, შტახსი, ტვია, გია** (sic); ნ.ჩ. **ულპოლველი ხე, ხე ულპოლველი**; ნ.ჩ., რ.ე. (ქართლ.-კახ.), დ.ჩ., ზ.ყ. **უთხოვარი**; რ.ე. **ძელი-ულპოლველი** (ქართლ.-კახ.); რ.ე. (იმერ., გურ.), დ.ჩ. **ურთხმელი**; რ.ე., დ.ჩ. **ულპოლველი**; ზ.ყ. **ურთხმელა**; მს **ჩვეულებრივი უთხოვარი**; ქან. **ურთხელა**;

მეგრ. ურთხელი (ალ. მ., ა.ქ.); **სვან. ურთხელ, შამრა** (ალ.მ.), **ურთხლა** (კ.დ.; ა.ო.)“ (მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონი 2024).

ლექსიკონებში წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს შემდეგს:

1. დღეს ქართულში ***Taxus baccata***-ს ძირითადი სახელია **ურთხელი** (ფონეტიკური ვარიანტებით: ურთხველა, ურთხმელა, ურთხლი, უთხოვარი, ურთხმული, უთხელა, ურთხლი, ურთქმელა, ურთკმელა, ურთხელა, ვურთხველა, ურთხველი, ურთხმული)¹; 2. ურთხელის ფონეტიკური ვარიანტები დასტურდება მეგრულსა და სვანურშიც; 3. ამასთან, ხემცენარეს ძველ ქართულ ლექსიკონებსა და ქართულის დიალექტებში მოეპოვება სხვადასხვა წარმოშობისა და მოტივაციის სინონიმებიც: ძელი ულპოლველი/ხე ულპოლველი/ძელი-ულპოლველი, საჯი, მადა, სატილია, წუთული, უხრავი, არდუჭი, კვირკვილაი, ხერკინა.

ურთხლის სხვა დიალექტური სახელები გვიანდელი წარმოშობისა ჩანს და ერთი ნაწილის მოტივაცია მცენარის ნაყოფის (თესლის) ნიშან-თვისებებთანაა დაკავშირებული, მაგ. აჭარული სახელისათვის **სატილია** ნაყოფის სამკურნალო თვისებაა ამოსავალი, შდრ.: **ტილი**, საკრეჭელა – წვრილი გამონაყარი ცხოველის პირის ღრუში (რ. კამია 1996, 130); „აჭარაში „ურთხლის კაკალი“, თავლში დანაყი-

¹ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში დადასტურებული **უთხოვარი** სემანტიკური გადააზრების შედეგია, რომელიც ხალხური წარმოდგენებითაა შეპირობებული (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015, 271).

ლი, ღრძილების დაავადების დროს გამოიყენება: „ახალ ხორცს მოიყვანსო“ (ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი 2014, 142). სახელისათვის **მადა**(აჭ.) ამოსავალია მცენარის ტოტების ცხოველთა საკვებად, სამკურნალოდ გამოყენების ხასიათი. შდრ.: „ძროხას აჭმევენ, კარგად იწველება, კბილებს კვეთს საქონელს და მადას უხსნის“ (ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა, ხულოს რ-ნი, სოფ. დიაკონიძეები). სახელი **წუთული**(ქვ. რაჭ.), სავარაუდოდ, მცენარის **ნაყოფის წითელ ფერს** უნდა უკავშირდებოდეს. „ბოტანიკურ ლექსიკონში“ მითითებულია, რომ ეს „სახელწოდება მხოლოდ ნაყოფს (თესლს) გულისხმობს“ (ა. მაცაშვილი 1961, 68).

საგულისხმოა, რომ დენდრონიმი **ურთხელი** არ ჩანს ძველ ქართულ ტექსტებში. მისი ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება სულხან-საბას „სიტყვის კონაშია“, შდრ., „**ურთხლი** – ძელი ულპოლველი“ (ს.ს. ორბელიანი 1993). ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებშიც გვაქვს მხოლოდ **ძელი ულპოლველი/ულპოლაფი**, სწორედ ისევე, როგორც შესაბამის ბერძნულ ტექსტში (**ξύλοῦ ἀρσινόπου**). ძველი ქართული სახელები ბერძნულიდან უნდა იყოს კალკირებული.

მიგვაჩნია, რომ დენდრონიმი **ურთხელი/ურთხლი** ამ ხემცენარის გვიანდელი სახელია, შესაბამისად, მას არ უდასტურდება ფონემათშესატყვისობები ქართველურ ენებში

(როგორც აღვნიშნეთ, **მეგრულიურთხელი** და **სვანური ურთხელ**, **ურთხლა** ქართული ნასესხობები უნდა იყოს), ამიტომ ბერათესატყვისობების დადგენისა და არქაული ძირის გამოვლენის თვალსაზრისით ამ სახელთა შერჩევა არარელევანტურია.

ურთხელი/ურთხლი უქონლობის გამომხატველი წარმოქმნილი ფორმაა (ისევე, როგორც **ულპოხელი/ულპოლველი/ულპოლაფი**). ამოსავალი ფუძეა **თხრამლ-**, შდრ.: **თხრამლი** ძვ. ქართ. „მუწუკიდან ნადენი სქელი ჩირქი“ (ს.ს. ორბელიანი 1991), შესაბამისად, **ურთხელი/ურთხლი** (<*უ-თხრამლ-ელ-ი/უ-თხრამ-ლ-ი) – ხემცენარე, რომელსაც **თხრამლი** („ჩირქი“, „ნაშალი“) არ აქვს, არ უჩნდება. ეს სახელი მოტივირებულია ხემცენარის მერქნის თავისებურებით – გამოჩეულად გამძლე და ულპობელი (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015, 267).

თუკი **ურთხელი/ურთხლი** გვიანდელი დენდრონიმია, საძიებელია ამ ხემცენარის არქაული სახელი და საერთოქართველური ძირი, რადგან შეუძლებელია ჩვენი ბუნების ეს განუყოფელი ნაწილი (რელიქტი), გამორჩეული ნიშან-თვისებებისა და ხალხურ რიტუალებში საკრალური დანიშნულების მქონე ხემცენარე, უძველესი ნომინაციის მიღმა დარჩენილიყო.

Taxus baccata-ს უძველესი სახელი შესაძლებელია მის სინონიმურ სახელებში ვეძებოთ. არ გამოვრიცხავთ გარკვეული სემანტიკური გადაწვევების შედეგად მის დადასტურებას სხვა მსგავს ხემცენარეთა სახელებშიც (სახელის უძველესი ლექსიკური სემანტიკა კი, ჩვენი ვარაუდით, მის **მარადმწვანე ბუნებასთან** ან **მერქნის გამძლეობასთან** უნდა იყოს დაკავშირებული და მთელ რიგ მითოლოგიურ წარმოდგენებსაც გულისხმობდეს).

ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იპყრობს *Taxus baccata*-ს ერთ-ერთი ქართული სინონიმური სახელი: **საჯი**, რომელიც დასტურდება ქართულ ლექსიკონებში, შდრ.:

„**საჯი** (ხე) ურთხლი ZABD“ (ს.ს. ორბელიანი 1993); „**საჯი** (იხილეთ უთხოვარი)“ (რ. ერისთავი 1884); „**საჯი** მცენ. ურთხელი; pact. Негной, *taxus baccata*; ბუნ.ლ.; ერისთ.ლ.“ (დ. ჩუბინაშვილი 1985); „**საჯი (საჯისა)** [სპარ. საჯ] იხ. ურთხელი“ (ქეგლი 1960).

როგორც გამოჩნდა, ხე მცენარის სინონიმურ სახელთა მოტივაციების ამოცნობა შესაძლებლობელია, რასაც ვერ ვიტყვიტ **საჯის** შესახებ. არსებობს მოსაზრება **საჯი**-ს დაკავშირებისა **„ურთხმლის**, როგორც **საკერპო ხის** დასჯასთან“ (ც. ბენდელიანი 2011, 20-23), თუმცა, ვფიქრობთ, მეტი დამაჯერებლობისათვის ამისთვის დამატებითი მასალა და არგუმენტებია საჭირო.

დენდრონიმ **საჯი**-ს წარმომავლობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მხოლოდ შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები:

1. **საჯი** ნასესხობაა ქართულში.

ძველ ლექსიკონებში მითითებული არ არის ამ სახელის ნასესხობის შესახებ, ქეგლის მიხედვით კი, ის მიჩნეულია სპარსულ სიტყვად, მაგრამ „**საჯ**“ სპარსულში არ აღნიშნავს ხემცენარე **ურთხელს**. აზერბაიჯანის ზოგიერთ რაიონში, სადაც *Taxus baccata* ბუნებრივად მოიპოვება, მას უწოდებენ "**საჯ**"-ს, მაგრამ მისი წარმომავლობის საკითხი ამ ენაშიც, როგორც ირკვევა, ბუნდოვანია.

2. საჯი საერთოკავკასიური მონაცემია.

Taxus baccata-სერთ-ერთ სამშობლოდ მიიჩნევა კავკასია. მისი მკვიდრი მოსახლეობის უძველეს ტრადიციებსა და მითოლოგიაში ამ ხემცენარეს გამორჩეული ადგილი უკავია. მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი Taxus baccata-ს სახელები ენებშიც, თუმცა არ ჩანს მათ შორის კავშირი, საერთო წარმომავლობა, ვერ ვადასტურებთ, ასევე, საჯ-ს (ან მის შესატყვისს). არ გამოვრიცხავთ, რომ ის შემონახული იყოს სხვა მსგავს მცენარეთა სახელებში, რაც სპეციალურ ძიებას მოითხოვს.

3. საჯ-ი საერთოქართველური სახელია.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს Taxus baccata-ს სვანური სახელი, შდრ.: „შაძრა (-რჷმ, -რჷლ ზზ., -რჷშ, -როლ ზქ., -რჷძმ, -რჷლ ლნტ.) ზოტ. - წითელი ხე, ურთხელი. ნენჩას წჷა შაძრა (ზქ.-228) - უღრან ტყეში არის ურთხელი. შაძრა ხოჩა მეგეჷ მეგამ ლი (ლნტ.) – ურთხელი (კარგი) გამძლე ხე“ (სვანური ლექსიკონი, 2000); „შაირა ურთხელის სახელია, იცის ფითრიც, შამიტის ხე, რაც ხველების წამალია“ (ა. ლიპარტელიანი 1994).

სვანური შაძრა წარმოქმნილი სახელია.

სვანური შაძრა წარმოქმნილი სახელია. გამოვაცალკევებთ –რა სუფიქსს. „ვფიქრობთ, საზოგადოდ, -რა(/-ლა) სუფიქსის მთავარი ფუნქცია სვანურში მრავლობითობის აღნიშვნა უნდა ყოფილიყო, რომელიც გარკვეულ ლექსიკურ კონტექსტში იმავდროულად სხვადასხვა სემანტიკურ დატვირთვასაც ავლენდა (კრებიტობა, წარმომავლობა, კუთვნილება, თვისება, მასალა). ხოლო მცენარეთა სახელებში ის აღსანიშნი მცენარის რაიმე გამოკვეთილი ნიშან-თვისების გამოხატვას გულისხმობდა ფართო გაგებით (ნაყოფის სიხშირემსხმოიარობა, თვისების მქონეობა, მსგავსება, მასალა...), რაც ქართული -თ-ა, -იან, -ნარ სუფიქსთა გარკვეულ ფუნქციებს ეთანადება. დღეისათვის ეს მოტივაციები მეტწილად დაბინდულია, თუმცა წარმოდგენილი მოსაზრების გათვალისწინებით, ჩადიებისას შესაძლებელი უნდა იყოს საწარმოქნო ფუძის სემანტიკის ამოცნობაც“ (ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2018, 215). ამის გათვალისწინებით, დასადგენია სვანური შაძ- ძირის ამოსავალი ფორმა და სემანტიკა.

თუკი ქართულ **საჯ**- ძირს ამოსავლად მივიჩნევთ, ზანურისათვის შესაძლოა აღვადგინოთ **სოჯ->/სუჯ**- ძირები (შესაბამისად, ტოპონიმ **სუჯუნას** ეტიმოლოგია, შესაძლოა, სწორედ უთხლის კორომს, ურთხლიანს უკავშირდებოდეს, რაც, თავის მხრივ, მუდამ საკრალური დანიშნულების იყო). შუძლებელი არ ჩანს ამ ფორმებთან სვანური შაჰ-ძირის დაკავშირებაც, რასაც, ასევე, დამატებითი კვლევა დასჭირდება.

4. **საჯი** უკავშირდება დენდრონიმ **სოჰ**-ს.

ცნობილი დენდრონიმის, **სოჰის** (კავკასიური სოჰი, ნორდმანის სოჰი *Abies nordmanniana* (Steven) Spach), ამოსავალი სემანტიკა ბუნდოვანია და საკვლევია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სახელს შესატყვისობები არ ეძებნება ქართველურ ენებში, შესაბამისად, ბუნდოვანია მისი წარმომავლობა. არ გამოვრიცხავთ **საჯ**- ძირის კავშირს **სოჰ**-თან. (აქვე შემოვა ტოპონიმ **სოჰის** წარმომავლობის საკითხიც. ღირსაცნობია, რომ იმ გეოგრაფიული არეალისთვის ივარაუდებოდა ისტორიულად *Taxus baccata*-ს კორომების, ტყეების არსებობა).

საჯის წარმომავლობასთან ჩვენ მიერ წარმოდგენილი თითოეული ვარაუდი სპეციალურ ჩაღრმავებასა და კვლევას მოითხოვს, რაც სამომავლო საქმედ დავსახეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენდელიანი 2011 – ც. ბენდელიანი, ურთხმელი – ლინგვისტური, ეთნოლინგვისტური და სარწმუნოებრივი ასპექტები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი.

დონდუა 2001 – ვ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპუ, თბილისი.

ერისთავი 1884 – რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, თბილისი, გამომცემლობა „TKFK“.

კაშია 1996 – რ. კაშია, შინაურ ცხოველთა მკურნალობა (მათხოჯის მასალების მიხედვით), ქართველური მედიკვიდრეობა, I, ქუთაისი.

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო), თბილისი.

მაყაშვილი 1961 – ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

მცენარეთა სახელების კრებებითი ლექსიკონი 2024 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე, მცენარეთა სახელების კრებებითი ლექსიკონი, თბილისი (იბეჭდება).

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი.

ონიანი 1917 – А. Ониани, Сворник сванских названий деревьев и растений Петроград.

ორბელიანი I, 1991; II, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

სვანური ლექსიკონი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

ქობალია 2010 – ალ. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლი 1960 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბილისი.

ჩანტლაძე, ნაკანი 2014 – ი. ჩანტლაძე, ნ. ნაკანი, სვანეთის ფლორა, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, თხრამლის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისი კონფერენცია, გორი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2015 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დენდრონიმ ურთხელი-ს ეტიმოლოგიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2018 – ფიტონიმთა ერთი წყების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში, იკე, XLVI, თბილისი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე , ი. გ ა გ უ ა , ლ. ჩ ო თ ა - ლი შ ვ ი ლ ი – დიდი დედის კულტი და „ნანა“ ძირის ეტიმოლოგია.....	7
ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე – ხარისხის ფორმები ინგილოურში	12
მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე , მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე ფ ა დ ა ვ ა – მომავალი დროის გამოხატვა სამხრულ კილოებში	18
მ. ბ ე რ ი ძ ე – როგნედა დამბაშიძე – ინგილოური დიალექტის მკვლევარი (დაბრუნება 75 წლის შემდეგ).....	26
მ. ბ ე რ ი ძ ე , მ. ბ ე რ ი ძ ე – ტოპონიმიაში შემონახული ისტორიული დიალექტური ფორმა	35
მ. ბ უ კ ი ა – აფხაზეთის გეოგრაფიული სახელები ეტიმოლოგიური დაკვირვებანი.....	45
ნ. გ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი – დიალექტური ფორმების სტილისტიკური ფუნქციისათვის დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში	56
გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი – დიალექტიზმების საკითხისათვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში	61
ნ. ზ უ მ ბ ა ძ ე – ქართული ტრადიციული მუსიკა აუდიო გამოცემაში „ერთიანი საქართველო“	69
მ. თ ე თ რ ა ძ ე – დაკვირვებანი სოფელ სამთაწყაროს ინგილოურზე	74
ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე – რეგულარული სემანტიკური გადაწვევები- სათვის ქართველურ ენებში. 1	82
მ. კ ი კ ვ ა ძ ე , რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე – ჰამიდიელ მუჰაჯირთა ლექსიკიდან	104
მ. კ ო ბ ე რ ი ძ ე – ბერ- ძირიანი გვარსახელები 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“	109

ლ. კოჭლამაზაშვილი – დისიმილაციური გამჟღერების ერთი შემთხვევისთვის ქიზიყურში	115
ქ. მარგიანი – დალის ხეობის ეკლესიონიმები	121
გ. მულიანი, ე. დადიანი – ფერეიდნული დიალექტის ლექსიკიდან (ბრძნული გამონათქვამები)	128
ნ. ოთინაშვილი – დიალექტოლოგიური მასალები სოფელი ტყვიავიდან	137
მ. საღლიანი – სვანურ ღვთაებათა პანთეონის ზოგი არქაული ტერმინის წარმომავლობისათვის. III. აბრახ/აბრახ/აბერჰამ	143
ჭ. ქირია – ერთი რიგის მეგრულ ტოპონიმთა მართლწერის საკითხი	155
ნ. შავრეშიანი – ლენტეხური დიალექტის ტექსტები განმარტებებითურთ	168
შ. შავრეშიანი – სვანური ზღაპრების თარგმანისათვის	175
ნ. შატაკიშვილი – დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან	181
ე. შენგელია – მეგრული მენჯარიშე მენჯარიშ-ი სიტყვის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი	186
მ. ჩაჩანიძე – ეთნოკულტურული თემატიკის რამდენიმე საკითხი თანამედროვე აზერბაიჯანული პროზისქართულ ენოვანი ანთოლოგიიდან	191
მ. ჩუხუა – ტოპონიმიკური ძიებანი	197
ნ. ციხიშვილი – მრავალგზისობის გამოხატვის საშუალებები შირაქში მიგრირებულ ხევსურთა მეტყველებაში	199
ს. ჭაავა – აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოგზაურობა სოფელ სარფში (1926 წლის საარქივო მასალების მიხედვით)	219

ნ. ჭოხონელიძე – ზოგიერთი სახეობის ჭურჭლის ნასესხები სახელის ისტორია	227
ლ. ხაჭაპურიძე, დ. შავიანიძე – ქართველთა ყოფით- კულტურული მახასიათებლების აღმნიშვნელი ლექსემებისათვის (სვანური და აჭარული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)	237
ნ. ხოჭოლავა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – რამდენიმე მოსაზრება გაუმჭვირვალე სემანტიკის მქონე დენდრონიმებთან დაკავშირებით ქართულში (საჯი)	245